საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
18 - 24 იანვარი, 2012
№2 (140)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

3 რატომ ელანდება სააკაშვილს ვამპირები?



## მილიონი «ნა ვერტილე», ამოცანა გვეკითხება — რამდენი ჯიპი და ზუთხის მწვადი მოუვა ხალხის პარტიის ბელადს «მილიონ სჩემტოთი»? 6

„ქართული ოცნების“, პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილში სკეპტიციზმი დღითიდღე მატულობს. სამწუხაროდ, ასეა ეს და ამის დაუნახაობა დღეს, ხვალ შეიძლება ისეთ დამარცხებად მოევლინოს ქვეყანას, როგორსაც ვერანაირი ოცნებები ვეღარ უშველის.“



## ილუზია — NATO და ილუზიონისტი — სააკაშვილი 8

ავღანეთში ქართველი სამხედროების მონაწილეობას მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის შიგნით პროპაგანდის იარაღად იყენებს, რომ თითქოს ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ნატომდე მიგვიყვანს, და ამაში საზოგადოების დარწმუნებას ცდილობს, ხოლო დასავლეთის ქვეყნებთან ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლით ვაჭრობს.

ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

## მონაწილეობდა თუ არა მოსადი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში? იყვნენ თუ არა ჩართული ისრაელის სპეცრაზმები საბრძოლო შეტაკებებში? აკონტროლებდა თუ არა ფრენკელის მეშვეობით თელ-ავივი საქართველოს ტელეკომუნიკაციებს? 14

## 2 რა ხდება «ქართულ ოცნებაში»

გელა ნიკოლეიშვილი:

## პატიმართა რაოდენობით სააკაშვილი უკვე მსოფლიო ჩემპიონია! 10

„იყო შემთხვევა, როცა მსჯავრდებულებს საწოლქვეშ უბრძანეს შეძრომა, ხოლო ვინც ბოლოს შეძვრა, გააშიშვლეს, აგინეს და დემონსტრაციულად სცემეს. მოკლედ, ათასგვარი ფორმითა და მეთოდით ხდება ამ ადამიანების დამცირება და, როგორც გითხარით, ამან უკვე დიდი ხანია, ყოველდღიური სისტემატური ხასიათი მიიღო.“



## კაცია ქდმ-იანი?!

უშიშროებაში გამობრძმედილმა ლალიაშვილმა თავს უფლება მისცა, ფეისბუქში დაეწერა: „ბართლომეს ღამე უნდა მოეწყოთ და ყველა დაეჭირათო“!



7

ერეკლე საღლიანი:



## სვანეთი დღეს არის თავლაფდასხმული და ერთ-ერთი ყველაზე შეურაცხყოფილი კუთხე საქართველოში 11

არ უნდა გვიკვირდეს, თუ იქაურ მოსახლეობას, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოს, პროტესტისა და უკმაყოფილების გამოხატვის ძალა აღარ შესწევს. საუბედუროდ, ხელისუფლების პოლიტიკამ დიდი ხანია, ეს ძალა საბოლოოდ გამოაცალა სრულიად საქართველოს და, ბუნებრივია, მათ შორის სვანეთსაც. ამ ხელისუფლებას გააჩნია ხალხის დათრგუნვის დიდი უნარი და იყენებს კიდევაც.

## «ცისფერი რევოლუციას» საქართველოდან დაიწყება? 9

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყველაზე საინტერესო აქ ის არის, რომ ახალ არხზე წამყვანად „რეალ ტვ"-ის ყოფილი წამყვანი მიიწვიეს! ჩვენში დარჩეს, რა არის გასაკვირი, დონაძის ტელევიზიის „სახე" მისაღები იყოს „ქართული ოცნებისთვის", თუკი ვანო მერაბიშვილის პოლიციის რეფორმა ბიძინა ივანიშვილისთვის უაღრესად მისაღებია? საზოგადოებისთვის კი ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ივანიშვილის მიერ გაწეული ხარჯები.**

# რა ხდება «ქართულ ოცნებაში»

**ბიძინა ივანიშვილის კარზე მიმდინარე პროცესებმა ბოლოხანს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. შეძახილებმა გარემოცვის აქტიურობისა და თავად ლიდერის პასიურობის შესახებ თავად მის ყურამდეც მიაღწია და მანაც, საკმაოდ გაღიზიანებულმა, სატელევიზიო კომენტარში ბრძანა, რომ ის კაცი არ არის, ვისაც რაიმეში დაარწმუნებენ და რომ ყველა გადაწყვეტილებას თავად იღებს.**



ეს გაღიზიანება არცთუ უსაფუძვლოა. პირადად ამ სტრიქონების ავტორსაც არაერთხელ უთქვამს და დაუწერია ამ და სხვა პრობლემებზე, რომელთაც მხოლოდ პოლიტიკაში სრულიად ჩაუხედავი ადამიანი თუ ვერ შეამჩნევს. თანაც, აქ მხოლოდ რეგიონებში გასვლასა და ამომრჩეველთან შეხვედრაზე როდია საუბარი...

**ივანიშვილს არ უნდა სწყინდეს, თუკი მის მიმართ კრიტიკა ან საყვედური გაისმის** (ამის მიუღებელი ხელისუფლება ისედაც გვყავს, უკვე 8 წელია), **საჯარო პოლიტიკაში მოსვლა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მზად უნდა იყო კრიტიკისთვის** (ზოგჯერ დაუმსახურებლისთვისაც კი) **და იმასაც, რომ ახალი როლი მას გაცილებით უფრო მეტ თმენის ვალდებულებას აკისრებს, ვიდრე ნებისმიერ, თუნდაც ძალიან მდიდარ ადამიანს.**

„ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ" — ამ ფრაზას ბიძინა ივანიშვილიც იმეორებს და მისი მეუღლეც, თუმცა მის გამეორებას აზრი დაეკარგება, თუ ეს **„ყველაფრისთვის"** მზადყოფნა რეალურად არ გამჟღავნდება დროულ რეაგირებასა და სწორად მართულ პიარში. სამაგიეროდ, მუდმივ მზადყოფნაშია მმართველი პარტია და მისი მორჩილი მედიასაშუალებები. ისინი არც ერთ შეცდომას, არც ერთ მცირე წაფორხილებასაც კი არ უშვებენ ხელიდან; **სახელისუფლო პიარის მანქანა მუშაობს. მისი გაცვეთილი ძრავისთვის მაღალხარისხიანი ზეთის ფუნქცია სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ შეასრულა.**

ერთ-ერთი სახელისუფლო არხი, რომელიც ქართული ლიტერატურული კლასიკის კითხვით თავს არასოდეს იტკიებდა, მუშაობაში ისე გაერთო, რომ ივანიშვილის მიერ ნათქვამი ილიასა და ბარათაშვილის ციტატები ზედმიწევნით გადაამოწმა და შეცდომებიც „უპოვა". **მერე რა, რომ ამ არხის მიერ ხოტბაშესხმული სააკაშვილი რუსთაველსა და ორბელიანს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, ამით ხალხს აჩვენებენ, რომ ივანიშვილიც ისეთივეა, როგორიც მიშა!**

როგორია „ქართული ოცნების" პიარი? პირველივე დარტყმა, რომელიც პრეზენტაციის დღეს სახელისუფლო მედიამ მიაყენა მოძრაობას, „შევარდნაძის სახეებზე" უნიჭო აპელირება იყო. ნაცვლად იმისა, რომ ივანიშვილის გუნდის მხრიდან მოწინააღმდეგისთვის ადგილი მიეჩინათ და „შევარდნაძის სახეებზე" სწორედ მათ ბანაკში მიეთითებინათ (არადა, იქ ხომ თითქმის უკლებლივ ყველა სწორედ შევარდნაძის მიერ შექმნილი სახეა დღესაც!), „ქართულმა ოცნებამ" თავი იმით იმართლა, რომ ისინი თურმე დაუპატიჟებლად მისულან პრეზენტაციაზე(!).

თავის მართლება უკანასკნელი საქმეა. არავის საქმე არ არის (მით უფრო, უპრინციპობით განთქმული მმართველი გუნდისა), ვინ მივა საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაციაზე. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა ივანიშვილის ბანაკში ორი მეგობარი პარტია იმასაც კი უწყვეტს ჯერ არშექმნილ პარტიას, ვინ იყოს მის რიგებში და ვინ — არა. თავის მართლება და ხელისუფლების უკანონობაზე წუწუნი მთელი დეკემბრის განმავლობაში ახლდა „ქართულ ოცნებას", ინიციატივებითა და საჯარო გამოსვლებით კი სხვები იწონებდნენ თავს. **არადა, „შევარდნაძის სახეებზე" საუბარს იქნებ ის ჯობდა, „სააკაშვილის სახეებზე" ესაუბრა მავანს? თუმცა, ეს არ გამოდის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ივანიშვილის მეგობარი ორი პარტია არც ისე დიდი ხნის წინ სწორედ „სააკაშვილის სახეებს" წარმოადგენდა.**

მდიდარი ადამიანის პოლიტიკაში გამოჩენას რომ სწორედ ფულის თემის პედალირება მოჰყვებოდა, ამაში მოულოდნელი არაფერი იყო. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ **არავის საქმე არ არის, ვის რამდენს მისცემს ქველმოქმედი ივანიშვილი, მაგრამ პოლიტიკაში მოსული ადამიანის მიერ გაცემული თანხები სხვა საზომით იზომება.** ხელისუფლების დრაკონული შეზღუდვები არა მაქვს მხედველობაში. მათზე თვით ჯონ ბასმა ისაუბრა. მთავარი ის არის, რომ ეს თემა კვლავ პიარისთვის გამოიყენეს და არცთუ უშედეგოდ. ვერც მედიასაშუალებებზე გაცემული თანხების გამჟღავნებამ მოახდინა კარგი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

პარალელურად, ცნობილი ხდება, რომ ივანიშვილი საკუთარ ტელევიზიას ქმნის. არც ის არის მნიშვნელოვანი, რომ 2-ათასიან ლიცენზიაში მან 2 მილიონი გადაიხადა და არც ის, რომ ის ისეთივე საკაბელო არხი უნდა იყოს, როგორიც „მაესტრო". **ყველაზე საინტერესო აქ ის არის, რომ ახალ არხზე წამყვანად „რეალ ტვ"-ის ყოფილი წამყვანი მიიწვიეს! ჩვენში დარჩეს, რა არის გასაკვირი, დონაძის ტელევიზიის „სახე" მისაღები იყოს „ქართული ოცნებისთვის", თუკი ვანო მერაბიშვილის პოლიციის რეფორმა ბიძინა ივანიშვილისთვის უაღრესად მისაღებია? საზოგადოებისთვის კი ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ივანიშვილის მიერ გაწეული ხარჯები. ამავე დროს, ირკვევა, რომ ადრე გაკეთებული განცხადების საპირისპიროდ, როცა ივანიშვილი პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნილ ჟურნალისტებს სამმაგ ანაზღაურებას ჰპირდებოდა, ახლა მიწვეულ ჟურნალისტებს იმავე ხელფასს ჰპირდებიან, როგორსაც დღეს არცთუ მდიდარ მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტები იღებენ.**

**სახელისუფლო პიარის მანქანა მუშაობს. მისი გაცვეთილი ძრავისთვის მაღალხარისხიანი ზეთის ფუნქცია სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ შეასრულა**

არც ის არის თვალისთვის შეუმჩნეველი, რომ უამრავი ის პიროვნება, რომელიც დღემდე ყველა გრანტს იღებდა, ახლა ივანიშვილის გრანტზე „გადაჯდა", ხოლო მათ, ვისაც ფონდებს ახლოს არ აკარებდნენ, ახლა ივანიშვილთან არ უშვებენ. **„ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ",** — ეს ფრაზა, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ერთგვარ სლოგანად ჩამოყალიბდა. „ქართული ოცნების" ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელი **მაია ფანჯიკიძეც** აცხადებს:

**„როცა პოლიტიკურ საქმიანობას იწყებ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ჩვენც მზად ვართ და ვიცით, რომ ბევრი სიურპრიზი გველოდება. ოღონდ, რითი ვართ მზად და რა შემხვედრ ნაბიჯებს გადავდგამთ, ყველაფერს ვერ გავამხელთ, მაგრამ მინდა ყველა, ვინც მხარს ჩვენ გვიჭერს, დავაიმედო, რომ ხელისუფლების საცოდავი მეთოდები აზარტში გვაგდებს და გვიბიძგებს, რომ ჩვენი ფანტაზია გამოვამჟღავნოთ და მიშას დავუპირისპიროთ".**

საზოგადოდ, აზარტი პოლიტიკაში კარგი მრჩეველი არ არის, არც დიპლომატიაში, სხვათა შორის. მაია ფანჯიკიძე, რომელსაც ირაკლი ალასანია (სიძე-ცოლისდა არიან) მაღალკვალიფიციურ დიპლომატად მოიხსენიებს, იმდენად შევიდა აზარტში, რომ „ქართული ოცნების" ოფისში მეგობრად მისული არაერთი ადამიანი „დიპლომატიურად" მტრად მოიკიდა.

ივანიშვილი გარემოცვის თემას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს, თუმცა, ალბათ, როცა ამ საკითხში საზოგადოების უმეტესი ნაწილი ერთსულოვანია, დაფიქრება სულაც არ იქნებოდა ურიგო. **შევარდნაძეს 30 წელი დასჭირდა პირველი პირის თანამდებობაზე, რომ ბოლოს მისი მისამართით ეთქვათ: „გარემოცვა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებსო". სააკაშვილს საამისოდ 5 წელიეყო. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულა, მაგრამ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გარემოცვა მას ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს, უკვე დაიწყო.**

ამ ეჭვს ვერანაირად ვერ აქარწყლებს ივანიშვილის გადაწყვეტილება, პარტიას სათავეში საკუთარი მეუღლე ჩაუყენოს. სახელისუფლო ექსპერტებმა ამას უმალ მოუძებნეს ახსნა: „ივანიშვილი არავის ენდობა", „ის ეჭვიანი კაცია" და ა.შ. სინამდვილეში აქ უფრო ღრმა ქვეტექსტებია. კლანურობა პოლიტიკაში ვერაფერი დემოკრატიაა. ამიტომაც აპიარებს სახელისუფლო მედია „ოჯახური პოლიტიკის" თემას, თუმცა ეს ივანიშვილის „ნოუ ჰაუ" არ არის. თინა ხიდაშელმა ხაზგასმით უთხრა ჟურნალისტებს, რომ მისი პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილია (ანუ მისი მეუღლე), პოლიტიკური მდივანი — დავით ბერძენიშვილი (ერთი ძმა), ხოლო დამფუძნებელი — ლევან ბერძენიშვილი (მეორე ძმა). სიძე-ცოლისდაზე უკვე მოგახსენეთ. ოჯახებს თავი დავანებოთ და ხიდაშელის ნერვულ პასუხში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ის ქვეტექსტი იყო, რომ იგი ივანიშვილის მეუღლეს ლიდერად არ აღიქვამს. **თუმცა, როდის იყო, უმცირესი რეიტინგის მქონე რესპუბლიკელები ვინმეს ლიდერობას აღიარებდნენ; ისინი მუდამ ცდილობენ, უმცირესობაში ყოფნის მიუხედავად, უმრავლესობა მართონ. ეს მათი ბრალი კი არ არის, არამედ იმათი, ვინც მათ ლიდერობას იტანს. ალასანიას ლიდერობა მათ ჯერ კიდევ 2010 წელს მოახერხეს, ახლა კი ივანიშვილის ჯერი მოვიდა.**

რა დაუწუნა თინა ხიდაშელმა ეკა ხვედელიძეს, გაუგებარია; გვარიშვილობით, 4 შვილის დედობით და მეუღლის პიროვნებით ხიდაშელი ნამდვილად ვერ შეედრება ხვედელიძეს, მეტიც: **ხვედელიძის პოლიტიკური ბექგრაუნდის უქონლობა ზოგიერთის ნაქონ პოლიტიკურ ბექგრაუნდს ნამდვილად სჯობს.** სამაგიეროდ, ამ საკითხში არ ჩაიჭრა მაია ფანჯიკიძე, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ხვედელიძეს არ იცნობს, ბრძანა: **„დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი ეკატერინე ძალიან კომპეტენტური ადამიანია, განათლებული, და თუ მან გადაწყვიტა, ეს გააკეთოს, იცის კიდეც, რას აკეთებს და კარგად გაუძლევება ამას. ბატონი ბიძინა, რომელსაც მე უკვე კარგად ვიცნობ, იმდენად კომპეტენტური და იმდენად მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციების, პრინციპებისა და წარმოდგენების ადამიანია, დარწმუნებული ვარ, მისი მეუღლეც სწორედ ასეთივე თვისებების მქონეა".**

მაია ფანჯიკიძეს ივანიშვილის მომხრეების მიმართაც რომ ასეთი დიპლომატიურობა გამოეჩინა, დღეს ბევრ იმ საყვედურს არ ექნებოდა საფუძველი, რომელიც სულ უფრო ხშირად გაისმის, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ სერიოზულ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად სააკაშვილის ტელევიზიებიც და ივანიშვილის გარემოცვაც ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებით იქცევს თავს. **მეტად, მეტად ძლიერია კონკურენცია მილიარდერის კარზე. იმდენად ძლიერი, რომ კონკურენტების მოსაცილებლად იმის კადრებაც შეიძლება, რაც სააკაშვილსა და მის „ნაცმოძრაობას" არ უკადრებია.** შორს რომ არ წავიდეთ, პირადად ჩემს მაგალითზე მოგახსენებთ: არავითარი სურვილი საჯარო პოლიტიკაში დაბრუნებისა არ მაწუხებს, თორემ ამ 8 წლის განმავლობაში პოლიტიკური ძალებიდან წამოსული მრავალი წინადადებიდან ერთით მაინც ვისარგებლებდი.

**„ქართულ ოცნებაში" მხოლოდ იმიტომ მივედი, რომ ყველაზე უჩინარ და მძიმე სამუშაოში წავხმარებოდი, — პარტიის მშენებლობაში. როგორც ჩანს, ივანიშვილის მიერ საკუთარი პოლიტიკური დასაყრდენის შექმნა არანაირად არ შედის მისი მეგობარი პარტიების მიზნებში. რაკიღა ყბადაღებული 2003 წლის არჩევნების „გაყალბების" თემა აღარ მუშაობს (ამის აღარავის სჯერა), ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ბიძინა ივანიშვილს ყურში ჩასჩურჩულეს, რომ მე 2003 წლის არჩევნებზე „ფული ვაკეთე".**

მოდით, ავწონოთ: ვისგან უნდა ამეღო ფული? ალბათ, ვინც მოიგო! შეგახსენებთ: გორში ირაკლი ოქრუაშვილმა მოიგო, ქუთაისში — ნინო ბურჯანაძემ, სამგორში — მიხეილ მაჭავარიანმა, დიდუბეში — გია ბარამიძემ, გლდანში — კობა დავითაშვილმა. სია გრძელია, ყველას ვერ ჩამოვთვლი. ახლა წარმოიდგინეთ, მე რომ ვინმესგან თუნდაც ერთი თეთრი მქონოდა აღებული, განა ეს ხელისუფლება ბონდო შალიკიანზე ადრე მე არ გამომათრევდა ლოგინიდან? მაპატიებდნენ?

აკი ვთქვი, თავის მართლება უკანასკნელი საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავი სამართლებელი არა გაქვს. რადგან „ოცნებიდან" წამოსვლის შემდეგ უამრავი ადამიანი მირეკავს და მსაყვედურობს, რომ უნდა დავრჩენილიყავი, თავი ვალდებულად ჩავთვალე, ეს ყოველივე მეთქვა და ერთი კითხვაც (ალბათ, რიტორიკული) დამესვა: **სააკაშვილმა საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლებაში მოსვლიდან ორიოდ წელიწადში „ჩარეცხა". ბატონებო, თქვენ ჯერ არა ხართ მოსული ხელისუფლებაში** (ამ ტაქტიკით კი თქვენი გამარჯვება ჩემთვის ერთობ საეჭვოა) **და უკვე ლამობთ იმავეს გაკეთებას?**

დაბოლოს: **არა აქვს მნიშვნელობა, რას გეტყვიან, მთავარია, რას დაიჯერებ. თუ ბიძინა ივანიშვილი მართლაც თავად იღებს გადაწყვეტილებებს და ენის მიტანაზე არ რეაგირებს, ძალიან კარგი. ეს აუცილებლად გამოჩნდება ახლო მომავალში. საკუთარი თავზე არ მოგახსენებთ, ფსონი გაცილებით მაღალია. ან რაიმე უნდა შეიცვალოს, ან ფუჭი იმედების დათესვა კარგს არაფერს მოიტანს.**

**ივანიშვილის ბანაკში უხვად არიან წარმოდგენილნი მოღვაწეები, რომელთაც უინიციატივობა ახასიათებთ. მათი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საქმიანობა წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, მხოლოდ რეაგირებით შემოიფარგლებოდა, ხოლო სააკაშვილის ესა თუ ის ნაბიჯი მათ გეგმებზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენდა... მათ, როგორც 1941-42 წლების ანტიჰიტლერული კოალიციის სამხედროებს, ეხერხებათ თავდაცვა და მცირე კონტრშეტევების განხორციელება, მაგრამ არ იციან (ან დაავიწყდათ), რა არის სტრატეგიული წინსვლა.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ელანდება სააკაშვილს ვამპირები?

**ტელევიზორის ყურება ყველასთვის როდი შეიძლება; ადამიანის ფსიქიკა მაინც ფაქიზი რამ არის. „ქართულ პოლიტიკურ რეალობაში პოლიტიკური წარსულის ვამპირები, მუმიები, სხვადასხვა ურჩხულები ველარ დაბრუნდებიან," — ამ განცხადებით მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, მოგვცა შესაძლებლობა, თუნდაც ერთი წამით, დაგვენახა სამყარო ისეთი, როგორსაც თვითონ აღიქვამს. „ვიღაცამ ყველანი ამოქექა საიდანღაც, ყველანი ერთად შეკრიბა...," — ღაღადებდა სააააკაშვილი. ჰიჩკოკის შემოქმედება მონაგონია, პოლანსკი ხომ საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. წარსულის უფსკრულიდან ამომავალი მონსტრები ავლაბრის რეზიდენციისკენ მიხოხავენ; კლაივ ბარკერი მარჯვენას მოიჭრიდა, ოღონდაც ამ სცენის გადაღების პატივი მისთვის დაეთმოთ.**





ამ სულისშემძვრელ ფრაზას, როგორც ჩანს, ერთბაშად ორი ქვეტექსტი ჰქონდა. ერთ-ერთი, პრაქტიკულად, ზედაპირზე დევს. სააკაშვილის თანახმად, „პოლიტიკური წარსულის" აჩრდილებისთვის გზა „პოლიტიკურ რეალობისკენ" ჩახერგილია და, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მასში ყოფნის უფლება მხოლოდ „პოლიტიკური აწმყოს" ვამპირებს, მუმიებსა და შესაბამის ურჩხულებს აქვთ. მარტივად რომ ვთქათ, ამ პირამიდაში ამენჰოტეპი და ეხნატონი მე ვარო და აქ იმნჰოტეპი არ დავინახოო. მეორე ქვეტექსტი კი ერთობ შენიღბულია, თუმცა, ამავე დროს, გაცილებით საინტერესო: **სააკაშვილი ცდილობს, მთავარი ოპონენტი ხრწნად წარსულს დაუკავშიროს, ხოლო საკუთარი თავი — ნათელ მომავალს, რაც ტრივიალური ამოცანა სულაც არ არის, რადგან ბოლო 8 წლის განმავლობაში ქვეყანას სწორედ სააკაშვილი მართავდა.**

საქართველოს უახლოესი წარსული შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი ლოდი, რომელიც ფსკერისკენ მასთან ასოცირებულ ნებისმიერ პოლიტიკოსს ჩაიყოლიებს. ის ისეთივე მძიმეა, როგორც იმ მშენებლების ხვედრი, რომლებმაც რამზეს II-ს „საუკუნის პროექტები" განახორციელეს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, სავარაუდოდ, ის მოიგებს, ვინც ყველაზე დამაჯერებლად დაუმტკიცებს საზოგადოებას, რომ მას ამ ტვირთისგან იხსნის.

**თუ სააკაშვილი თავის კამპანიაში ძირითად აქცენტს „ვარდების რევოლუციიდან" ვიდრე დღემდე მიღწეულ შედეგებზე გააკეთებს, სავარაუდოდ, წააგებს, რადგან ამ წლებში დაგროვილი ნეგატიური ემოციები დადებითს ძალიან დიდი ალბათობით გადაწონის.** აქ საუბარი იმაზე არ არის, რა იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უფრო მეტი — კარგი თუ ცუდი; საკითხი ასე მარტივად არ დგას. ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ უცხადებდა ამომრჩეველი უნდობლობას თითქმის იდეალურ ლიდერებს, რომელთაც ომიც მოგებული ჰქონდათ და ეკონომიკაც აყვავებული; დაღლილობა და წყენა ადრე თუ გვიან ნებისმიერ საზოგადოებაში გროვდება და მას წარსულისგან გათავისუფლების დაუოკებელი სურვილი უჩნდება.

**საუკეთესო რეფორმატორებიც კი, ადრე თუ გვიან, ფეხს ველარ უწყობენ საზოგადოებას, რომელიც მათივე რეფორმების შედეგად განვითარდა, წინ წავიდა და განსხვავებული მოთხოვნები გაუჩნდა. რაღა ვთქვათ იმ ვითარებაზე, როდესაც ომი წაგებულია, ეკონომიკას დედა აღარ ჰყავს, ხოლო ფინანსებს მამა ან თუნდაც მამინაცვალი? ყველაფერი ისე იდეალურად რომც ყოფილიყო, როგორც ამას სახელისუფლო პროპაგანდა გვისახავს, იმის განცდა, რომ რაღაც ციკლი საქართველოს ისტორიაში დასრულდა და ახლა ახალი უნდა დაიწყოს, ნებისმიერ შემთხვევაში დომინანტური იქნებოდა. ეს, ალბათ, ისტორიის კანონი ან, თუ გნებავთ, მისივე პარადოქსია.**

ბიძინა ივანიშვილის პლუსი ამ კონტექსტში ისაა, რომ ამ ფრიად ტრავმატულ წარსულთან არანაირად არ ასოცირდება, სააკაშვილი კი პირიქით, მასში ყელამდეა ჩაფლული და ახლა, როგორც ბარონმა მიუნჰაუზენმა საკუთარი თავი ამ ჭაობიდან თმებით უნდა ამოათრიოს, ხოლო ოპონენტი, შესაბამისად, ჩაძიროს. ის, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტს ილაპარაკებს იმაზე, თუ რა კეთდება დღეს და გაკეთდება ახლო მომავალში და სულ უფრო ნაკლებს იმაზე, თუ რას მიღწია ბოლო 8 წლის განმავლობაში, რადგან ეს, დიდი ალბათობით, ამ პერიოდთან დაკავშირებული ნეგატიურის გახსენებას, ან ოპონენტების მიერ მის შეხსენებას გამოიწვევს (მაგალითი: ჩვენ პოლიციის წარმატებული რეფორმა ჩავატარეთ. პასუხი: თქვენ უდანაშაულო ადამიანები დახოცეთ და მშვიდობიან დემონსტრანტებს სადისტურად გაუსწორდით. მსგავსი დიალოგი შეიძლება ნებისმიერ თემას მივუსადაგოთ). **სააკაშვილი კი მოკლებულია შესაძლებლობას, ოპონენტს ასე ესაუბროს, რადგან მის პირისპირ ამჯერად არა შევარდნაძე, არამედ ივანიშვილი დგას.** არადა, ეს სტილი სააკაშვილს იმდენად შესისხლხორცებული აქვს, რომ, ლუთერის თქმის არ იყოს, „სხვაგვარად არ ძალუძს". დაპირისპირება „ბნელ წარსულთან" სააკაშვილის იმიჯის ღერძია, მისი ამოცლა მთელ კონსტრუქციას შლის.

შესაძლოა, სწორედ ამიტომ **სააკაშვილი მოწადინებულია მომავალთან დაკავშირებულ იმედებსა და ოცნებებს ჩაეჭიდოს, ხოლო ივანიშვილი, წარსულს დაუკავშიროს და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, ის „შევარდნაძედ" წარმოაჩინოს; მეტიც, — წარსულის აჩრდილებისა და ვამპირების მბრძანებლად, საურონად, სარუმანად და დრაკულად ერთ ფლაკონში და მისი ფიგურა იმ ირაციონალურ შიშს მიაბას, რომელიც ქვეცნობიერის სიღრმეში იმალება.**

ერთადერთი პერიოდი წარსულიდან, რომელსაც ის საკუთარ თავს „უტოვებს", დავითისა და თამარის ეპოქაა. სააკაშვილის მცდელობები, საკუთარი თავი „ოქროს ხანასთან" ერთ კონტექსტში ახსენოს, ხშირად ძალზე კომიკურად გამოიყურება, თუმცა ამის მიღმა, სავარაუდოდ, პიროვნული, უაღრესად ჩახლართული ფსიქოლოგიური მოტივი (თუ კომპლექსი) დგას და ვერც ერთი კონსულტანტი ამ თემას სააკაშვილს დღის წესრიგიდან ვერ ამოაგდებინებს.

აქვს თუ არა ამ სტრატეგიას პერსპექტივა? შეძლებს თუ არა სააკაშვილი, ივანიშვილს „წარსულის ტვირთი" აჰკიდოს? ერთი შეხედვით, ეს აბსურდია, რადგან ივანიშვილი ამ ტვირთისგან აპრიორი თავისუფალია და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენიდან დღემდე საზოგადოების ფრიად მოცულობით ნაწილში სწორედ „ახალი ფურცლიდან დაწყებასთან" ასოცირდება. თუმცა არის ამ სიტუაციაში ორიოდე ნიუანსი, რომლებიც დაკვირვებას საჭიროებს.

**ერთი შეხედვით, ხელისუფლების შეტევებს ივანიშვილის წინააღმდეგ ისტერიულობის სიჭარბე და ინტელექტის მწვავე უკმარისობა ახასიათებს. ივანიშვილისთვის გზის გადაღობვის მიზნით, კანონმდებლობის მრავალჯერადი გაუპატიურება მმართველ ძალას, როგორც უცხოელი პარტნიორების, ისე ქართული საზოგადოების თვალში, ქულებს აკარგვინებს.** ბრალდებები, რომელთაც სახელისუფლო პროპაგანდა ავრცელებს, მათი ავტორების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მზარდი ეჭვების გაჩენის გარდა, სხვა თვალშისაცემ ეფექტს არ იწვევს. თითქოსდა ყველაფერი წესრიგშია და თითოეული ასეთი ეპიზოდისგან ივანიშვილი პოლიტიკურ დანაკარგზე გაცილებით მეტ სარგებელს იღებს (მაგალითი: მოქალაქეობასთან დაკავშირებული ეპოპეა). შეტევებს იურიდიულ, საფინანსო და საინფორმაციო ფრონტზე ის ასე თუ ისე წარმატებით უმკლავდება, მაგრამ შესაძლოა, სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავიც და ტუტანხამონის მუმიაც.

ხელისუფლება უტევს, ივანიშვილი იგერიებს; ხელისუფლება ისევ უტევს, ივანიშვილი ისევ იგერიებს, თანაც საკმაოდ ეფექტურად, თუმცა მთავარი აქ სულ სხვა რამ არის: ვინ არის პროაქტიური და ვინ რეაგირების რეჟიმში გადასული. ხელისუფლების გაუთავებელი გამოხდომები, მთელი ეს თითქოსდა სულელური „ზერგ-რაში", როგორც მას „სტარკრაფტის" მოყვარულები უწოდებენ, სინამდვილეში ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად ამკვიდრებს ორი დაპირისპირებული ძალის ისეთი ქცევის მოდელს, რომელშიც ინიციატივა ხელისუფლებას ეკუთვნის.

ამასთანავე, **ივანიშვილის ბანაკში უხვად არიან წარმოდგენილნი მოღვაწეები, რომელთაც უინიციატივობა ახასიათებთ. მათი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საქმიანობა წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, მხოლოდ რეაგირებით შემოიფარგლებოდა, ხოლო სააკაშვილის ესა თუ ის ნაბიჯი მათ გეგმებზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენდა. ეს არ იყო რაღაც თანდაყოლილი ნაკლოვანების შედეგი, უბრალოდ, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება განუზომლად დიდ რესურსს ფლობდა, სხვაგვარი მოქმედება შეუძლებელი იყო. მათ, როგორც 1941-42 წლების ანტიჰიტლერული კოალიციის სამხედროებს, ეხერხებათ თავდაცვა და მცირე კონტრშეტევების განხორციელება, მაგრამ არ იციან (ან დაავიწყდათ), რა არის სტრატეგიული წინსვლა.** მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის რესურსი და საზოგადოების დღევანდელი განწყობა მასშტაბური, პროაქტიური მოქმედების, „ფრთების გაშლის" შესაძლებლობას აძლევთ, პრინციპული ხასიათის ფსიქოლოგიური გარდატეხა მათ ღრმადპატივცემულ თავებში ჯერ არ მომხდარა და შეიძლება არც მოხდეს, რაც მკვეთრად უარყოფით შედეგებს მოასწავებს.

**უახლოეს წარსულთან ასოცირების და, შესაბამისად, ამომრჩევლის ნდობის დაკარგვის თვალსაზრისით, იმდენად საშიში არა შევარდნაძის დროინდელი ფიგურები არიან** (თუმცა არც უამისობაა), **რამდენადაც ის პოლიტიკოსები, რომლებიც „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდთან, მის დომინანტურ იდეოლოგიასა და რიტორიკასთან ასოცირდებიან. აქ საუბარია „გაუმჯობესებულ მიშებზე" ოპოზიციის რიგებიდან, ისინი თითქმის იმავე კურსს გვთავაზობენ, რომელსაც სააკაშვილი 2003-ში, ოღონდაც გვპირდებიან, რომ კარგად მოიქცევიან. გამორიცხული არაა, რომ ეს აფერხებს საზოგადოებაში სიახლის, ალტერნატივის განცდის ფორმირებას და, პარადოქსულად, ხელს უწყობს იმას, რომ ახალი ძალა სააკაშვილის მმართველობის მძიმე გამოცდილებას და მასში დაბუდებულ „პოლიტიკურ ვამპირებს" (პოზიცია-ოპოზიციიდან) დაუკავშირდეს.** ვამპირების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი, ენ რაისის რომანებს თუ დავუჯერებთ, სხვისი სისხლის სმაა, დაუსრულებელი ცხოვრება სხვის ხარჯზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

**დღეს არაერთი ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი ეჭიდავება საკუთარ თავს იმის გამო, რომ იმ შემთხვევაში, თუ (პირობითად) „ივანიშვილის პარტია" არჩევნებზე რესპუბლიკელებთან და ალასანიასთან ერთად გავა, ხმის მიცემა ამ ორი უკანასკნელისთვისაც მოუწევს, რადგან მათ, ივანიშვილისგან განსხვავებით, არ ენდობა, სააკაშვილის რეჟიმის ორგანულ ნაწილად აღიქვამს და ეს ნაბიჯი შეიძლება მხოლოდ „ნაცმოძრაობის წინააღმდეგ" და „ივანიშვილის ხათრით" გადადგას. ხვალ ეს მოქალაქეები, რომლებიც სააკაშვილს ხმას ცოცხალი თავით არ მისცემენ, შეიძლება კიდევ უფრო დაითრგუნონ და, საბოლოოდ, არჩევნებზე არ მივიდნენ, რაც წყალს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს.**

გამოსავალი ამ სიტუაციიდან შეიძლება ალტერნატიული ბლოკის შექმნა გახდეს, რომელიც სააკაშვილის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ივანიშვილის მოკავშირე იქნება, თუმცა „გაუმჯობესებული მიშებისგან" განსხვავებულ პლატფორმაზე იდგება (კონსერვატიზმი, ჯანსაღი ნაციონალიზმი), შედარებით რადიკალურ რიტორიკას მიმართავს, ხოლო არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, პროტესტის ერთგვარი დეტონატორის როლს შეასრულებს. ეს ნაბიჯი, ერთი შეხედვით, ოპოზიციური ამომრჩევლების საყოველთაო მობილიზებისა და ხელისუფლების ზურგში „მეორე ფრონტის" გახსნის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა ამ სტრატეგიას მნიშვნელოვანი რისკებიც უკავშირდება, რომელთა შორის, ალბათ, ივანიშვილის მოკავშირეების შესაძლო ურთიერთდაპირისპირებისა და არაკოორდინირებული მოქმედების საფრთხე უნდა გამოვყოთ. საინტერესო კია, ულირს თუ რა ივანიშვილს ამ გზით წასვლა?!

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რომნი აპირებს, აქტიურად იმოქმედოს არაბულ სამყაროში „ისლამისტი ექსტრემისტების წინააღმდეგ“, ძალიან ხისტი პოლიტიკა აწარმოოს ირანთან, სირიასთან და ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, აქტიურად იმოქმედოს ლათინურ ამერიკაში და „ბოლივარულ მოძრაობას“ დაუპირისპირდეს. შეიძლება შეიქმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ მიტ რომნი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „მეორე ბუში“ გახდება, რომელიც საერთაშორისო არენაზე უკომპრომისოდ იმოქმედებს და, შესაძლოა, დაახლოებით ისეთი შედეგი მიიღოს, როგორიც ბუშმა.

## რუსეთი ირანის მიმართ სანქციების წინააღმდეგია

**ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციები და ძალის გამოყენება, შესაძლოა, შეფასდეს როგორც რეჟიმის ცვლილების მცდელობა.** ამის შესახებ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ გენადი გატილოვმა განაცხადა. „ირანის წინააღმდეგ ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედება ფუჭს გახდის საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ძალისხმევას ირანის ბირთვული პროგრამის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის“, — დააზუსტა მინისტრის მოადგილემ. 2012 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შემოიღო სანქციები თეირანის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც აშშ წყვეტს გარიგებებს იმ კომპანიებთან, რომლებიც ირანთან თანამშრომლობენ.



## აშშ ევროპიდან 7 ათას სამხედროს გაიყვანს

**აშშ ევროპაში განლაგებული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობას 7 ათასი ჯარისკაცით შეამცირებს. ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ განაცხადა.** ადრე პანეტამ განაცხადა, რომ აშშ თავისი ახალი სამხედრო სტრატეგიის ფარგლებში ევროპიდან ქვეითთა ორ ბრიგადას გაიყვანდა, მაგრამ რეგიონში სამხედრო წარმომადგენლობას როტაციის საფუძველზე შეინარჩუნებდა. ამჟამად ევროპაში 81 ათასი აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეა განლაგებული. მათი უმეტესი ნაწილი გერმანიაში არსებულ სამხედრო ბაზებზე მსახურობს.

## უგო ჩავესმა რეკორდი დაამყარა

**ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობაში რეკორდი დაამყარა — 13 იანვარს ის 11 საათის განმავლობაში ეროვნული ასამბლეის დეპუტატებს გასული წლის შედეგების შესახებ მოხსენებას აცნობდა.** პრეზიდენტი ტრიბუნაზე ადგილობრივი დროით 13 საათზე ავიდა, სიტყვით გამოსვლა კი შუაღამეს დაასრულა. გამოსვლის დროს ჩავესი არაერთხელ შეეხო საკუთარი ავადმყოფობის თემას. მან აღნიშნა, რომ ექიმების მიერ მისთვის დადგენილი დიაგნოზი „მთელი ქვეყნისთვის გამოცდა აღმოჩნდა, რომელიც ვენესუელის მოსახლეობამ წარმატებით გაიარა“. შარშან ვენესუელის პრეზიდენტის ანალოგიური გამოსვლა მხოლოდ 7 საათს გაგრძელდა.

# მიტ რომნი საქართველოს

**ამერიკულ არჩევნებს ქართული პოლიტიკური ელიტა, შესაძლოა, უფრო დიდი ყურადღებით აკვირდება, ვიდრე თავის დროზე ცვლილებებს სკკპ ცკ-ის და პოლიტბიუროს შემადგენლობაში. მას სურს განჭვრიტოს, რა ცვლილებები მოხდება ვაშინგტონში, რათა თადარიგი წინასწარ დაიჭიროს. სააკაშვილის ხელისუფლება ტრადიციულად ამერიკელ რესპუბლიკელებს გულშემატკივრობს, მათ კანდიდატებს შორის კი ჯერჯერობით მიტ რომნი ლიდერობს. მართალია, დღეს ოდნავ ნაადრევია საუბარი იმაზე, რომ რესპუბლიკელების კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ რომნი გახდება და მითუმეტეს არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნოემბერში ის ბარაკ ობამას დაამარცხებს, მაგრამ ურიგო არ იქნება, ყოველი შემთხვევისთვის გადავხედოთ ამ კანდიდატის პროგრამას, შევეცადოთ, დავადგინოთ რა ცვლილებები მოხდება აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში და როგორ შეიძლება აისახოს ეს საქართველოს მომავალზე.**




### ჩვენი ხსენებაც აღარ უნდათ?

9 იანვარს ჯოშუა კუცერამ EurasiaNet-ში შენიშნა, რომ რომნის შტაბის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ეხება, საქართველო ნახსენები საერთოდ არ არის. კუცერა ამას „ქართული საკითხის მიჩუმათებას“ უწოდებს და კითხულობს: **„ხომ არ არის ეს ნიშანი, რომ საქართველოს ვარსკვლავი რუსოფობებს შორისაც კი ეშვება, ხოლო ჩახუტება (close embrace) საქართველოსა და სააკაშვილთან პოლიტიკური მარცხის ტოლფასია?“.** ის, რომ სააკაშვილთან ასოცირება შტატებში სულ უფრო ნაკლებ პოლიტიკოსს სურს, საიდუმლო არავისთვისაა, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია ასეთი გლობალური დასკვნების გაკეთება საქართველოს „არხსენების“ ფაქტზე დაყრდნობით.

იმავე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, მაგალითად, ფილიპინებზე, თუმცა ეს, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობებში ამ ასმილიონიან ქვეყანასთან, რომელსაც აშშ ამა თუ იმ ფორმით, საუკუნეზე მეტია, აკონტროლებს, რაღაც არსებითად შეიცვალა ან რომნის გაპრეზიდენტების შემთხვევაში შეიცვლება. არსად არ არის ნახსენები უკრაინა, არც აფრიკის რომელიმე სახელმწიფო, არაბული ქვეყნების და სომალის გარდა, არც ბოლივია ან მალაიზია, არც აშშ-ს მუდმივი პარტნიორების აბსოლუტური უმრავლესობა (კანადა, ავსტრალია და ა.შ.). **საერთოდ, განხილულ დოკუმენტს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან აშშ-ის ურთიერთობები მიმოიხილოს. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ საქარველოს რომნის წინასარჩევნო დეკლარაციაში ისეთივე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა, როგორც ისრაელს (გამორჩეული მეგობარი) ან ირანს (გამორჩეული მტერი), ეს, ალბათ, ძლიერ გადაჭარბებული მოლოდინი იყო.**

თუმცა ის, რომ საქართველო ან რომელიმე სხვა ქვეყანა ამ დოკუმენტში ნახსენები არ არის, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ იქ წარმოდგენილი იდეების რეალიზება მათზე სერიოზულ ზეგავლენას არ მოახდენს. საქართველოსთან და სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში საყურადღებო, ალბათ, შემდეგი მონაკვეთი არის: **„იგი** (რომნი) **გაატარებს პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება რუსულ ენერგომატარებლებზე ევროპელი მომხმარებლის დამოკიდებულების შემცირებაზე. იგი შეისწავლის ტექნიკური დახმარების გაზრდის საკითხს იმ აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისთვის, რომლებიც ამჟამად თურქეთ-ავსტრიის „ნაბუქოს“ გაზსადენს ავითარებენ, რომელიც რუსული ნავთობისა და გაზისგან დამოუკიდებლად, ევროპისთვის იაფი ენერგიის წყარო გახდება“.**

როგორც ცნობილია, გაზი თურქეთში შეიძლება ან საქართველოს გავლით მოხვდეს (აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან), ან ირანიდან, როგორც ამას პირვანდელი, 2004 წლის პროექტი ითვალისწინებდა, ან ჩრდილოეთ ერაყიდან და ასევე, ეგვიპტიდან (იორდანია-სირიის გავლით, ე.წ. არაბული გაზსადენის მეშვეობით). თეორიულად, „ნაბუქო“ შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე გაზის გატარების გარეშეც შეივსოს, თუმცა ამ შემთხვევაში, კონსორციუმმა უარი უნდა თქვას ცენტრალური აზიის გაზზე, ან ის ირანის გავლით გაატაროს, რაც დღეს ერთობ არარეალისტურად გამოიყურება. თუმცა „რომნის დეკლარაციაში“ პასაჟს „ნაბუქოს“ თაობაზე, პრაქტიკულად დაუყონებლივ მოსდევს მონაკვეთი ცენტრალური აზიის შესახებ, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ორ საკითხს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს: **„შეერთებულმა შტატებმა უნდა ააგონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცების, სამხედრო მომზადებისა და დახმარების, სავაჭრო შეთანხმებების და განათლების სფეროში გაცვლითი პროგრამების გზით“.**

ამასთანავე, რომნი რუსეთთან მიმართებაში ძალიან ხისტ რიტორიკას იყენებს. ის მწვავედ აკრიტიკებს ვლადიმერ პუტინს და აცხადებს: „რუსეთი საერთაშორისო არენაზე მადესტაბილიზებელი ძალაა“, პირობას დებს, რომ გაცილებით ხისტ პოზიციას დაიკავებს მოლაპარაკებებზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის თაობაზე, საუბრობს ობამას რუსული პოლიტიკის ჩავარდნაზე და დასძენს, რომ „გადატვირთვის გადატვირთვას“ მოახდენს. **რუსეთისადმი მიძღვნილი ქვეთავის ბოლოს რომნი წერს, რომ მისი ადმინისტრაცია „დაუპირისპირდება რუსეთის ხელისუფლებას მისი ავტორიტარული პრაქტიკის გამო“ და რუსულ სამოქალაქო საზოგადოებას დახმარებას აღუთქვამს.**

თეორიულად, რომნის ხელისუფლებაში მოსვლის და განხილული პროგრამის რეალიზების შემთხვევაში ჩვენ, სავარაუდოდ, მივიღებთ მინიმუმ სამ ფაქტორს, რომლებიც საქართველოს მომავალზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს: ა) „რომნის აშშ-ის“ კონფრონტაცია „პუტინის რუსეთთან“; ბ) ცენტრალურ აზიაში აშშ-ის მყარი დამკვიდრების მცდელობა, რაც ირიბად სამხრეთ კავკასიაში პოზიციების განმტკიცებას გულისხმობს; გ) „ნაბუქოს“ პროექტის წინა პლანზე წამოწევა და მისი რეალიზების დაჩქარება, რაც დიდი ალბათობით მისი კავკასიური შენაკადის ამოქმედებასაც ნიშნავს, ეს კი ასევე მოასწავებს აშშ-ის კონტროლის გაფართოებას საქართველოსა და აზერბაიჯანზე.

აქ ჩვენ მთავარ კითხვას მივუახლოვდით: **თუ რომნი ყოველივე ამას გეგმავს და ლამის კრემლის დალაშქვრას აპირებს, რატომ არ აისახა მის თეზისებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც, ერთი შეხედვით, შესაძლებლობას მისცემდა, ანტიმოსკოვური რიტორიკა გაემყარებინა?** გამორიცხული არაა, რომ ეს არა სააკაშვილისგან დისტანცირების სურვილმა (ტაქტიკური ან თუნდაც ადამიანური თვალსაზრისით, ის სავსებით გასაგებია, თუმცა, გეოპოლიტიკური რაკურსით, ეს არასაკმარისად წონადი მიზეზია), არამედ სხვა, გაცილებით სერიოზულმა ფაქტორმა განაპირობა.

**თუ ვინმე ფიქრობდა, რომ საქარველოს რომნის წინასარჩევნო დეკლარაციაში ისეთივე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა, როგორც ისრაელს (გამორჩეული მეგობარი) ან ირანს (გამორჩეული მტერი), ეს, ალბათ, ძლიერ გადაჭარბებული მოლოდინი იყო**



**ზბიგნევ ბჟეზინსკი: ატლანტიკური თანამეგობრობის ცნებამ, მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკა და ევროკავშირი, ხოლო გრძელვადიანში თანდათან რუსეთი და თურქეთი უნდა მოიცვას**

რომნი თავისი რიტორიკით, ფაქტობრივად, უბიძგებს ორ ევრაზიულ გიგანტს, ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლონ. მეტიც, ის აპირებს, გააძლიეროს აშშ-ის პოზიციები ენერგორესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიაში, სადაც რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთის კონკურენტები არიან, რითაც, საბოლოო ჯამში, მათი დაპირისპირების ალბათობას ამცირებს, ხოლო დაახლოებისას, შესაბამისად, ზრდის.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამო თავს არ იტკივებს

## „ფანტოცი ყველას წინააღმდეგ-2“

**„ჩინეთი და რუსეთი ძალას იკრეფენ და მზის ქვეშ საკუთარ ადგილს ეძებენ. მათმა ეკონომიკურმა წარმატებამ და მზარდმა ძალამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა, მაგრამ ასევე შეიძლება დაშალოს ის. ჩინეთისა და რუსეთის ავტორიტარული ხასიათი უკვე უზრუნველყოფს ამ ქვეყნების მონაწილეობას ქმედებებში, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოებას ძირს უთხრის,“** — ნათქვამია დოკუმენტში An American Century (ამერიკული საუკუნე), რომელიც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, მიტ რომნის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა. რუსეთზე ზემოთ ვისაუბრეთ, რაც შეეხება ჩინეთს, აქ რომნი უფრო შორს მიდის: **„ჩინეთი მეზობელი ქვეყნების დაშინებისა და მათზე დომინირების მცდელობებისგან იმედგაცრუებული უნდა დარჩეს. თუ დღევანდელ ჩინურ რეჟიმს შესაძლებლობას მივცემთ, წყნარი ოკანის დასავლეთ ნაწილში თავი დაიმკვიდროს როგორც უპირატესმა ძალამ, მან შეიძლება ჩაკეტოს რეგიონის დიდი ნაწილი თანამშრომლობისთვის აშშ-სა და დასავლეთთან“.**

შემდეგ მოდის იმ ზომების ჩამონათვალი, რომელიც შტატებმა, რომნის აზრით, უნდა მიიღონ — რეგიონში საკუთარი სამხედრო ძალები გააძლიერონ, რეგიონულ მოკავშირეებს, მათ შორის ტაივანს, იარაღი მიყიდონ, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ სტრატეგიულ პარტნიორებთან, მათ შორის, ინდოეთთან და ჩინეთში ადამიანის უფლებები დაიცვან. ამასთანავე, **რომნი აპირებს, აქტიურად იმოქმედოს არაბულ სამყაროში „ისლამისტი ექსტრემისტების წინააღმდეგ“, ძალიან ხისტი პოლიტიკა აწარმოოს ირანთან, სირიასთან და ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, აქტიურად იმოქმედოს ლათინურ ამერიკაში და „ბოლივარულ მოძრაობას“ დაუპირისპირდეს.** შეიძლება შეიქმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ მიტ რომნი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „მეორე ბუში“ გახდება, რომელიც საერთაშორისო არენაზე უკომპრომისოდ იმოქმედებს და, შესაძლოა, დაახლოებით ისეთი შედეგი მიიღოს, როგორიც ბუშმა.



**ჯოშუა კუცერამ EurasiaNet-ში შენიშნა, რომ რომნის შტაბის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ეხება, საქართველო ნახსენები საერთოდ არ არის. კუცერა ამას «ქართული საკითხის მიჩუმათებას» უწოდებს და კითხულობს: «ხომ არ არის ეს ნიშანი, რომ საქართველოს ვარსკვლავი რუსოფობებს შორისაც კი ეშვება, ხოლო ჩახუტება (close embrace) საქართველოსა და სააკაშვილთან პოლიტიკური მარცხის ტოლფასია?»**

თუ ვაშინგტონი ერთდროულად წავა მწვავე კონფრონტაციაზე მოსკოვსა და პეკინთან, ამით შეიძლება ისინი სტრატეგიული ანტიამერიკული ალიანსის შექმნამდე მიიყვნოს. ძნელი წარმოსადგენია, I მსოფლიო ომის წინ დიდ ბრიტანეთს რუსეთ-გერმანიის დაახლოებაზე ეზრუნა, ან კიდევ II მსოფლიო ომის წინ აშშ-ს ემოქმედა ისე, რომ ბრიტანეთი და იაპონია კვლავ ერთმანეთის მოკავშირეები გამხდარიყვნენ, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში იყო; ეს ძალზე არარაციონალური, აბსურდული იქნებოდა. **რომნი თავისი რიტორიკით, ფაქტობრივად, უბიძგებს ორ ევრაზიულ გიგანტს, ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლონ. მეტიც, ის აპირებს, გააძლიეროს აშშ-ის პოზიციები ენერგორესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიაში, სადაც რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთის კონკურენტები არიან, რითაც, საბოლოო ჯამში, მათი დაპირისპირების ალბათობას ამცირებს, ხოლო დაახლოებისას, შესაბამისად, ზრდის.** აშშ-ის ალიანსი ინდოეთთან, სავარაუდოდ, ვერ გაანეიტრალებს ნეგატიურ შედეგებს აშშ-ის გლობალური გავლენისთვის, რომელსაც მოსკოვისა და პეკინის ანტიამერიკული ალიანსი მოიტანს.

ეშმაკი, როგორც ყოველთვის, დეტალებშია. რუსეთთან და ჩინეთთან დაკავშირებით რომნი ოდნავ განსხვავებულ რიტორიკას მიმართავს. ნიუანსების დაკვირვებამ შეიძლება მოგვაძებნინოს პასუხი კითხვაზე: **რატომ წუხს ასე რომნი ჩინეთის მეზობლებზე, საუბრობს სამხედრო საფრთხეზე, რომელიც მათ, მისი თქმით, ემუქრება და, ამავე დროს, რუსეთთან დაკავშირებით საქართველოზე ან თუნდაც იმავე უკრაინაზე მსგავსს არაფერს ამბობს?**

## პოკერი „დიდ საჭადრაკო დაფაზე“

რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიული ალიანსი შტატებისთვის გეოპოლიტიკური კოშმარი გახდებოდა, ამას ვაშინგტონში არავინ უარყოფს და ეს, სავარაუდოდ, მიტ რომნისაც ესმის. ამერიკელებს სჭირდებათ, რომ დაპირისპირებაში პეკინთან მოსკოვი მათ მხარეს იდგეს, თუმცა, ვიდრე კრემლში ვლადიმერ პუტინი იმყოფება, რუსეთი ამ გეოპოლიტიკურ დაკვეთას არ შეასრულებს. ურიგო არ იქნება, ამ თემასთან დაკავშირებით წამყვანი ამერიკელი ექსპერტის ორი ციტატა მოვიყვანოთ.

**ედვარდ ლუტვაკი: „კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, ამას ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, მოკავშირეები შეიძინოს. ყველაზე დიდი ბრძოლა რუსეთისთვის წავა“.**

**ზბიგნევ ბჟეზინსკი: „ატლანტიკური თანამეგობრობის ცნებამ, მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკა და ევროკავშირი, ხოლო გრძელვადიანში, თანდათან რუსეთი და თურქეთი უნდა მოიცვას“. იქვე ბჟეზინსკიმ დასძინა, რომ პუტინის პრეზიდენტობის პირობებში, რუსეთისა და დასავლეთის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება არ შედგეს.** მიტ რომნიმ კი პროგრამაში, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, პუტინი გააკრიტიკა და იქვე დაწერა, რომ რუსეთის „მზარდმა ძალამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებაზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა“.

**მარტივად რომ ვთქვათ, ვაშინგტონს სჭირდება დამყოლი რუსეთი, რომელსაც ანტიჩინურ სტრატეგიაში ერთ-ერთი საკვანძო როლი დაეკისრება. პუტინი ამ გზით სიარულზე თანახმა არ არის და რომნი ამერიკელებს, ფაქტობრივად, სთავაზობს, ევრაზიას მისი „ენერგეტიკული გული“, ანუ ცენტრალური აზია გამოჰგლიჯონ, რაც პუტინის „ენერგეტიკული ზესახელმწიფოს“ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, და, ამასთანავე, აქტიურად დაუჭირონ მხარი პროამერიკულ ძალებს მოსკოვში.**

ეს სტრატეგია საკმაოდ სარისკო ჩანს და ვა-ბანკზე წასვლას ჰგავს. თუ პუტინი შეტევის მოგერიებას შეძლებს, ურთიერთგაგება აშშ-სა და რუსეთს შორის, ძალიან დიდი ალბათობით, წარსულს ჩაბარდება და მოსკოვი პეკინთან სწრაფ დაახლოებას დაიწყებს. **აშშ, რა თქმა უნდა, უძლიერესი ზესახელმწიფოა, თუმცა რუსეთისა და ჩინეთის ერთიანი ძალების დამარცხება** (ეკონომიკურ, სამხედრო თუ ნებისმიერ სხვა ასპექტში) **მის შესაძლებლობებს აღემატება, მითუმეტეს, რომ დღეს „კარგ ფორმაში“ ნამდვილად არ არის**. ორი გიგანტის პოტენციალის გაერთიანებამ აშშ-ს შეიძლება ორიოდე ათწლეულში დააკარგვინოს ის პოზიციები აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რომელთა დაკავებას მთელი საუკუნე მოანდომა; ფსონი, სინამდვილეში, ძალზე დიდია.

უმცროსი ბუში ცდილობდა, რუსეთი საზღვრები პერიმეტრზე შეეზღუდა (ფერადი რევოლუციები, ნატოს გაფართოება) და თანდათან „მიეხრჩო“; მისი პოლიტიკა წარუმატებელი გამოდგა. **რომნი, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ყველაფერთან ერთად აპირებს, იერიში უშუალოდ კრემლზე მიიტანოს და აქტიურად დაუჭიროს მხარი ხელისუფლების სათავეში აშშ-ის მიმართ ლოიალური ძალების მოსვლას.** ნაკლებად სავარაუდოა, პუტინმა უახლოეს მომავალში ხელისუფლება დათმოს, თუმცა ეს რომც მოხდეს, რუსეთის ახალ, „დამჯერ“ ლიდერებთან თეთრი სახლი, ალბათ, უპირველესად, იმ პრობლემებზე ისაუბრებს, რომლებიც მას აღელვებს, და არა საქართველოს გასაჭირზე, მითუმეტეს, რომ კრემლის ნებისმიერი დათმობა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული საზოგადოების მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას და ახალი ხელისუფლების პოზიციების მყისიერ შერყევას გამოიწვევს. გამორიცხული არაა, რომ რომნიმ ეს თემა თავის საპროგრამო დოკუმენტში ამ პერსპექტივის გათვალისწინებით, წინდახედულად არ შეიტანა. მას რუსეთის ახალი ხელისუფლებისგან, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს, სავარაუდოდ, გაცილებით სერიოზული დათმობების მიღება სურს, ვიდრე ნებისმიერი პოსტსაბჭოთა ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაა (რუსეთის „მცოცავი“ ბირთვული განიარაღება, მისი ჩართვა ანტიჩინურ კომბინაციებში, ამერიკელების მიერ მისი რესურსების თანდათანობითი დაპატრონება და ა.შ.).

**საქართველოს საკითხი ამ კონტექსტში პერიფერიაზე ექცევა და, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რომნისეულ „ამერიკულ საუკუნეში“ ის ნახსენები საერთოდ არ არის. მოკლედ, „გადატვირთვა“ იქნება თუ „გადმოტვირთვა“, ბუში, ობამა თუ რომნი, ჩვენ ძია სემის ხელში ჯერჯერობით არაფერი გვეშველა.**

**დიმიტრი მონიავა**



**ედვარდ ლუტვაკი: კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, ამას ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, მოკავშირეები შეიძინოს. ყველაზე დიდი ბრძოლა რუსეთისთვის წავა**

## უნგრელები ევროკავშირიდან გასვლას ითხოვენ

**უნგრელები ევროკავშირიდან გასვლას ითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით ათეულობით ადამიანმა ბუდაპეშტში, ევროკომისიის შენობასთან აქცია გამართა.** მასში ოპოზიციის ლიდერებიც მონაწილეობენ. დემონსტრანტებმა მიტინგზე რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს. აქციის მონაწილეების თქმით, რეფერენდუმის შედეგებით გაირკვევა, სურს თუ არა მოსახლეობას ევროკავშირის წევრობა. უნგრელები მიიჩნევენ, რომ ზომები, რომელთა გატარებასაც ევროკავშირი უნგრეთს სთხოვს, ქვეყნის თავისუფლებას ზღუდავს. პროტესტის ნიშნად აქციის მონაწილეებმა ევროკავშირის დროშაც დაწვეს.

## ინგლისმა სპარსეთის ყურეში გემი გააგზავნა

**დიდმა ბრიტანეთმა სპარსეთის ყურეში გააგზავნა თავისი გემი HMS Daring, რომელიც ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტის ყველაზე თანამედროვე და ყველაზე კარგად აჭურვილ გემად ითვლება.** ანალიტიკოსების აზრით, ამ გემის სპარსეთის ყურეში გაგზავნა „ირანისათვის გაგზავნილი მნიშვნელოვანი სიგნალია“. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას აღნიშნულია, რომ ადრე ინგლისის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა: „ირანმა ორმუზის სრუტის ბლოკირება არ უნდა მოახდინოს. ასეთი მოქმედებები უკანონოა და შეუძლებელია ისინი წარმატებით დასრულდეს“, ხოლო „ინგლისის გემების ყოფნა ორმუზის სრუტეში აუცილებელია მისი გავლით საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად“.

## რუსეთი კვლავ მსოფლიო ზესახელმწიფოა

**ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო პროგრამის პროექტში წერია, რომ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთმა აღადგინა პოზიციები საერთაშორისო არენაზე, როგორც მსოფლიო ზესახელმწიფომ.** ქვეყნის გაზრდილი ავტორიტეტი კი მის მონაწილეობას საერთაშორისო საქმეებში კიდევ უფრო საჭიროს ხდის. „რუსეთის განვითარებისათვის, მოქალაქეებისათვის და ბიზნესისათვის ახალი შესაძლებლობები ჩვენმა ინტეგრაციულმა პროექტებმა უნდა შექმნან. რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის საბაჟო კავშირი არსებობს. 2012 წლიდან რეალობა ხდება ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა - ეს ინტეგრაციის კიდევ უფრო ღრმა საფუძველია. წინ მივიწევთ ევრაზიული კავშირის შექმნისაკენ, რომელიც ურთიერთობების ახალ ეპოქას ქმნის პოსტრაბჭოთა სივრცეში“, — ნათქვამია დოკუმენტში.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნების“, პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილში სკეპტიციზმი დღითიდღე მატულობს. სამწუხაროდ, ასეა ეს და ამის დაუნახაობა დღეს, ხვალ შეიძლება ისეთ დამარცხებად მოევლინოს ქვეყანას, როგორსაც ვერანაირი ოცნებები ველარ უშველის.**

# მილიონი «ნა ვერტილე», ანუ «ВОТ Я И МИЛЛИОНЕР — СБЫЛИСЬ МЕЧТЫ ИДИОТА...»



**ერთი ქართული ანდაზის არ იყოს, „ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო“, ასეა ჩვენი და რესპების საქმე!**

**ანუ ბოლო 20 წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა არაერთხელ უთხრა უარი რესპუბლიკელი ინტელექტუალების ლიბერასტულ იდეოლოგიას, რადგანაც ეს იგივეა, რაც თავისუფლების ინსტიტუტის (ან პირიქით? და მართლაც ვირები ვიქნებით, თუ მაგათ ოდესმე ვენდობით) იდეოლოგია. ამიტომაც ვერ ასცილებია მათი რეიტინგი 2-3 %-ს სამართლიან თუ გაყალბებულ არჩევნებში!**

**ამიტომ ბატონ ბიძინას, უნდა თუ არა, მოუწევს, აუხსნას ქართველ საზოგადოებას, თუ რატომ გვტენის ცხვირში პიტნას.**

## ამოცანა გვეკითხება — რამდენი ჯიპი და «ნავერტილე» მოუვა ხალხის პარტიის ბელადს «მილიონ სჩემტოთი»?

**რადგანაც სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი „საამაყო მიღწევა“ ის არის, რომ ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობა საყველპურო რუსულთანაც კი მწყრალად არის, მათთვის „მოვთარგმნი“ ქართულად წერილის სათაურად აღებულ ოსტაპ ბენდერის ცნობილ ფრაზას ილია ილფისა და ევგენი პეტროვის გენიალური რომანიდან „ოქროს კერპი“: „და აი, მე მილიონერი ვარ — ასრულდა იდიოტის ოცნებები...“.**

რამ გამახსენა მსოფლიოს უპირველესი აფერისტი და ავანტიურისტი ოსტაპ ბენდერი? რამ და, ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხულმა მილიონებმა პარტნიორი პარტიების ანგარიშებზე.

უფრო სწორად იმან, რომ, კობა ხაბაზის ინიციატივით მიღებული უკუქმედების ძალის მქონე კანონის გამო, თუ როგორი ფაციფუცით დაიწყეს ამ ფულის ათვისება, რამაც საზოგადოების უმრავლესობაში ცალსახად უარყოფითი ემოციები გამოიწვია...

რა თქმა უნდა, საზოგადოებას ისიც კარგად მოეხსენება, რომ თანამედროვე პოლიტიკაში უფულოდ ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ ივანიშვილის გამოჩენამდე ოპოზიციის გახვრეტილ ჯიბეში, როგორც გენიალური ვასო გოძიაშვილი იტყოდა, „თაგვები რომ პოლკა-მაზურკას ტანცაობდნენ“, ახლა კი ბიძინას ფულებით, პირველ რიგში, ძვირადღირებულ ჯიპებს ყიდულობენ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია...

**რატომ? რატომ და ისევ ილფ-პეტროვს თუ დავიმოწმებთ: „ავტომობილი ფუფუნება კი არა, გადაადგილების საშუალებაა“. თუმცა მაშინ, როდესაც ამას ამბობდნენ, ანუ დანჯღრეული „ანტილოპა გნუს“ ეპოქაში, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ავტომობილი, ფუფუნების საგანიც გახდებოდა და პრესტიჟის ნიშანიც, რადგან, როგორც იტყვიან, მანქანაც არის და მანქანაც...**

ანუ სად ჩემი 19 წლის ფორდი და სად კობა დავითაშვილის „პრადო“, „პოლნი ნავაროტებით და ბლატნოი ნომრებით“?!

სწორედ ისეთ მრავალათასიან ჯიპებში ჩადეს ერთი ადგილი, რის გამოც ცოტა ხნის წინ მიშნაცების მაღალჩინოსანთ ამუნათებდნენ — შედარებით იაფ მანქანებს აღარ კადრულობენ, საბიუჯეტო, ანუ ხალხის ფულს, ჰაიჰარად ხარჯავენო!

ახლა მავანი მეტყვის, ესენი ბიძინას ფულებს ხარჯავენ და რა ჩვენი საქმეაო.

არა, ბატონო! ასეთი მიდგომა მხოლოდ ბიძინას ქველმოქმედების მიმართ შეიძლება იყოს(?) სწორი, მაგრამ, როდესაც საქმე „ქართული ოცნების“ დაფინანსებას ეხება, რომელსაც ასე სასოებით შეჰყურებს (ჯერ კიდევ შეჰყურებს) საქართველოს უმეტესი ნაწილი, დიახაც გვაქვს უფლება, ვიკითხოთ, თუ ვინ, რამდენს და რისთვის ხარჯავს!

**ეგეც არ იყოს, რამდენად ზნეობრივია, რომ ამ გაჭირვებულ-დამშეულ ქვეყანაში ივანიშვილის ხელგაშლილობით სარგებლობ და ქართულ ოცნებაზე უწინ საკუთარ ოცნებებს ისრულებ?! ან ნათესავი არა გყავს, ან გაჭირვებული ნაცნობი?.. შედარებით იაფი მანქანები გეყიდათ და დანარჩენი იმათთვის მიგეცათ ან სიონთან გაგევლოთ და მოწყალება გაგელოთ...**

ამ მანქანების „საგაზე“ უფრო ამაზრზენი ხელფასების წინსწრებით აღება, ანუ ერთი წლის თანხების ათვისების ამბავი იყო.

**სამწუხაროდ, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა იმდენად ვერ არის პოლიტიკურად „გრამატნი“, რომ, მიუხედავად გამხმარი კუჭისა და გახვრეტილი ჯიბისა, მიხვდეს, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაზე ნაკლები კი არა, ხშირად უფრო დიდი მადაც შეიძლება ჰქონდეს და ყველაზე მთავარი — ხალხმა არ იცის, რომ ასეთი მადა იმიტომ აქვთ, რომ მთელი წლის მანძილზე „ხალხზე ზრუნვისგან“ გამოფიტული ორგანიზმი ახალ წელს მაინც შეივსონ გოჭსაცივ-გოზინაყის კალორიებით.**

იქ „რესპების დედოფალმა“ თინა ხიდაშელმა დაახეთქა: 20 ათასი ავიღეო; აქ დავით ზურაბიშვილს ჰქონია ხელფასი „დესიტ ტიშიო“. აქედან გამომდინარე, „რესპების“ ისეთ ღლავებს, როგორებიც ძმები ბერძენიშვილები ან თინიკოს მეუღლე, დავით უსუფაშვილი არიან, ხომ აზრზე ხართ, რამდენი „ტიში“ ექნებათ?

მოკლედ, თბილისური ჟარგონით თუ ვიტყვით — „обнаглели фраера“, ანუ აგულავდნენ რა ჯერ კიდევ გუშინ პოლიტიკურ მორგში მყოფი „სვეტსკი ლიბერასტები“. არადა, რომ არა ბიძინა ივანიშვილის უცნაური და მოულოდნელი არჩევანი (რის გამოც, რაც დრო გადის, სულ უფრო დრტვინავს ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლური ღირებულებების სულისკვეთების ქართველი საზოგადოება), დღეს „რესპები“ უკვე კაი ხნის ბალზამირებულები იქნებოდნენ და მალე ვინძლო პოლიტიკური ორმოციც გადაგვეხადა „მადლიერ“ ქართველ ხალხს მათთვის.

მაგრამ ყველას მაინც კობა დავითაშვილმა „მოუჯოკრა“: მეო, დასამალი არაფერი მაქვსო და საახალწლოდ გაახარა ცოლშვილი ჯერ ახალთახალი ჯიპით, მერე ადგა და საკუთარ თავს 5000-ლარიანი საახალწლო პრემიაც გამოუწერია. „პახოდუ პიესი“, არც მისი ორკაციანი ხალხის პარტიის რაიონული შეფ-მოადგილეები დაივიწყა და, შესაბამისად, მათაც 1000 და 500 ლარებით მიულოცა ახალი წელი.

**მოკლედ, მადაც ამას ჰქვია, ძმაო! ჰოდა, მოდი და ნუ გაგახსენდება ის ცნობილი „ნავერტელე“, რაშიც ერთ მარნეულელ თუ ბოლნისელ გოიმ მემწვანილეს „დვაცატ ტიში“ შეაწერა, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! აგერ ბიძინა ივანიშვილმა „მილიონ სჩემტო“ არ ჩაურიცხა?!**

აქედან გამომდინარე, ამოცანა გვეკითხება: რამდენი ჯიპი და „ნავერტილე“ მოუვა ხალხის პარტიის ბელადს „მილიონ სჩემტოთი“? პასუხის გაცემას ნუ იჩქარებთ, ერთი შეხედვით, უმარტივეს კითხვაზე, რადგან ეს პრაქტიკულად შეუძლებელია და აი რატომ:

დავუშვათ, ჯიპებისა და ასეტრინის მიახლოებითი საბაზრო ფასი დავადგინეთ. იმასაც გაგიმხელთ, რომ ის „სჩემტო“ 100 ათასია. მაშ, მეტი რა არის საჭირო?

როგორც ყველასათვის ნაცნობი ტავარიშჩ საახოვი იტყოდა, „ა, ნეთ, თარაფიცა ნე ნადა“, რადგან იმ „მილიონ სჩემტოს“ ბუღალტერიც და მოლარეც თავად კობა დავითაშვილია, ანუ ხალხის პარტიის შეფის მადაზეა დამოკიდებული იმ ამოცანის ამონახსნი და გაიგე ახლა შენ, ხვალ რამდენ „ნავერტელეს“ მიირთმევს, ანუ რამდენ შამფურ ზუთხის მწვადს გამოუყვანს წირვას ბატონი კობა, ზედ კი „ლამბორჯინი დიაბლო“ რომ მოუნდეს, რას შობი მერე?

ჰა, ხომ ვიყავი მართალი, ჩემო მკითხველო — არც ისე ადვილია „ნავერტელეს“ ამოცანის ამოხსნა-თქვა!

ჰო, მაშარაფის ხარჯებზე არაფერი მითქვამს...

**დავით მხეიძე**

**P.S. სახუმაროდ და საქილიკოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. „ქართული ოცნების“, პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილში სკეპტიციზმი დღითიდღე მატულობს.**

**სამწუხაროდ, ასეა ეს და ამის დაუნახაობა დღეს-ხვალ შეიძლება ისეთ დამარცხებად მოევლინოს ქვეყანას, როგორსაც ვერანაირი ოცნებები ვეღარ უშველის.**

**კობა დავითაშვილის ნავერტელეს კიდევ აიტანდა კაცი, არც ზვიად ძიძიგურია დიდი უბედურება, მითუმეტეს — ირაკლი ალასანია, რომელიც იქნებ ყველაზე მეტი სიმპატიით სარგებლობს საზოგადოებაში, მაგრამ რესპუბლიკელები?**

**ერთი ქართული ანდაზის არ იყოს, „ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო“, ასეა ჩვენი და რესპების საქმე!**

**ანუ ბოლო 20 წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა არაერთხელ უთხრა უარი რესპუბლიკელი ინტელექტუალების ლიბერასტულ იდეოლოგიას, რადგანაც ეს იგივეა, რაც თავისუფლების ინსტიტუტის (ან პირიქით? და მართლაც ვირები ვიქნებით, თუ მაგათ ოდესმე ვენდობით) იდეოლოგია. ამიტომაც ვერ ასცილებია მათი რეიტინგი 2-3 %-ს სამართლიან თუ გაყალბებულ არჩევნებში!**

**ამიტომ ბატონ ბიძინას, უნდა თუ არა, მოუწევს, აუხსნას ქართველ საზოგადოებას, თუ რატომ გვტენის ცხვირში პიტნას.**

**თუ არა და, ქართველი ერი მხოლოდ ბიძინას ხათრით მხარს ვერ დაუჭერს თავისუფლების ინსტიტუტის ყლორტებს (თუ პირიქით?), რესპუბლიკურ პარტიას!**

## ცუდად დამტირებლები გაასამართლეს

**კორეის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელის კიმ ჩენ ირის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო ცერემონიებში არ მონაწილეობდნენ, შესაძლოა, ექვსი თვით შრომით ბანაკებში ყოფნა მიესაჯოთ.** ამის შესახებ სამხრეთ კორეული მედია იუწყება. არსებული ინფორმაციით, ბოლო სამგლოვიარო დღეს, 29 დეკემბერს, ქვეყანაში სხდომების ჩატარება დაიწყო, რომელზეც აკრიტიკებდნენ მათ, ვინც კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ, გრძნობები არასაკმარისად გამოხატა. ე.წ. სახალხო სასამართლოები 8 იანვარს დასრულდა.

## კუვეიტის სამეფო ოჯახის წევრი გაქრისტიანდა

**კუვეიტის სამეფო ოჯახის წევრმა აბდალაჰ ალ-საბაჰმა ქრისტიანობა მიიღო. მან აუდიომიმართვა ჩაწერა, რომელშიც აღნიშნა, რომ, თუ მოკლავენ, დარწმუნებულია, რომ სამოთხეში მოხვდება.** არაბულმა არხმა Al-Haqiqa-მ აბდალაჰ ალ-საბაჰის ჩანაწერი გამოაქვეყნა. „მინდა ეს მასალა გავრცელდეს და მჯერა, რომ, თუ მომკლავენ, სამუდამოდ იესო ქრისტესთან ვიქნები,“ — აღნიშნა ალ-საბაჰმა თავის მიმართვაში. მან დასძინა, რომ კმაყოფილია თავისი გადაწყვეტილებით, რადგან ქრიასტიანობამ ჭეშმარიტ გზაზე დააყენა. აღსანიშნავია, რომ ისლამი უარყო და ქრისტიანულ რწმენაზე გადავიდა მოძრაობა „ჰამასის“ დამფუძნებლის ვაჟი მოსაბ ჰასან იუსეფიც.

თუ ჯიბღაშვილის შრომით ბიოგრაფიას გადავხედავთ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჯიბღაშვილს ლალიაშვილის „ფაშისტობა“ სწორედ ახლა გაახსენდა, როცა ივანიშვილის კარზე მკვიდრად მოკალათებული რესპუბლიკელები და ალასანიელები გამალებით ავსებენ საკუთარი კადრებით ივანიშვილის ჯერ კიდევ შესაქმნელ პარტიას. „რაში სჭირდებათო?“ – იკითხავს მავანი. აი, თუნდაც იმისთვის, რომ საჭირო მომენტში ჯიბღაშვილივით „აღმოაჩინონ“, რომ ამა თუ იმ პარტიაში ქრისტიანობის ნიღბით ფაშისტები მოქმედებენ.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კაცია ქდმ-იანი?!

**რომ მოატყუეს და პარტიის ცეკას მდივანი შეუცვალეს, ამას, ლუარსაბ თათქარიძისგან განსხვავებით, ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძის აპარატის უფროსი ზურაბ ჯიბღაშვილი რვა თვის შემდეგ მიხვდა. „გასული წლის აპრილში ლალიაშვილი ჩემთან მიმოწერაში აცხადებდა, რომ „ხელისუფლება სწორად მოქმედებდა და ერთადერთი ნაკლი ის აქვს, რომ მის ადგილზე „ქრისტიან-დემოკრატები“ არ არიან“. იგი წერდა, რომ თვითონაც იმავეს გააკეთებდა, მხოლოდ უფრო მძიმე ფორმებით — შეზავებული ფაშიზმითა და რელიგიური ექსტრემიზმით. 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ ვკითხე, კიდევ ასე ფიქრობდა თუ არა და მიპასუხა, რომ უფრო მეტიც — ბართლომეს ღამე უნდა მოეწყოთ და ყველანი დაეჭირათო. მომწერა, რომ მეც, მათ შორის, დასაჭერი ვარ,“ — განაცხადა ჯიბღაშვილმა და დასძინა, რომ „ლალიაშვილის პოზიცია რეალურად „ქრისტიან-დემოკრატების“ იდეოლოგიაა, რასაც ისინი ქრისტიანობით ნიღბავენ“.**



„როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

— დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

— მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

— კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, — მიუგო მღვდელმა.

— პატარძალი სად არის?

— აი, ესა ბძანდება.

— ლუარსაბ! — დაუძახა ძმას დავითმა, — მოგვატყუვეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო!“

ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“




რაც შეეხება იმას, თუ რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება აღნიშნული მიმოწერიდან 8 თვის თავზე და არა მანამდე, ჯიბღაშვილი განმარტავს, რომ „ეს დრო სამართლიანობისთვის მიკვლევის მცდელობას მოახმარა, პარტიის ლიდერებთან არაერთი საუბარი ჰქონდა და იმედოვნებდა, რომ ისინი ლალიაშვილის პოლიტიკურ ამორალურობასა და სამართლიანობას შორის არჩევანს გააკეთებდნენ, თუმცა ეს არჩევანი ფაშიზმის სასარგებლოდ გააკეთეს“.

თავად ამ ისტორიის გმირი – ნიკა ლალიაშვილი ჯიბღაშვილს პასუხის ღირსად არ ცნობს, ხოლო მის მაგივრად კომენტარებს პარლამენტარი რატი მაისურაძე არიგებს. არ აგერიოთ, ეს ის რატი მაისურაძე არ არის, რომელიც ციხეში მართლმადიდებლობის დაცვისთვის ორი საპარლამენტო ვადით – 8 წლით გაამწესა ხელისუფლებამ. ეს ის რატი მაისურაძეა, რომელიც ამ 8 წლის „მოხდას“ პარლამენტში აპირებს „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტიული სიით. ჰოდა, ამ რატის განუცხადებია: „ზურაბ ჯიბღაშვილის მხრიდან ადგილი აქვს როგორც შეცდომას, ასევე გარკვეულ ცდუნებას. ჯიბღაშვილმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე 8 თვის წინანდელ ამბავზე ისაუბრა, თუმცა მთელი 8 თვის განმავლობაში ის ჩვენს ფრაქციაში მუშაობდა და არავითარ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ზოგადად, ზურა მეოცნებე ადამიანია და როგორც ჩანს, ის შეცდა და ცდუნდა,“ — აცხადებს მაისურაძე, მაგრამ უფრო დეტალურ განმარტებას ამასთან დაკავშირებით არ აკეთებს.

**დღეს საქართველოში ერთადერთი ადგილი, რომლიდანაც პოლიტიკური ცდუნება მოდის, ბიძინა ივანიშვილის მოძრაობაა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს რატიც იქით მიუთითებს. მით უფრო, თუ ჯიბღაშვილის შრომით ბიოგრაფიას გადავხედავთ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჯიბღაშვილს ლალიაშვილის „ფაშისტობა“ სწორედ ახლა გაახსენდა, როცა ივანიშვილის კარზე მკვიდრად მოკალათებული რესპუბლიკელები და ალასანიელები გამალებით ავსებენ საკუთარი კადრებით ივანიშვილის ჯერ კიდევ შესაქმნელ პარტიას.** „რაში სჭირდებათო?“ – იკითხავს მავანი. აი, თუნდაც იმისთვის, რომ საჭირო მომენტში ჯიბღაშვილივით „აღმოაჩინონ“, რომ ამა თუ იმ პარტიაში ქრისტიანობის ნიღბით ფაშისტები მოქმედებენ.

**ჯიბღაშვილის აქტივშია თინა ხიდაშელთან ერთად სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება. მათი ახლობლობა ეჭვს არ იწვევს ისევე, როგორც მაინცდამაინც მოცემულ მომენტში ჯიბღაშვილის განგებ გაბრაზება. ეს უკანასკნელი იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ ერთდროულად ერთმანეთს დაპირისპირებულ კომისიაში მოღვაწეობდა. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციის თარგის გამოჭრა მის მიერვე შექმნილ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაავალა, მასში ზურაბ ჯიბღაშვილიც შეუყვანია ექსპერტის სტატუსით. ამას სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის, რომ იმავე ჯიბღაშვილს ხელი მოეწერა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის საპროტესტო განცხადებისთვის. საქართველოში რომელ პარტიას ჰყავს ასეთი ექსპერტები, რომლებიც ყველგან არიან და ყველაფერს ასწრებენ, ბავშვმაც კი იცის.**

„პარტია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი არ ვყოფილვარ, იურისტი ვარ და მომავალში საქმიანობას ამ მიმართულებით გავაგრძელებ,“ — განაცხადა ჯიბღაშვილმა ლევან ვეფხვაძის აპარატიდან წამოსვლის შემდეგ. ესეც საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი პარტიაა, რომლის წევრები დღეგამოშვებით ხან პოლიტიკოსები არიან, ხან ექსპერტები. „არის ასეთი პარტია!“ და მას საქართველოს რესპუბლიკური პარტია ჰქვია.

შევეშვათ რესპუბლიკელებს, მათი ამბავი ახლა ბიძინა ივანიშვილმა იდარდოს, ჩვენ კი ფაშისტებისა და ქრისტიანების თემას მივუბრუნდეთ. ჯიბღაშვილის მტკიცებით, იგი მთელი 8 თვე ცდილობდა, დაერწმუნებინა „ქდმ“-ს ხელმძღვანელობა, რათა გამიჯვნოდნენ ლალიაშვილის იდეებს, მაგრამ... „პარტიის წევრებმა მითხრეს, რომ ლალიაშვილს არ მიატოვებდნენ, არ გაემიჯნებოდნენ, რომ ლალიაშვილმა იხუმრა“. ლალიაშვილს არც ვალერი ხაბურძანია გამიჯვნია, რომლის მინისტრობისას დღევანდელი ქრისტიანი პარლამენტარი მისი ქვემდებარე უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა.

როგორ მოხვდა ფილოლოგიის დოქტორი (იმჟამად მაინც – კანდიდატი, ეს მოგვიანებით მოხდა, რომ ყველა კანდიდატი დოქტორს გაუთანაბრეს) უშიშროების სამინისტროში, ამას ლალიაშვილი ასე ხსნის: **„სტუდენტობის დროს კომისარიატს პრინციპულად არ გადავუხადე ქრთამი და წავედი ჯარში. ორი წელი გავატარე სამხედრო ნაწილში, 21-ე ბრიგადაში, რომელიც განლაგებული იყო ქუთაისში, საღორიის ტყეში. აი, მაშინ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ჯარი რთული სფეროა, მაგრამ ის მამაკაცს აძლევს თვითრეალიზაციის საუკეთესო შესაძლებლობებს და ახდენს მისი პიროვნების ფორმირებას. ჯარში მოხვედრამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება, სამხედრო კარიერის საფეხურები ძალიან სწრაფად გავიარე“.**

1997 წლიდან 2000 წლამდე სამხედრო სამსახურში ყოფნის შემდეგ იგი ერთბაშად თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში იწყებს მუშაობას, რამდენიმე თვეში კი ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის სამმართველოში წინაურდება, სადაც 2002 წლამდე მუშაობს და უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად ინიშნება. 2004–2005 წლებში იგი კვლავ თავდაცვის სამინისტროს უბრუნდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის რანგში,

**მაგრამ იმჟამად რევოლუციონერებისთვის პარლამენტის სხდომათა დარბაზის „კარის შემღებისთვის“ მადლიერების გამოხატვის ლიმიტი ამოწურულია და მასაც ისევე ითხოვენ სამსახურიდან, როგორც მის ყოფილ შეფს – ხაბურძანიას.**

2005 წელს იგი დისერტაციისთვის იცლის და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის (და არა დოქტორის) ხარისხი ენიჭება ნაშრომისთვის „საკრალური და პროფანული კატეგორიები ქართულ ფოლკლორში“. რამე სამხედრო თემა მაინც რომ შეერჩია ქართულ ფოლკლორში (არადა, ასეთი მრავალადაა), არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ მან მაინც საკრალური და პროფანული აირჩია. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში ამ კატეგორიების აქტუალურობა შეიგრძნო და მომავალი გზაც დასახა.

2005–2007 წლებში ლალიაშვილი PA Consulting Group-ის გენერალური მდივნის მრჩევლად მუშაობს. მსოფლიოში მოღვაწე ამხელა საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელს იქით რომ გაუწევ კონსულტაციას, ეს ან საკრალური ან პროფანული კატეგორიის ნიმუშად უნდა განიხილოს კაცმა. რას და როგორ ურჩევდა იგი გენერალურ მდივანს, უცნობია, თუმცა, ბოლო ოცი წელია, საქართველოში მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით საქმდება ხალხი და ამას არც ლალიაშვილი მალავს: **„როდესაც საქართველომ დაიწყო ორიენტირება ნატოში ინტეგრაციაზე, ოფიცერთა შემადგენლობაში ძალიან ცოტა ადამიანი ფლობდა ინგლისურ ენას, ამიტომაც ხშირად მიწევდა სასწავლო კურსებსა და სემინარებზე წასვლა. ვსწავლობდი გერმანიაში მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლობის სკოლაში, ამერიკაში — სამხედრო-საზღვაო სკოლაში, რომში — ნატოს თავდაცვის კოლეჯში, ჰოლანდიაში — შტაბის ოფიცერთა უმაღლეს სკოლაში და თურქეთში — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საწვრთნელ ცენტრში. ამ ყველაფერმა მომცა საუკეთესო ზოგადი განათლება, რაც ძალიან გამომადგა“.**

ეს უბადლო ზოგადი განათლება მას მართლაც გამოადგა, როცა პოლიტიკისკენ აიღო გეზი. 2008 წელს იგი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი ხდება. ამ დროს ბადრი პატარკაციშვილი უკვე გარდაცვლილია, „იმედი“ ხელისუფლებას აქვს მიტაცებული, ხოლო „ქრისტიან-ჟურნალისტებს“ სააკაშვილთან პოლიტიკური ფლირტი აქვთ გაჩაღებული. იმავე წელს, დანარჩენ კოლეგებთან ერთად, ლალიაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი ხდება მმართველი პარტიის მეცადინეობით. რეგიონებში საარჩევნო კომისიის ნაციონალი წევრები მონდომებით უწერდნენ მათ საარჩევნო ბარიერის გადასალახავად აუცილებელ ხმებს.

2008 წლის ოქტომბერში პარლამენტი ლალიაშვილს უმცირესობის კვოტით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ამტკიცებს. როგორც ადრე მის ბიოგრაფიაში, იგი ყოფილ უფროსებზე კონტროლის საშუალებას იძენს, სააკაშვილი კი მოხიბლულია მისი აქტიურობით. 2009 წელს პარლამენტში დებატებისას იგი საგანგებოდ მიუთითებს: **„ჩვენ ყველამ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ იუსტიციის საბჭოში ოპოზიციის წარმომადგენელია.**

**რამდენადაც ვიცი, ნიკა ლალიაშვილი აქტიურად მუშაობს. მინდა გაგახსენოთ, რომ მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, არც ერთხელ არ ვყოფილვარ იუსტიციის საბჭოს სხდომისთვის თავმჯდომარე. ამას შეგნებულად ვაკეთებ, თუმცა ჩემი წინამორბედი ხშირად თავმჯდომარეობდა მას. იმის მიუხედავად, რომ სასამართლო რეფორმები ძალიან მაინტერსებს, რადგან ეს ჩემს ცხოვრებაში ჩემი ყველაზე დიდი ინიციატივა იყო, მაინც მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი ამაში არ უნდა იღებდეს მონაწილეობას... მე აღარ ვიქნები პრეზიდენტი და ეს მოხდება 2013 წელს, მინდა დავაწყნარო გიორგი თარგამაძე, რომელიც სხვა ღირსეულ კანდიდატებთან ერთად ფიქრობს 2013 წელზე. მე 2013 წლამდე შევასრულებ ჩემს მოვალეობას და შემდეგ იქნება ახალი პრეზიდენტი, რომელიც მოვა დემოკრატიული არჩევნების შედეგად. მაგრამ მანამდე უნდა შევქმნათ სისტემა, რომ, ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, სისტემას უნდა ჰქონდეს დაცვის ისეთი გარანტიები, რომელიც გარედან ჩარევის შესაძლებლობას არ დაუშვებს“.**

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში კი – კონსტიტუცია. ახალი რედაქციით, თარგამაძე გინდ ყოფილა პრეზიდენტი, გინდ არა. მთავარია, ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი. ამ აწყობილ და ჩაჭუკჭუკებულ ვითარებაში კი 2011 წლის საპროტესტო აქციები სააკაშვილზე მეტად ადამიანებისთვის იყო თავზარდამცემი. ამიტომაც აკეთებდა ლალიაშვილი განცხადებებს იმის შესახებ, რომ „პროვოკაციები იგეგმებოდა“, ხოლო როცა 26 მაისის ღამეს აქციის მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდნენ, მანაც ამოისუნთქა და მოდუნდა. სწორედ მოდუნების შედეგი იყო, რომ **უშიშროებაში გამობრძმედილმა ლალიაშვილმა თავს უფლება მისცა, ფეისბუქში დაეწერა: „ბართლომეს ღამე უნდა მოეწყოთ და ყველა დაეჭირათო“!**

**ადამიანების პოზიცია სააკაშვილის რეჟიმის მიმართ საზოგადოებისთვის ცნობილია; მის განეიტრალებას ვერც დაყენებული ხმით სააკაშვილის პარლამენტის დარბაზში კრიტიკა და ვერც ქაღალდების შარიშური უშველის, ხოლო რაც შეეხება ჯიბღაშვილ-ლალიაშვილის გაპაექრებას, არც ერთია პატრიოტი და არც მეორე ქრისტიანი; ორივენი სააკაშვილის რეჟიმის ნაშობი იქედნები არიან. პარტია რაა, – გახვალ, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ სამშობლოდან გასული პოლიტიკოსები ვერასოდეს გაიგებენ მის გულისტკივილს, თუგინდ გაზი და ელექტროენერგია სულაც უფასოდ დაჰპირდნენ.**

**თამარ დავითულიანი**

**P.S. „— კარგი როგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს: თათარი, ყაზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რაღა, ბუზსავით ირევიან.**

**— მართალია, რომ აქ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?**

**— მართალია, მაშ? ეგ კიდევ რა! რაღაც მოუგონიათო, ფიცრებს თავის-თავად ხერხავსო.**

**— ეხლა ეგა სთქვი.**

**— თავი არ მამიკვდება.**

**— როგორ? ისე თავის-თავად?**

**— თავის-თავად.**

**— არც კაცია, არც ადამიანი?**

**— არა.**

**— მაშ ხერხი ვის უჭირავს?**

**— ეშმაკს და ქაჯს, ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი!**

**— რუსების მოგონილია განა ეგა?**

**— მაშ არა და შენის მაზლის დავითისაა!“**

ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის აღიარებისა, რითაც ტერიტორიული მთლიანობა იქნა დარღვეული, ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, გამოვნახოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის საჭირო გზები. ეს კი მუშტების ქნევითა და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გადაქცევით არ მიიღწევა.**

# ილუზია — NATO და ილუზიონისტი — სააკაშვილი



**სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები, ასევე ოპოზიციური პარტიების უდიდესი უმრავლესობა, რომელთაც საგარეოპოლიტიკურ ორიენტირად ალიანსის რიგებში გაწევრიანება აქვთ დეკლარირებული, ნატოს წევრობას უახლოეს პერსპექტივად გვისახავენ. მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა უნდა შესთავაზოს საქართველომ ნატოს იმაზე მეტი, რასაც ახლა სთავაზობს ავღანურ მისიაში მონაწილეობით, ან რას მოიგებს ნატო საქართველოს თავის რიგებში მიღებით? — არც არაფერს. უფრო — პირიქით: შეიძლება ძალიან ბევრი რამ დაკარგოს კიდეც. მაგალითად, ნატოს წევრი საქართველო ალიანსისთვის ზედმეტი თავისტკივილი გახდება მოუგვარებელი კონფლიქტებით, მის ტერიტორიაზე უკანონოდ არსებული რუსული სამხედრო ბაზებით და, რაც მთავარია, შიზოფრენიული ავტორიტარული მმართველობით.**

გარდა ამისა, გაიზრდება ალიანსისა და რუსეთის დაპირისპირების საფრთხე, რაც ნატოს წევრი ქვეყნების მთავარ მიზანს — დაამყარონ რუსეთთან აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, მიუღწეველს გახდის, ამას კი ევროპის რიგი სახელმწიფოებისა (მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.) საქართველოს გამო არ დაუშვებს, ვინაიდან მათთვის ეროვნული ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს უსაფრთხოება.

**ავღანეთში ქართველი სამხედროების მონაწილეობას მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის შიგნით პროპაგანდის იარაღად იყენებს, რომ თითქოს ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ნატომდე მიგვიყვანს, და ამაში საზოგადოების დარწმუნებას ცდილობს, ხოლო დასავლეთის ქვეყნებთან ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლით ვაჭრობს.** კერძოდ, ავღანეთის ცხელ წერტილში (სადაც უკვე დღეის მდგომარეობით 12 ჯარისკაცია გარდაცვლილი) ქართული სამხედრო კონტინგენტის „საზარბაზნე ხორცად“ გაგზავნის სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტიას და პიროვნულ მხარდაჭერას ითხოვს. სწორედ ამიტომ არ წუხან და შფოთავენ დასავლეთის „დემოკრატიის მისიონერები“ საქართველოს ხელისუფლების მიერ ფეხქვეშ გათელილი დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების გამო. სწორედ ამიტომ ფასდება ყველა გაყალბებული არჩევნები „დამაკმაყოფილებელ და პროგრესულ“ ნაბიჯად.

საქართველოს მიერ ავღანეთში გაწეულ წვლილსა და შემდგომ ნატოში მის წევრობას შორის პირდაპირი კავშირი რომ არ არსებობს, ამაზე ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ისაუბრა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა თბილისში ვიზიტის დროს. მაშინ ნატოს გენმდივანს დამაიმედებელი არაფერი უთქვამს, უფრო მეტიც, ნატოში საქართველოს „ინტეგრაცია“ უსასრულობისკენ „გადაამისამართა“: **„საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ნატოსთან დაახლოების გზაზე, თუმცა სამუშაო ბევრია და ამიტომ ვერ ვამბობ, როდის გახდება ზუსტად საქართველო ნატოს წევრი. ეს დამოკიდებულია ქვეყნის პროგრესზე“.** მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ მაინც მიიღო უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება და ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა 937-დან 1675-მდე გაზარდა, ანუ 738 ჯარისკაცით. ეს მაშინ, როცა სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად გვარწმუნებენ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების რეალურობაზე, რომ თითქოს შესაძლოა, კონფლიქტის ესკალაცია ნებისმიერ დროს დაიწყოს და ა.შ.

**რუსეთისთვის საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება მიუღებელია არა მარტო იმიტომ, რომ ნატოს უშუალო დამეზობლებაში ხედავს საფრთხეს** (ასეთი მეზობლობა მას ნატოსთან უკვე აკავშირებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სახით), **არამედ რუსეთს არ სურს, იქ მიუახლოვდეს ნატო, სადაც რუსეთის სახელმწიფო სუსტია, ანუ მისთვის მიუღებელია ფეთქებადსაშიში ჩრდილოეთ კავკასია ნატოს პირისპირ და ამერიკის ირიბი გავლენის სფეროში აღმოჩნდეს.** ვინაიდან ამ რეგიონში გარეშე ძალის მიერ მხარდაჭერილ დესტაბილიზაციასა და პროცესების არასწორ ესკალაციას შეუძლია რუსეთის სახელმწიფო დაშლის პირამდე მიიყვანოს, რასაც რუსეთი არასოდეს შეეგუება, თუნდაც საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა რომ მოუწიოს.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე **ალექსანდრე ჭაჭია** წლების წინ დაუფარავად საუბრობდა იმ უარყოფით და მძიმე შედეგებზე, რასაც გამოიწვევდა ამერიკის მხარდაჭერით დაიმედებული საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ანტირუსული პოლიტიკა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას უწყობდა ხელს და აცხადებდა, რომ დაპირისპირების შემთხვევაში საქართველო რუსეთის პირისპირ მარტო დარჩებოდა: **„ქვეყანაში მოქმედმა „მეხუთე კოლონამ“ შეასრულა გარე ძალების შეკვეთა და მიაღწია იმას, რომ რუსეთი საქართველოს სტრატეგიული მოწინააღმდეგე ხდება. გასაგებია, რომ საქართველოსთვის განკუთვნილი დამხმარე სტრატეგიული როლის საბოლოოდ შესრულების შემდეგ ჩვენ, როგორც ისტორიაში უკვე ბევრჯერ ყოფილა, მიგვატოვებენ და მოგვიწევს რუსეთთან პირისპირ ურთიერთობის გარკვევა, რასაც დამღუპველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობა სრულიად უგულებელყოფს ეროვნულ ინტერესებს და სხვის თამაშში პაიკის როლზე თანხმდება“.** ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ეს პროგნოზი სააკაშვილის ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა და რუსეთთან კონფრონტაცია საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად გაიხადა, რისი დამანგრეველი შედეგებიც 2008 წლის აგვისტოს ომის სახით ვიწვნიეთ.

**მიუხედავად ამისა, სააკაშვილის რეჟიმს, რომელმაც საქართველო კატასტროფის პირამდე მიიყვანა, დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე არც უფიქრია. არადა, დღეს საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამის მისაღწევად კი უნდა ცდილობდეს, გამოინახოს ყველა გზა, რათა დავამყაროთ პირდაპირი ურთიერთობები აფხაზებთან და ოსებთან, რათა დავუმტკიცოთ მათ, რომ ურთიერთობის აღდგენა და ერთ სახელმწიფოში ჩვენი ნორმალური თანაარსებობა შესაძლებელია.**

სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი კი იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან ამერიკის ძალისხმევით რუსეთი დაიშლება და „ჩამოშლილი“ რუსეთის ნანგრევებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მოახერხებს. ასეთი მიდგომა სრული პოლიტიკური სიბეცეა, ვინაიდან სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკონტროლოდ დარჩენილი ჩრდილოეთ კავკასია ახალ ლეკიანობას რომ ჩაუყრის საფუძველს, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, ხოლო ლეკიანობამ თუ რა შედეგი მოუტანა საქართველოს, ეს ისტორიიდან ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ირანთან დაკავშირებული დაძაბულობა დღითიდღე იზრდება. მართალია, საერთაშორისო პოლიტიკაში ანტიირანული განწყობა, უკვე წლებია, აქტუალობას ინარჩუნებს. თუმცა ამჟამად ირანის კრიზისი ისეთ აქტიურ ფაზაშია, როგორშიც აქამდე არასოდეს ყოფილა.

ოფიციალური თელ-ავივი აცხადებს, რომ, თუ ირანი ბირთვულ პროგრამას გაზაფხულამდე არ შეწყვეტს, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები ირანულ ატომურ ობიექტებს დაბომბავენ. თელ-ავივს ზურგს ამერიკაც უმაგრებს, რომელიც ირწმუნება, რომ საჰაერო დარტყმებით შეუძლია შეაჩეროს ირანის ბირთვული პროგრამა, მაგრამ რამდენად შემოიფარგლება ან რამდენად იქნება მიზანი მიღწეული საჰაერო დარტყმებით, ძნელი სათქმელია.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, თუ მხოლოდ საჰაერო დარტყმები ეფექტური ვერ იქნება (ეს კარგად გამოჩნდა ლიბიის მაგალითზე, როცა ნატოს ავიაციამ, ყოველდღიური საჰაერო დარტყმების მიუხედავად, კადაფის ჩამოგდება რამდენიმე თვე ვერ შეძლო), მაშინ საჭირო გახდება ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციის განხორციელება. ამისათვის კი საჭირო იქნება ძლიერი კოალიციის შექმნა ირანის წინააღმდეგ, რომელიც დაწყებულ საქმეს „სასურველ“ შედეგამდე მიიყვანს. დაპირისპირების გაღრმავების შემთხვევაში გამორიცხული არაა, ამ ერთგვარად „ანტიბირთვულმა“ სამხედრო კამპანიამ ცივილიზაციათა დაპირისპირების სახე მიიღოს, რაც რელიგიურ ფანატიზმს „ფრთებს შეასხამს“. მაგრამ რამდენ ხანს გაჭიანურდება ეს პროცესი, რთული სათქმელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, რაც უფრო დიდხანს გაიწელება, მით უფრო უარესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

გასულ კვირას S-ის ჟურნალისტმა ტიმ მარშალიმ თავისი მორიგი რეპორტაჟის დროს იმ საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ირანზე დარტყმას: **„საპასუხო ქმედება ირანისგან შეიძლება კოლოსალური იყოს, რადგან მას შეუძლია მსოფლიოს თავისი სამხედრო სატელიტების — „ჰამაზისა“ და „ჰეზბოლას“ საშუალებით გადასწვდეს, ხოლო საკუთარი, ჩვეულებრივი იარაღით მისწვდეს ისრაელს. გალფის სრუტე გადაიკეტება გემებისთვის, რის შედეგადაც ნავთობის ფასი გაორმაგდება და გლობალურ რეცესიას გამოიწვევს, ასევე საჰაერო თავდასხმები გამოიწვევს ირანელების ლიდერის ირგვლივ მჭიდრო გაერთიანების შექმნას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს რეჟიმს“.** ამ საფრთხეების მიუხედავად, „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მორიგი კონფლიქტი სულ უფრო მწიფდება და გაურკვეველია, ამ კონფლიქტში საქართველოს რა როლის თამაში მოუწევს.

**დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებია თავმოყრილი, რომლებიც კერძო, მერკანტილური ინტერესების დაკმაყოფილებით არიან დაკავებულნი და ნებისმიერ დროს მზად არიან, გაწირონ საქართველო, ოღონდ მათ უსაფრთხოებასა და კომფორტს საფრთხე არ დაემუქროს.**

ჩვენ ვალდებულნი ვართ, რეალურად შევხედოთ მომავალს და ნათლად გავიაზროთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით შეუძლებელია, ვინაიდან სტაბილურობის მოყვარე ევროპის ქვეყნები (მითუმეტეს ახლა, როცა ღრმა ეკონომიკური კრიზისში არიან ჩაფლული) ნატოს რიგებში არ მიიღებენ ისეთ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარი დგას, მითუმეტეს ეს ქვეყანა თუ ბირთვული რუსეთია, რადგან მასთან დაპირისპირება არავის სურს. ამიტომაც მოუწოდებენ მუდმივად დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერები სააკაშვილს რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის აღდგენისკენ, მაგრამ ამაოდ.

**ამიტომ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ბირთვული სახელმწიფოა და მიუხედავად იმისა, რომ ის საერთაშორისო არენაზე უკვე „მეორე პოლუსს“ აღარ წარმოადგენს, საქართველოს „მოსახრჩობად“ რესურსს ყოველთვის გამონახავს და ამერიკის მხარდაჭერის იმედით ამის იგნორირება ჩვენი მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი იქნება.**

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლების არაგონივრული და ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში, ჩვენს ქვეყანას განადგურებას უქადის. მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის აღიარებისა, რითაც ტერიტორიული მთლიანობა იქნა დარღვეული, ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, გამოვნახოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის საჭირო გზები. ეს კი მუშტების ქნევითა და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გადაქცევით არ მიიღწევა. პირიქით, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ რუსეთს, რომ მათთვის „საშიშროებას“ არ წარმოვადგენთ და დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც ერთიანი, ძლიერი და სუვერენული სახელმწიფოს არსებობა რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას არ ემუქრება.

**გიორგი მექმარიაშვილი**



ანდერს ფოგ რასმუსენი:

**«საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ნატოსთან დაახლოების გზაზე, თუმცა სამუშაო ბევრია და ამიტომ ვერ ვამბობ, როდის გახდება ზუსტად საქართველო ნატოს წევრი. ეს დამოკიდებულია ქვეყნის პროგრესზე»**

ფსონი ძალიან გაიზარდა და მსოფლიოში გავლენის გაფართოებისთვის კიდევ უფრო ცოტა დრო რჩება. თუკი დასავლეთში ადვილია ამ პოლიტიკის გატარება, აღმოსავლეთში და, განსაკუთრებით კი, ისლამურ სამყაროში პრაქტიკულად ბომბების შიშითაც ვერ აკურთხებ არატრადიციულ ქორწინებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ევროპა ხვდება ამ „მზრუნველობას“ დიდი აღტაცებით.



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ცისფერი რევოლუციაც» საქართველოდან დაიწყება?

**„ფერადი რევოლუციები“ 2003 წლამდე გაცილებით ადრე დაიგეგმა და მაშინ ჩვენთან არავინ იცოდა, რომ მაინც და მაინც საქართველოდან დაიწყებოდა. თუმცა „ტრენიროვკებზე“ დაჰყავდათ შინნახადი ფართო მოხმარების პოლიტიკოს-რეფორმატორები და მათგან ყველაზე ნიჭიერებს მიანდეს კიდეც მისი განხორციელება. ახლა კი ახალი ეტაპი დაიწყო მსოფლიო დიდ პოლიტიკაში და თეთრი სახლი უკვე ღიად ალაპარაკდა მორიგი „საფრთხის“ შესახებ, რომელიც სერიოზულ საფუძველს დაუდებს რევოლუციების ახალი ტალღის აზვირთებას და ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეებისთვის მიუღებელი რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლას.**

„ვარდების რევოლუციის“ მონაწილეთა უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა პროცესებში ჩართეს და ავარდისფერებული ინტელექტუალ-უვიცები ერთნაირი აღტაცებით გამოსცემდნენ დემოკრატიულ ხმას. სინამდვილეში რაც მივიღეთ, ყველამ კარგად დავინახეთ, თუმცა **ზოგიერთ მაშინდელ ლიდერსა თუ აქტივისტს ახლაც ვერ დაააცდენინებ ძვირს იმის შესახებ, რამაც საქართველო შევარდნაძის მასობრივი კორუფციის დემოკრატიული ჭაობიდან ამოყვანის შემდეგ სააკაშვილის ელიტარული კორუფციის ავტორიტარულ ჭაობში ჩააყურყუმალავა.**

შემდეგ იყო „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში, კუჩმას რეჟიმის მშვიდობიანი გასტუმრება და იუშჩენკოს „დედალი“ (სააკაშვილისეული შეფასებაა) პრეზიდენტობა, „ტიტების რევოლუცია“ ყირგიზეთში და აკაევის აკადემიურ-კორუფციული რეჟიმის შეცვლა ბაკიევის ლამპასებიან-კორუფციული რეჟიმით, რომლის დამხობაში ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ მისი ყოფილი თანამებრძოლი როზა ოტუმბაევა და ვირზე გადამჯდარი „ჩვენი ჩე გევარა“ გივი თარგამაძე. იყო მცდელობა, რომ იგივე სცენარი გაეთამაშებინათ ლუკაშენკოს ბელარუსში, მაგრამ ბატკამ დაუპატიჟებელი სტუმრები გამოაპანღურა და იქ ვერ იხარეს რევოლუციურმა ყოჩივარდებმა...

**ჩაფლავდა „ფერადი რევოლუციების“ პროექტი, მაგრამ ვაშინგტონში სააკაშვილს განსაკუთრებით უფრთხილდებიან, როგორც ამ პროექტის უმრწემეს პროდუქტს; სურთ, ისე წარმოადგინონ, თითქოს ყველაფერი ნორმალურადაა და შედეგითაც კმაყოფილები არიან. არადა, ეს რომ ასე იყოს, მაშინ აღარ დასჭირდებოდათ ახალი პროექტის წამოწყება, რომელსაც, ბუნებრივია, სახელი აქვს, მაგრამ ჯერ არ გვიმხელენ თეთრი სახლის პატრონები. ამიტომაც ჩვენ სპეცოპერაციებისთვის დამახასიათებელი კოდური სახელი ვუწოდოთ — „ცისარტყელას შლეიფი“.**

„საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში უკვე წერდა, რომ **აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად სექს-უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა იქცა.**

ამერიკელი დემოკრატებისთვის ეს ერთობ სათუთი თემაა და რესპუბლიკელებთან წინასაარჩევნოდ დაპირისპირებისას წარმატებულად იყენებს კიდეც ამ „ფერადოვან კოზირს“. მაგრამ ასე მარტივადაც ნუ წარმოვიდგენთ, რომ დემოკრატებს ახალი ინიციატივა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში დაახლოებით 9 მილიონი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ცხოვრობს (ამერიკული კვლევის მიხედვით, რომლის ცალკეული შედეგები შარშან გაზაფხულზე გამოქვეყნდა) და ისინი ამერიკული ელექტორატის აბსოლუტურ, თანაც აქტიურ უმრავლესობას წამოადგენენ, **დემოკრატების „განგაშის“ საფუძველი საერთაშორისო ვითარებაა და ამ მხრივ რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც ერთსულოვანნი არიან.**

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **რატომ მაინც და მაინც ახლა?**

**ავღანეთსა და ერაყში, ასევე ჩრდილოეთ აფრიკაში წარუმატებლობამ** (რეჟიმების დამხობა წარმატებას არ ნიშნავს, სამოქალაქო ომები და მასობრივი არეულობები ამ ქვეყნებს კიდევ დიდხანს არ მოასვენებს) **ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები დაარწმუნა სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობაში. საჭიროა არა მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით მოსრა, არამედ, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმ ღირებულებების მთლიანად ამოძირკვა, რაც ასაზრდოებს დემოკრატიის სახელით დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობას.**

ამიტომაც განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, რომ ქვეყნის კულტურული და რელიგიური ღირებულებები ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის გამართლებად ვერ გამოდგება, და დადგა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დრო. ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას მან აშშ-ის გავლენითა და დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებითაც დაიმუქრა ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი უკვე შეათანხმა სტრატეგიის რეზოლუცია, რომელიც მიმართულია სექსუალური უმცირესობების დასაცავად. **აშშ-ში საერთაშორისო ფონდი და სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განყოფილებაც კი შეიქმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების დაცვას მთელ მსოფლიოში. „მსოფლიო თანასწორობის ფონდი“ მხარს დაუჭერს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ტრადიციების დამცველი საზოგადოებების წინააღმდეგობების დაძლევას შიგნიდან შეეცდებიან.**

პრეზიდენტი ობამა არც მალავს, რომ პლანეტარულ ომს ღიად უცხადებს ყველას, ვინც უარს ამბობს, ჩასწვდეს ამერიკის სულს: **„ვავალებ საზღვარგარეთ მომუშავე ყველა უწყებას, თვალ-ყური ადევნონ, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ და უცხოეთში დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციებმა დაიცვან სექსუალური უმცირესობების უფლებები. უცხოეთში მომუშავე უწყებებმა უნდა გააძლიერონ მოღვაწეობა უცხოეთის იმ ხელისუფლებებთან ბრძოლის მიმართულებით, რომლებიც ცდილობენ, ჰომოსექსუალიზმი და ჰომოსექსუალური ქცევა დამნაშავეობასთან გააიგივონ. ამავე უწყებებმა უნდა გააფართოონ საქმიანობა სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებულ დისკრიმინაციასთან, ჰომოფობიასა და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად,“** — ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტის მემორანდუმში, რომელმაც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის შეწყვეტისთვის ბრძოლას **გლობალური გამოწვევა** უწოდა. როგორც ხედავთ, თეთრი სახლისთვის უკვე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის რანგშია აყვანილი მათი დაცვა.



**აშშ-ის ერთგული მოკავშირე ბრიტანეთიც სრულად იზიარებს ვაშინგტონის გულისტკივილს. პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი მუქარასაც არ მოერიდა და პირდაპირ განაცხადა, რომ განვითარებად ქვეყნებს დახმარებას შეუწყვეტს, თუ ისინი ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავ კანონმდებლობას არ გააუქმებენ.** არადა, თანამეგობრობის წევრი 54 ქვეყნიდან 41-ში მოქმედებს კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალიზმის სხვადასხვა გამოვლინებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. მსოფლიოს 76 ქვეყანაში კი მოქმედებს კანონები, რომლებიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ქცევის ან გენდერული იდენტურობის გამო. ამ კანონების გაუქმებას არამხოლოდ აშშ და დიდი ბრიტანეთი, არამედ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოც მოითხოვს.

**რით უპასუხებენ ქართველი ხელისუფალნი ვაშინგტონის დირექტივას, მსოფლიოსთვის თითით საჩვენებელი გახდეს აბსოლუტური ტოლერანტობის თვალსაზრისით?**

როგორც ჩანს, **ფსონი ძალიან გაიზარდა და მსოფლიოში გავლენის გაფართოებისთვის კიდევ უფრო ცოტა დრო რჩება. თუკი დასავლეთში ადვილია ამ პოლიტიკის გატარება, აღმოსავლეთში და, განსაკუთრებით კი, ისლამურ სამყაროში პრაქტიკულად ბომბების შიშითაც ვერ აკურთხებ არატრადიციულ ქორწინებას** (თუმცა, ბუნებრივია, იქაც იქნებიან ამის მსურველები, მაგრამ სიკვდილის შიშით ვერ ამხელენ). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **არც ევროპა ხვდება ამ „მზრუნველობას“ დიდი აღტაცებით.** მაგალითად, ევროკომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ **„მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზება არ კმარა და შეშფოთება გამოხატა მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური რეაქციის გამო. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია საგანმანათლებლო პროპაგანდაც“.**

ამ მხრივ საქართველო და სააკაშვილი „ბედნიერი გამონაკლისია“. ეს უკანასკნელი ნიჭიერი გამოდგა, მითითებებს უსიტყვოდ ასრულებს (მაგალითად ინგლისურის მასწავლებლების ჩამოყვანაც გამოდგება) და არც „საგანმანათლებლო პროპაგანდაში“ ჩამორჩება პატრონ-მყვარებლებს; ქვეყანას კი, ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ნანა დევდარიანის ტერმინით რომ ვთქვათ, ლერწმის სტრატეგია უკვე შესისხლხორცებული აქვს. **სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს არც ამჯერად გაუჭირდებათ ვაშინგტონის სურვილების დემოკრატიულობის ბრჭყვიალა ქაღალდში შეფუთვა.** თუმცა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ, რომელიც შარშან შემოდგომაზე შეიქმნა საქართველოში, ხალხში იმედი გააჩინა. მაგრამ გაჩნდა შეკითხვებიც. ერთ-ერთი ასე ჟღერს: **რატომ გააკეთა არჩევანი ბიძინა ივანიშვილმა ქართველ რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებზე“?** პასუხად მივიღეთ, რომ **მას არ სურს რუსეთთან ასოცირებულ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა და დასავლეთისთვის იმის დემონსტრირებისთვის, რომ ლიბერალი და პროდასავლურია, ფსონს ამ პარტიებზე ჩამოვიდა.** საინტერესო არგუმენტია, თავდაჯერებულობის დეფიციტი რომ არ იგრძნობოდეს.

ახლა ჩვენ მოგვიწევს დაფიქრება იმაზე, საით წავა საქართველო უახლოეს მომავალში. **თუკი თეთრ სახლში გადაწყვეტენ, რომ „ფერადი რევოლუციების“ მსგავსად „ცისფერი რევოლუციაც“ აქედან უნდა დაიწყოს, რით უპასუხებენ ქართველი ხელისუფალნი ვაშინგტონის დირექტივას, მსოფლიოსთვის თითით საჩვენებელი გახდეს აბსოლუტური ტოლერანტობის თვალსაზრისით.** თუკი შუა მართლაც გაიკრიფება და მხოლოდ სააკაშვილსა და ივანიშვილს (მომხრე-მიმდევრები მათი შლეიფია და ვიგულისხმოთ) შორის მოგვიწევს არჩევანი, მაშინ **უნდა ვიცოდეთ, იზიარებენ თუ არა ისინი პრეზიდენტ ობამას მემორანდუმის სულისკვეთებას და რას გააკეთებენ მის მიერ სახელდებული „გლობალური გამოწვევის“ საპასუხოდ.**

მოკლედ, გაგვაგებინეთ, ვინ ჩაუდგება სათავეში თბილისში (ქუთაისში, ბათუმში...) გეიაღლუმს და ვინ ჩაიბარებს პარადს.

**მიხეილ წერეთელი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკული დემოკრატია მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპულისგან და ეს განსხვავება მეტად ფუნდამენტურ პრინციპებში მდგომარეობს. მათი პენიტენციური სისტემა, ევროპულთან შედარებით, ბევრად უფრო მკაცრია, პატიმართა მიმართ მოპყრობაც ნაკლებად ჰუმანური აქვთ და, რაც მთავარია, აშშ არის ქვეყანა, სადაც, განსხვავებით ევროპისგან, მოქმედებს სიკვდილით დასჯა. მეტიც, ზოგიერთ შტატში სასჯელის ეს ფორმა დადგენილია არასრულწლოვანებზეც...“

**ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლოდროინდელ ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი.**



**«პატიმარი დღეს, ფაქტობრივად, ადამიანად არ აღიქმება საქართველოში და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, თვითონ მსჯავრდებულებსაც უკარგავენ იმის განცდას, რომ ისინი ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან...»**

## გელა ნიკოლეიშვილი:

# პატიმართა რაოდენობით სააკაშვილი უკვე მსოფლიო ჩემპიონია!

**— ბატონო გელა, 2011 წელი, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, საქართველოში ძალიან მძიმე იყო და ეს უკვე აისახა კიდეც სხვადასხვა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ დასკვნებში. რა ტენდენციით დაიწყო 2012 წელი და რამდენად დაცულია დღეს ადამიანის უფლებები შარშანდელთან შედარებით, ვთქვათ, იმავე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში?**

— სამწუხაროდ, ეს წელიც დაიწყო არანაკლებ მძიმე მდგომარეობით, ვიდრე იყო შარშან და, როგორც ჩანს, მთელი წელი, არჩევნებამდე, გაგრძელდება იმ ნიშნით, რომ ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, საკანონმდებლო დონეზე მაქსიმალურად შეზღუდოს თავისი ოპონენტები. ეს ტენდენცია უკვე ნათლად ჩანს და, როგორც თქვენ აღნიშნეთ, დიდი ხანია, ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც საუბრობენ.

რაც შეეხება ციხეებში არსებულ მდგომარეობას, ამ კუთხით აქ უკვე კატასტროფული ვითარებაა. ამას მოწმობს იმავე ციხის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სულ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული მონაცემი, რომლითაც საქართველო ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა ასი ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის მიხედვით. ეს მონაცემები ყოველწლიურად ქვეყნდება და შარშანდელთან შედარებით ჩვენი მდგომარეობა ბევრად გაუარესებულია, ანუ შარშან თუ გვისწრებდა რუსეთი და ვიმყოფებოდით მეორე ადგილზე, წელს უკვე ჩვენ ვუსწრებთ მას; მსოფლიოში კი მეორე ადგილზე ვართ, აშშ-ის შემდეგ.

აი, ეს არის შედეგი, რომელიც მივიღეთ ამ ხელისუფლების სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შედეგად, რაც, მოგეხსენებათ, თავიდანვე ეფუძნებოდა ნულოვან ტოლერანტობას და ტიპური რეჟიმისთვის, ავტორიტარიზმისთვის დამახასიათებელ სიმკაცრეს...

**— კონკრეტულად რამდენი პატიმარია დღეს საქართველოში?**

— ციხის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ ასი ათას მოსახლეზე ჩვენთან ხუთას ოცდაცხრამეტი (539) მსჯავრდებული მოდის და თანაც ეს რიცხვი აღებულია ოთხი მილიონ ცხრას ოთხმოცდაათი მცხოვრებლიდან, სინამდვილეში კი დღეს საქართველოში გაცილებით ნაკლები მოსახლეობაა და აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, სააკაშვილი უკვე მსოფლიო ჩემპიონია პატიმართა რაოდენობით.

რაც შეეხება საერთო მაჩვენებელს, დღეის მდგომარეობით, ჩვენს საპყრობილეებში ოცდახუთი ათასამდე მსჯავრდებულია და მათი რაოდენობა, პრაქტიკულად, დღითიდღე იზრდება. 2004 წელს კი, როცა სააკაშვილი მოვიდა, ეს რიცხვი სულ რაღაც შვიდი ათას რვაასს (7800) შეადგენდა, ანუ რეალურად გვაქვს ასეთი სურათი: **ამ ხელისუფლების სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შედეგად პატიმართა რაოდენობა თითქმის სამ-ნახევარჯერ გაიზარდა... რამდენად დემოკრატიულია ეს და ჯდება თუ არა იგი რაიმე ცივილიზებულ ჩარჩოებში, მე ამ შეფასებისგან თავს შევიკავებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ყველაფერს, უბრალოდ, დემოკრატიასთან და ზოგადად დემოკრატიულ ღირებულებებთან არაფერი აქვთ საერთო...**

**— იმ ფაქტს, რომ პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მოწინავე ადგილზე ვართ, ხელისუფლება საკუთარი პიარისთვის იყენებს. ამ ყველაფერს იმით ხსნიან, რომ თურმე სამართალდამცავი სტრუქტურები კარგად მუშაობენ.**

— ამ ლოგიკას თუ გავყვებით, გამოდის, რომ **ევროპაში, სადაც დაახლოებით ასი, ოთხმოცი, სამოცდაათი პატიმარია ასი ათას მოსახლეზე, თურმე კრიმინოგენული სიტუაცია საშინლად მძიმეა და საქართველოში ყველაფერი კარგად ყოფილა. ეს ხომ სისულელეა! ვინმე იტყვის, რომ აქ უფრო მეტი წესრიგია, ვიდრე, ვთქვათ, ლიხტენშტეინში, სადაც მხოლოდ ცხრამეტი პატიმარი მოდის ასი ათას მოსახლეზე?..**

წარმოიდგინეთ, ოცდახუთი ათასამდე მსჯავრდებულია, ფაქტობრივად, სამმილიონიან ქვეყანაში, დაახლოებით ამდენივე პრობაციონერი გვყავს და თან კიდევ გვეუბნებიან, რომ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი 45-46%-ია, ანუ ნახევარზე ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ მეორე ამდენი დანაშაულია გაუხსნელი. რა გამოდის: მთელი ერი ყოფილა რაღაც დანაშაულებრივი მასა, რომელიც ჩაფლულია კრიმინალში; ანუ ამათი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანად ქვეყანას უნდა შემოერტყას ერთი დიდი გალავანი და სრულიად საქართველოს ეწოდოს საპყრობილე...

**— თქვენ თქვით, რომ, პატიმართა რაოდენობის მიხედვით, აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა. გამოდის, სააკაშვილი ფეხდაფეხ მისდევს თავის ოკეანისგაღმელ მფარველს, რომლის დემოკრატიულობაშიც, სხვათა შორის, ეჭვი არავის ეპარება.**

— **საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკული დემოკრატია მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპულისგან და ეს განსხვავება მეტად ფუნდამენტურ პრინციპებში მდგომარეობს. მათი პენიტენციური სისტემა, ევროპულთან შედარებით, ბევრად უფრო მკაცრია, პატიმართა მიმართ მოპყრობაც ნაკლებად ჰუმანური აქვთ და, რაც მთავარია, აშშ არის ქვეყანა, სადაც, განსხვავებით ევროპისგან, მოქმედებს სიკვდილით დასჯა. მეტიც, ზოგიერთ შტატში სასჯელის ეს ფორმა დადგენილია არასრულწლოვანებზეც...**



როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებისთვის მართლაც სამაგალითოა ეს ყველაფერი და ეტყობა, ესენი უკვე ეჯიბრებიან კიდეც ამერიკას სიმკაცრეში. ამიტომაა დღეს ჩვენი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ასეთი არაჰუმანური და შეუსაბამო იმ ფასეულობებთან, რასაც ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობები ჰქვია.

**— ალბათ, ამიტომაა, რომ ამერიკელი დიპლომატებისგანაც იშვიათად ისმის ხოლმე კრიტიკა ამ რეჟიმის მისამართით.**

— ცხადია. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ, რომელიმე ამერიკელმა სახელმწიფო მოხელემ სააკაშვილი გააკრიტიკოს იმის გამო, რომ პატიმართა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზე ვართ, თვითონ პირველზე არიან; მათი მხრიდან ეს თვითკრიტიკა უფრო იქნება, ვიდრე სხვისი. ასე რომ, ხელისუფლებას ეს პრობლემა ნამდვილად არ აქვს — სააკაშვილს, დიდი ხანია, ამერიკისგან მწვანე შუქი აქვს ანთებული...

**— პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაზეც? ჩვენთან ხომ მსგავსი ფაქტები ძალიან ხშირია?**

— „ძალიან ხშირი“ რბილად ნათქვამია, ეს არის ყოველდღიურობა, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჩვენს სინამდვილეში.

თავში ჩარტყმა, დედის გინება, პანღურის ამორტყმა, იქ უკვე არავის უკვირს და თვითონ პატიმრებიც იმდენად მიეჩვივნენ ამას, რომ მათშიც კი ეს ყველაფერი პროტესტს ნაკლებად იწვევს; ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **პატიმარი დღეს, ფაქტობრივად, ადამიანად არ აღიქმება საქართველოში და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, თვითონ მსჯავრდებულებსაც უკარგავენ იმის განცდას, რომ ისინი ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან...**

აი, ეს არის ამ ხელისუფლების ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც თურმე ორიენტირებულია იმაზე, რომ ქვეყანაში მშვიდობა და წესრიგი იყოს...

**— ძირითადად რა მიზეზით აყენებენ ხოლმე მსჯავრდებულებს შეურაცხყოფას?**

— **ელემენტარული რამის გამოც კი, ვთქვათ, თუ ე. წ. პრაგულკის დროს პატიმარს უკან არ ჰქონდა ხელები დაწყობილი ან შეიძლება თვალებში შეხედა ზედამხედველს ისე, რომ მას ეს გამოხედვა არ მოეწონა და ა.შ. ასევე იყო შემთხვევა, როცა მსჯავრდებულებს საწოლქვეშ უბრძანეს შეძრომა, ხოლო ვინც ბოლოს შეძვრა, გააშიშვლეს, აგინეს და დემონსტრაციულად სცემეს. მოკლედ, ათასგვარი ფორმითა და მეთოდით ხდება ამ ადამიანების დამცირება და, როგორც გითხარით, ამან უკვე დიდი ხანია, ყოველდღიური სისტემატური ხასიათი მიიღო. შეიძლება ითქვას, ეს არის ერთადერთი ფორმა, რითაც ციხის ადმინისტრაცია და მთლიანად სასჯელაღსრულებითი სისტემა ურთიერთობს პატიმრებთან...**

**— კონკრეტული პატიმარი თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რომლის მიმართაც მსგავს მოპყრობას ჰქონდა ადგილი?**

— გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ დღეს, ფაქტობრივად, არ არსებობს მსჯავრდებული, რომლის მიმართაც თუნდაც ერთხელ მაინც არ ყოფილიყო მსგავსი ზეწოლა განხორციელებული, მაგრამ მათი უმეტესობა ამაზე საუბარს, უბრალოდ, ვერ ბედავს. **ერთადერთი პატიმარი, რომელიც ბოლოს ამაზე ალაპარაკდა, იყო კახა ბარათაშვილი და ისიც ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა;** დანარჩენებს, ვიმეორებ, ენა აქვთ ჩაგდებული და ხშირად გვთხოვენ კიდეც უფლებადამცველებს, რომ არ გავახმაუროთ მათი ამბავი. ჩვენც, ბუნებრივია, ვერიდებით ამ ადამიანების დასახელებას, რადგან, კაცმა არ იცის, ამას რა შეიძლება მოჰყვეს თვითონ მსჯავრდებულისთვის.

**— მაინც რა უნდა მოჰყვეს, რა შეიძლება დამართონ პატიმარს, რომელიც თავის პრობლემებზე საჯაროდ ისაუბრებს?**

— იმავე კახა ბარათაშვილის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ ამით მსჯავრდებულის სიცოცხლეც კი შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში. ნუ დაგვავიწყდება, რომ **დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც კანონი, ფაქტობრივად, პარალიზებულია, ამიტომ პატიმარი, რომელიც ციხეშია და ისედაც ვერ სარგებლობს სრულუფლებიანობით, ბუნებრივია, ათმაგად დაუცველია,** ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მისი ბედი ბეწვზე კიდია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მოკლედ

## მოსკოვი აშშ-ს ადანაშაულებს

**მოსკოვი გუანტანამოს ციხის ირგვლივ შექმნილი ვითარებით შეშფოთებულია.** აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. „ამერიკის შეერთებული შტატები არღვევს საერთაშორისო სამართალს, რადგან 171 პატიმარი სამართლებრივ ვაკუუმსა და გაურკვევლობაში იმყოფება“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში. ბარაკ ობამამ გუანტანამოს ციხის დახურვის პირობა 2010 წლის იანვარში დადო, მაგრამ ამ მიმართულებით პროგრესი ჯერ კიდევ არ შეინიშნება.



## სტროს კანი კვლავ სკანდალში გაეხვა

**სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი, სკანდალურად ცნობილი დომინიკ სტროს კანი კვლავ სექსუალურ სკანდალში გაეხვა. ამჯერად მსხვერპლის როლში ბელგიური ესკორტ-სამსახურის თანამშრომელი ვინმე ანა-მარიაა.** მან სტროს კანის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სტროს კანმა მას ძალიან უხეშად აიძულა სექსუალური ურთიერთობა. მომჩივნის მტკიცებით, ინციდენტი ერთ-ერთ სასტუმროში სექსუალური ორგიის დროს მოხდა. სხვა დეტალები ჯერჯერობით არ ვრცელდება. სტროს კანი პირველად 2011 წლის 14 მაისს სასტუმროს მოსამსახურესთან სექსუალური კავშირის გამო დააკავეს. სკანდალის შემდეგ მან სავალუტო ფონდის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა.

„ისეთ ავტორიტარულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენ ვართ, არჩევნებს ყოველთვის იგებს ის, ვინც ატარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილი უნდა ვიჯდეთ, პირიქით, ასეთ დროს საზოგადოება ათმაგად აქტიური უნდა ხდებოდეს, რათა ხელისუფლება მუდმივად განიცდიდეს წნეხს, რაც მას საშუალებას არ მისცემს, ჩაიდინოს უკანონობა“.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერეკლე საღლიანი: სვანეთი დღეს არის თავლაფდასხმული და ერთ-ერთი ყველაზე შეურაცხყოფილი კუთხე საქართველოში





**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ერეკლე საღლიანი.**

**— ბატონო ერეკლე, სახელისუფლო პროპაგანდა უკვე იმხელა მასშტაბებს აღწევს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ რეჟიმის ქვეშ ყოფნა არა თუ 2013 წლამდე, კიდევ რამდენიმე ათეული წელი მოგვიწევს. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს: გაქვთ თუ არა იმედი, რომ 2012 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება?**

— ზოგადად თუ შევხედავთ ამ ყველაფერს, რა მოვლენებიც დღეს ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პრობლემა, ეს უფრო საკაცობრიო პრობლემაა. საკაცობრიოა იმდენად, რამდენადაც დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკას წარმართავს არა ზნეობრივი წეს-კანონები, არამედ ის, რაც უკვე ემყარება ყოველგვარი ხერხის გამოყენებას, ანუ, მოგეხსენებათ, არსებობს ასეთი გამოთქმა: „მიზანი ამართლებს საშუალებებს“ და სწორედ ამ გზას მიჰყვებიან პოლიტიკოსები, მათთვის ყოველგვარი მიზანი ამართლებს საშუალებას, უბედურება კი ისაა, რომ ეს მიზანიც არ არის კეთილშობილური.

რაც შეეხება სახელისუფლო პროპაგანდას, რომელიც თქვენ ახსენეთ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უკვე სცილდება ყოველგვარ ზღვარს და დღითიდღე სულ უფრო აუტანელი ხდება, მაგრამ ამ ყველაფერსაც თავისი მიზეზი აქვს და ეს მიზეზი მარტო ხელისუფლებაში არ უნდა ვეძებოთ. მე მიმაჩნია, რომ მიზეზი, უწინარესად, ჩვენშია, ვინაიდან ის განწყობა, ხასიათი და მიდგომა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, თავისთავად ნიადაგს ამზადებს ავტორიტარული რეჟიმისთვის. ანუ იმის თქმა მინდა, რომ **მთავარი ის კი არ არის, სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი თუ ვინმე სხვა ადამიანი, მთავარია, თავზე არ დაგახვიოს ხელისუფლებამ და ხალხი არ იყოს მის მიერ მართული. აი, ამისთვის უნდა იბრძოდეს, უპირველესად, ღირსეული საზოგადოება და ეს უნდა იყოს ხალხის მთავარი მიზანი, თორემ, ქედი თუ მოიხარე, ჩათვალე, რომ უღელი უკვე მზად არის დასადგმელად!..**

**— ე. ი. თქვენ ფიქრობთ, რომ პრობლემა უფრო ხალხშია, ვიდრე ხელისუფლებაში?**

— რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლებაშია პრობლემა, ესეც ხალხის პრობლემაა, ვინაიდან, ნუ დაგვავიწყდება, რომ, თავის მხრივ, ხელისუფლებაც სწორედ ხალხიდან მოდის... დღეს ერთი რამ, მე მგონი, ყველასთვის ცხადია: ამ გზას, რომელსაც ახლა ვადგავართ, ცვლილებებისკენ არ მივყავართ, ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ, საზოგადოება უნდა შევიცვალოთ. როგორ და რანაირად — ამაზე უკვე თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს, რათა ცვლილება იყოს საფუძვლიანი და, რაც მთავარია, საზოგადოების მიერ სწორად გაცნობიერებული...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დღევანდელი მოცემულობის პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივა?**

— მოდით, ასე შევხედოთ საკითხს: აქვს თუ არა ჩვენში სააკაშვილის რეჟიმს საფუძველი? ვართ თუ არა ჩვენ მისი შემადგენელი ნაწილი? მე მარტო ხელისუფლებას არ ვგულისხმობ, სისტემა მაქვს, უწინარესად, მხედველობაში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ჩვენი ცნობიერებითაც საბჭოთა რეჟიმის ტყვეობაში ვცხოვრობთ, ამიტომაცაა, ყოველგვარმა „იზმმა“ ასე კარგად იხარა ჩვენს სინამდვილეში... სანამ ამ სენისგან არ გავთავისუფლდებით, ცვლილება ვერ მოხდება და, თუ მოხდება, დამერწმუნეთ, ეს არ იქნება ის ცვლილება, რომელიც ქვეყანას სჭირდება, პირიქით, ასეთი ცვლილება შეიძლება აღმოჩნდეს უკან გადადგამული ნაბიჯი, რომელიც, ცხადია, ბევრად უფრო მძიმე შედეგის მომტანი იქნება სახელმწიფოსთვის.

**— საზოგადოების შეცვლა ახსენეთ და დღესდღეობით რეგიონებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. იქ, ფაქტობრივად, მოსახლეობა სრულიად მოწყვეტილია მიმდინარე პროცესებს. ასეთ პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ, საზოგადოება სწორად აცნობიერებდეს იმას, რაც ქვეყანაში რეალურად ხდება?**

— ნუ დავაბრალებთ ყველაფერს ინფორმაციის არარსებობას, ეს არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომლითაც ვიღაც ვიღაცეებმა გამართლება მოუძებნეს თავიანთ სისუსტეს და დაუდევრობას. **მე პირადად წინა პოლიტიკურ მოძრაობას ჩამოვშორდი მაშინ, როცა დავინახე, რომ რეგიონები მთლიანად მიუგდეს ხელისუფლებას; არ ვიცი, მიზანმიმართულად თუ უნებლიედ, მაგრამ ამას ხელს უწყობდა თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, ვინაიდან არც არჩევნების დროს და არც შემდეგ მათი უმეტესობა პრაქტიკულად თბილისის ფარგლებს არ გასცდენია. შედეგიც, ბუნებრივია, სახეზეა — სამწუხაროდ, დღეს რეგიონების უმრავლესობას ხელისუფლება აკონტროლებს და გასაკვირი ამაში არაფერია...**

**— ალბათ, დამეთანხმებით, რომ სვანეთი ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანია, რომელიც ხელისუფლებას პირდაპირ კლანჭებში ჰყავს მოქცეული, თუმცა ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, იქ ვინმეს რამე გაეპროტესტებინოს ან უკმაყოფილება გამოეთქვას. რით ახსნით ასეთ მდუმარებას ქვეყნის იმ კუთხეში, რომლის გაჩუმებაც თავის დროზე თვით მეფის რუსეთმაც, მოგვიანებით კი კომუნისტურმა სისტემამაც ვერ შეძლეს?**

— მართალი ხართ, მიუხედავად ხელისუფლების აღვირახსნილობისა, დღემდე არანაირი პროტესტი სვანეთში არ დაგვინახავს და ვერც დავინახავთ, იმიტომ, რომ სვანეთის მოსახლეობა დღეს, ფაქტობრივად, დაშლილია... ჩადით მესტიაში და ნახეთ, იქ რა ხდება, ვერც იცნობთ, ისეა დამახინჯებული: ცენტრში, რომელიც იყო სალოცავი ადგილი და სალოცავად მისულ ხალხის თავშესაყარი, ვიღაც ტვინნაღრძობმა ადამიანმა სასტუმროს მშენებლობა დაიწყო, ტურისტებს ველოდებითო, იმას კი არ ფიქრობენ, ისტორიული სიძველის ფონზე თანამედროვეობის სიმახინჯეს რომ აღმართავ, ტურისტს კი არა, ადგილობრივს შეიძლება შესძულდეს იქაურობა.

სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინათ გერმანელი კაცი იყო იქ ჩასული და რომ ჩამოვიდა, თავის თბილისელ მეგობრებს უთხრა, წადით, ნახეთ სვანეთი, სანამ დაუმახინჯებიათო. აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს ეს კუთხე და ამ ყველაფრის ფონზე, მე მგონი, არ უნდა გვიკვირდეს, თუ იქაურ მოსახლეობას, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოს, პროტესტისა და უკმაყოფილების გამოხატვის ძალა აღარ შესწევს. საუბედუროდ, ხელისუფლების პოლიტიკამ დიდი ხანია, ეს ძალა საბოლოოდ გამოაცალა სრულიად საქართველოს და, ბუნებრივია, მათ შორის სვანეთსაც. ამ ხელისუფლებას გააჩნია ხალხის დათრგუნვის დიდი უნარი და იყენებს კიდევაც.

**— ისე, საინტერესოა, მოსახლეობაში რამდენად არის პროტესტი და როგორ უყურებს დღეს სვანეთი ამ ხელისუფლების მოქმედებებს...**

**— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ სვანეთი დღეს არის თავლაფდასხმული და ერთ-ერთი ყველაზე შეურაცხყოფილი კუთხე საქართველოში, მაგრამ, საუბედუროდ, საზოგადოება იმდენად სუსტია, იმდენად დაუძლურებული და ხელჩაქნეული ხალხი, რომ პროტესტის თავი არავის არაქვს. ეს ძალიან კარგად იცის, თავის მხრივ, ხელისუფლებამაც და ამიტომ ბედავს დღეს ისეთ რაღაცებს, რაც, თქვენი თქმისა არ იყოს, თავის დროზე კომუნისტებს არ გაუკეთებიათ;** მხოლოდ ერთია, რაც უნდა თავის ნებაზე იყოს ხელისუფლება მიშვებული, სანამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ადრე თუ გვიან ხომ ყველაფერი მთავრდება?! დარწმუნებული ვარ, როცა იქნება, ეს რეჟიმი ძალიან სამარცხვინოდ დაასრულებს თავის არსებობას და, სიმართლე გითხრათ, იმისიც მეშინია, ეს ყველაფერი ისეთი ფორმით არ მოხდეს, რომ საბოლოოდ ყველაზე მეტად ჩვენ აღმოვჩნდეთ დაზარალებული — ქართველი ხალხი...

**— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ამ რეჟიმის დასასრული — არჩევნების გზით?**

— ზოგადად ისეთ ავტორიტარულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენ ვართ, არჩევნებს ყოველთვის იგებს ის, ვინც ატარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილი უნდა ვიჯდეთ, პირიქით, ასეთ დროს საზოგადოება ათმაგად აქტიური გახდეს, რათა ხელისუფლება მუდმივად განიცდიდეს წნეხს, რაც მას საშუალებას არ მისცემს, ჩაიდინოს უკანონობა.

**დღესდღეობით ეს რეჟიმი არა თუ არანაირ წნეხს არ განიცდის, არამედ იმდენად თავისნებაზეა მიშვებული, რომ, შეიძლება ითქვას, მას უკვე მოეზღვა კიდეც ასეთი უსაზღვრო თავისუფლება. გახსოვთ, ალბათ, ერთხელ წამოსცდა სააკაშვილს, ოპოზიციაში რომ ვიყო, ხელისუფლებას ოცდაოთხ საათში დავამხობდიო და ამით მან პრაქტიკულად დასცინა იმ ფსევდოოპოზიციას, რომელიც ვერანაირ ამინდს ვერ ქმნის პოლიტიკაში.**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ, უწინარესად, სწორედ ასეთი ფსევდოძალების ეპოქა უნდა დასრულდეს ჩვენს სინამდვილეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასოდეს გავცდებით კამათს: ვინ ჭეშმარიტი ძალაა და ვინ — არაჭეშმარიტი. სარგებელს კი რეალურად ვერავინ ნახავს ამ ვითარებიდან, გარდა ხელისუფლებისა, რომლისთვისაც ნებისმიერი დაბნეულობა და გაურკვევლობა საზოგადოებაში ნიშნავს იმას, რომ მმართველი ძალა ძალაუფლებას უფრო და უფრო მეტი ხნით ინარჩუნებს...

რაც შეეხება თავისუფლებას, ის არ უნდა აგვერიოს აღვირახსნილობაში. ვაჟა-ფშაველა ნატრობდა, რომ უფალს მისთვის მიეცა ნიჭი მოყვასის თანაგრძნობისა და თანალმობისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო ის თავისუფალი. პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მოკლებულია ამგვარ თავისუფლებას. დღეს მსოფლიოში კვლავ მიდის ბრძოლა გავლენის სფეროების მოსაპოვებლად. საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო უკვე მოექცა ძალმომრე ქვეყნების ინტერესების სფეროში. არსებობის შენარჩუნების მიზნით საჭიროა არა უმისამართო, არამედ გონებასთან შეწონილი პოლიტიკა. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა: ადამიანს ბევრი რამ მიეტევება, მაგრამ არა უსასრულოდ!

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## ბარაკ ობამა ვალის გაზრდას ითხოვს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყნის კონგრესს მიმართა. სახელმწიფო ვალის ზღვრული დონის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი პრეზიდენტმა წარმომადგენლოებით პალატის სპიკერს და სენატის თავმჯდომარეს გაუგზავნა.** „აღნიშნულით ვადასტურებ, რომ ვალის ლიმიტის ის ამოწურვამდე რჩება 100 მილიარდი დოლარი და არსებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა დამატებითი ვალის აღება“, — წერია ობამას მიერ გაგზავნილ წერილში. თუ კონგრესი 15 დღის განმავლობაში პასუხს არ გასცემს პრეზიდენტის წერილს, მაშინ ზღვარი ავტომატურად გაიზრდება. იმ შემთხვევაში, თუ კონგრესი დაბლოკავს პრეზიდენტის თხოვნას, ბარაკ ობამას უფლება რჩება კონგრესის რეზოლუციას ვეტო დაადოს.

## ვაშინგტონმა სანქციები აამოქმედა

**აშშ-მა სამ საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიას ირანთან თანამშრომლობის გამო სანქციები დაუწესა.** მათ შორისაა ჩინური კორპორაცია, რომელიც, სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ირანული ნავთობის უმსხვილესი მიმწოდებელია. კომპანიას აშშ-ში ექსპორტზე ლიცენზიის მისაღებად უფლება ჩამოერთმევა. ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ აღნიშნული შეზღუდვა სიმბოლური ხასიათისაა, რადგან ჩინურ კომპანიას აშშ-ის ბაზარზე მცირე წარმომადგენლობა აქვთ. სანქციები ასევე დაუწესდათ სინგაპურისა და გაერთიანებული არაბეთის ემირატების კომპანიებს.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენს გაზეთში გავიდა ერთადერთი რეკლამა, რომელიც მოიტანა ირაკლი ტრიპოლსკიმ. ეს იყო პრესკონფერენციის ანონსი, რომელიც გამოქვეყნდა „ქრონიკის“ ნომერში და ის იყო 2500 ლარის ღირებულების.“**

# «არავითარი სარეკლამო თანხა, გარდა 2500 ლარისა, ბიძინა ივანიშვილს ჩვენთვის არ გადმოურიცხავს»

## «ვამზადებთ სარჩელს «რუსთავი 2»-ის, პირველი არხისა და «იმედის» წინააღმდეგ «ალიას» მიმართ ცილისმწამებლური განცხადებების გამო»

**„ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ დაწყებული შავი პიარი არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკის“ წარმომადგენელ ზურაბ ჯაფარიძის მიერ გახმიანებული ფიასკოთი დამთავრდა. კონტროლის პალატის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ივანიშვილისა და „ალიას“ ფინანსური კავშირები არ დასტურდება. ამ დღეებში „ალია ჰოლდინგის“ წარმომადგენლები სახელისუფლო ტელევიზიებისა და ზურაბ ჯაფარიძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებენ. „ალია ჰოლდინგის“ პასუხისმგებელი რედაქტორი დიმიტრი ტიკარაძე ამ ბინძურ კამპანიას ხელისუფლების დაკვეთას უწოდებს. მისი თქმით, „მაესტროს“ შემდეგ ხელისუფლებამ „ალიას“ შეუტია და თავისუფალი მედიის დისკრედიტაცია სურს, რაც ხელისუფლებას, მისი აზრით, არ გამოუვა.**



## დიმიტრი ტიკარაძე: ხელისუფლების ნებისმიერ შემოტევას მოვიგერიებთ

**— ბატონო დიმიტრი, „ალიას“ წინააღმდეგ კომპრომატები „ალიადან“ ერთი ჟურნალისტის წასვლის შემდეგ დაიწყო. რამდენად სამართლიანი იყო მისი პრეტენზიები და რა ხდება დღეს „ალიაში“?**

— დავიწყოთ იმით, რომ „ალიას“ წინააღმდეგ ბრძოლა განცალკევებულად არ უნდა განვიხილოთ; ეს არის თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ახლა ახალ ეტაპზე გადავიდა, მაგრამ ცდილობენ, ისეთი წარმოდგენა შექმნან, რომ ეს ვითომ „ალიას“ შიგნით შიდა დაპირისპირებაა. ეს არ არის სიმართლე, „ალია“ მხოლოდ ერთმა ჟურნალისტმა დატოვა, ისიც იმ შენიშვნების გამო, რაც მას არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო მივეცით. სტატია მართლაც არ დაიბეჭდა იმიტომ, რომ ის იყო არაკვალიფიციურად შესრულებული. სეხნიაშვილის წასვლა არ ნიშნავს, რომ „ალიას“ წამყვანი ჟურნალისტები ტოვებენ.

**— ამბობდნენ, რომ სხვა ჟურნალისტებიც წავიდნენ...**

— არავინ წასულა. ერთი ჟურნალისტის წასვლას „მიაბეს“ სხვების წასვლის ჭორი — დარეჯან მეფარიშვილის, დიტო ჩუბინიძისა და მათ შორის — ჩემი. ამით უნდათ, შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს „ალიაში“ რაღაც ხდება. ამ დროს კი, უბრალოდ, ერთი ჟურნალისტი წავიდა სამსახურიდან, რაც ხელისუფლებამ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. ამბობენ, რომ „ალიაში“ არის შიდა დაპირისპირება და სასწაული ამბები ხდება.

**— მთავარი ბრალდება „ალიას“ მიმართ იყო ის, რომ თითქოს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს მას. ამის თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე საუბრობდა, რასაც კარგად ახმიანებდნენ სახელისუფლო ტელევიზიებიც.**

— ეჭვი „ალიას“ ივანიშვილთან ფინანსურ კავშირზე ზურაბ ჯაფარიძემ გამოთქვა და ამას მოჰყვა „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და პირველი არხის ინტერპრეტაციები. თუმცა ჯაფარიძის ეჭვები არ გამართლდა მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატის მონაცემები გამოქვეყნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ცილი დაგვწამეს, „ალიასთვის“ ბოდიში არავის მოუხდია.

**— თუ იბეჭდებოდა „ალიაში“ სარეკლამო მასალები, თუნდაც ივანიშვილის შეკვეთით?**

— ჩვენს გაზეთში გავიდა ერთადერთი რეკლამა, რომელიც მოიტანა ირაკლი ტრიპოლსკიმ. ეს იყო პრესკონფერენციის ანონსი, რომელიც გამოქვეყნდა „ქრონიკის“ ნომერში და ის იყო 2500 ლარის ღირებულების. მას შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის რეკლამა, საახალწლო და საშობაო მილოცვა სხვადასხვა მედიასაშუალებაში განათავსა, რომლებთანაც სარეკლამო ურთიერთობაც კი არ ჰქონია.

„ალიაში“ რეკლამები ყოველთვის დაიბეჭდება. ჩვენთვის სულერთია, ივანიშვილი მოიტანს რეკლამას, სააკაშვილი თუ ედპ. ჩვენ ყველა პარტიის რეკლამას დავბეჭდავთ. ეს კანონმდებლობით აკრძალული არ არის, ნებისმიერ რეკლამას განვათავსებთ, არც გვაქვს უფლება, უარი ვთქვათ, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ნარკოტიკების რეკლამის განთავსებაზე უარს ვიტყვით, არც სიგარეტის რეკლამას დავბეჭდავთ პირველ გვერდზე, რადგან აკრძალულია.

**დღესაც რომ მოიტანოს ივანიშვილმა „ალიაში“ რეკლამა, უფლება არ გვაქვს, უარი ვუთხრათ. რეკლამის განთავსება დანაშაული არ არის არც ერთ მედიასაშუალებაში.**

**— მაშ, რატომ მოჰყვა ამდენი აურზაური თქვენთან დაბეჭდილ რეკლამას?**

— ეს სახელისუფლო ტელევიზიების მიერ აგორებული შავი პიარი იყო, მათ ატეხეს ამხელა აჟიოტაჟი. არადა, საგადასახადო სამსახურს აქვს ყველა დოკუმენტაცია „ალიას“ შემოსავლების თაობაზე. საბანკო ანგარიშს ხელისუფლება აკონტროლებს. თუკი საუბარი შავ ფულზეა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია; რომ ჰქონოდა, დღეს ამ ინტერვიუსაც ვერ მოგცემდით. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვერ გეტყვით, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ჩვენს ჰოლდინგთან სარეკლამო ხელშეკრულებაც კი არ გაუფორმებია. არავითარი სარეკლამო თანხა, გარდა 2500 ლარისა, ბიძინა ივანიშვილს ჩვენთვის არ გადმოურიცხავს.

მიუხედავად ამისა, „სუფთა პოლიტიკის“ ლიდერს გაუჩნდა ეჭვი, რომ „ალიამ“ შეიცვალა ბიძინა ივანიშვილის მიმართ განწყობა — მოუკლო მის კრიტიკას.

**— თუმცა ეს ეჭვი ტელევიზიებმა სულ სხვა კონტექსტში გააჟღერეს...**

— გააჟღერეს ცოტა რბილად არის ნათქვამი. ტელევიზიებმა: „რუსთავი 2“-მა, პირველმა არხმა და „იმედმა“ „ალია ჰოლდინგი“ ბიძინა ივანიშვილთან ფინანსურ კავშირში დაგვადანაშაულეს. ჩვენი ერთადერთი არგუმენტი ტრიპოლსკის მიერ „ალიაში“ განთავსებული რეკლამის გადარიცხვის ფურცელია, რომელიც გამოვაქვეყნეთ კიდეც. სახელისუფლო ტელევიზიებმა ამის შესახებ კი განაცხადეს, რომ „ალიამ“ აღიარა ფინანსური კავშირი ივანიშვილთანო.

**თურმე 2500 ლარის სანაცვლოდ ჩვენ მოვუკელით ივანიშვილის კრიტიკას და გადავედით მის ქებაზე. აღმოჩნდა, რომ თურმე „სუფთა პოლიტიკის“ ლიდერი არ კითხულობს, არც „ალიას“ და არც „ქრონიკას“. ზურაბ ჯაფარიძემ ეს შეფასებები გააკეთა ჩვენი ყოფილი ჟურნალისტის — ეკა სეხნიაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით.**

ჯაფარიძეს არც ჩვენი გაზეთების პირველი გვერდებისა და სათაურებისთვის გადაუხედავს. აქედან გამომდინარე, ეს იყო მიზანმიმართული კამპანია ჩვენი ჰოლდინგის მიმართ. კონტროლის პალატის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში „ალია“ არ არის დაფიქსირებული, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით. კიდევ ვიმეორებ, რომ, თუ პოლიტიკოსები, თუნდაც „ნაციონალები“, ფულს ხარჯავენ სატელევიზიო თუ საგაზეთო რეკლამებში, ამაში ცუდი არაფერია.

როცა დამოუკიდებელ მედიაში ფინანსები შედის, ეს არის ნებისმიერი მედიის გაძლიერება — „მაესტრო“ იქნება ეს თუ „კავკასია“. რეკლამა არის მედიასაშუალებების, გაზეთების არსებობის ერთ-ერთი წყარო, ხოლო ტელევიზიებისთვის — ერთადერთი.

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიებისა და ჯაფარიძის ეჭვი არ დადასტურდა, მათ მაინც არ წაიღეს უკან თავიანთი ნათქვამი.

**— „ალიას“ წინააღმდეგ ბრძოლა მას შემდეგ ხომ არ დაწყებულა, რაც „ალიაში“ ერთი ქალბატონის წერილი დაიბეჭდა, რომელიც პრეზიდენტს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა?**

— „ალიაში“ დაიბეჭდა სტატია, სადაც კონკრეტული ქალბატონი პრეზიდენტ სააკაშვილს სექსუალურ ძალადობაში ამხელდა. სტატია გამოქვეყნდა ხუთშაბათის ნომერში და იმავე დღეს გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკის“ ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის პრესკონფერენცია და „ალია“ ივანიშვილთან ფინანსურ კავშირში დაადანაშაულა. ამას წინ უსწრებდა ჩვენი ყოფილი ჟურნალისტის — ეკა სეხნიაშვილის განცხადება, რომ „ალია“ სტატიას არ უბეჭდავდა, რომელშიც ივანიშვილს აკრიტიკებდა. გადახედეთ ჩვენს გაზეთს და მიხვდებით, რომ **არიან რესპონდენტები, რომლებიც ივანიშვილში მხსნელს ხედავენ, და არიან რესპონდენტები, რომლებიც ივანიშვილზე ცუდს ლაპარაკობენ და მის პოლიტიკას არასწორად მიიჩნევენ. ორივე მიმართულების სტატიებს ვბეჭდავთ, რათა დაცული იქნას ობიექტურობა.** ეკა სეხნიაშვილმა მოიტანა სტატია, რომელიც იყო არაკვალიფიციური და თანაც უკვე გამოქვეყნებული, ის მოითხოვდა, კვლავ დაგვებეჭდა.

ფაქტია, რომ ის დაჟინებით მოითხოვდა სტატიის დაბეჭდვას და ჩვენი არგუმენტირებული უარის შემდეგ, როდესაც მას კონკრეტული შენიშვნები მივეცით, განაწყენდა და წავიდა. ალბათ, არც ჩემი და არც თქვენი ყველა სტატია არ დაბეჭდილა, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. რედაქტორს თავისი მოთხოვნა აქვს, ნებისმიერი სტატია მკითხველზეა ორიენტირებული და ის საინტერესო უნდა იყოს. როდესაც ჟურნალისტს აძლევ სტატიაზე შენიშვნას, ეს რატომ უნდა განიხილებოდეს რეპრესიად? ბევრი ჩემი მასალაც არ დაბეჭდილა, როცა ჟურნალისტად ვმუშაობდი. **სეხნიაშვილი იმიტომ განაწყენდა, რომ მას ბანკმა „ქართუმ“ ძველი ვალის დაბრუნება მოსთხოვა. სანამ სეხნიაშვილს ბიძინა ივანიშვილის ძმასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მანამდე ეს ვალი გაყინული იყო.**

მას შემდეგ, რაც სეხნიაშვილსა და ივანიშვილის ძმას შორის ურთიერთობა დაიძაბა, მოსთხოვეს ამ ვალის გადახდა. ახლა სხვა კუთხით შევხედოთ ამ ამბავს: გასაგებია, რომ ბანკი „ქართუ“ ბიძინა ივანიშვილისაა, მაგრამ არ მესმის, სეხნიაშვილის სტატია რატომ უნდა განვიხილოთ ივანიშვილის კომპრომატად?

სხვათა შორის, პირადად მე სახელისუფლო კონტროლის ქვეშ მყოფი ბანკიდან მქონდა აღებული ვალი, შემექმნა პრობლემები გადახდის თვალსაზრისით, ამის შემდეგ დამაკისრეს ჯარიმები, საურავები და საბოლოო ჯამში ორჯერ მეტი გადავიხადე. ახლა გამოვიდე და ვთქვა, რომ მე, „ალიას“ რედაქტორს, დიმიტრი ტიკარაძეს ხელისუფლება მებრძვის და ბანკიდან გამოტანილი ვალის გამო დამაკისრა ჯარიმები-თქო? ეს იყო ხელისუფლების მიერ მიზანმიმართული კამპანია-თქო? რამდენად სერიოზული განცხადება იქნება ეს ჩემი მხრიდან?

ანალოგიური სიტუაციაა ამ შემთხვევაში სეხნიაშვილთან დაკავშირებით — მისი მომზადებული სტატია პრესაში უკვე დაბეჭდილი იყო, „რეალ-ტი-ვი“-მაც გააშუქა და ჩვენ ვიქნებოდით მესამე, ვინც ამას გამოაქვეყნებდა.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ „რეალ-ტი-ვი“-ს სასამართლოში უნდა უჩივლოთ. რა მიზეზით?**

— „რეალ-ტი-ვი“-ს წინააღმდეგ უკვე შევიტანეთ სასამართლოში სარჩელი, რადგანაც „ალია“ შეკვეთილი სტატიების დაბეჭდვაში დაადანაშაულა. ასევე ჩვენ ვამზადებთ სარჩელს „რუსთავი 2“-ის, პირველი არხისა და „იმედის“ წინააღმდეგ „ალიას“ მიმართ ცილისმწამებლური განცხადებების გამო. **ზურაბ ჯაფარიძე უარყოფს, რომ ეთქვას, — „ალიას“ ბიძინა ივანიშვილი აფინანსებსო. მისი თქმით, ის მხოლოდ ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნებას მოითხოვდა. ჯაფარიძე აცხადებს, რომ ტელევიზიებმა მისი ნათქვამის ინტერპრეტირება მოახდინეს. ტელევიზიები კი დაჟინებით ამტ-** ▶

„ახლა რომ გამოცოცხლდნენ ვითომ და ზოგ-ზოგიერთები ერთმანეთის მხარდამხარ დაირაზმნენ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ რაღაც შინაგანმა ენერგიამ იფეთქა მათში, ეს ივანიშვილის დამსახურებაა, მან გააცოცხლა ეს მკვდრები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური მიცვალებულების გამცოცხლებელი აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, თორემ ეს ოპოზიცია უკვე მონელებული ჰყავდა სააკაშვილს და საზოგადოებაც ისე იყო შეგუებული ამ ყველაფერს, რომ, შეიძლება ითქვას, სიტყვა ოპოზიციაც კი საერთოდ დავიწყებული ჰქონდა...“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კიცებდნენ, რომ „ალიას“ ივანიშვილი აფინანსებსო. მას შემდეგ, რაც გამოვაქვეყნეთ ტრიპოლსკის მიერ 2500 ლარის სარეკლამო თანხის გადარიცხვის ფურცელი, ტელევიზიებმა ასეთი კომენტარი მოაყოლეს ამას, რომ „ალიამ“ აღიარა ფინანსური კავშირები ბიძინა ივანიშვილთანო. ტელევიზიებმა მიზანმიმართულად და არაობიექტურად დაგვადანაშაულეს ივანიშვილთან ფინანსურ კავშირში.

ამიტომ აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს, სამივე არხის წინააღმდეგ შევიტანთ სარჩელს. „რეალ-ტივი“-ს წინააღმდეგ უკვე შევიტანეთ.

**— ზურაბ ჯაფარიძის წინააღმდეგ შეიტანთ სარჩელს?**

— აუცილებლად, თუ ჯაფარიძე უარყოფს იმას, რაც თქვა, და აცხადებს, რომ ტელევიზიებმა მისი ნათქვამის ინტერპრეტირება მოახდინეს, და ამას დაამტკიცებს, მაშინ ტელევიზიები აგებენ პასუხს.

**— დღევანდელი სასამართლოს იმედი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, — არა, მაგრამ ამით ჩვენ ვაფიქსირებთ ჩვენს პროტესტს. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. თუ სასამართლო არასამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ პრეტენზია გვექნება სასამართლოს მიმართ.

**— ის, რაც „ალიას“ მიმართ განხორციელდა, თვლით, რომ ეს არის ბრძოლა თავისუფალი პრესის წინააღმდეგ?**

— თუ აქამდე პრესა არ აღელვებდა ხელისუფლებას, დღეს პრესა მას საშიშროებას უქმნის, ამიტომ ებრძვის თავისუფალ პრესას: ჯერ ჯიხურების აღებით დაიწყო, შემდეგ — მედიის შიდა დაპირისპირებაზე გადავიდა. მალე გამოჩნდება, ვინ ვინ არის. ერთი სიტყვით, ხელისუფლებას სჭირდება არეულობის შეტანა დამოუკიდებელ მედიაში, მათში უნდობლობის გაჩენა, არეულობა და შიდა დაპირისპირება. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოსდა ჩემსა და გიორგი ბრეგვაძეს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება და მე გამაგდეს სამსახურიდან, რაც მტკნარი სიცრუეა. **„ალია“ მუშაობს ჩვეულ რეჟიმში, თავდაცვისა და პარალელურად თავდასხმის რეჟიმშიც, რადგან ველოდებით დეზინფორმაციებს, შესაძლოა, ჟურნალისტებიც დაგვიპირისპირონ. ჩვენ ხელისუფლების ნებისმიერ შემოტევას მოვიგერიებთ და დავუპირისპირდებით ერთად.** ტელევიზიები ხშირად აცხადებენ, რომ თითქოს ჩვენ არ ვაკეთებთ კომენტარს, რაც სიცრუეა.

ჩვენ ყოველთვის ვაკეთებთ კომენტარს, რათა შეცდომაში არ შეიყვანონ საზოგადოება, მაგრამ, სამწუხაროდ, ტელევიზიები ფაქტებს დამახინჯებულად გადასცემენ, რაც სახელისუფლო შეკვეთაა და სხვა არაფერი.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

# ვახტანგ ხარჩილავა: ბიძინა ივანიშვილმა ჩათვლემილი ქვეყანა გამოაღვიძა და მიცვალებული ოპოზიციაც გააცოცხლა

**მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გვესაუბრება „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი და პუბლიცისტი ვახტანგ ხარჩილავა.**



**«მთავარია, თვითონ ივანიშვილი და მასთან ერთად საზოგადოება რას დაუპირისპირებს ამ სისტემას, მის ბინძურ მეთოდებს»**

**— ბატონო ვახტანგ, პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ საზოგადოებას იმედი დაუბრუნა, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება, თუმცა აგერ უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა და ჯერჯერობით მისი მხრიდან რაიმე კონკრეტული ნაბიჯი არ გვინახავს. თქვენი აზრით, დღეის მდგომარეობით, რამდენად სერიოზული კონკურენტია ფაქტობრივად უმოქმედო ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებისთვის, მაშინ, როცა თავის მხრივ, ხელისუფლება, თავისი პიარტექნოლოგიების საშუალებით, მუდმივად ყურადღების ცენტრშია?**

— ძალიან მრავლისმომცველი კითხვაა და ეს კითხვა დღეს, ალბათ, მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცდაათ პროცენტს მაინც უჩნდება, რადგან ყველას აინტერესებს, რა მოხდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რა შედეგს მივიღებთ და ზოგადად, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. მე, პირადად, სამწუხაროდ, დღევანდელი ჩვენი რეალობა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ მაძლევს.

მით უფრო, ხელისუფლება უკვე მოქმედებს ისე, რომ ხანდახან შეიძლება, ალტაცებაშიც მოგიყვანოს ადამიანი თავისი აღვირახსნილობის ხარისხით. ამას, რა თქმა უნდა, პოლიტიკასთან საერთო არაფერი ქვს, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც აღწევს ხოლმე მიზანს და ეს არის ჩვენი უბედურებაც, — **მმართველი გუნდი უკვე, ფაქტობრივად, გვექცა რაღაც ზეპრივილეგირებულ, ყოვლისშემძლე კლანად, რომლისთვისაც არ არსებობს არც კანონი, არც კონსტიტუციური ჩარჩო და არც ხალხის ინტერესები, მისთვის ყველაფერი დაშვებულია. ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჩვენ, ვინაიდან ნებისმიერი ხელისუფლება, როგორც წესი, ბედავს ხოლმე იმდენს, რამდენის უფლებასაც მას საზოგადოება აძლევს.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამდენად სერიოზული კონკურენტია ივანიშვილი „ნაცმოძრაობისთვის“, ეს უკვე ჩანს კიდეც თვითონ ხელისუფლების ქმედებებში და განსაკუთრებით იმ ფაციფუცში, რომელიც ივანიშვილის გამოჩენისთანავე ატყდა მმართველ გუნდში, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, თვითონ ივანიშვილი და მასთან ერთად საზოგადოება რას დაუპირისპირებს ამ სისტემას, მის ბინძურ მეთოდებს.

**— ისე, არ გეჩვენებათ, რომ ახალგამოჩენილი სუბიექტის კვალობაზე ივანიშვილი უკვე, ცოტა არ იყოს, პასიურობს?**

— არ ვიცი, ამას რამდენად შეიძლება პასიურობა დავარქვათ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ფაქტია: ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს და ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მან შეიძლება გაცილებით უფრო ადრე დანიშნოს არჩევნები, ვიდრე ჩვენ გვგონია. არის საუბარი იმაზეც, რომ ეს იქნება მაისში, კერძოდ, ხუთ მაისს...

**— თქვენი აზრით, ახლა დრო ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს?**

— ოპოზიციის საკმაოდ დიდ ნაწილთან მიმართებაში ნამდვილად ასეა, მაგრამ ივანიშვილის სახით მიხეილ სააკაშვილს წინ ჰყავს ბარიერი, რომლის გადალახვასაც ის, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს. ამ მოცემულობით ხელისუფლებისთვის ყველაზე იდეალური ვარიანტია, რაც შეიძლება, მალე ჩატარდეს არჩევნები, ამიტომ, ბუნებრივია, ის ყველანაირად ეცდება, ეს ყველაფერი მინიმალურ ვადებში მოხდეს.

**— ივანიშვილის მხრიდან პასიურობა კიდევ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ხელისუფლება მას, ფაქტობრივად, არაფრის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს დანარჩენი ოპოზიციის უმოქმედობას, როცა არჩევნები სადაცაა კარს მოგვადგება?**

— დანარჩენი ოპოზიცია არ არსებობს და არც არასდროს არსებობდა, ესენი არიან ფსევდოპოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები, რომლებმაც თვითონ დაარქვეს თავიანთ თავს ოპოზიცია.

ახლა რომ გამოცოცხლდნენ ვითომ და ზოგ-ზოგიერთები და ერთმანეთის მხარდამხარ დაირაზმნენ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ რაღაც შინაგანმა ენერგიამ იფეთქა მათში, ეს ივანიშვილის დამსახურებაა, მან გააცოცხლა ეს მკვდრები. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური მიცვალებულების გამცოცხლებელი აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, თორემ ეს ოპოზიცია უკვე მონელებული ჰყავდა სააკაშვილს და საზოგადოებაც ისე იყო შეგუებული ამ ყველაფერს, რომ, შეიძლება ითქვას, სიტყვა ოპოზიციაც კი საერთოდ დავიწყებული ჰქონდა მოსახლეობას...

**— ოპოზიციას რომ აწყობდა ივანიშვილთან მისვლა, ლოგიკურია, მაგრამ, თქვენი აზრით, თვითონ ივანიშვილმა რა მოიგო იმ ოპოზიციასთან თანამშრომლობით, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენს პოლიტიკურ ასპარეზზე?**

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ არანაირად ამას ივანიშვილის რეიტინგზე დადებითად არ უმოქმედია, პირიქით, მიუხედავად ძალიან დიდი ავტორიტეტისა, რომელიც მას ხალხში ჰქონდა და დღემდე აქვს, ამით მან გარკვეული ქულებიც დაკარგა. რისთვის დასჭირდა ივანიშვილს ამ ოპოზიციასთან თანამშრომლობა ან როგორ გამოიყენებს ამას, მომავალი გვაჩვენებს. ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია, — **ცალკეულმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც დიდი რეიტინგით მაინცდამაინც არასდროს ბრწყინავდნენ, შეიძლება ძალიან დიდი საფრთხე თვითონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ კარიერას შეუქმნან. ის, რომ ისინი დღეს ჩუმად არიან, არაფრის გარანტიას არ იძლევა, პოლიტიკაში ყველას თავისი ინტერესები აქვს და არ არის გამორიცხული, მომავალში მათი ინტერესებიც ერთმანეთის საპირისპირო აღმოჩნდეს.** მსგავსი რამ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ჩვეულებრივი მოვლენაა. პარტიები, პოლიტიკოსები ალიანსში ერთიანდებიან, თანამშრომლობენ, ერთ გუნდად იკვრებიან, შემდეგ იშლებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან. ასეთი შემთხვევა ბევრი გვინახავს...

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ **არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა ხმაზე დაიწყებენ საუბარს ივანიშვილის გარშემო მდგომი ოპოზიციური სუბიექტები, რომლებიც დღეს ჩუმად არიან და, ფაქტობრივად, არც კი ჩანან საზოგადოების თვალსაწიერზე.** მოგეხსენებათ, მათ აქვთ გარკვეული პოლიტიკური ამბიციები, ამიტომ არ არის გამორიცხული, წინასაარჩევნოდ სულ სხვა ინტერესები გაუჩნდეთ და პირდაპირ უთხრან ივანიშვილს: არც მოქალაქეობა გაქვს, არც სხვა პოლიტიკური დასაყრდენი ჩვენ გარდა. ასე რომ, უჩვენოდ, ფაქტობრივად, ვერაფერს გახდებიო.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ერთია თანამშრომლობა პარტიებს შორის, მაგრამ თანამშრომლობა არ ნიშნავს, სახლში დაისვა ეს პარტიები. არაფერს ვამბობ მათ სანდოობაზე, ვინაიდან ყველამ კარგად ვიცით, რამდენად სანდონი არიან ისინი.

**— ზოგადად, იმ პოლიტიკური ვითარების შექმნაში, რომელიც დღეს საქართველოშია, საზოგადოების ბრალეულობას რამდენად ხედავთ? ბევრისგან მომისმენია, ხალხი რომ ასეთი პასიური არ იყოს, ხელისუფლება ამის მესამედსაც ვერ გაბედავდაო.**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე ვერ დავეთანხმები იმ შეურაცხმყოფელ განცხადებებს, რომლებსაც ჩვენი ვაიპოლიტიკოსები ხშირად აკეთებენ ქართველი ხალხის მისამართით. გახსოვთ, ალბათ, გამონათქვამები: საქონელი, ჩმორები, სახრჩობელაზე ასაყვანი ხალხი და ა.შ. ამას ის ადამიანები იძახდნენ და იძახიან დღესაც, რომლებმაც თვითონ ჩაკლეს და ჩაახშეს ხალხში ბრძოლის ჟინი; მე არ ვიცი, რა სინდისი ალაპარაკებთ მათ ასეთ სისულელეს, მაგრამ ჩვენ, ალბათ, კიდევ მეტის ღირსნი ვართ, უარესს ვიმსახურებთ, რადგან სწორედ ჩვენ გავაცოცხლეთ ისინი თავის დროზე, ჩვენ აღვადგინეთ მკვდრეთით და დავაბრუნეთ პოლიტიკურ ასპარეზზე. ახლაც, როგორც ჩანს, იგივე სურთ ხალხისგან, მაგრამ რომ დარწმუნდნენ, ეს შეუძლებელია, სხვა არაფერი დარჩენიათ ღვარძლისა და ბოღმის გადმონთხევის გარდა. ამიტომაც კეთდება ეს შეურაცხმყოფელი განცხადებები საზოგადოების მისამართით, რითაც, სხვათა შორის, სინამდვილეში თავიანთი თავის დისკრედიტებას უფრო ახდენენ, ვიდრე საზოგადოების.

**— მოკლედ, თქვენი აზრით, საზოგადოება არაფერ შუაშია და პასუხისმგებლობა მხოლოდ პოლიტიკოსებს ეკისრებათ?**

— არა, ეს მეტისმეტად ცალსახა შეფასებაა. მე იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსმა პასუხისმგებლობა სხვას დააკისროს, თვითონ კი ხელი დაიბანოს. ხალხი რა შუაშია, თუ შენ საზოგადოების ზურგს უკან ვიღაც-ვიღაცებს ურიგდები და მილიონებს იღებ. ეს არის ის მეთოდები, რითაც ეს ე.წ. ოპოზიცია მოქმედებდა და მოქმედებს დღესაც, ამიტომ მე მათ პოლიტიკოსებს ვერ დავარქმევ, ესენი არიან ჩარჩ-ვაჭრები, რომლებმაც პოლიტიკა გაიხადეს ფულის კეთების საშუალებად და ხალხის მოტყუების, ქვეყნის გაყიდვის ხარჯზე იწყობენ ბიზნესს. ასეთ ადამიანებს არათუ საზოგადოების გაკრიტიკების უფლება არ აქვთ, არამედ, ჩვენ რომ ცოტა უფრო პრინციპულები ვიყოთ, ისინი საერთოდ ვერ უნდა ბედავდნენ ხალხში გამოჩენას. არაფერს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობაზე, რისი მორალური უფლება მათ საერთოდ არ აქვთ...

**«მმართველი გუნდი უკვე, ფაქტობრივად, გვექცა რაღაც ზეპრივილეგირებულ, ყოვლისშემძლე კლანად, რომლისთვისაც არ არსებობს არც კანონი, არც კონსტიტუციური ჩარჩო და არც ხალხის ინტერესები, მისთვის ყველაფერი დაშვებულია»**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

კონსპიროლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიქტატორმა სააკაშვილმა, რომელმაც ისრაელის სამხედროები მოიწვია და სამხრეთ ოსეთში მათი სასტიკი დანაშაულობების თანამონაწილე გახდა, ძალაუფლება შეინარჩუნა და კვლავაც მდიდარ ელიტაზეა ორიენტირებული, უბრალო ადამიანების გასაჭირის ხარჯზე. საქართველოს კატასტროფამდე მიყვანის შემდეგ, ისრაელნი კავკასიის სხვა ნაწილებზე გადავიდნენ; ასე გადადის ცეცხლი სხვა ადგილზე, მას შემდეგ, როცა მოსრავს ყველაფერს, რაც იწვის.**



### ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# მონაწილეობდა თუ არა მოსადი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში? იყვნენ თუ არა ჩართული ისრაელის სპეცრაზმები საბრძოლო შეტაკებებში? აკონტროლებდა თუ არა ფრენკელის მეშვეობით თელ-ავივი საქართველოს ტელეკომუნიკაციებს?

**მწერალმა და მკვლევარმა, ეროვნებით ებრაელმა ლევ გუნინმა სიონიზმის კვლევას უამრავი ნაშრომი მიუძღვნა. მას, წარმოშობის მიუხედავად, ზოგი ანტისემიტს ეძახის, ზოგი — იუდეველთა მოღალატეს, სინამდვილეში კი იგი ებრაელი ხალხის (და არა მარტო), მისი თვითმყოფადობის გადარჩენაზე ფიქრობს. იგი არ შეიძლება იყოს და არც არის ანტისემიტი, ანტისიონისტი კი ნამდვილად არის, რადგან მიაჩნია, რომ სიონიზმის პრაქტიკა ებრაელი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ქართველი მკითხველისთვის კი უთუოდ საინტერესო იქნება ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს 2008 წლის ომს და დღევანდელი ქართული ყოფის პარადოქსებს ხსნის. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ მისი ნაშრომის თარგმანს, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდება.**

**სამეცნიერო კვლევა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ანექსიის შესახებ, რომელშიც მოტანილია შემოწმებული და სარწმუნო და, ამავე დროს, სენსაციური და შოკისმომგვრელი ფაქტები და ცნობები, შესაძლოა, ბევრისთვის ეს დისონანსურად ჟღერს, როგორც შეუთავსებელი, მაგრამ ყველა პატრიოტმა – რუსეთის პატრიოტმა, კავკასიის პატრიოტმა და ევროპის პატრიოტმა ეს ნაშრომი უნდა შეისწავლოს. ამ მასალის ცოდნაზე ჩვენი საერთო მომავალი არის დამოკიდებული.**

## 1. ომი გრძელდება

**რუსეთისა და კავკასიის ხალხებს უფლება აქვთ, იცოდნენ, რომ 2008 წლის ოსეთის კამპანია ახლა უკვე რუსეთის ტერიტორიაზე გრძელდება. ვინ არის ეს უბოროტესი და მზაკვარი მტერი, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გეგმაზომიერ მიტაცებას ახორციელებს? ვინ აცილებს რუსეთს ჩეჩნეთს, დაღესტანს, ჩერქეზეთს, ინგუშეთს და კავკასიისა და კავკასიისპირეთის სხვა რაიონებს? ვინ დანიშნა, ფაქტობრივად, საკუთარი გუბერნატორები ამ მხარეებში? ვისმა ძალაუფლებამ გადააჭარბა კრემლის ძალაუფლებას?**

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოში „ქართული“ (სინამდვილეში ისრაელის სპეცდანიშნულების დანაყოფები და მისი დაქირავებული ებრაული კომპანიები: მოსადის ფილიალები Elbit systems, Global CST და სხვ.) ჯარები თავს დაესხნენ სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალს (ცხინვალი) და რუს მშვიდობისმყოფელთა კარვის განადგურების შემდეგ სისხლიანი კალო დაატრიალეს, მეთოდურად ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას: ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. რუსეთის არმია რომ არ ჩარეულიყო, არა ათასი, არამედ ათეულობით და ასეულობით ადამიანი დაიღუპებოდა: მთელი ქალაქისა და ოლქის მოსახლეობა. ხანმოკლე რუსულ-ქართული ომის შედეგად საქართველო სასტიკად დამარცხდა, დაკარგა უამრავი სამხედრო ტექნიკა, მიადგა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. **დიქტატორმა სააკაშვილმა, რომელმაც ისრაელის სამხედროები მოიწვია და სამხრეთ ოსეთში მათი სასტიკი დანაშაულობების თანამონაწილე გახდა, ძალაუფლება შეინარჩუნა და კვლავაც მდიდარ ელიტაზეა ორიენტირებული, უბრალო ადამიანების გასაჭირის ხარჯზე. საქართველოს კატასტროფამდე მიყვანის შემდეგ, ისრაელნი კავკასიის სხვა ნაწილებზე გადავიდნენ; ასე გადადის ცეცხლი სხვა ადგილზე, მას შემდეგ, როცა მოსრავს ყველაფერს, რაც იწვის.**

მიუხედავად ორმხრივი ინტერესის გაცივებისა და საქართველოს ნაწილობრივ ირანზე ორიენტირებისა (საქართველომ ტეგეტანთან უვიზო რეჟიმი შემოიღო, იზრდება ტურისტული და ეკონომიკური კავშირები), ისრაელი კვლავაც მის ყელშია ჩაფრენილი და მის მტრებსა და მოძულეებს გამალებით აიარაღებს. ასეა ჩაფრენილი ნეკროფილი ცივ სხეულს, რომლიდანაც სიცოცხლე წავიდა. ყველაფერი მარტივია. British Petroleum-მა, კომპანიამ, რომელიც სადღაც როტშილდების კლანის უბეშია მოკალათებული, ნავთობსადენი გაჭიმა ბაქოჯეიჰან-ისრაელის მიმართულებით. ეს მილი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე არის გადაჭიმული (შემდეგ — ხმელთაშუა ზღვაზე გადის), ხოლო ორ ზღვას შუა მთიანი მასივია – საქართველო.

2008 წლის აგვისტოში მე პირველი გამოვეხმაურე ტრაგიკულ მოვლენებს ცხინვალში და ჩემი შეფასება ყველაზე სწორი აღმოჩნდა. **ეჭვგარეშედ არის დადასტურებული, რომ ოსებისა და რუსების წინააღმდეგ არა სააკაშვილის არმია, არამედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფარქვეშ მოქმედი ისრაელი სამხედროები გამოვიდნენ.**

კრიტიკოსთა და ანტაგონისტთა 90 პროცენტმა საბოლოოდ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ ისრაელმა მართლაც გადამწყვეტი როლი შეასრულა როგორც კონფლიქტის კატალიზატორმა, შეიარაღების ლომის წილის მიმწოდებელმა, სპონსორმა და ძირითადმა სამხედრო მრჩეველმა. ისრაელის დაზვერვამ და გენერალიტეტმა (ისრაელ ზივი, გალ გირში, რონი და შლომო მილო და სხვ.) საკუთარ თავზე აიღეს მთელი სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელობა; **ისრაელის სამხედრო სპეციალისტები წვრთნიდნენ და ამზადებდნენ ნარჩევ ქართულ დანაყოფებს, ისრაელის სპეცრაზმი შეტაკებებში მონაწილეობდა, ხოლო ისრაელის კორპორაციები და პარტიები მთლიანად აკონტროლებდნენ იმჟამინდელი საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.**

სააკაშვილის მთავრობაში უმაღლეს თანამდებობებზე ისრაელი პოლიტიკოსები დაინიშნენ (დავით კეზერაშვილი, თემურ იაკობაშვილი, გელა ბეჟუაშვილი, ვლადიმერ გურგენიძე და ა.შ.).

გაიხსნა პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილისი-თელავივი (მეტროპოლიასთან), რომელიც მნიშვნელობით მესამეა ინდოეთისა და აშშ-ის შემდეგ საქართველოს საჰაერო მიმოსვლის სამინისტროს რეიტინგში.

ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნება ისეთი პომპით აღინიშნა, თითქოს ეს ეროვნული დღესასწაული იყო (2008 წლის 12 მაისი: სრულიად საქართველოს ფორუმი „ისრაელი-საქართველო: ჩვენ ერთად ვაშენებთ“. ორგანიზატორები: ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ინვესტიციათა ეროვნული სააგენტო).

2007 წელს დაფუძნდა საქართველო-ისრაელის სავაჭრო პალატა, ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დასტური.

**ისრაელის მხრიდან ბიზნესპროექტების პროგრამის ხელმძღვანელმა მოშე რაპაპორტმა განაცხადა: „ისრაელისა და საქართველოს კავშირები უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის (ისრაელისთვის)“. ამ აზრს მხარი დაუჭირა საქართველო-ისრაელის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ იციკ მოშემ. შეხვედრას (2008 წ.) „ებრაული სახელმწიფოს“ 100 (!) მსხვილი ბიზნესმენი ესწრებოდა.**

მკვეთრად გაიზარდა ინვესტიციები არა მარტო ისრაელიდან (ისრაელში საქართველოს ელჩის, ებრაელ ლაშა ჟვანიას სიტყვებით), არამედ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობაც: 80 მილიონ დოლარამდე ყოველწლიურად. ისრაელის გაზეთები წერდნენ (2005), რომ „სიღატაკით ტოტალურად დაავადებულ ქვეყანაში“ სულ ორი წესიერი ოტელია, სხვებმა კი მიიჩნიეს, რომ თვით დედაქალაქშიც კი არ არის სათანადო სტანდარტის სასტუმროები. და მაინც, 2007 წლის მარტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს წარმომადგენელმა რობერტ კრისტიანსენმა ინტერვიუში განაცხადა, რომ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (რომლის ლომის წილიც ისრაელზე მოდის) საქართველოში 2006 წელს, სულ ცოტა, 1,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. წინა წელს ეს მონაცემი 800-900 მილიონ დოლარს შეადგენდა. საქართველოს ინვესტიციათა ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ისრაელის პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში (2006 წელი) 20-ჯერ გაიზარდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის ინფორმაციით კი, 2008 წელს, 2006 წელთან შედარებით, ისრაელის ინვესტიციები 40-ჯერ გაიზარდა.

**2006 წელს ისრაელში მცხოვრებმა 3 ათასზე მეტმა ქართული წარმოშობის ბიზნესმენმა ორმაგი, ისრაელ-საქართველოს მოქალაქეობა მიიღო** (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტი), **მათ შორის** (ისრაელის გაზეთების ინფორმაციით), **ისეთმა მსხვილმა ფიგურებმა, როგორიც არის ზეევ ფრენკელი, რომლის კომპანია Tsavkisi Valley-მ თბილისის შემოგარენში 168 ფეშენებელური ვილა ააშენა. ფრენკელი ასევე აკონტროლებს ქვეყნის უმსხვილეს სატელეფონო კომპანიას** (ანუ ისრაელმა კონტროლზე აიყვანა საქართველოს ტელეკომუნიკაციები), **მსხვილ სამედიცინო ცენტრს და დასავლეთ საქართველოს მთელ აგროინდუსტრიას.**

ეს ყოველივე მაინცდამაინც აფიშირებული არ ყოფილა ორი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ვიდრე ეკონომიკური განვითარების მინისტრმა „საშინელი საიდუმლო“ არ გათქვა: „Hundreds of investments are already made in Georgia from Israel“ („ასობით ინვესტიცია ჩაიდო უკვე საქართველოში ისრაელიდან“).

ჯერ კიდევ 2007 წლის 24 ოქტომბერს ისრაელის გაზეთმა HaAretz-მა მკითხველს საქართველო-ისრაელის ურთიერთობების „ვულკანური“ განვითარების შესახებ აუწყა. სტატიის სათაური მართლაც „წინასწარმეტყველური“ იყო: **„ისრაელის მიერ შთაგონებული ქართველი მინისტრები ისრაელთან უფრო მჭიდრო სტრატეგიული (სამხედრო–სამოკავშირეო) თანამშრომლობისკენ ისწრაფვიან“.**

ქართველი მინისტრი ბეჟუაშვილი რეგულარულად ხვდებოდა ისრაელის ლიდერებს – შიმონ პერესს, ციპი ლივნის, სპიკერ დალია იცხაკს და სხვ.

ტყუილად როდი წერდა ინტერნეტ-ჟურნალი thethruthseeker.co.uk, რომ **ისრაელმა საქართველოს მხარე დაიკავა რუსეთთან ბრძოლაში კასპიის ნავთობსადენისათვის.** არაფორმალური მედია არხი, რომლის მოსადთან კავშირზე ეჭვობენ, იუწყება, რომ ისრაელის სამხედრო მრჩევლები (ალბათ, უფრო მეთაურები) სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში მონაწილეობენ, მოტივაცია: ნავთობსადენი.

ქართული ჟურნალი Invest Today-ი იუწყება ისრაელის 60 მსხვილი საინვესტიციო პროექტის შესახებ, რომელიც საქართველოში ხორციელდება.

**შემთხვევითი არ არის, რომ ლუბავიჩური მიმდინარეობის ებრაული რელიგიური ორგანიზაცია „ჰაბადი“** (ადრეული შუა საუკუნეების მებრძოლი ქრისტიანული მისიონერ-ჯვაროსნების ანალოგი) **თბილისში მიშიკო სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაფუძნდა. ებრაელ აშკენაზთა ორდენი „ჰაბადი“ ერთობ უცნაურად გამოიყურება თბილისში. „ჰაბადმა“ მართლაც უკიდეგანო საქმიანობა გაშალა.** თავისი კანტორიდან თბილისის ცენტრში (შევჩენკოს ქ. №10) იგი მართავს ებრაელთა სათემო ცენტრს, ებრაული დღესასწაულების პროგრამას, რელიგიურ კურსებს სტუდენტებისთვის, კომპიუტერულ კურსებს, ქაშერი სურსათის პროგრამას, კლინიკებში ავადმყოფების ნებაყოფლობით მონახულების მისიას, პატიმართა მონახულების მისიას, ხანდაზმულებზე ზრუნვას, ებრაული რელიგიური ქორწინების მომზადების პროგრამას, დამკრძალავ მომსახურებას, უფასო საკვების განაწილებას, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას, ფულადი სესხების პროგრამა „მეზუზას“, სკოლისშემდგომ პროგრამას, ბარ-ბათ-მიცვას აღნიშვნას, ებრაული ტრადიციების (დღესასწაულების) საგანმანათლებლო პროგრამას, უსახლკაროთა დახმარების პროგრამას, სათემო ლექციებს, მეზუზის და ტეფილინის შემოწმებას, პერსონალური გაკვეთილების კურსს, ქაშერი საკვების მიწოდებას, დღის სკოლას „ორ ავნერი“, სინაგოგასთან არსებულ სკოლას „იალდეი მე-ჰა-შემი“, საზაფხულო ბანაკს და სხვ.

**განა გასაოცარი არ არის, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში, სადაც წარმოუდგენელი სიღატაკე და ტოტალური უმუშევრობა არის გამეფებული, სააკაშვილის ტახტზე ასვლისთანავე ებრაული თემი თანმიმდევრულად იზრდება და მხოლოდ დედაქალაქში 15 ათას ადამიანს აჭარბებს (მანამდე ამდენი არასოდეს ყოფილა)?**

**რუსებისა და ქართველების რაოდენობა კლებულობს (მოსახლეობის მატება ძირითადად ეროვნული უმცირესობის ხარჯზე ხდება), ხოლო „ფრანგები“ მრავლდებიან.**

ადგილობრივი ებრაელების მიახლოებითი დაანგარიშებით, 2008 წლისთვის საქართველოში 30 ათასი ებრაელი ცხოვრობდა (საქართველოს მოსახლეობის 3 მილიონზე ცოტა მეტის ფონზე). მას შემდეგ, როცა 90-იან წლებში სიონისტებმა საქართველოში მცხოვრები 50 ათასი ებრაელი ისრაელში გაიტყუეს (ებრაული გლობალური ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგი), ქვეყანაში არა უმეტეს 8-9 ათასი ებრაელი დარჩა. ებრაული ორგანიზაციები ტრაბახობენ, რომ ქრისტიანი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილის იუდეურ რჯულზე მოქცევა მოახერხეს.

zhurnal.lib.ru

(გაგრძელება იქნება)

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართალია, დათვი ორი იყო და ერთ-ერთის შეჭმით საქართველოს საგარეო საფრთხეების საბოლოოდ ამოწურვა ჯერ ვერ მოხერხდა, მაგრამ გორელებს თამამად შეუძლიათ პატაკი ჩააბარონ სააკაშვილსაც და ევროკავშირსაც, რომ დათვის მიმართ დამოკიდებულებაში „მენტალური რევოლუციის“ მიღწევები უპრეცენდენტო და „დღემდე არნახულია“.**

# დათვი, ძაღლი და ქართული პოლიტიკა



**გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები ერთი ხელის მოსმით გაანეიტრალა. სტალინის სახელობის ცენტრალურ პარკში მცირე ზოოპარკის მშენებლობისთვის ჯერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 300 ათასი ლარი დახარჯა, შემდეგ იქ ორი დათვი დააბინავა, ხოლო ახალი წლის წინა დღეებში ერთი დათვი გამგეობის თანამშრომლებმა დაკლეს და მიირთვეს.**

უძველესი ხალხების რწმენაში, თუკი მტერს მოკლავდი და მის ორგანოებს შეჭამდი, მისი სული და ძალა შენში გადმოსახლდებოდა. გორელებიც ამ უძველესი რწმენით შეიარაღდნენ და დათვი შეახრამუნეს. აბა, რა გასაკვირია, როცა ამას წინათ ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ასე დამოძღვრა საკუთარი სატრაპები: **„დათვს რომ ბაბაია დაუძახო, სულაც არ ნიშნავს, რომ მოეწონო და სხვათაშორის, თუ მოეწონები, კიდევ უფრო კარგად შეგჭამს. ყველაზე კარგი მეთოდი დათვთან არის, რომ ჯოხი აიღო ხელში, ჩაარტყა და ყველაზე კარგია, თუ გაქვს პისტოლეტი ან თოფი, კიდევ უფრო კარგი, მსხვილკალიბრიანი“!** გორელებს არც ჯოხი დაჭირდათ, არც პისტოლეტი და არც მსხვილკალიბრიანი შაშხანა. მათ ხერხი ამჯობინეს. არა, ასეც არ უმხეციათ, დათვი არ გაუხერხიათ, მაგრამ ღონეს ხერხი ამჯობინეს და ერთ გალიაში ორი დათვი – თან ორივე მამრი ჩასვეს! ადვილი წარმოსადგენია, ორი მამრი დათვი რა დღეშიც ჩააგდებდა ერთმანეთს, მით უფრო, რომ ორიენტაცია ორივეს ტრადიციული ჰქონდა! დაასისხლიანეს ერთმანეთი და სასიკვდილოდ მიხდილი ერთი დათვი გორის მესვეურთა ლუკმად იქცა.

**მართალია, დათვი ორი იყო და ერთ-ერთის შეჭმით საქართველოს საგარეო საფრთხეების საბოლოოდ ამოწურვა ჯერ ვერ მოხერხდა, მაგრამ გორელებს თამამად შეუძლიათ პატაკი ჩააბარონ სააკაშვილსაც და ევროკავშირსაც, რომ დათვის მიმართ დამოკიდებულებაში „მენტალური რევოლუციის“ მიღწევები უპრეცენდენტო და „დღემდე არნახულია“.**
მით უმეტეს, რომ სააკაშვილმა ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ვილფრედ მარტესთან ერთად მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა:

**„ჩვენი დამპყრობელი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პარტიის ემბლემა არის დათვი და მათი ჭკუით, ეს გამოხატავს მათ პოლიტიკურ სიძლიერეს. წარმოიდგინეთ, ევროპელმა მონადირეებმა ეს დათვი თავისი ტყიდან გააძევეს. ახლა ეს მონადირეები მოადგნენ ჩვენს რეგიონს და ამ დროს ეს დათვი შემოგვეყარა. არის ერთი გამოსავალი, როგორც ქართულ ანდაზაშია — დათვს ვუთხრათ ბაბაია და მოვეფეროთ, იქნებ არ შეგვჭამოს, მეორე გამოსავალია, მონადირეებს დავუძახოთ. ვინც ჩვენ გვეუბნება, რომ მონადირეებს არ უნდა დავუძახო, იმას ჰგონია, რომ დათვი არ შეგვჭამს, მაგრამ იმდენჯერ ვყავართ ამ დათვს წინა საუკუნეებში შეჭმული და შესანსლული, რომ მგონი საკმარისი გაკვეთილი უნდა მიგვეღო. პირადი ინტერესები არ უნდა დააყენო საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე მაღლა“.**

ევროპის სახალხო პარტიას არც ტყის და არც ზოოპარკის დათვი რომ არ ედარდება, ეს ვილფრედ მარტეს კმაყოფილ სახეზეც ეწერა, მაგრამ სამაგიეროდ, არ სძინავს ძაღლების უფლებათა დამცველ ბრიჯიტ ბარდოს, რომლის საყვედურების გამო გურჯაანის მუნიციპალიტეტი ვერა და ვერ იმეტებს ავ ძაღლს, რომელმაც უკვე 10 ადამიანი დაკბინა. მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტის, ჯემალ შარაშვილის განმარტებით, სამწუხაროდ, გურჯაანის რაიონში არ არსებობს ისეთი სპეციალური სამსახური, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა.

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ რამდენიმე სავარაუდო გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან:**

გადაიყვანეთ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები გურჯაანის მუნიციპალიტეტში და ავი ძაღლების პრობლემა ერთბაშად გადაიჭრება, ოღონდ მანამდე გაარკვიეთ, რომელი სახელმწიფოს სიმბოლოა ძაღლი, რომ თავი არ მოგვეჭრას;

გორში მიავლინეთ გურჯაანის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, რათა ეულად დარჩენილი დათვი კიდევ ვინმემ არ შეჭამოს;

შეუშვით დათვთან გალიაში სააკაშვილი, რათა მან საბოლოოდ გაანეიტრალოს რუსული საფრთხე და დათვის გულ–ღვიძლის შეჭმით რუსეთის ძალა და სული მიისაკუთროს.

**P.S. თუ სააკაშვილი დათვს ვერ მოერევა, უხმეთ გურჯაანის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს.**



# ლაზიკას საპროექტო გეგმა არც მთავრობაში არსებობს

**საქართველოს მთავრობაში ლაზიკას აშენებასთან დაკავშირებული საპროექტო გეგმა არ არსებობს. ინფორმაცია ამის შესახებ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) გვედზე გამოქვეყნდა.**

ინსტიტუტი მთავრობისგან ახალი ქალაქის — ლაზიკას აშენებასთან დაკავშირებული საპროექტო გეგმის ან აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლებს ითხოვდა.

საქართველოს მთავრობისგან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ **საქართველოს მთავრობაში არ არის დაცული ინფორმაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე ახალი ქალაქის — ლაზიკას აშენებას ეხება.**

მთავრობის კანცელარიამდე IDFI-მ ლაზიკას გეგმის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მოითხოვა. თუმცა **ინფორმაცია არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოეპოვებათ.**

აღსანიშნავია, რომ ახალი ქალაქის — ლაზიკას მშენებლობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა განცხადება 4 დეკემბერს ზუგდიდში გააკეთა. მისი თქმით, ლაზიკა ანაკლიასა და ყულევს შორის აშენდება და ის თბილისის შემდეგ საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქი იქნება.

პრეზიდენტისვე განცხადებით, ლაზიკაში პორტის მშენებლობისთვის მასშტაბური სამუშაოები 2012 წლის გაზაფხულიდან უნდა დაიწყოს.

# გაამართლა თუ არა «უსაფრთხო სკოლის» პროგრამამ?



**ბათუმის სკოლებში 2011 წლის შედეგებს აჯამებენ. ვისთვის შიდა გამოცდები თუ ტესტირება, ვისთვის კი აკადემიური ხარისხის მონიტორინგი დასრულდა. ეს შეფასების ახალი ფორმაა და მისი შედეგები განსაზღვრავს როგორც მეთორმეტეკლასელების, ისე სკოლის დირექტორების ბედს. მოსწავლეებმა უკვე იციან ატესტატის, ანუ ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად დაახლოებით რა შანსები აქვთ. გარკვეულმა ჯგუფმა კი გაიგო, რომ მათთვის უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნება დასრულდა.**

გამოცდა-ტესტირების მიმდინარეობის პროცესში სკოლების დირექტორები ამბობდნენ, რომ მხოლოდ მოსწავლეების ცოდნის დონეს ამოწმებდნენ. ითქვა, რომ ვინც შიდა გამოცდას ვერ ჩააბარებს, „იმას სკოლიდან გაუშვებენ“. ითქვა ისიც, რომ ამ მეთოდით სტატისტიკის გაუმჯობესება იგეგმება, ანუ საატესტატო გამოცდაზე მხოლოდ ის მოსწავლეები უნდა დაუშვან, რომლებიც შიდა გამოცდებს ჩააბარებენ.

უკვე ყოფილი მე-20-სკოლელი „ბათუმელებთან“ საუბრისას ამბობს, რომ გამოცდა ვერ ჩააბარა: **„სკოლას არ ვაცდენდი, მაგრამ გამოცდა ვერ ჩავაბარე. დირექტორმა მითხრა, რომ საბუთები წამომეღო“. მე-20 სკოლის დირექტორი სატელეფონო კომენტარში აცხადებს, რომ აკადემიური ხარისხის მონიტორინგი, ანუ ის პროცესი, რაც ამ ეტაპზე მათ სკოლაში მიმდინარეობს, არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მოსწავლის სკოლიდან გაგდებას. „ზოგიერთი მე-12-კლასელი არ გამოცხადდა. ვცდილობთ მშობლებთან დაკავშირებას, რომ გავარკვიოთ, რატომ არ მოვიდნენ“,** — ამბობს თეა დავითაძე.

ტესტირებაგავლილი თეა დავითაძე მე-20 სკოლაში დირექტორად ცოტა ხნის წინ დაინიშნა. მისი წინამორბედი კი, სწორედ იმის გამო აღარ არის დირექტორი, რომ ამ სკოლის მოსწავლეებმა 2010 წლის საატესტატო გამოცდები არც თუ ისე კარგად ჩააბარეს. ბათუმის პირველი საჯარო სკოლის დირექტორის – მედეა გვენეტაძის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ძნელია იმის თქმა, რომ დირექტორებმა მხოლოდ საკუთარი სამსახურის შენარჩუნების მიზნით მოიფიქრეს შიდა ტესტირება. მისთვის ცნობილია, რომ ცუდი შედეგების გამო გასულ წელს დირექტორები დაითხოვეს. მას შიდა გამოცდების, ანუ მე-12-კლასელების ჩამოშორების გზით „თავის დაცვის“ შესახებაც გაუგია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მედეა გვენეტაძის საჯარო შეფასება ასეთია: **„არც ერთი ბავშვი არ არის ისეთი, რომელმაც ატესტატი არ უნდა გაიტანოს სკოლიდან“.**

ეგრეთ წოდებული შიდა გამოცდები ბათუმსა და როგორც „ბათუმელებმა“ გაარკვია, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც, ამ ეტაპზე მოსწავლეებს ყველაზე მეტად აღელვებთ. **„ზოგი მართლა თავისით წავიდა, მაგრამ ზოგს არ უნდოდა წასვლა. გამოცდები, ძირითადად, იმათ ვერ ჩააბარეს, ვინც ღარიბია და დამატებით ვერ მეცადინეობს“.**

იმის დადგენა, თუ რამდენ მე-12-კლასელს მოუწევს მეორე სემესტრიდან სკოლის დატოვება, მხოლოდ დირექტორების ან მხოლოდ მოსწავლეების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯერჯერობით, შეუძლებელია. სტატისტიკური მონაცემები კი, თუ რამდენი მე-12-კლასელი იყო სასწავლო წლის დასაწყისში ბათუმის სკოლებში და რამდენი დარჩა მეორე სემესტრში, წესით, აჭარის განათლების სამინისტრომ უნდა გამოაქვეყნოს.

**პასუხობს თუ არა შიდა ტესტირება-გამოცდის ჩატარების გზით თუნდაც ერთი მოსწავლის გაშვება სკოლიდან განათლების სამინისტროს „უსაფრთხო სკოლის“ პროგრამას? ვისთვის არის შიდატესტირება საფრთხის შემცველი და ვისთვის უსაფრთხო?**

ბათუმის მე-17 სკოლის დირექტორი ირინა ვადაჭკორია: **„შეიძლება ბავშვმა მეორე სემესტრში ისე მოინდომოს, რომ ატესტატი გაიტანოს. შარშან პირადად მე მქონდა ასეთი პრაქტიკა, როცა ორმა მოსწავლემ პირველი სემესტრის შემაჯამებელ წერაზე დაბალი ქულები მიიღო, მაგრამ მეორე სემესტრში იმდენი იმუშავეს, რომ კომპიუტერთან ჩააბარეს გამოცდები და ატესტატიც აიღეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ აღმზრდელობითი ორგანიზაცია და არა — კოლონია. სკოლის დამთავრებამდე 4 თვით ადრე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ვუთხრათ მოსწავლეს, რომ სკოლაში სწავლა მიატოვოს. მგონია, ამის უფლება არც კანონით გვაქვს... აუცილებელია ყველა ბავშვს ბოლომდე მივდიოთ“.**

ექსკლუზივი

ვმეგობრობდით და დღესაც ვმეგობრობთ ბელორუს ალექსანდრ მედვედთან, რუს ალექსანდრ ივანიცკისთან, ოსებთან — სამ ძმა ანდიევთან, ალიკ ბესთაევთან, ელკან თედეევთან, უკრაინელ ვლადიმერ სინიავსკისთან, დაღესტნელ ალი ალიევთან, სომხებთან — იური შახმურადოვთან და ნორიკ მუშელიანთან, აზერბაიჯანელ აიდენ იბრაგიმოვთან და ბევრ სხვასთან.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზარბეგ ბერიაშვილი:**

# საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, საქართველოში ძალიან არასწორი პოლიტიკა განხორციელდა

**ეს ამბავი საკმაოდ ცნობილია სპორტის მოყვარული მკითხველი საზოგადოებისთვის: ორიოდ თვის წინათ „ლელომაც“ გამოაქვეყნა, მაგრამ ისე საინტერესოდ ჰყვება სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზარბეგ ბერიაშვილი, რომ არ შემიძლია, არ გავიმეორო.**

## „სასიკვდილო ატრაქციონი“ ოკეანეში

— 1969 წლის მსოფლიო პირველობა არგენტინაში, მარ-დე-პლატაში ტარდებოდა. დილის 6 საათზე ჩავფრინდით. ჩვენი სასტუმრო ზედ ოკეანის ნაპირზე იყო. რანაირი ქართველები ვიქნებოდით, რუსეთის ყინვების შემდეგ არგენტინას გაგანია ზაფხულში ოკეანის წყალში რომ არ შევსულიყავით?! დავყარეთ ჩანთები ნომრებში და მე, გურამ საღარაძემ, შოთა ლომიძემ, ნოდარ ხოხაშვილმა და ტარიელ ალიბეგაშვილმა მივაშურეთ პლაჟს, მაგრამ შესასვლელი დაკეტილი დაგვხვდა. აბა, რა იქნებოდა დილაუთენია?! მამაძაღლი კაპიტალისტები, ნახე, უბილეთოდ არავის უშვებენო, გავბრაზდით. პლაჟი ზღვის მხრიდანაც მავთულის ბადით იყო შემოღობილი. წყალი კი თბილი იყო, კრიალა და გამჭვირვალე. გავიხადეთ და ცოტა მოშორებით ჩავხტით პირდაპირ ნავმისადგომიდან. ვცურავთ. უცებ ვხედავთ, ვიღაც იქაური მორბის, ხელებს იქნევს და რაღაცას გამწარებული ყვირის. არ გვაცლის ნებივრობას! ძალიან რომ გადაირია, ვიფიქრეთ, აქ რაიმე საერთაშორისო სკანდალში არ გავეხვიოთ-თქო და ამოვძვერით ოკეანის ფსკერში ჩარჭობილი ნავმისადგომის მილებით: კიბე იქ არ იყო და არაფერი. მოვარდა ის კაცი ფერდაკარგული და რაღაცის ახსნა დაგვიწყო, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ — იმან ჩვენი ენა არ იცოდა, ჩვენ — იმისი... საუზმის შემდეგ სავარჯიშოდ რომ წავედით და იმ ადგილს ჩავუარეთ, მაშინღა გავარკვიეთ, რა უბედურებასაც გადავრჩით:

ორი უზარმაზარი, ლამის ერთ ტონამდე ზვიგენი *(აი, ამხელა თავები ჰქონდათ, მკლავები გაშალა ზარბეგმა)* იმ ადგილას დაეჭირათ და კუდებით დაკიდებული გამოეფინათ ჩვენისთანა გაუგებარი ხალხის გასაფრთხილებლად: ზვიგენები იცის, ხალხო, ამ წყლებში და მარტო მავთულის ბადით დაცულ ადგილებში იცურავეთო.

გურამ საღარაძეს ისე გაეხარდა გადარჩენა, რომ მივარდა იმ კაცს, დილით რომ რაღაცას გვიყვიროდა, ისე აიტაცა, გეგონებოდა ახლა მიწაზე დაანარცხებს და ჩემპიონიც გახდებაო.

მერე შევაგროვეთ, რაც სუვენირები გვქონდა, და იმ დალოცვილ ადამიანს ვაჩუქეთ მადლიერმა ქართველმა სპორტსმენებმა.

**(მოკლედ, ამათ დედებს შეეძლოთ ეთქვათ:**

თითო შვილ მაინც
გავზარდეთ
ზვიგენთან მოცურავეო).

## ფრე, რომელიც გამარჯვებაზე მეტი იყო

**ზედიზედ ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ზარბეგ ბერიაშვილი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის მსუბუქ წონაში. არც ერთ ქართველ სპორტსმენს ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევია ჭიდაობის არც ერთ სახეობაში. და ასევე თბილისის არც ერთ ასპარეზზე, სადაც კი გამოსულა, არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.**

**ერთი უნიკალური მიღწევაც აქვს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის — ცნობილი გეპეის, სადაც სხვადასხვა დროს მრავალი გამოჩენილი მოჭიდავე სწავლობდა, აბსოლუტური ჩემპიონია.**

**— ჩვენთანაც იყვნენ — უნივერსიტეტში, — ვიცავ „გოსუნტის“ ღირსებას, ამ სტრიქონების ავტორი, — მაგალითად, ოთარ კანდელაკი, ლეგენდარული სანდრო კანდელაკის ვაჟი.**

— ბატონი ოთარი ჩემზე რვა წლით უფროსია. ოთარი იმ დროს აქტიურ ჭიდაობას ჩამოცილებული იყო, როცა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა 1960 წელს ქალაქ ბაქოში გაიმართა. ბელორუსიის გუნდში გამოჩნდა მაშინ ალექსანდრე მედვედი, მაღალი, ძარღვიანი, ფოლადის ზამბარა რომ არის, ისეთი.

**— დიდი მოჭიდავე.**

— ოო, მაგისთანა შედეგები არავის ჰქონია! ჰოდა, 8-8 სპორტსმენს, წონების მიხედვით, უნდა მიელო მონაწილეობა თითოეული რესპუბლიკიდან. ოთარს სთხოვეს, მძიმე წონაში შენ გამოდიო. უვარჯიშებელი იყო, მოუმზადებელი. უარზე იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა. თანაც უთხრეს, რომ მედვედს ვეტყვით და ისიც სხვათაშორის იჭიდავებსო.

დაელაპარაკნენ მედვედს. იმან კატეგორიული უარი შემოთვალა: არავითარ შემთხვევაშიო! უთხრეს ეს უარი ოთარ კანდელაკს.

არაო? გაბრაზდა კანდელაკი. გავიდა, ბიჭო, ხალიჩაზე, თანაბრად იჭიდავეს და ფრედ დამთავრდა შეხვედრა. ორივეს აუწიეს ხელი. ჩვენს წარმომადგენელს არავინ რომ არ მიემხრობოდა, ხომ ნათელია.

მედვედმა კი მიაყოლა და მიაყოლა: 1962-ში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 63-შიც, 64-ში — ოლიმპიური ჩემპიონი და ასე შემდეგ.

ოთარ კანდელაკმა ბეჭდაუდებელი მამის ტრადიცია ვაჟკაცურად დაიცვა.

ზარბეგ ბერიაშვილი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში



## ჩანართი ბატონ რამაზ გოგლიძის საყურადღებოდ

— „ლელოში“ ჩემზე მასალა რომ დაიბეჭდა, ერთმა კარგმა კაცმა, ყოფილმა პარტიულმა მუშაკმა (განა ყველა პარტიული იყო ბიუროკრატი და კარიერისტი!) მითხრა, შენ მხოლოდ სპორტსმენი კი არა, საწარმოს დირექტორიც იყავი და ამაზე რატომ არაფერს ლაპარაკობო?

**— შეიძლება იმ კაცის სახელის გაგება?**

— რატომაც არა, მაშინ საქარხნო პარტრაიკომის პირველი მდივანი იყო. რამაზ გოგლიძე. იცნობ?

**— ერთი თაობისანი ვართ და ერთადაც გვივლია წლების მანძილზე.**

— მაშინ ჩემი დახასიათება არ დასჭირდება... აი, სწორედ მის დროს ვმუშაობდი ტაქსების №4 საწარმოს დირექტორად. შემდეგ გადამიყვანეს №3 საწარმოს დირექტორად, რომელიც საბჭოთა კავშირში ტაქსომოტორების რაოდენობით ერთ-ერთი უდიდესი იყო, ხოლო ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლებით — საუკეთესო, მიუხედავად იმისა, რომ ტრიალ მინდორში ვიყავით განლაგებული. კარგად ვმუშაობდით. საბჭოთა კავშირის მონათესავე საწარმოებს შორის პირველ ადგილზე არაერთხელ გავსულვართ.

იმის შესაძლებლობაც გვქონდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაგვეფინანსებინა ჩვენი მოჭიდავეების სხვადასხვა საზღვარგარეთულ ტურნირებზე გამგზავრება. მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოს ბიუჯეტიც არ ჰქონდა, ჩვენ გავწიეთ მოჭიდავეების კანადაში, შვედეთში და სხვაგან გამგზავრების ხარჯები.

რამაზ გოგლიძე აფასებდა ჩვენს საქმიანობას, საქმიანად მხარში გვედგა და არც ჩვენ გაგვიწბილებია. ასე მგონია, რომ ცუდი დირექტორი არ ვყოფილვარ: ერთ დროს ჩამორჩენილი საწარმო საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველ ადგილს რომ დაიკავებს, რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

**(ვუდასტურებ, რომ მართლაც ბევრს ნიშნავს, ხოლო „წითელი დირექტორობა“ ისევე, როგორც „წითელი ინტელიგენცია“ „ჩარეცხილების“ ავტორის წინამორბედების ლინგვისტურ-პოლიტიკური სიტყვამრუშობის მაგალითია, რომელსაც, თუ მაგარი ნერვები გაქვს, ყურადღება არ უნდა მიაქციო.**

**მაგრამ ვილას შერჩა დღეს მაგარი ნერვები?!**

**მოკლედ, ბატონო რამაზ, ზარბეგ ბერიაშვილმა თქვენი შენიშვნა გაითვალისწინა).**

## რატომ დაემდურა ვანო ბერიაშვილი თავის ვაჟს

— საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, საქართველოში ძალიან არასწორი პოლიტიკა განხორციელდა ოსების მიმართ, დაუფიქრებელი, გაუაზრებელი მოქმედება, — **გულდაწყვეტით შენიშნავს ჩემი რესპონდენტი და ამას გარდამავალი პერიოდის თავისებურებით ხსნის,** — რაღაცები დააბრალეს ოსებს — სეპარატისტებისთვის იარაღს ყიდულობენო და რაღაც ასეთები...

1800-ზე მეტი მარტო ტაქსის მძღოლი მუშაობდა მაშინ ჩვენს საწარმოში. 134 ოსი ეროვნების იყო: მათგან ორი ავტოშემკეთებელი, ერთი — ბუღალტერი, დანარჩენი — შოფრები. იმ დროისთვის 700-ზე მეტი მარტო ტაქსი გვყავდა. ადგნენ ეს ოსები და წაიყვანეს თავ-თავიანთი მანქანები ჩრდილოეთ ოსეთში.

— 130?!

— კი. საზღვარი სად იყო, დამშლელი ვინ იყო?! არეული იყო ყველაფერი. დავურეკე მაშინ ჩვენს ბიჭებს ოსეთში და ყველა მანქანა ჩამოიყვანეს. უკლებლივ. ბენზინის ფულის მიღებაზეც უარი თქვეს. ასე იყო... ბაკურიანისკენ მიტარბი რომ არის სოფელი, ხომ იცით?

**— რა თქმა უნდა!**

— ჰოდა, იქ ოსები ცხოვრობდნენ. სხვა ოსური სოფლებიც იყო. ნამყოფი ვარ. ავტომატებით მიუვარდნენ. რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ?! მშრომელი ხალხი იყო, წესიერი და პატიოსანი...

**— მანქანების ამბავი ვის შეუთვალეთ ოსეთში?**

— მოჭიდავეები რომ იყვნენ, ჩვენები, იმათ. უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ და აქვთ ოსეთში. ანდიევი — ბრწყინვალე მოჭიდავე და ბრწყინვალე ადამიანი.

**— გუსოვი?**

— იური გუსოვი ცალკე თემაა.

## ჩანართი თემაში

**„საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონატის ფინალში გუსოვი ისე გავიდა, რომ ერთი საჯარიმო ქულაც არ ჰქონია. ყველა მეტოქეს წმინდად მოუგო. მისგან განსხვავებით ზარბეგ ბერიაშვილმა ფინალამდე ჯარიმების მთელი წყება აიკიდა... გუსოვს ოქროს მედლისთვის ფრეც ჰყოფნიდა. ბერიაშვილს კი ხელს მხოლოდ წმინდა მოგება აძლევდა. მანაც აიღო და მეტოქე ბეჭებზე დასცა... ხუთი წელიწადი (1962-1966) იგი ზედიზედ იგებდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებს.**

**— „ოქროსთან“ ზარბეგ ბერიაშვილმა არ მიმიშვა. იგი ყოველთვის პოულობდა ჩემს დაცვაში ერთადერთ სუსტ ადგილს და ზუსტად ურტყამდა მიზანს... მაშინ კი, როცა ვისწავლე, როგორ მომეგო მისთვის, უკვე ორივენი ვტოვებდით სარბიელს,“ — თქვა გუსოვმა“ (იან დიმოვი „საჭიდაო ხალიჩის რაინდები“).**

— გუსოვთან ხალიჩის მიღმა მეგობრული ურთიერთობა მქონდა, — **მიყვება ბატონი ზარბეგი,** — გურამ საღარაძეც მეგობრობდა. უმაღლესი ადამიანური თვისებებით იყო შემკული. და, საერთოდ, მოჭიდავეებს მთელ კავშირში ერთი დიდი საძმო გვქონდა, რომლის მსგავსი, მეეჭვება, სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებს ჰქონოდათ.

ვმეგობრობდით და დღესაც ვმეგობრობთ ბელარუს ალექსანდრ მედვედთან, რუს ალექსანდრ ივანიცკისთან, ოსებთან — სამ ძმა ანდიევთან, ალიკ ბესთაევთან, ელკან თედეევთან, უკრაინელ ვლადიმერ სინიავსკისთან, დაღესტნელ ალი ალიევთან, სომხებთან — იური შახმურადოვთან და ნორიკ მუშელიანთან, აზერბაიჯანელ აიდენ იბრაგიმოვთან და ბევრ სხვასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის.

## რამ აღაშფოთა გურამ საღარაძე

— ბედი, ყისმათი სპორტში მეორეხარისხოვანი საკითხი არ არის, — **განაგრძობს ზარბეგ ბერიაშვილი,** — მე, მაგალითად, ისეთი ბედი მქონდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატების და ოლიმპიური თამაშების წინასწარ შეხვედრებში მაინც და მაინც უძლიერესებთან მიხდებოდა ჭიდაობა.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ კენჭისყრით მეორეხარისხოვან მოჭიდავეს შევხვედროდი. უეჭველად უნდა მეჭიდავა მსოფლიოს ან ყოფილ, ან მომავალ ჩემპიონთან, ან ოლიმპიურ ჩემპიონთან. ქულებით მოგების შემთხვევაში გამარჯვებულს ერთი საჯარიმო ქულა ეწერებოდა, ფრეზე — ორი. თუ ექვსი საჯარიმო დაგიგროვდებოდა, ქულებით ყველასთვის რომ მოგეგო, მაინც „თამაშგარეთ“ რჩებოდი.

ტოკიოს ოლიმპიადაზე ვინც ჩემპიონი გახდა, იმას თვრამეტით ერთი მოვუგე, მაგრამ მეხუთეზე გავედი.

**— უბედურება იყო ის წესები, — აღშფოთებას დღესაც არ მალავს გურამ საღარაძე, — ზარბეგი ნაღდი ოლიმპიური ჩემპიონი იყო, მაგრამ მაშინ მოქმედი წესების იდიოტიზმმა შეუშალა ხელი.**

**ამის თვალსაჩინო მაგალითი 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონატიც იყო. ბერიაშვილი შეხვდა ირანელ მოვაჰედს. ორივეს 3,5-3,5 საჯარიმო ქულა ჰქონდა. მაგრამ ზარბეგს ორი შეხვედრა წმი-** ▶



ასე ჭიდაობდა ზარბეგ ბერიაშვილი

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატარა ბიჭები ვბღლარძუნობდით. ორს თუ მოვუგებდი და ერთთან წავაგებდი, მამაჩემი — ვანო ბერიაშვილი მხარზე ხელს დამარტყამდა — „მალადეცო!“ — მეტყოდა. მსოფლიოში მეორე ადგილი რომ დავიკავე, ორი თვე ხმა არ გამცა!**

**ნდად ჰქონდა მოგებული, ირანელს — არც ერთი. ზარბეგს, აღნიშნულია სპორტულ ანალებში, „ფრეც ხელს აძლევდა. იგი ადვილად აღწევს მას და მსოფლიო ჩემპიონი ხდება ოფიციალურად: მსაჯი-ინფორმატორი მის გამარჯვებას აუწყებს მაყურებელს“.**

**მაგრამ...**

**პირველ ადგილზე გადის ირანელი მოვაჰედი! მკითხველს არ დავღლი ამ უსამართლო-სამართლის ვირეშმაკობის დეტალების განხილვით, რაც ასპარეზობის რეალური შედეგების თავდაყირა დაყენების მიზეზი ხდებოდა).**

**— მაგრამ მაინც ხომ გახდით მსოფლიო ჩემპიონი 1969 წელს?**

— იქ შებრუნებით მოხდა ყველაფერი. სამი წრის შემდეგ უკვე ჩემპიონი ვიყავი. პირველი შეხვედრა მოვუგე ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ ამერიკელს, მოვუგე ირანელს, ბულგარელს. აღარ დარჩა მოჭიდავე: ერთი ფინელიღა ჭიდაობდა მეორე ადგილისთვის. 2 წუთსა და 17 წამში დავაწვინე ბეჭებზე.

პატარა ბიჭობაში ავჭალაში ნახერხდაყრილ მოედანზე რომ ვჭიდაობდი, მაშინ ასეთი მოედნები იყო სოფელ ძალისში, დიღომში, მარტყოფში, საგურამოში, იქით — საგარეჯოში, წითელ წყაროში, თითქმის ყველა სოფელში, გაზაფხულ-ზაფხულის ყოველ შაბათ-კვირას ჭიდაობა იმართებოდა ზურნადუდუკის თანხლებით. ნახევარ საუკუნეზე წინანდელ ამბავს გიყვებით. სანამ უფროსი მოჭიდავეები გამოვიდოდნენ, პატარა ბიჭები ვბღლარძუნობდით. ორს თუ მოვუგებდი და ერთთან წავაგებდი, მამაჩემი — ვანო ბერიაშვილი მხარზე ხელს დამარტყამდა — „მალადეცო!“ — მეტყოდა. მსოფლიოში მეორე ადგილი რომ დავიკავე, ორი თვე ხმა არ გამცა!

**— ჩემპიონობა უნდოდა! — ორივენი გულიანად ვიცინით, ჩვენ და ზარბეგის შვილიშვილი, 15 წლის ვანო, რომელიც პაპას ინტერვიუზე მოჰყვა და რომელიც, როგორც გავიგე, მოჭიდავის კარიერისთვის ემზადება.**

**— მოგწონს ჭიდაობა?**

— დიახ!

**— გვყავს ახლა ნიჭიერი მოჭიდავეები? — ვეკითხები ზარბეგს.**

— კარგი ბიჭები გვყავს, როგორ არ გვყავს! მაგრამ უცნაური წესებია ახლა შემოღებული. ორ-ორწუთიან პერიოდებში ვერც ნიჭს გამოამჟღავნებ, ვერც ოსტატობას. დადგება გაუნძრევლად შენი მოწინააღმდეგე, ვერც ილეთს ჩაუტარებ, თვითონაც არ ეცდება. ფრედ მთავრდება შეხვედრა. მაშინ, ადგება მსაჯი და, ახალი წესების თანახმად, „არიოლ-რეშკასავით“ გაითამაშებს — ვინ როგორ პოზაში გააგრძელებს შეხვედრას: ერთ-ერთმა „ფეხი უნდა მისცეს“, თუ ვერ წააქცევს მოწინააღმდეგე, მოგებული რჩება.

ორი წუთი ჭიდაობისთვის ძალიან მცირე დროა. სანახაობრივადაც ძალიან წააგო ჭიდაობამ.

## ერთი ველოსიპედი და მთელი ნაკრები გუნდი

— დიდი ოლიმპიური სოფელი აშენდა ტოკიოში. „ობიექტებს“ შორის საკმაოდ დიდი მანძილი იყო, ამიტომ სპორტსმენების უკეთ მომსახურების მიზნით მასპინძლებმა ველოსიპედით გადაადგილება შემოგვთავაზეს: დააჯდებოდი ველოსიპედს, სადაც გინდოდა, მიხვიდოდი, უკან დასაბრუნებლად ან იგივე, ან სხვა ველოსიპედი იყო შენს განკარგულებაში.

ერთ მშვენიერ დილას ანზორ კიკნაძე დაჯდა ველოსიპედზე, წინ ფარნაოზ ჩიკვილაძე დაისვა, ორი რუსი მოჭიდავე — უკან, ერთიც — მხრებზე და გაუდგნენ გზასა.

გზად იური მაშინი შემოხვდათ, სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ნაკრების მოჭიდავეებით დახურძლული ველოსიპედი რომ დაინახა, აყვირდა:

— Что это такое?! ჭკუა არა გაქვთ? ველოსიპედმა რომ ვერ გაუძლოს, ხომ დაიმტვრა მთელი საბჭოთა ნაკრები!

მაგრამ რა ექნათ ბიჭებს — ვარჯიშზე დროზე უნდა მისულიყვნენ, სასტუმროსთან კი ერთადერთი ველოსიპედი იდგა.

კი არიან ჭკვიანი მენეჯერები იაპონელები, მაგრამ ველოსიპედის კოლექტიური გამოყენების ავტორობა მაინც ქართველებს გვეკუთვნის.

## ჭიდაობას, ფეხის გამოკვრის გარდა, სხვა რამეც სჭირდება

— სპარინგპარტნიორი სჭირდება აუცილებლად მოჭიდავეს, საკუთარი ძალა „საქმეში“ რომ განსაზღვროს და ოსტატობაც აიმაღლოს. საერთაშორისო შეხვედრების დიდი ტრადიცია იყო ყოველთვის საქართველოში. სამწუხაროდ, დღეს არ არის იმის სახსრები, რომ სამატჩო შეხვედრები რეგულარულად გაიმართოს. ტრადიციული დონის მისაღწევად დიდი ძალისხმევა გვმართებს.

მონდომებაა საჭირო.

მე, მაგალითად, 18-ჯერ ჩავატარე ახალგაზრდა მოჭიდავეთა (16-17 წლიანების) ჩემი სახელობის ტურნირი გლდანში. სომხები და აზერბაიჯანელებიც ჩამოდიან. უნდა ნახოთ, რა კარგად ურთიერთობენ ერთმანეთში. სპორტი ნებისმიერ პოლიტიკურ კონფლიქტზე მაღლა დგას.

გლდანში, სადაც ოლიმპიური რეზერვის სკოლა იყო, დღეს სახლობის კეთილმოწყობილი ბაზა — სპორტული ასპარეზიც და სასტუმროც ფუნქციონირებს. ძალიან კარგი დირექტორი ჰყავთ (თუ არ შეცვალეს!).

წლეულსაც ნავარაუდევი გვაქვს — მარტის პირველ რიცხვებში გვინდა ჩავატაროთ.

**— ვიცი, რომ ვეტერანი მოჭიდავეები ერთმანეთში ძმებივით ხართ. გერებივით ხომ არ გექცევათ სახელმწიფო?**

— როგორც ყველა პენსიონერი, მეც 110 ლარს ვიღებ. 150 ლარს გვაძლევს სპორტკომიტეტი...

**— სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო?**

— ეგ არის. ადრე ივანიშვილი, ბატონი ბიძინა გვეხმარებოდა...

**— ამბობენ, რომ კვლავ გააგრძელებსო ქველმოქმედებას.**

— ღმერთმა ხელი მოუმართოს!.. უნდა გითხრათ, რომ ძალიან მშიერ-მწყურვალი არც ერთი არ ვართ, მაგრამ არც იმდენი გვაქვს, რომ ცოტა გამოვჩნდეთ ხოლმე.

**— რას გულისხმობთ, ზარბეგ?**

— რომელიმე ყოფილ რესპუბლიკაში რომ ჩახვიდეთ, თან გადაგყვებიან, შეიძლება მანქანა გაჩუქონ და ისე გამოგიშვან. ასეთი პატივისცემით გვეპყრობიან. რატომ, იცით? იქაურ ვეტერანებს ხელის გულზე ატარებენ და ყოველგვარ პირობებს უქმნიან, ღირსეულად რომ იცხოვრონ. ახსოვთ და არ ივიწყებენ, რომ მოჭიდავეებს ქვეყანა არაერთხელ უსახელებიათ.

ჩვენზე გადაყოლილი კაცი საქართველოში რომ ჩამოვა, შენც ღირსეულად ხომ უნდა უმასპინძლო? ბოლოს და ბოლოს, ეს მარტო შენი პირადი საქმე კი არ არის, შენი ქვეყნის სახელიცაა.

ბიძინა ივანიშვილს ეს კარგად ესმის და ამიტომაც არის სხვებისგან განსხვავებული.

**— ჩვენთან მხოლოდ უცხოელ პოპვარსკვლავებზე არიან გადარეულები და სხვა ქვეყნის ლიდერებს გულზე ორდენებს ჰკიდებენ...**

## ბერიაშვილის ეკონომიკური გათვლები

— ბიძინა ივანიშვილი კონკრეტულ ადამიანებს ხელს რომ უმართავდა, ამით სახელმწიფოს ეკონომიკურ გაძლიერებასაც უწყობს ხელს.

**— ესე იგი, რაო?**

— რაო და, ვთქვათ, იმ ფულით ვიყიდე ბენზინი მანქანისთვის. საწვავის ფასში დღეგე შედის?

**— დამატებითი ღირებულების გადასახადი შედის.**

— რასაც იყიდი, რაზეც ფულს დახარჯავ, ყველანაირი საქონელი რაღაც გადასახადით ხომ არის დატვირთული?

**— არის.**

— სად მიდის იმ გადასახადების ფული?

**— რა თქმა უნდა, ბიუჯეტში.**

— ჰოდა, ისე გამოდის, რომ ივანიშვილი მარტო ჩვენ კი არ გვეხმარებოდა, ჩვენთვის მოცემული ფულით ბიუჯეტსაც გარკვეულად აძლიერებდა.

**(ზარბეგ ბერიაშვილის „ეკონომიკურ ძიებათა“ კომენტარი პროფესორ დავით იაკობიძეს ვთხოვე:**

— ზარბეგის ხათრით არ დაგზარდები. გეტყვი, რომ მისი მსჯელობა ლოგიკურია და ფინანსური კუთხით უხინჯოა. ამიტომ სრულად ვეთანხმები და ჩემი მხრიდან დავუმატებ, რომ იმ თანხის 20-მდე პროცენტი, რომელსაც ბატონი ბიძინა ქველმოქმედების მიზნით გაიღებს, სახელმწიფო ბიუჯეტში ბრუნდება, რაც 200 მილიონ ლარზე მეტია).

**— ახლა რომ არჩევნები იყოს, ზარბეგ, ვის მისცემდით ხმას?**

— რა თქმა უნდა, ბიძინას.

**— საქართველოს მოქალაქე რომ არ არის და, მაშასადამე, პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება რომ არ აქვს?**

— ეგ არ მესმის, მაგაში გამარკვიეთ. გამოდის ვიღაც დარეხვილი და ამბობს პოლიტიკოსი ვარო. ის არის და ბიძინა ივანიშვილი შეიძლება არ იყოს?! სიღარიბეში გაზრდილმა კაცმა ამდენს მიაღწია, რაც აქვს, ხალხს უწილადებს, ქვეყანას აძლიერებს, ცხოვრებას გვიხალისებს... რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია. აი, რაფაელ ჩიმიშკიანი რომ არის, ძალოსანი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ბიძინა რომ არ დახმარებოდა, შეიძლება ვერც გადარჩენილიყო.

მილიარდერი კაცი ჩვეულებრივი ადამიანის დონეზე, ჩვენი გაგების დონეზე დარჩა. აი, ასეთი კაცი თურმე არ შეიძლება იყოს პოლიტიკოსი. არა მგონია, ეს გაუგონარი ამბავი ჩვენი ხელისუფლების სახელისთვის მუშაობდეს.

ასეთი სიტუაციაა.

**— და მაინც გჯერა საქართველოს მომავლის?**

— კი. მაგრამ რა მინდა ვთქვა, იცით? რაღაცნაირად მოვეშვით. საქმის კეთებას, მუშაობას გადაგვაჩვიეს. სირცხვილი არ არის, საქართველოს საკუთარი თავის შენახვა არ შეეძლოს?! რატომ უნდა შემოგვქონდეს ნიორი ირანიდან და კარტოფილი თურქეთიდან? ყველა ამას ვიძახით და ვერ მოვერიეთ... შემოგვაქვს, ვვაჭრობთ. მახსოვს, ჩემს ბიჭობაში თბილისში, რიყეზე, უამრავი სახელოსნო იყო, ყველაფერი გამოსდიოდათ იქაურ ოსტატებს ხელიდან. რაღა შორს წავიდე, ჩემს საწარმოში ერთი სომეხი კაცი გვყავდა, ისეთი ხარისხის „პავაროტნიკებს“ და „სტოპებს“ ამზადებდა, ქარხნულისგან ვერ განასხვავებდი.

დაიკარგნენ ის ოსტატები.

პირდაპირ მითხარით, საქართველოში სადმე ნემსი მაინც კეთდება? სხვა რაზე ვილაპარაკოთ?! დარგების ათვისებასა და ავტომობილების გამოშვებას ათეულობით წლები სჭირდება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

დგანან: ვახტანგ კუხიანიძე, მიხეილ თიკანაძე, ვლადიმერ არსენიანი, ანზორ კიკნაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, გიორგი ნანიტაშვილი, გურამ გობეჯიშვილი, შალვა ნოზაძე, ვასილ ილურიძე.
სხედან: ზაურ შეყრილაძე, ვახტანგ ბალავაძე, გურამ საღარაძე, შოთა ლომიძე და ზარბეგ ბერიაშვილი



**რომელიმე ყოფილ რესპუბლიკაში რომ ჩახვიდეთ, თან გადაგყვებიან, შეიძლება მანქანა გაჩუქონ და ისე გამოგიშვან. ასეთი პატივისცემით გვეპყრობიან. რატომ, იცით? იქაურ ვეტერანებს ხელის გულზე ატარებენ და ყოველგვარ პირობებს უქმნიან, ღირსეულად რომ იცხოვრონ**

საზეიმო გაცილება სპორტის სასახლეში. მარცხნიდან პირველი — ზარბეგ ბერიაშვილი



**P.S. ბატონმა ზარბეგ ბერიაშვილმა რედაქციაში მოსვლა დააგვიანა. გზიდან დამირეკა — ცოტა კარგად ვერ ვარ, გული მიფრიალებს და შეიძლება ვერ მოვიდეო.**

**ასეა, დიდ სპორტსმენებს მაქსიმალურად ფიტავს დიდი სპორტი, ასუსტებს, სიცოცხლის წვენს უშრიტავს — ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად.**

**მაგრამ გავიდა რაღაც ხანი და თვითონ შემოაღო რედაქციის კარი: ძალა მოიკრიბა, თავს მოერია და მოვიდა.**

**ვისაუბრეთ.**

**როცა წასასვლელად გაემზადა, ხასიათზე მოსულმა და ძველებურად ენერგიულმა მითხრა:**

**— იცი? კარგად გავხდი!**

**კარგად გამყოფოს ღმერთმა, ზარბეგ!**

**მიდიოდა ჩვენს გრძელ და გაურემონტებელ დერეფანში მსოფლიო ჩემპიონი ზარბეგ ბერიაშვილი და თავისი, ჯერ ისევ მაგარი ბეჭებით თაობის ბედი და იღბალი მიჰქონდა.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვერავითარი ძალისხმევა ქართველ ხალხს ისე ვერ შეაძულებდა ამერიკას, როგორც „ნაციონალებმა“ მოახერხეს. ყველა სასიკეთო მოსპეს ან უბედურებისა და ძალადობის სამსახურში ჩააყენეს; მოყვარე შეიძულეს და მტრებს დააკავებინეს მისი ადგილი; გამრავლებული და გამძლავრებული ქვეყანა დააკნინეს, დაამცრეს და ავანტიურისტთა საჯირითოდ აქციეს.**

**გიჟს და შლეგს ხალხი სოფლის სალაყბოზე არ ითმენს და პრეზიდენტად მისგან რა სიკეთეს უნდა ელოდე?! ჰოდა, ხომ დაგვიდგა გაჭყლეტილი ბოთლის, კვერცხებისა და შლოპანცების ძეგლები და უამრავი უმსგავსობა მოაბნია მთელ საქართველოში.**

# ვაი მიშასაგან!

**არც ერთი მხეცი არ არის იმ ადამიანზე მეტად მძვინვარე, რომელიც ძალაუფლებით აღჭურვილია და ბოროტი ვნებების დაკმაყოფილება სურს. ამგვარი ადამიანისთვის ძალაუფლების ცივილიზებული მეთოდებით ჩამორთმევა იგივეა, რაც მშიერი მგლისთვის ჯოხის გარეშე ხორცის ნაჭრის წართმევა. ამგვარ ავადმყოფებს ბოლოს ხორცის ნაჭერი და საკუთარი ტყავიც ოხრად რჩებათ.**

გივი სომხიშვილი



ჰიტლერის პირადი ექიმები ამტკიცებდნენ, რომ „მათი ფიურერი“ ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული. ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი — პარკინსონი დაუსვა, გააქრეს; ისტერიას კი ვერაფერი მოუხერხეს.

გებელსს უტიფრობის, სიცრუის დემაგოგიური ლაქლაქის დაავადება ჰქონდა და ხალხის წინაშე გამოსვლით წამლავდა კიდეც გერმანელთა ტვინს. ბოლო დროს ოთახში ჩაიკეტებოდა, სკამზე შედგებოდა და ცარიელი ოთახის კედლებს სიტყვით მიმართავდა.

კალიგულაზე იცოდნენ, რომ შეშლილი იყო, მაგრამ კარგა ხანს ითმენდნენ და თაყვანს სცემდნენ მისდამი შიშის თუ მისი ადამიანური სიშმაგის გამო.

**სოფელს ჰყავს თავისი ტუტუცი, რომელიც ხალხის თავშეყრის ადგილზე ბევრს ყბედობს, უამრავ სისულელეს აფრქვევს და მსმენელთა შორის დამცინავ ღიმილს იწვევს, რამეთუ მისი ტუტუცური აზრები მხოლოდ სმენას აშფოთებს ხეზე შემომჯდარი ჭოტის კივილივით. ახლა წარმოიდგენთ ამგვარი ტუტუცის ქვეყნის სათავეში გაძრომა და მის მიერ სისულელის ხალხში კანონად ფანტვის ყეინობა.**

უკვე შევეჩვიეთ მთავრობის სხდომების გამართვას მშენებარე სახლის სახურავზე, ტრიალ მინდორში, ტბის პირას თუ გამოქვაბულში და ტაკიმასხრობას. აღარც ყოველდღიურად სპეციალურად შეყრილი ხალხის წინ პრეზიდენტის გაუთავებელი მეზღაპრეობა გვიკვირს. ეტყობა, ბოლო დროს წნევამ, სიცხემ თუ ყვარყვარეს სიზმრებმა ისე ძალიან შეულიტინეს, რომ ჭაობში ახალი ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენების შესახებ ქვეყანა ბოდვების ნაცრის კორიანტელში გაახვია. გასაკვირი კი ის არის, რომ „ნაციონალთა“ „შპანიდან“ ერთი კაციც არ გამოჩნდა, რომ მისთვის დასიცხულ შუბლზე ცივი ტილო დაედო ან დამამშვიდებელი ხალათი შემოეცმია, რადგან...

**ყვარყვარე ნაცარს**
**ამტვერებს,**
**ბუხარში ჩრის ბრაზით კავს,**
**ინდაურებს უხარიათ,**
**აშენებსო ლაზიკას.**

ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ დემონებს, რომელთა წინაშე თვითონვე ხდებიან უძლურები. ამგვარად, ბნედიანი ეფრეიტორის ბოდვაზე გერმანელთა როკვა უბედურებად ექცა მთელ მსოფლიოს და თვით გერმანელ ხალხს. ეს დემონი — ჰიტლერი ფიურერად მონათლეს. ამასთან ერთად, შედარებით მცირე დემონებიც იჩეკებოდნენ: მუსოლინი-დუჩე, ანტონესკუ-კონდუკატოხე, ფრანკო-კაუდილიო და აგერ ამერიკამაც დაგვაჯილდოვა თავისი ლაქია მარიონეტი მიშა-ყვარყვარეთი.

**სიშმაგე, როგორც წინამორბედ დიდ დემონებს, არც ყვარყვარეს აკლია. თავის მეფუნთუშე მინისტრ ქალბატონთან ლიფტში გაჭედილი, ტერორის მოლანდებით გონებაარეული სკამის ფეხით დაცვის და სასტუმროს თანამშრომლებს დაერია და თავპირი დაუჟეჟა; მომღერალ გოგონას მკერდი ისე დაუგლიჯა, რომ მკურნალობა დასჭირდა; ზღვაში ჩაყვინთვისას დახრჩობას გადარჩენილი ორგიაზე თუ შოუზე გაუგიჟდათ და შედეგად ორი ქალბატონი საავადმყოფოში მოხვდა, მინისტრმა ფეხი მოიტეხა; ამის გადამღები ფოტოკორესპონდენტები კი რუსეთის შპიონებად მონათლეს. აბა, რა ეგონათ, გიჟს და შლეგს ხალხი სოფლის სალაყბოზე არ ითმენს და პრეზიდენტად მისგან რა სიკეთეს უნდა ელოდე?! ჰოდა, ხომ დაგვიდგა გაჭყლეტილი ბოთლის, კვერცხებისა და შლოპანცების ძეგლები და უამრავი უმსგავსობა მოაბნია მთელ საქართველოში. ახლა კიდევ: დავით აღმაშენებლის ძეგლი რომ იდგა, იქვე ახლოს, სადაც კამოს ველოსიპედს მანქანა დააჯახეს, ველოსიპედს დაუდგა ძეგლი. ჰოდა, ვინც ძეგლს უდგამს კამოს, მისი ქაბაბიც ჭამოს.**

ჰიტლერმა თავისი ცხოვრება ისე დაამთავრა, როგორც დამნაშავემ მსოფლიოს წინაშე. მიშა-ყვარყვარე კი ქართველი ხალხის წინაშეა დამნაშავე და, როგორც არ უნდა დაიცვან მისმა ოკეანისგაღმელმა ადვოკატებმა, ერის სამსჯავროს ვერსად დაემალება.

ამ ხელისუფლებად წოდებულ ხროვას სიგიჟე არ აკლია, მაგრამ ევროპელობაზე გადარევა განსაკუთრებით სასაცილოა, რადგან კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანში მესოპოტამიიდან შუმერებთან წილნაყარ უძველესი კულტურის ერს ევროპელობაზე არავითარი პრეტენზიები არ ექნება. არადა, შუამდინარეთის ხალხებს ევროპელობას ვერაფრით დასწამებ. როცა იქ ცივილიზაცია ფრთებს შლიდა, ევროპელები ჯერ ისევ ხეზე დახტოდნენ.

**რის შემდეგ გახდა აზიელობა სამარცხვინო?! ეს მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლება „ნაციონალთა“ კრიმინალურმა ბანდამ იგდო ხელთ და ქვეყანა ძარცვა-რბევის, ძალადობისა და მუხთლობის არენად აქცია, რომელსაც ასე ენერგიულად ანებივრებენ უცხოელი დემოკრატიისნიღბიანი თვალთმაქცები.**

განა გამაოგნებელი არ არის, როცა სარკოზი საპატიო ლეგიონერის ორდენით აჯილდოებს მიშა-ყვარყვარეს, რომელმაც თავისი ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ომი და შემდეგ „გმირულად“ დაფრთხა. კადაფი თავისი ხალხის წინააღმდეგ ძალას იყენებსო და ლიბიას ბომბები დააყარეს. ამან 26 მაისს მომიტინგეები მსოფლიოში დღემდე უცნობი ველური სისასტიკით აწამა, რაც კაცობრიობას სამუდამოდ შემორჩება სამარცხვინო ლაქად. **დემონსტრანტები დაურბევიათ, ადამიანიც მოუკლავთ, მაგრამ, ცემით რომ მოკლავ და შემდეგ სახურავზე აათრევ, დენის დარტყმით მოკვდაო, — მკვლელობის კვალის დასაფარავად, ამას ხომ გაქნილი სადისტიც მოერიდებოდა!** ამათ კი ხელისუფლება ჰქვიათ. დემოკრატიის ბუდეში გამოჩეკილი სარკოზი ჩამოდის და ყოველივე ამის ორგანიზატორს საპატიო ლეგიონერის ორდენით აჯილდოებს, როცა უფრო ნაკლებად დამნაშავე კადაფი ძაღლივით მოკლეს და ქვეყანა ბუმბულიანი ბალიშივით აფუტკნეს. კადაფის დამოუკიდებლად მოქმედება არ აპატიეს, ყვარყვარე კი მათი მარიონეტია და ნატოს გაუმაძღარ სამხედრო მანქანას ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლით კვებავს. **ალბათ, მოვა დრო, როცა საპატიო ლეგიონერის ორდენის ამგვარი შეურაცხყოფისთვის საფრანგეთი სარკოზის პასუხს აგებინებს.**

არადა, „ნაციონალები“ ისეთი ჰარიქაშეყრილები იწევენ ნატოში, რომ ლამის მთელი ქართველი ახალგაზრდები გარეკონ ავღანეთში, როცა ამერიკელებს ერთი სული აქვთ, იქიდან მოკურცხლონ. **ნატოში რომ მიძვრები, თუ ერთიანი საქართველოსთვის იბრძვი, აფხაზებსა და ოსებს რატომ არ ეკითხები?! არადა, შენ — ამერიკელთა ლაქია უკვე ნატოში კი არა, იმას იქით ხარ. თუ მაინც და მაინც ნატოში ყოფნის ნოსტალგიამ აგიფორიაქოს მუხთლობა, აგერ ყვარყვარეს დუქანი — ყვარელში, ქექე ნაცარი და იძახე: ჰოპლა, უკვე ნატოში ვარო. ვერავითარი ძალისხმევა ქართველ ხალხს ისე ვერ შეაძულებდა ამერიკას, როგორც „ნაციონალებმა“ მოახერხეს. ყველა სასიკეთო მოსპეს ან უბედურებისა და ძალადობის სამსახურში ჩააყენეს; მოყვარე შეიძულეს და მტრებს დააკავებინეს მისი ადგილი; გამრავლებული და გამძლავრებული ქვეყანა დააკნინეს, დაამცრეს და ავანტიურისტთა საჯირითოდ აქციეს.**

„საქართველოს მოწინავე წრეებისათვის ნათელი იყო, რომ მძლავრი მოკავშირის დახმარებითა და მფარველობით ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა გამძლავრებულიყო, გარეშე მტერი მოეგერიებინა და მშვიდობიანი ცხოვრების მოპოვებაში მტკიცე ნაბიჯით ევლო წარმატებისა და აღორძინების გზაზე,“ — ეს სიტყვები ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის; ამასვე აღიარებდა ერის ყველა მამულიშვილი.

**საქართველოს გაერთიანება, აღორძინება, გაძლიერება-გამრავლებაში რუსეთის დამსახურება მთისხელაა. მას ისეთი რა უნდა დააბრალო, რომ ეს ძმური მხარში დგომა გადაფაროს. იქნება ეს ყველაფერი იციან კიდეც ამ საცოდავმა „ნაციონალებმა“, მაგრამ რა ქნან, როცა უცხოეთის ლაქიად ქცეულთა უღელში შებმული ჩრდილდაკარგულები ისე მისდევენ დოლარს, როგორც ვირი — მის წინ დაკიდებულ მწვანე ბალახს.** თვითონ ოკუპანტებმა ოკუპაციის მუზეუმი გახსნეს. თუ არა ოკუპანტი, ქართლის დედის მაგინებელს საქართველოს წარმომადგენლად ვინ გააგზავნიდა ევროპარლამენტში?! სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკებს დაანგრევდა? თავისი მბრძანებლის დავალებით ომს დაიწყებდა საქართველოს სახელით და ქართველებს ლტოლვილებად აქცევდა, ამ ავანტიურისთვის ჯილდოდ ▶



მსოფლიო

## ობამამ და ნეთანიაჰუმ ირანის შესახებ იმსჯელეს



**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ირანის პრობლემა განიხილეს.** მათი სატელეფონო საუბრის მოკლე შინაარსი თეთრი სახლის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა. თეთრი სახლის ინფორმაციით, მხარეებმა ამ საკითხზე ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს. მათ თანხმობა გამოხატეს იმაზე, რომ ირანს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო.

## «ალ ქაიდამ» იემენის ერთ-ერთი ქალაქი დაიკავა

**ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ რამდენიმე ათეულმა ბოევიკმა იემენის დედაქალაქიდან 170 კილომეტრში მდებარე ქალაქი რადა დაიკავა.** თვითმხილველები ამბობენ, რომ ბოევიკები ქალაქში შეიჭრნენ და ძველი ქალაქი და მეჩეთი დაიკავეს. „ალ ქაიდას“ წევრებს წინააღმდეგობას ქალაქის პოლიციის მცირე ქვედანაყოფი უწევს. მსხვერპლთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**ომი დაიწყე და დანაშაულის დაფარვის მიზნით იძახი, ომი რუსეთმა დაიწყოო. შენი ადვოკატები ნატოდან თავზე ხელს რომ გისვამენ, არ იციან, რუსეთი ომს კი არ იწყებს, ამთავრებს. კარლოს მეთორმეტემ, ფრიდრიხ მეორემ, ნაპოლეონ პირველმა, ჰიტლერ პირველმა და უკანასკნელმა, მსოფლიო თავისი რომ ეგონათ, კისერი რუსეთში მოიტეხეს, ქართველი ხალხი კი რუსეთის განუყრელი მეგობარია და არასდროს ავიწყდება მასთან ძმური ურთიერთობის სიკეთე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ დემონებს, რომელთა წინაშე თვითონვე ხდებიან უძლურები. ამგვარად, ბნედიანი ეფრეიტორის ბოდვაზე გერმანელთა როკვა უბედურებად ექცა მთელ მსოფლიოს და თვით გერმანელ ხალხს. ეს დემონი — ჰიტლერი ფიურერად მონათლეს... აგერ ამერიკამაც დაგვაჯილდოვა თავისი ლაქია მარიონეტი მიშა-ყვარყვარეთი.**

ოთხ მილიარდს ჩაიჯიბავდა? საქართველოს კიდევ უფრო დაქუცმაცების მიზნით დედაქალაქის ფუნქციებს სხვა ქალაქებში გადაანაწილებდა? ქართულ ენას დააკნინებდა და ოკუპანტის ენის აუცილებლად სწავლას შემოიღებდა? ქვეყნის მთელ ეროვნულ სიმდიდრეს გაყიდდა და გაუმაძღარ სტომაქში ჩაიდებდა? ვინც ერის სასიკეთოდ გაიბრძოლებდა, მოკლავდა, დაატუსაღებდა, საქართველოს მოქალაქეობას ჩამოართმევდა, ხალხს ქვეყნიდან გააფრთხობდა, ვინც დარჩებოდა, მის გადაგვარებას ეცდებოდა? მოსპობდა მრეწველობას, გააჩანაგებდა სოფლის მეურნეობას? თავისი მფარველებიდან სახელმწიფოს სახელით აღებულ უზარმაზარ ვალებს ორგიებში, ჭამა-ყლაპვაში, საკუთარი მუცლის ამოყორვაში გაიხმარდა, რათა მომავალი თაობები უმძიმესი ტვირთის ქვეშ ველარ გამართულიყვნენ წელში?

**აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთი არ სცნობდა დამოუკიდებლად; ნორმალური ურთიერთობის შემთხვევაში, თვითონ მოგვეხმარებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ისე როგორ უნდა გაამწარო, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიაროს. ახლა ქვეყანა შეყარეს, სადღაც წყნარ ოკეანეში გადაკარგულმა კუნძულოვანმა სახელმწიფო მამუატუმ ამათი დამოუკიდებლობა რად აღიარაო. ერთმა კაცმა ცოლთან საყვარელს წაასწრო და დაეჭიდა. ცოლმა იფიქრა, ეს გარბის, ქმარი აქ დარჩებაო და მისი დახმარების მიზნით შეუძახა, უხრინკე, მიხაო. შე, ბოზო, უხრინკავი საქმე სახრინკავად რად გამიხადეო, უსაყვედურა ქმარმა. რატომ ვერ ხვდები, რომ მამუატუმ კი არა, აფხაზეთის დამოუკიდებლობა შენმა თავქარიანობამ აღიარა და, თუ ამ საქმის გამოსწორება გინდა, წადი, ჩაიკეტე ყვარყვარეს დუქანში და ნაცრის ქექვით ქვეყანას თვალებს ნუღარ დაუბრმავებ.**

ძალიან ღიზიანდებიან, თუ ვინმემ თქვა, ომი ამათ დაიწყესო. ომის დაწყება მეზობლის ბაღჩიდან კიტრის მოპარვა ხომ არ არის, რომ ქურდობა სხვას გადააბრალო?! დაიწყე, მერე შეშინებულმა უკან მოკურცხლე, იმდენი ვაჟკაცობა აღარ დაგრჩა, რომ სიმართლე აღიარო? ეგრე მკვლელები იქცევიან, პასუხისგების შიშით დანაშაულს სხვას რომ აბრალებენ. თუ იცოდი, რომ დანაშაული იყო, რატომ დაიწყე ომი?! ცხინვალში რუსი სამშვიდობოები გაეროს ეგიდით იცავენ სიმშვიდეს. ყბამორღვეული თემურ იაკობაშვილი რომ ტრაბახობდა, ხუთასი ოსი ბოევიკი, ხუთასი ახალწვეული მოვკალით და ზედ რუსი სამშვიდობოებიც მივაყოლეთო და ახლა ამერიკაშია ლუარსაბ თათქარიძესავით ჩოხით დამშვენებული, ამერიკელებმა არ იციან, რომ „რამკიანი" დამნაშავეა?! **ომი დაიწყე და დანაშაულის დაფარვის მიზნით იძახი, ომი რუსეთმა დაიწყოო. შენი ადვოკატები ნატოდან თავზე ხელს რომ გისვამენ, არ იციან, რუსეთი ომს კი არ იწყებს, ამთავრებს. კარლოს მეთორმეტემ, ფრიდრიხ მეორემ, ნაპოლეონ პირველმა, ჰიტლერ პირველმა და უკანასკნელმა, მსოფლიო თავისი რომ ეგონათ, კისერი რუსეთში მოიტეხეს, ქართველი ხალხი კი რუსეთის განუყრელი მეგობარია და არასდროს ავიწყდება მასთან ძმური ურთიერთობის სიკეთე.**

**ომი უცხოეთის ლაქია ნაცისტებმა დაიწყეს, ქართველების, მოძმე ოსების ბედი ფეხებზე რომ ჰკიდიათ. იმის მაგიერ, რომ გადამდგარიყვნენ და სირცხვილით თავი გარეთ არ გამოეყოთ, ქვეყანას იკლებენ — კორუფცია მოვსპეთო.**

ბავშვთა გასართობი კომპლექსი „ციცინათელა" ივანიშვილმა ააშენა, სააკაშვილმა ზარზეიმითა და ტრაბახით გახსნა, მე ავაშენეო. ივანიშვილმა ეს მრავალმილიონიანი კომპლექსი სახელმწიფოს აჩუქა ახალგაზრდობის იაფად მომსახურების იმედით. ამათ კიდევ, სომხებს მიჰყიდეს და ის ფული ეშმაკმა იცის, რაში გაფლანგეს. ივანიშვილმა თავისი აშენებული კომპლექსი სომხებისგან ძვირად გამოისყიდა, რომლებმაც ამ ოპერაციით მილიონები მოიგეს. ახლა იქნება გავარკვიოთ: ვინ კორუმპირებულია და ვინ ღირსეული მამულიშვილი? ვინ საქართველოს მოქალაქეობის ღირსია და ვინ უღირსი? გაყიდა ტყე, მინდორი, ტბა, მიწა და წყალი. რომელი ქურდი, ავაზაკი და თაღლითი შეძლებდა ასე ძირფესვიანად ეროვნული სიმდიდრის განიავებას?

**ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ბიძინა ივანიშვილის დადგომა ქვეყნის გადამრჩენის, თავდადებული მებრძოლის მძიმე, ეკლიან და სახიფათო გზაზე ის ნაბიჯია, რომლის გამოც იგი ღირსია ქართველი ერის საუკეთესო მამულიშვილთა შორის მოხსენიების. უფრო მეტიც, მის უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობას ვინც გაეცნობა, მიხვდება, რომ საქართველოს ამშვენებს ისეთი ეროვნული გმირი, რომლის მსგავსი მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება.**

**ვერც იმათი ღავღავი გააფერმკრთალებს ივანიშვილის კაშკაშა ვარსკვლავს, ვინც მის ზეადამიანურ კეთილშობილებას ურქენს ან უმადურობის ღვარძლით სვრის მადლიერების გრძნობას.**

ამას წინათ რეზო ჭეიშვილმა ოპოზიციური ინტელიგენციის წარმომადგენლები ცვედანებად მოიხსენია და მივხვდი, რომ ეს კეთილშობილი ადამიანი ზეწოლის გარეშე ამას არ იკადრებდა; ამან ერთი გარდასული ამბავი გამახსენა: როცა ბატონი რეზო ჟურნალ „განთიადის" რედაქტორი იყო, ლექსები მივუტანე და სუკის დილეგში ჩემი ტანჯვის დღეებზე ვისაუბრეთ. მან მთხოვა, ყველაფერი დამეწერა; მეც სიამოვნებით დავთანხმდი და 1990 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი მოგონება „ფასადს ამოფარებულ დღეთა ჩანაწერები". გაზულუქებულმა ბლენძებმა მაშინ ისეთი სიმართლის მათრახის სიმწარე იგემეს, რომ სიცრუეზე მორგებული ძალადობის ღვარძლი უხვად ამოაფრქვიეს, თუმცა უკვე გაბზარულ, მაგრამ ჯერ ისევ მოქმედი თანამდებობის ნაჭუჭიდან. მწარედ ინანეს, რომ სუკის დილეგიდან ცოცხალი გამომიშვეს და ხელახლა სცადეს ჩემი უკან შებრუნება. საქმე აღძრეს ცილისწამება-შეურაცხყოფაზე და ძალადობის მექანიზმი ძველებური ენერგიით აამოქმედეს. მაშინ შეშინებულმა და დათრგუნულმა ბატონმა რეზომ მითხრა, რომ ამათთან დავიდარაბის თავი არ ჰქონდა და, რაც დაავალეს, დაწერა, რომ უნიჭო ლექსები მივუტანე, არ დაბეჭდა, მერე იარაღით დავადექი და ძალით დავაბეჭდინე ჩემი მოგონება. მე შევპირდი, რომ იმავეს ვიტყოდი. მაშინ ჩემი ციხეში შებრუნება ფიზიკური მოსპობის ტოლფასი იყო, მაგრამ საშინელ წამებანაწვნევს ბატონი რეზო შემეცოდა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, გავაგრძელებ: თხუთმეტი თვე იყო გასული ჩემი სუკის დილეგში გამომწყვდევიდან. ხმა დაეყარათ, მოკვდა და მაცივარში ჰყავთო. ჩემი მეუღლე მარტო იმ იმედზე იყო, „პერედაჩს" რადგან იღებენ, ცოცხალი იქნებაო. მე კი შიმშილობით ვითხოვდი სიმართლეს იმ უსამართლობისა და ძალადობის ჯოჯოხეთში.

ამ დროს გამომიძახა პროკურატურის გამომძიებელმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, უხერხულად რომ არ იგრძნოს თავი). მითხრა, შენი ბრალდების შეთითხვნაში მე ხომ არავითარი ცოდვა არ მაქვს, ახლახან დამნიშნეს ამ თანამდებობაზე და არაფრის შეცვლა არ შემიძლია, რადგან შენი ბედი ზევით არის გადაწყვეტილიო. თქვენებს „პერედაჩის" იმედი აქვთ, რომ არ მიიღო, მკვდარი ეგონები და შენი ავადმყოფი მეუღლე ამას ველარ გადაიტანსო. „პერედაჩი" გადმომცა და, არსებული ნორმის ზევით, თავის ოჯახში მომზადებული ნობათიც დაუმატა. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სითბო ვიგრძენი მაშინ, თავი მგლის ხროვაში რომ გგონია და ყველა მხრიდან დაკბენას ელოდები, უცებ ამხელა თანაგრძნობა...

**მოგონებაში მეწერა: სუკი-ს დილეგიდან რომ გამოვედი, ჩემი ნივთებიდან საათი და ვერცხლის ჯვარი აღარ მომცეს, გამომძიებელმა წაიღოო. მერე გავიგე, რომ იმ გამომძიებელს წაეღო და დაკარგვოდა. მე მაშინვე დავწერე, რომ აღნიშნული ნივთები გადმომცა და გამოვიყვანე რთული მდგომარეობიდან. მაღალი რანგის პროკურორები კი დაძრწოდნენ კოლონიაში და პატიმრებს ჩემზე ცილიმწამებლური ჩვენების დაწერას აძალებდნენ; მაგრამ მათ, უსამართლობის ბრჭყალებში გამომწყვდეულებმა, ეს არ იკადრეს. ის დრო აღარ იყო, ჯერ რომ დაიჭერდნენ, ვინც სურდათ, და მერე ბრალდებას თითხნიდნენ. ახლა შეთითხვნა წინასწარ სჭირდებოდათ, რამეთუ ძალადობასა და განუკითხაობას ბზარი შეპარვოდა. მერე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება მოვიდა, რომელიც ისე მალე დაამხეს, რომ ქვეყნის სასიკეთოდ გატოკება არ აცალეს. პროკურატურა კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემზე ნადირობას აგრძელებდა, მაგრამ ამის გამო არ გავბოროტებულვარ და ზოგიერთი ფანჯრის მტრედივით ავტომატით არ მირბენია იმ ხელისუფლების დასამხობად.**

მეორედ შემოვარდა ქართველთა უბედურება — შევარდნაძე და მოთხარა, რაც სასიკეთო იყო. რა მოთვლის იმ კვნესა-გოდებას, რაც მან ქართველობას თავს დაატეხა, მაგრამ სამეგრელოს ვანდალური დარბევა დღესაც შეუხორცებელ ჭრილობად სტანჯავს ქართველთა უბედურებანაწვნევ ხსოვნას. ის კი გავარდნაძებული და ამქვეყნიური განკითხვიდან თავდაღწეული ინტერვიუებით ცდილობს ცოდვების გახუნებას, რომელსაც მტკვარი და რიონი ვერ ჩამორეცხს. კიდევ კარგი, რომ ღმერთი არ სწამს, თორე იმქვეყნიური უფლის სამსჯავროს გახსენება დაუფრთხობდა კრწანისულ სიმშვიდეს.

ჩემი უღმერთო წამების მიზეზი კი ყოფილმა რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა რაზმაძემ თავის მოგონებაში გამოიტანა დღის სინათლეზე: შევარდნაძემ დაგვავალა, სომხიშვილის დაპატიმრება და მაღალი თანამდებობის პირზე ცილის დაწამება, რაც ვერ ვათქმევინეთო.

ოცდარვა თვე ვლესე სუკის დილეგის კედლები. ეს როგორი სამოთხეა, ვინც იქ ერთი კვირა გაატარა, იმას ჰკითხეთ. მე კი სინდისის ძარღვგაწყვეტილ ცხოვრებას სინდისის მოფრთხილება, უბედურებაში და გაუსაძლის გაჭირვებაში ფართხალი ვარჩიე. არ ვნანობ, პირუტყვის გაუმაძღრობას კაცური სინდისი რომ არ შევაჭამე...

**იმ წარსულ ცხოვრებას რაც უარყოფითი ჰქონდა, მისი შემოქმედი აგერ, კრწანისის რეზიდენციაში ნებივრობს. რაც შეეხება ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერების, კინოს და ყველა სხვა დამსახურებული მოღვაწე მაშინდელმა ცხოვრებამ გამოაჩინა. იმ წარმატებული შემოქმედებითი ყოფის დღევანდელი სავალალო გადასახედიდან, ვიღაცის საამებლად აუგად მოხსენიება, ცვედანად თუ არა, მამალ ბიჭობად მაინც არავის ჩაეთვლება. უმადურობის გრძნობა კი ყველა უმადურის სინდისითაა გამძღარი.**

ცივილიზაციის განთიადიდან მომავალი, კაცობრიობის პატარა მარგალიტი — ქართველი ერი კი უკვდავია, რამეთუ უმძიმესი გაჭირვების ჟამს შეუძლია სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილების მომრავლება!

**ბიბი სომხიშვილი**,
მწერალი
7 იანვარი, 2012 წელი

მოკლედ

## პოლონეთის სამხედრო პროკურორი გადარჩა

**პოლონეთის სამხედრო პროკურორის მიკოლაია პრზიბალის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. როგორც ცნობილია, პროკურორმა თვითმკვლელობა პრესკონფერენციისას სცადა.** იგი ორი წლის წინ ლეხ კაჩინსკის და სხვა პოლონელი მაღალჩინოსნების ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა, როდესაც მედიის წარმომადგენლებს ცოტა ხნით ოთახის დატოვება მოსთხოვა. დერეფანში გასულმა ჟურნალისტებმა სროლის ხმა გაიგეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ პრზიბალმა თვითმკვლელობა სცადა.



## ნიუ-ჰემპშირში მიტ რომნიმ გაიმარჯვა

**აშშ-ში, ნიუ-ჰემპშირის შტატში გამართულ პრაიმერიზში მასაჩუსეტსის ყოფილმა გუბერნატორმა, რესპუბლიკელმა მიტ რომნიმ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.** ბიულეტინების დიდი ნაწილის დათვლის შედეგად გაირკვა, რომ რომნიმ ხმების 40 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილას კი ტეხასელი კონგრესმენი რონ პოლი გავიდა — მას მხარი ამომრჩევლების 23 პროცენტმა დაუჭირა. 2012 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში შემდეგი წინასწარი არჩევნები 21 იანვარს სამხრეთ კაროლინაში, 31 იანვარს კი ფლორიდაში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მიტ რომნიმ პირველი გამარჯვება აიოვას შტატში გამართულ პრაიმერიზში მოიპოვა. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის 6 ნოემბერს გაიმართება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ დანაშაულთან დაკავშირებულნი იყვნენ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ ლიდერები და პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხამიდ ტაჩი, მაგრამ არც ევროპული და არც მსოფლიო საზოგადოება ამ ფაქტების გამოძიებას არ აწარმოებდა“. ამ გამოაშკარავებამ არ განაპირობა დამნაშავეების სერიოზულად დასჯა. ანალოგიური სკანდალი იყო ერაყშიც, მაგრამ ის ძალზე სწრაფად ჩაფარცხეს. სავარაუდოდ, ასევე მოხდება ქაბულის საავადმყოფოსთან დაკავშირებითაც.



# ავღანეთში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის კოსოვურ პრაქტიკას ითვისებენ

**5 იანვარს ავღანეთის პრეზიდენტმა ხამიდ ყარზაიმ აშშ-ისგან მოითხოვა, ბაგრამის ავიაბაზაზე მდებარე ციხის კონტროლი ერთი თვით ავღანელებს გადასცენ. ეს მოთხოვნა იმ სკანდალის გამოძახილია, რომელიც ავღანეთში ნელ-ნელა იკრებს ძალას და ISAF-ის ზურგს უკან „დემოკრატიის აღმშენებლობაში“ მონაწილე ორგანიზაციის მოღვაწეობას უკავშირდება.**
**დიდი ხანია, ცნობილია, რომ ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე არმიას სადამსჯელო რაზმები და მოროდიორები მოჰყვებიან. მშვიდობიან მოსახლეობაში ამ უკანასკნელთა „მოღვაწეობის“ შედეგად დანაკარგები გაცილებით მეტია, ვიდრე საბრძოლო მოქმედებების შედეგად.**
**აშშ-ის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სამუდამო პატიმრობამისჯილი 26 წლის სერჟანტი კელვინ გიბსი, რომელიც სამი მშვიდობიანი ავღანელის მკვლელობისა და მათი ცხედრების შეურაცხყოფისათვის გაასამართლეს, მხოლოდ წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც ხდება „ახალი წესრიგისა“ და „ახალი ცხოვრების“ დასამყარებლად მოწოდებულ ორგანიზაციებში ავღანეთის ტერიტორიაზე.**



გასული წლის ზაფხულიდან ავღანეთის პოლიციამ დაიწყო გაუხმაურებელი შემოწმება „ISAF“-ის ეგიდით მოღვაწე ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში. ამ შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენება, რომელიც 2011 წლის ნოემბერში მომზადდა, პრაქტიკულად მაშინვე გასაიდუმლოვდა და მზის სინათლე მხოლოდ მისმა ცალკეულმა ფრაგმენტებმა იხილეს.

**ბაგრამის სამხედრო ბაზაზე არსებული ბაგრამის ციხე, რომელსაც ბოლო დროს „აბუ-გრეიბ 2“-ს უწოდებენ, გარკვეული დროის მანძილზე აუცილებლად იქნება საყოველთაო განხილვის თემა.** მაგრამ ქაბულის საავადმყოფოში მიმდინარე დანაშაულებრივი საქმიანობა შირპურისა და ხაჯ-იაკუბის რაიონის მედიის პირველ გვერდებზე, სავარაუდოდ, არ მოხვდება. ეს ისტორია ბევრისთვის არასასურველია და მრავალ ადამიანს აგდებს შოკში.

იტალიელი სპეციალისტების მიერ ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ აშენებული ეს საავადმყოფო თავიდანვე განკუთვნილი იყო საბრძოლო მოქმედებების დროს დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. გარეგნულად ის ახლაც სამკურნალო დაწესებულებაა, რომელიც ავადმყოფებს იღებს, მაგრამ, უკვე რამდენიმე წელია, საავადმყოფოში ისეთი რამ ხდება, რომლის მედიცინასთან დაკავშირება ძალზე ძნელია. როგორც პოლიციის ანგარიშიდან ირკვევა, საავადმყოფო ანტიკვარიატის, დაუმუშავებელი ძვირფასი ქვებისა და ოქროს შესყიდვის ცენტრად იქცა.

საავადმყოფოს ფილიალების დაფინანსების საფარქვეშ ავღანეთის პროვინციებში ხორციელდება ფულადი გადარიცხვები ავღანეთსა და პაკისტანში მდებარე სტრუქტურებში, რომელთაც ავღანეთის პოლიციის ანგარიშში „ანტისახელმწიფოებრივი“ ეწოდება. ამასთან, ავღანეთის პოლიციას მიცემული აქვს განკარგულება, „არ ჩაერიოს“ საავადმყოფოს საქმეებში. და როდესაც ქაბულის პოლიციის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საერთაშორისო წითელი ნახევარმთვარის წარმომადგენლებს, ჩაეტარებინათ შემოწმება და ფინანსური აუდიტი ამ „სამკურნალო დაწესებულებაში“, პრეზიდენტ ყარზაის ადმინისტრაციიდან გაისმა მაღალი რანგის ჩინოვნიკის ზარი, რომელიც დაჟინებით ურჩევდა პოლიციას, „არ აეღელვებინა ადამიანები, რომლებიც მთელ ძალებს ხარჯავენ მრავალტანჯული ავღანელი ხალხის ჰუმანიტარული დახმარებისთვის“.

შეიძლება ითქვას, რომ მოროდიორობა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერა ავღანური საყოველთაო განუკითხაობისა და კორუფციის მცირე ეპიზოდია, მაგრამ ანგარიშში არის ერთი ადგილი, რომელიც ამის თქმის საშუალებას სპობს და ამ ისტორიის სულ სხვა კუთხიდან განხილვის საშუალებას იძლევა. მიუხედავად აკრძალვებისა, ავღანურმა პოლიციამ მომსახურე პერსონალში თავისი ოფიცერიც გააფორმა. მუშაობის შედეგად მან წარადგინა მონაცემები, რომელთა ნამდვილობა პოლიციის ხელმძღვანელობაში ეჭვს არ იწვევს. ეს მასალები იმის მტკიცებულებაა, რომ **აღნიშნულ საავადმყოფოში ადამიანთა ორგანოების გადანერგვის უკანონო ოპერაციები ტარდება.**

თავის ანგარიშში ეს თანამშრომელი აღნიშნავს, რომ **ზოგიერთ ავადმყოფს საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ერთით ნაკლები თირკმელი აღმოაჩნდა და ეს მაშინ, როდესაც მათი დაავადებები არანაირად არ უკავშირდებოდა თირკმელებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სამედიცინო ბარათების ასლები და უკვე ავღანელი ექიმების მიერ ჩატარებული ზოგიერთი ავადმყოფის განმეორებითი გამოკვლევის შედეგები.**

უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოს განკარგულებაშია რამდენიმე პატარა და დიდი თვითმფრინავი, რომლებიც განკუთვნილია ავადმყოფების სპეციალიზებულ საავადმყოფოებში გადასაყვანად და სამედიცინო აპარატურის სხვადასხვა რეგიონში ტრანსპორტირებისათვის. ამ თვითმფრინავების ტვირთები და მგზავრები არ იჩხრიკებიან ავღანეთის აეროპორტებში და ეს შესაძლებელს ხდის ნებისმიერი სახის ტვირთის უპრობლემოდ ტრანსპორტირებას.

ცივილიზებული ქვეყნების მკვიდრთ ეს, შესაძლოა, რაღაც წარმოუდგენელ მოვლენად მოეჩვენოთ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. 2010 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოქვეყნდა სკანდალური მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოსოვოელი ალბანელების ლიდერი ხაშიმ ტაჩი იუგოსლავიაში შეიარაღებული კონფლიქტის დროს სათავეში ედგა ორგანიზაციას, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად დაკავებული იყო ადამიანის ორგანოებით ვაჭრობით.

მაშინ მოხსენების ავტორი დიკ მარტი იტყობინებოდა, რომ „ათი წლის განმავლობაში კოსოვოში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ფაქტები ცნობილი იყო მთელი რიგი ევროპული ქვეყნების სპეცსამსახურებისათვის, „KFOR“-ის ხელმძღვანელობისა და მხარის მოსახლეობისათვის. ასევე **ცნობილი იყო, რომ ამ დანაშაულთან დაკავშირებულნი იყვნენ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ ლიდერები და პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხამიდ ტაჩი, მაგრამ არც ევროპული და არც მსოფლიო საზოგადოება ამ ფაქტების გამოძიებას არ აწარმოებდა“.**

ამ გამოაშკარავებამ არ განაპირობა დამნაშავეების სერიოზულად დასჯა. ანალოგიურ სკანდალს ჰქონდა ადგილი ერაყში, მაგრამ ის ძალზე სწრაფად ჩაფარცხეს. სავარაუდოდ, ასევე მოხდება ქაბულის საავადმყოფოსთან დაკავშირებითაც.

**ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა თავის იატაკქვეშა მოღვაწეობას ვერ განახორციელებს ავღანეთში საერთაშორისო ძალების ხელმძღვანელობისა და ცსს-ს ქაბულური რეზიდენტურის მხრდაჭერის გარეშე, ამიტომ ვერავინ შეძლებს ამ სისტემასთან დაპირისპირებას**. იგივე ძალები, რომლებიც იფარავენ საავადმყოფოს ხელმძღვანელობას, არასდროს დაუშვებენ, რომ სიმართლე მისი „მეორე ფსკერის“ შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ერთადერთ იმედად ის ჭეშმარიტება რჩება, რომ არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდება, თუმცა, რაც მეტი დრო გავა, მით უფრო მშვიდად იგრძნობენ თავს დამნაშავეები.

**win.ru**

# ჰაკერებმა აშშ-ისა და ბრიტანეთის თავდაცვისა და დაზვერვის ჩინოვნიკები გამოააშკარავეს

**ჰაკერებმა ინტერნეტში განათავსეს ათასობით ელექტრონული მისამართი და დაშიფრული პაროლი, რომლებიც თავდაცვის სფეროს, დაზვერვისა და პოლიციის მაღალჩინოსნებს, ასევე პოლიტიკოსებსა და ნატოს მრჩევლებს ეკუთვნოდათ. უდიდესი მონაცემთა ბაზა შეიცავს: ინფორმაციას 221 ბრიტანელი ჩინოვნიკისა და ნატოს პერსონალის 242 წარმომადგენლის შესახებ. გამოქვეყნდა ბრიტანეთის სახელისუფლო ცენტრის, მათ შორის მინისტრთა კაბინეტისა და გაერთიანებული სადაზვერვო ორგანიზაციის თანამდებობის პირთა მისამართების შესახებ ინფორმაციაც.**
**ეს უწყებები განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებთან მიმართებაში პრემიერ-მინისტრის თვალსა და ყურს წარმოადგენს.**

ჰაკერებმა, რომლებიც ანონიმუსების დაჯგუფებას მიაკუთვნეს, არასანქცირებული წვდომა მიიღეს ტეხასში ბაზირებული და საერთაშორისო საქმეებსა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე კონსალტინგური კომპანია „სტრაფორის“ ჩანაწერებზე. მონაცემთა ბაზაში ჩაწერილი იყო 850 000-მდე ადამიანის ელექტრონული მისამართი და დაშიფრული პაროლი.

ასევე გატეხილ იქნა დაახლოებით 75 000 ადამიანის საიტის ფასიანი ხელმომწერის საკრედიტო ბარათების ნომრები.

გამოქვეყნებულ მისამართებს შორის არის თავდაცვის სამინისტროს 221 თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია. ამერიკული არმია გაცილებით მეტად „დაზარალდა“ — ბაზაში 19 000 მისამართი მთავრდება „.mil“-ით, ეს კი ამერიკული არმიის დომენია.

ამ ამერიკელთა შორის 173 ავღანეთში მსახურებდა, 170 კი — ერაყში. ამასთან, გამოქვეყნდა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის — დენ კუეილისა და ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰენრი კისინჯერის პირადი მონაცემები. ხელყოფილი აღმოჩნდა ბრიტანეთის ხელისუფლების სხვა დეპარტამენტებიც: გამოქვეყნდა მინისტრთა კაბინეტის შვიდი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14, სკოტლანდ-იარდის 67 ჩინოვნიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია.




სიაში არის პარლამენტის პალატებში მომუშავე 23 ადამიანი, მათ შორის პარლამენტის წევრი ჯერემი კორბინი, რომელიც აღშფოთდა იმის გამო, რომ მისი პაროლი ასე იოლად გასატეხი აღმოჩნდა.

ამ აქციამ დიდი ზემოქმედება იქონია, რადგან სტრატფორი აკეთებს ექსპერტულ ანალიზს საერთაშორისო საკითხებზე, მათ შორის უსაფრთხოების საკითხებზე და ხელმომწერებს გასაიდუმლოებული სამთავრობო უწყებებიდან იზიდავს. აქციის შედეგად წარმოქმნილი რისკის მასშტაბები უცნობია.

**Guardian**

ირანისთვის ნავთობზე ემბარგოს დაწესების ფრანგულმა იდეამ საბერძნეთს, იტალიასა და ესპანეთს თავზარი დასცა. მათ ერთი თვიდან ერთ წლამდე „საშეღავათო პერიოდი“ მოითხოვეს. ერთწლიან პერიოდს დაჟინებით მოითხოვს საბერძნეთი, რომლის იმპორტირებული ენერგორესურსების ნახევარი სწორედ ირანზე მოდის. იტალია, რომლის მდგომარეობაც ბეწვზე კიდია, ირანისაგან მთელი საჭირო ნავთობის 40%-ს ყიდულობს. ასევე მსხვილი მყიდველები არიან ბელგია, ბრიტანეთი და გერმანია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის წყალობით ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება გაასმაგდა

**გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ 11 ოქტომბერს გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, ავღანეთში ოპიუმის პლანტაციების საერთო ფართობი 131 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, რაც 7 პროცენტით აღემატება 2010 წლის მაჩვენებელს. იმავე სამმართველოს შეფასებით, ქვეყანაში ოპიუმის წარმოება 2011 წელს 61%-ით გაიზარდა.**

## INDEPENDENT: ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდას პატრონაჟს ცსს უწევს, რათა დაფინანსდეს ის საიდუმლო ოპერაციები, რომელთაც ამერიკული დაზვერვა მთელ მსოფლიოში ახორციელებს

აშშ ანგლოსაქსების პოლიტიკის მემკვიდრედ იქცა. მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ათობით ამერიკული სამხედრო ბაზა ნარკომოვაჭრეთათვის იდეალური თავშესაფარია. ცხადია, ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილი ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსში არ არის. ყველაფერი საიდუმლოების საფარქვეშ ხდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ადრე თუ გვიან ყველაფერი დაფარული ცხადდება.

რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ ოლეგ საფონოვმა განაცხადა, რომ **გაეროს შეფასებების თანახმად, 2001 წლიდან, ანუ ნატოს მიერ ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების დროიდან, ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკების მოცულობა 44-ჯერ გაიზარდა.**

ამასთან, ნატო, უფრო სწორად კი მისი პატრონი თეთრი სახლი, ჯიუტად აცხადებს უარს რუსული მხარის ინიციატივის მხარდაჭერაზე ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებასთან დაკავშირებით.

აშშ-სა და მისი მოკავშირეების ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპირებამ ნარკოტრაფიკის ასტრონომიული ზრდა განაპირობა. გაეროს მონაცემებით, 2001 წლიდან 2006 წლამდე, ანუ მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში ამ ზრდამ 3200 პროცენტი შეადგინა.

**2006 წელს კულტივირებულმა მინდვრებმა 165 ათასი ჰექტარი მოიცვა. 2001 წელს, შეჭრის მომენტისთვის, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7706 ჰექტარს შეადგენდა. 2010 წლის თებერვალში „ამერიკის ხმა“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ „ავღანური ჰეროინი საერთაშორისო ბაზარზე იყიდება ასჯერ უფრო ძვირად, ვიდრე მას თავად ავღანელი გლეხები ყიდიან“, ანუ ამ ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები უკვე ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს.**

ცნობილია, რომ შემოსავლების მხრივ ნარკოტიკებით ვაჭრობას მესამე ადგილი უჭირავს ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ. და ეს გიგანტური ნარკორესურსი განთავსებულია იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც დიდი რაოდენობით დგანან აშშ-სა და ნატოს ჯარები.

ყველგან, სადაც ამერიკული ჯარები ჩნდებიან, უმალ ვითარდება ნარკოვაჭრობაც. ლონდონური Independent-ი წერს: **„ბაღდადი არის ქალაქი, რომელსაც 2003 წლის მარტამდე (ანუ აგრესიამდე) არასდროს უნახავს ჰეროინი, სასიკვდილო ნარკოტიკი, ახლა კი ის წალეკილია ნარკოტიკული ნივთიერებებით, მათ შორის ჰეროინითაც. ბაღდადის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ისეთი ნარკოტიკები, როგორიც ჰეროინი და კოკაინია, ირანის დედაქალაქის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება. როგორც მთელი რიგი წყაროებისა აღნიშნავენ, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდას პატრონაჟს ცსს უწევს, რათა დაფინანსდეს ის საიდუმლო ოპერაციები, რომელთაც ამერიკული დაზვერვა მთელ მსოფლიოში ახორციელებს“.**

ნარკოტიკებსა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაეროს სამმართველოს ანალიტიკოსებმა კი დაადგინეს, რომ ჰეროინის უზარმაზარი პარტიები ჩნდება კოსოვოსა და ბოსნიაში, ბრიტანეთის ფერფორდის რაიონში, გერმანიის რამშტაინში და ესპანეთის მორონში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს ჰეროინული შადრევანი ავღანეთიდან თვითმფრინავების მიმღები ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზების სიახლოვეს ჩქეფს, აღარ დარჩება რაიმე ეჭვი, რომ ევროპაში ნარკოტიკების ტრანსპორტირების საქმეში ამერიკელი სამხედროების ხელი ურევია.

**თუ სამხედრო ჯარების შეზღუდული კონტინგენტი ახერხებდა, ეფექტურად შეემცირებინა ჰეროინის წარმოება, რატომ არ გამოსდის ეს ნატოს კოალიციას? იქნებ ამ კოალიციის უმაღლესი მეთაურობა მსგავს ამოცანებს საერთოდაც არ ისახავს მიზნად?**

შექმნილი მდგომარეობა ყველაზე მეტად რუსეთს აღარდებს, რადგან, რუსი ექსპერტების მტკიცებით, ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად ყოველწლიურად გარდაცვლილი 100 ათასი ადამიანიდან დაახლოებით მესამედი რუსეთის მოქალაქეა. უფრო მეტიც, რუსეთი უკმაყოფილოა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემაშფოთებელი პასიურობით იმ რეალიების ფონზე, რაზეც 2011 წლის მეორე ნახევარში რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა ისაუბრა. კერძოდ, მან ოფიციალურად განაცხადა, რომ თავის ამერიკელ კოლეგას ჯილ კერლიკოვსკის გადასცა დოსიე, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ავღანეთში მოღვაწე ცხრა მსხვილი ნარკომოვაჭრის შესახებ. ამასთან, რუსულმა მხარემ ვაშინგტონს გაუზიარა ინფორმაცია 25 ნარკომოვაჭრისა და 175 ავღანური ნარკოლაბორატორიის შესახებაც.

**„ჩვენი ინფორმაციით, ამერიკელი სამხედროები შეგნებულად არიდებენ თავს ნარკოტიკებთან ბრძოლას,** — აცხადებს ალექსეი ლოპატნიკოვი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი.

**— ჯერ ერთი, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ჯარისკაცი და ოფიცერი შემოსავალს იღებს ყოველი ჰეროინული ფაბრიკისა თუ სატვირთო მანქანიდან. მეორეც, არსებობს დადასტურებული მონაცემები იმის შესახებ, რომ ამგვარი პოლიტიკა, მსუბუქად**



**რომ ვთქვათ, ზემოდანაა ნებადართული. ავღანური წამალი თავად აშშმდე ვერ აღწევს, სამაგიეროდ ასუსტებს აზიისა და ევროპის ქვეყნებს და მტკივნეულ დარტყმას აყენებს რუსეთს.**

იანკები სერიოზულად ანგრევენ კოლუმბიურ მაფიას, რომელიც აშშ-ს აწვდის კოკაინს. სამხრეთ ამერიკაში შარშან ნარკონათესების ნახევარზე მეტი გაანადგურეს, ავღანეთში კი — მხოლოდ 2 პროცენტი. ასი მილიარდი დოლარის შემოსავლიდან, რომელიც ჰეროინის წარმოებიდან მიიღება, ისლამურ რესპუბლიკაში მხოლოდ 4 მილიარდი რჩება. ოფიციალურად ითვლება, რომ კოალიციის ჯარები 2014 წლამდე გავლენ. სინამდვილეში მოხდება მხოლოდ ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის ნომინალური პასუხისმგებლობის გადაცემა, რეალური კონტროლი კი პენტაგონის ხელთ დარჩება“.

კოალიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყაყაჩოს პლანტაციებს არ ანადგურებენ, რათა მათში მომუშავე გლეხები შიმშილით არ გაწყდნენ. რა ჰუმანურობაა! რეალურად ადგილობრივი გლეხები ისედაც ლამის შიმშილობენ და მიზერულ წილს იღებენ ნარკობიზნესის შემოსავლებიდან. შემოსავლის ლომის წილს ინაწილებენ მიწების მფლობელები, ლენდლორდები და ნარკოტიკების დამუშავებით, ტრანსპორტირებითა და გაყიდვით დაკავებული ნარკომაფია.

**სპეციალისტების აზრით, ავღანური ნარკოწარმოების სრულად ლიკვიდირება შესაძლებელია. მაგრამ ეს გეგმები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, თუ ნატო და აშშ თავიანთ პოლიტიკას განაგრძობენ.**

inozpress.kg

# გაერო გეებისა და ლესბოსელების დაცვას შეუდგა

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ორიოდე დღის წინ გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ჰომოსექსუალები და ტრანსსექსუალები დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლნი არიან. მათ ხოცავენ, აუპატიურებენ და აწამებენ სექსუალური ორიენტაციის გამო, მსოფლიოს მინიმუმ ხუთ ქვეყანაში მათ სიკვდილით დასჯის საფრთხე ელით.**



პირველ ოფიციალურ ანგარიშში გაერომ ხელისუფლებებს მოუწოდა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დაცვისკენ, დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და ყველა სერიოზული დარღვევის სასამართლოში გარჩევისკენ. გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისრის — ნავი პილაის მოხსენებაში ნათქვამია: „ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობრივი აქტები მთელ მსოფლიოში ხდება. ძალადობის ეს სახეობები შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური“.

**ივნისში გაეროს ადამიანის უფლებათა სამმართველომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც სექსუალური უმცირესობებისთვის თანაბარი უფლებები აღიარა და ამ ნიშნით დისკრიმინაცია და ძალადობა დაგმო. დასავლეთის ქვეყნებმა ამ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდეს, ისლამურმა სახელმწიფოებმა კი გადაჭრით უარყვეს ის.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჟენევაში მიმდინარე ფორუმის 47 წევრის წინაშე განაცხადა: „ჰომოსექსუალიზმი არ უნდა აღიქმებოდეს დანაშაულად“.

გაეროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ სპონტანური „ქუჩის“ ძალადობების გარდა სექსუალური უმცირესობები შეიძლება გახდნენ უფრო ორგანიზებული ძალადობის მსხვერპლნი რელიგიური ექსტრემისტების, გასამხედროებული დაჯგუფებების, ნეონაცისტებისა და უკიდურესი ნაციონალისტების მხრიდან. მოხსენებაში 25 გვერდი დაეთმო იმას, თუ როგორ ხდებიან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები თემის ან ოჯახის წევრთა მხრიდან „ღირსების დასაცავად“ ჩადენილ მკვლელობათა მსხვერპლნი.

**ამ დროისათვის მსოფლიოს 76 ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ქცევის ან გენდერული იდენტურობის გამო. სწორედ ამ კანონების გაუქმებას მოითხოვს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო.**

Reuters

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2001 წლის 15 სექტემბერს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა 7 ომი დაგეგმა. სირიაზე თავდასხმის მზადება ოფიციალურად 2003 წლის 12 დეკემბერს დაიწყო ბაღდადის დაცემისთანავე სირიის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღებით. მას შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტს კონგრესის მიერ დავალებული აქვს სირიაზე თავდასხმა, ცეცხლის გახსნის საკითხი საპარლამენტო კენჭისყრის აუცილებლობისაგან გათავისუფლებულია.

# ბრძოლა დამასკოსთვის

**ამ პუბლიკაციის ავტორი არის ფრანგი ჟურნალისტი და ანალიტიკოსი ტიერი მეისანი, რომელიც აშშ-ში პერსონა ნონ გრატად მას შემდეგ იქცა, რაც სკანდალური წიგნი „სასწაულებრივი სიცრუე“ გამოაქვეყნა. წიგნში ავტორი ირწმუნებოდა, რომ 9/11-ის ტერაქტების მიზეზი შიდა შეთქმულება იყო და არა ტერაქტი. „რვა თვის განმავლობაში დასავლეთის ხელმძღვანელობა და სახელმწიფო მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი სირიაში ომისათვის კამპანიას აწარმოებს,“ — წერს მეისანი „Egalite et Reconciliation“-ის ფურცლებზე. უკიდურესად მძიმე ბრალდებები, რომლებსაც ისინი ბაშარ ასადის წინააღმდეგ აყენებენ, მიზნად ისახავს მათ დაშინებას, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სამხედრო ჩარევის საფუძვლიანობას. ზოგიერთი ჟურნალისტი გაემგზავრა ფაქტების ადგილზე გადასამოწმებლად და საშუალება ჰქონდა, თავად შეეფასებინა ნატოს პროპაგანდის მასშტაბები. ტიერი მეისანი მასმედიაში გაჩაღებული ომის შესახებ წერს:**



1999 წელს კოსოვოში ომის პერიოდში ყოველდღიურად ვაქვეყნებდით ნატოს პრეს-კონფერენციების მოკლე შინაარსს და შემოკლებულ ვერსიას მეზობელი ქვეყნების ჟურნალისტთა რეპორტაჟებიდან. დროთა განმავლობაში ნატოსა და ადგილობრივი ჟურნალისტების ვერსიები იმდენად დაშორდა ერთმანეთს, რომ მათ უკვე საერთო აღარაფერი ჰქონდათ. საბოლოო ჯამში საუბარი იყო ორ სხვადასხვა ისტორიაზე. ჩვენ არ გვქონდა საშუალება, გაგვერკვია, რომელი მათგანი ცრუობდა და იყო თუ არა სიმართლე რომელიმე წყაროს მიერ მოწოდებულ ცნობებში. მიუხედავად ამისა, ორივე წყაროს პუბლიკაციების გამოქვეყნება სამი თვის მანძილზე განვაგრძეთ. **როდესაც ინფორმაციის გადამოწმების საშუალება მოგვეცა, ჩვენი ჟურნალისტები მოვლენათა ადგილზე გაემგზავრნენ, გაირკვა, რომ ნატოს ინფორმაცია მცდარი იყო, ადგილობრივი ჟურნალისტებისა კი — სრული სიმართლე.**

უკანასკნელი თვეების მანძილზე ფაქტები დგინდებოდა ნატოს წევრი ქვეყნების პარლამენტების ანგარიშების მიხედვით. გაირკვა, რომ სავსებით შესაძლებელია ყველა დასავლელი ჟურნალისტის გასულელება და მათგან ფაქტების დამალვა მათთვის ზღაპრების მოყოლითა და იმ პირობით, რომ თხრობა იქნება უწყვეტი და მძაფრი ემოციების გამომწვევი. მაშინ არ შემეძლო სერბეთში გამგზავრება და მდგომარეობის ადგილზე ასახვა, სამაგიეროდ ახლა ვიმყოფები სირიაში, სადაც საკმარისი დრო მქონდა გამოძიებისათვის. საქმის სრული ცოდნით შემიძლია ვამტკიცო, რომ **ახლა ნატოს პროპაგანდისტული მანქანა სირიის წინააღმდეგ ისევე მუშაობს, როგორც თავის დროზე სერბეთთან დაკავშირებით მუშაობდა.**

ნატომ „ჰუმანიტარული სამხედრო ჩარევის“ მიზნით დაიწყო თავისი აბსოლუტურად არარეალური ისტორიის მოყოლა. მსგავსებები ამით სრულდება: სლობოდან მილოშევიჩი იყო სამხედრო დამნაშავე, რომლისთვის ბრალის დადებასაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში ცდილობდნენ, რათა მისი ქვეყანა ორად გაეყოთ; ბაშარ ასადი კი ეწინააღმდეგება იმპერიალიზმსა და სიონიზმს, მან მხარი დაუჭირა მოძრაობა „ჰეზბოლას“ ლიბანზე თავდასხმისას და ამ დრომდე უჭერს მხარს „ჰამასსა“ და ისლამურ „ჯიჰადს“ თავიანთი პალესტინური სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში.

## ნატოს ოთხი სიცრუე

**1.ნატოსა და სპარსეთის ყურეში, მისი მოკავშირეების თქმით, რვა თვის განმავლობაში სირიაში უფლებათა გაზრდისა და პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომის მოთხოვნით მასობრივი დემონსტრაციები არ წყდება.**

ეს სიცრუეა. ზოგიერთ ქალაქში ჩატარდა მიტინგი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ საერთო ჯამში მათზე 100 000 ადამიანი შეიკრიბა. ისინი მოითხოვდნენ არა უფლებების გაზრდას, არამედ ისლამური რეჟიმის დამყარებას. ისინი პრეზიდენტის გადადგომას მითხოვდნენ არა მისი პოლიტიკის გამო, არამედ იმიტომ, რომ სუნიტის სექტანტურ შტოს წარმოადგენენ და ბაშარ ასადს ერესში ადანაშაულებენ. მათი აზრით, ასადმა ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, რადგან მუსლიმანური ქვეყნის მართვის უფლება ლეგიტიმურად მხოლოდ მათი თეოლოგიური სკოლის წარმომადგენელ სუნიტს შეუძლია.

**2. ნატოსა და სპარსეთის ყურეში, მისი მოკავშირეების თქმით, რეჟიმმა სირიაში ბრბო იარაღის გამოყენებით მრავალჯერ დაარბია, რის შედეგადაც, სულ მცირე, 3500 ადამიანი დაიღუპა.**

ეს სიცრუეა. პირველ რიგში, ვერ დაარბევდნენ არარსებულ დემონსტრაციებს. მეორეც, მოვლენათა დასაწყისშივე ხელისუფლება მიხვდა, რომ საუბარია კონფესიებშორისი შეტაკების პროვოცირებაზე ქვეყანაში, სადაც VIII საუკუნიდან ელიტური რეჟიმი სახელმწიფოს საფუძველია. პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ყველა ძალოვან სტრუქტურას აუკრძალა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში, როცა კი შეიძლება ეს სამოქალაქო პირის დაჭრით დასრულდეს. სამართალდამცავები მკაცრად იცავდნენ ამ აკრძალვას. რაც შეეხება გარდაცვლილებს, მათი რაოდენობა გამოცხადებულზე ორჯერ ნაკლებია და მათი უმრავლესობა საერთოდ არ წარმოადგენს სამოქალაქო მოსახლეობას, რაშიც საავადმყოფოებისა და მორგების მოვლის შედეგად დავრწმუნდი.

**3. მას შემდეგ, რაც გავარღვიეთ მდუმარების კედელი და მივაღწიეთ დასავლურ მასმედიაში იმის გამოქვეყნებას, რომ სირიაში საზღვარგარეთიდან შესული სიკვდილის ესკადრონები ცდილობენ შეტაკებების მოწყობას და ხოცავენ სამოქალაქო მოსახლეობას, ნატომ და სპარსეთის ყურეში მისმა მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ქვეყანაში დეზერტირების არმია არსებობს. მათი თქმით, სამხედროები პარტიზანები გახდნენ და შექმნეს სირიის თავისუფალი არმია, რომელშიც უკვე 1500 წევრია.**

ეს სიცრუეა. ქვეყანაში სულ რამდენიმე ათეული დეზერტირია, რომლებიც თურქეთში გაიქცნენ და რომელთაც მართავს რიფატ ასადის კლანის ოფიცერი აბდელ ხაკიმ ხადამი, რომლის ცსს-სთან კავშირის შესახებაც საყოველთაოდ ცნობილია. ამასთან, ქვეყანაში იზრდება ბრძანებას დაუმორჩილებელი ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც უარს აცხადებენ არმიაში მსახურებაზე, რაც მათი ოჯახების გავლენითაა განპირობებული. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სამხედროებს ეკრძალებათ თავდაცვის მიზნით იარაღის გამოყენება, თუ ირგვლივ სამოქალაქო მოსახლეობაა. ამ შემთხვევაში მათ სიცოცხლის შეწირვა უწევთ, თუ გაქცევით ვერ უშველეს თავს.

**4. ნატოსა და სპარსეთის ყურეში, მისი მოკავშირეების თქმით, რევოლუციებისა და რეპრესიების ციკლს სამოქალაქო ომი ჩაენაცვლა. სირიის 1,5 მილიონი მოქალაქე, რომლებიც ხაფანგში მოყვნენ, ახლა შიმშილობს. აუცილებელია „ჰუმანიტარული დერეფნების“ შექმნა სასურსათო დახმარების გასაგზავნად და მსურველებისათვის საბრძოლო მოქმედებების ზონიდან გასვლის საშუალების მიცემა.**



ეს სიცრუეა. მიუხედავად სიკვდილის ესკადრონების დიდი რაოდენობისა და მათი შეტევების სისასტიკისა, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გადაადგილება არ ხდება. სირია თვითკმარი სახელმწიფოა, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით და წარმოების მნიშვნელოვან შემცირებაზე ახლა საუბარი არ არის. მაგრამ შეტაკებათა უმეტესობა ხდება მსხვილ სატრანსპორტო არტერიებზე, რომელთაც ხშირად კეტავენ. გარდა ამისა, როდესაც შეტაკებები ქალაქის ცენტრში ხდება, ვაჭრები თავიანთ დახლებს ხურავენ. ამის გამო საქონლის განაწილების სერიოზული პრობლემები იქმნება, მაგრამ პრობლემის არსი სულ სხვა რამაა: კატასტროფა ეკონომიკურმა სანქციებმა განაპირობა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სირიაში ეკონომიკური ზრდა წელიწადში 5%-ს შეადგენდა, ახლა კი მას არ აქვს საშუალება, თავისი ნახშირწყალბადი დასავლეთ ევროპას მიჰყიდოს. დაზარალდა ტურისტული სფეროც. მრავალმა ადამიანმა დაკარგა სამსახური და შემოსავალი.

ისინი ყველაფერზე ზოგავენ ფულს. ხელისუფლება ზრუნავს თავის ხალხზე — უფასოდ ურიგებს საწვავსა და საკვებს. ამ შემთხვევაში სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ სირიის ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში დასავლური სანქციების გამო სირიის 1,5 მილიონი მოქალაქე იშიმშილებდა.

შედეგად ახლა, როდესაც საქმე გვაქვს არაკლასიკურ ომთან დაქირავებულებისა და სპეცსამსახურების გაგზავნასთან ქვეყნის დესტაბილიზების ამოცანით, ნატოსა და სპარსეთის ყურის მისი მოკავშირეების მონათხრობი მნიშვნელოვნად სცდება რეალობას. მომავალში ეს ცდომილება მხოლოდ გაიზრდება.

## ოთხი ჭეშმარიტება, რომელთაც ნატო საგულდაგულოდ მალავს

1. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ რეპრესიებისა და მსხვერპლის თაობაზე მონაცემები გულდაგულაა გადამოწმებული. სინამდვილეში ისინი ეყრდნობა ერთადერთ წყაროს: ლონდონში მდებარე ადამიანის უფლებათა სირიულ ცენტრს, რომლის ხელმძღვანელობის ვინაობა გასაიდუმლოებულია;

2. რუსეთმა და ჩინეთმა ვეტო დაადეს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც გზას გაუხსნიდა საერთაშორისო სამხედრო ჩარევას. ნატოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა სინანულით გვიხსნიან, რომ რუსები ტარტუში მდებარე საკუთარ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე ზრუნავენ, ჩინელები კი ნავთობისათვის ყველაფერზე მზად არიან. არადა, რუსეთი და ჩინეთი გაცილებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სირიის დაცვით, ვიდრე დასავლეთის ქვეყნები — მისი განადგურებით.

3. ძნელია, ვერ შეამჩნიო, რომ არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და სირიის „დემოკრატიზაციის“ მცველების ორი ძირითადი დონორი ▶

**ირანის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა საკმაოდ რთული საქმე იქნება. გეოპოლიტიკური პარტნიორები ვერ ხედავენ რაიმე აზრს იმაში, რომ აშშ-სა და ისრაელს მათი ინტერესების დაცვაში დახმარება გაუწიონ, აშშ-ის ზოგიერთ მოკავშირეს კი თეირანზე მეტად ეშინია ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საუდის არაბეთი და ყატარი, ერთის მხრივ, დიქტატურები არიან, მეორეს მხრივ კი — აშშ-ისა და ბრიტანეთის ყურმოჭრილი ვასლები. ძნელია, ენდო ჰუმანიტარული დროშის მოფრიალე დასავლეთის ქვეყნებს, რომლებმაც სულ ახლახან გაანადგურეს ავღანეთი, ერაყი და ლიბია, რის შედეგადაც უკანასკნელ 10 წელიწადში 1,2 მილიონ ადამიანზე მეტი დაიღუპა. მათ საქმით დაამტკიცეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ადამიანის სიცოცხლე.

4. ნატოსა და სპარსეთის ყურეში მისი მოკავშირეების, ანუ, მათი თქმით, ვისი არმიებიც დემონსტრაციების სისხლიანი ჩახშობის მიზნით იემენსა და ბაჰრეინში შეიჭრნენ, „სირიის რევოლუცია" „არაბული გაზაფხულის" გაგრძელებაა: ხალხი დემოკრატიისა და ამერიკული ცხოვრების წესის კომფორტისაკენ მიისწრაფვის. სინამდვილეში კი პირიქითაა. რუსეთის, ჩინეთის, ვენესუელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აზრით, სირიაში მიმდინარე მოვლენები „დიდი ახლო აღმოსავლეთის საზღვრების გადახაზვის" იმ გეგმის განხორციელების გაგრძელებაა, რომელიც ვაშინგტონმა გამოაცხადა, და რომელსაც უკვე ემსხვერპლა 1,2 მილიონი ადამიანი. ამიტომ ყველა, ვისთვისაც ადამიანთა სიცოცხლე ძვირფასია, ამ გეგმის შეჩერებას უნდა ცდილობდეს.

მათ ახსოვთ, რომ **2001 წლის 15 სექტემბერს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა 7 ომი დაგეგმა. სირიაზე თავდასხმის მზადება ოფიციალურად 2003 წლის 12 დეკემბერს დაიწყო ბაღდადის დაცემისთანავე სირიის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღებით. მას შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტს კონგრესის მიერ დავალებული აქვს სირიაზე თავდასხმა, ცეცხლის გახსნის საკითხი საპარლამენტო კენჭისყრის აუცილებლობისაგან გათავისუფლებულია.**

სირიის წინააღმდეგ ომი გრძელდება. გარე ძალები აკეთებენ ყველაფერს, რათა მდგომარეობის დესტაბილიზებას მიაღწიონ. შეიარაღებული იატაკქვეშეთი სისხლს აცლის სამართალდამცავებსა და არმიას. დეკემბრის დასაწყისში სირიამ თავიდან აიცილა პრონატოური ბოევიკების დესანტის გადასმა თურქეთიდან. ამის შემდეგ სირიელმა მესაზღვრეებმა გზა მოუჭრეს ტერორისტების მსხვილ დაჯგუფებას, რომელიც ბრძოლით ცდილობდა სირია-თურქეთის საზღვარზე გადასვლას. დაჭრილები თურქეთის სამხედრო ტრანსპორტით გაიყვანეს.

არაბული მასმედიის ცნობით, **თურქეთის ტერიტორიაზე არსებობს „სირიის თავისუფალი არმიის" ბაზები და არმიის რიგები მუდმივად ივსება ავღანეთში, ერაყსა და ლიბიაში გამოცდილებამიღებული პროფესიონალი რევოლუციონერებით.** არმიის ბოევიკები სირიელ სამხედროებს თავს ახვევენ შეტაკებებს იორდანიის საზღვარზეც და ადგილებზე „წინააღმდეგობის ქსელებს" ქმნიან.

ასე კეთდება „რევოლუცია".

specnaz.ru

---

1983 წელს ამერიკის მასმედიას დაახლოებით 50 კორპორაცია აკონტროლებდა. დღეს მათ აკონტროლებს მხოლოდ ექვსი წარმოუდგენლად მძლავრი მედია-კორპორაცია, რომლებიც ფლობენ სატელევიზიო ქსელებს, საკაბელო არხებს, კინოსტუდიებს, გაზეთებს, ჟურნალებს, გამომცემლობებს და მრავალ პოპულარულ საიტსაც კი. დღეს აშშ-ის თითქმის მთელ მასმედიას აკონტროლებენ „Time Warner", „Walt Disney", „Viacom", „Rupert Murdoch's News Corp.", „CBS Corporation" და „NBC Universal". ქვემოთ მოყვანილი სია ასახავს მხოლოდ მცირე რაოდენობით მედიაწყაროებს, რომელთაც ეს ექვსი ბეჰემოთი ფლობს.

# ამერიკული მასმედიის მაკონტროლებელი 6 კორპორაცია

## Time Warner

Home Box Office (HBO); Time Inc.; Turner Broadcasting System, Inc.; Warner Bros. Entertainment Inc.; CW Network (partial ownership); TMZ; New Line Cinema; Time Warner Cable; Cinemax; Cartoon Network; TBS; TNT; America Online; MapQuest; Moviefone; Castle Rock; Sports Illustrated; Fortune; Marie Claire; People Magazine.

## Walt Disney

ABC Television Network; Disney Publishing; ESPN Inc.; Disney Channel; SOAPnet; A&E; Lifetime; Buena Vista Home Entertainment; Buena Vista Theatrical Productions; Buena Vista Records; Disney Records; Hollywood Records; Miramax Films; Touchstone Pictures; Walt Disney Pictures; Pixar Animation Studios; Buena Vista Games; Hyperion Books.

## News Corporation

Dow Jones & Company, Inc.; Fox Television Stations; The New York Post; Fox Searchlight Pictures; Beliefnet; Fox Business Network; Fox Kids Europe; Fox News Channel; Fox Sports Net; Fox Television Network; FX; My Network TV; MySpace; News Limited News; Phoenix InfoNews Channel; Phoenix Movies Channel; Sky PerfecTV; Speed Channel; STAR TV India; STAR TV Taiwan; STAR World; Times Higher Education Supplement Magazine; Times Literary Supplement Magazine; Times of London; 20th Century Fox Home Entertainment; 20th Century Fox International; 20th Century Fox Studios; 20th Century Fox Television; BSkyB; DIRECTV; The Wall Street Journal; Fox Broadcasting Company; Fox Interactive Media; FOXTEL; HarperCollins Publishers; The National Geographic Channel; National Rugby League; News Interactive; News Outdoor; Radio Veronica; ReganBooks; Sky Italia; Sky Radio Denmark; Sky Radio Germany; Sky Radio Netherlands; STAR; Zondervan.

## Viacom

Paramount Pictures; Paramount Home Entertainment; Black Entertainment Television (BET); Comedy Central; Country Music Television (CMT); Logo; MTV; MTV Canada; MTV2; Nick Magazine; Nick at Nite; Nick Jr.; Nickelodeon; Noggin; Spike TV; The Movie Channel; TV Land; VH1.

## NBC Universal

Bravo; CNBC; NBC News; MSNBC; NBC Sports; NBC Television Network; Oxygen; SciFi Magazine; Syfy (Sci Fi Channel); Telemundo; USA Network; Weather Channel; Focus Features; NBC Universal Television Distribution; NBC Universal Television Studio; Paxson Communications (partial ownership); Trio; Universal Parks & Resorts; Universal Pictures; Universal Studio Home Video.

## CBS Corporation

CBS News; CBS Sports; CBS Television Network; CNET; Showtime; TV.com; CBS Radio Inc. (130 stations); CBS Consumer Products; CBS Outdoor; CW Network (50% ownership); Infinity Broadcasting; Simon & Schuster (Pocket Books, Scribner); Westwood One Radio Network.

**ეს არის უმთავრესი მიზეზი ბოლო დროს მასმედიის ალტერნატიული სახეობების მომრავლებისა. ადამიანები სულ უფრო ნაკლებად ენდობიან მეინსტრიმ-მასმედიას და სიმართლეს სხვა წყაროებში ეძებენ. კონტროლირებად მასმედიაში არავინ წერს, თუ რა ბოროტებას წარმოადგენს ფედერალური სარეზერვო სისტემა ან რა ტემპებით ვითარდება ამერიკის დეინდუსტრალიზაცია.**

mixednews.ru

# ირანის ნაცვლად აშშ ნატოელ პარტნიორებს დასჯის

**ირანული ნავთობის გარეშე საბერძნეთისა და იტალიის ეკონომიკები საბოლოოდ განადგურდება. აშშ-ის პრეზიდენტმა ევროპას არჩევანი არ დაუტოვა, როდესაც განაცხადა, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის მეგობრობა ბრიუსელის მიერ ირანის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერაზეა დამოკიდებულიო. ევროკავშირის ახლანდელ პრობლემებს, ოდნავ მაინც შეანელოს ფინანსურ სფეროში არსებული კრიზისული მოვლენები, ახლა ნავთობის ალტერნატიული მიმწოდებლის ძიებაც დაემატა.**

ევროპაში, რომლის წილად ირანიდან ექსპორტირებული ნავთობის 18% მოდის, ამ ნავთობის ძირითადი მომხმარებლებია: საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი. ეს სწორედ ის სახელმწიფოებია, რომელთა ეკონომიკა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. მათ არ აქვთ საშუალება, უარი თქვან ნავთობის მიწოდების ჩვეულ სქემაზე და კიდევ ერთი დარტყმის ქვეშ დააყენონ ეროვნული მრეწველობა და ინფრასტრუქტურა.

**ირანისთვის ნავთობზე ემბარგოს დაწესების ფრანგულმა იდეამ საბერძნეთს, იტალიასა და ესპანეთს თავზარი დასცა. მათ ერთი თვიდან ერთ წლამდე „საშეღავათო პერიოდი" მოითხოვეს. ერთწლიან პერიოდს დაჟინებით მოითხოვს საბერძნეთი, რომლის იმპორტირებული ენერგორესურსების ნახევარი სწორედ ირანზე მოდის. იტალია, რომლის მდგომარეობაც ბეწვზე კიდია, ირანისაგან მთელი საჭირო ნავთობის 40%-ს ყიდულობს. ასევე მსხვილი მყიდველები არიან ბელგია, ბრიტანეთი და გერმანია.**

ირანულ ნავთობზე ემბარგოს დაწესების ინიციატივამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის განვითარებას შორის ასიმილაცია. ზოგიერთებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი ზიანის გარეშე შეელიონ ირანიდან იმპორტირებულ ნავთობს, დანარჩენებს კი არა.

კიდევ უფრო მეტადაა ირანულ ნავთობზე დამოკიდებული თურქეთი, რომლის მთელი მოთხოვნის 30%-ს სწორედ ირანული ნავთობი აკმაყოფილებს. ამიტომ თურქეთი აპირებს, აშშ-თან ემბარგოს ისეთი სახეობა შეათანხმოს, რომლის დროსაც ქვეყნის მთავარი ნავთობგადამამუშავებელი ოპერატორი „Tupras"-ი ირანულ ნავთობს კვლავაც იყიდის, მაგრამ ამერიკულ სანქციებს ასცდება. როგორც ცნობილია, აშშ სანქციებით დაემუქრა ყველას, ვინც აშშ-ის ბანკებისაგან მოწყვეტით ირანთან ვაჭრობას განაგრძობენ.

თურქეთმა ბარაკ ობამას მიერ ხელმოწერილი ის დოკუმენტი მოიშველია, რომლის თანახმადაც სანქციებისგან თავისუფლდებიან იმ ქვეყნების კომპანიები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს ირანთან თანამშრომლობა. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, სანქციები შეიძლება შეჩერებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ეწინააღმდეგება აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებს ან წონასწორობიდან გამოყავს ნავთობით მსოფლიო ვაჭრობა.

მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების დაწესება ზედმიწევნით წინდახედულებას მოითხოვს, ამიტომ **თურქულმა მხარემ ირანი დაარწმუნა, რომ, ორმხრივი ურთიერთობების ნებისმიერი სცენარით განვითარების შემთხვევაში, თურქეთი ირანზე დარტყმის პლაცდარმად საკუთარ ტერიტორიას არავის გამოაყენებინებს.**

აშშ-ის კიდევ ერთმა მოკავშირემ, იაპონიამ, ასევე მოითხოვა, რომ სანქციები დოზირებული იყოს. მართალია, ტოკიო ირანის ნავთობზე გაცილებით ნაკლებადაა დამოკიდებული და მისგან მთელი მოცულობის მხოლოდ 10%-ს ყიდულობს, მაინც ცდილობს, თურქეთის მსგავსად, დაიხსნას სანქციებისაგან საკუთარი კომპანიები.

ჩინეთზე ირანული ნავთობის მთელი ექსპორტის 20% მოდის. ის ირანული ნავთობის მთავარი მომხმარებელია და აშშ-ის სანქციების მხარდაჭერას არ აპირებს საკუთარი თავის საზიანოდ. ქვეყნის მაღალჩინოსნების განცხადებების თანახმად, ირანი იყო და რჩება ჩინეთის მნიშვნელოვან პარტნიორად ენერგომატარებლების მიწოდების მხრივ და ამ ურთიერთობებში ცვლილებების შეტანას პეკინი არ აპირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ **ჩინეთმა უკვე დაკარგა ბევრი მომგებიანი კონტრაქტი და მნიშვნელოვანი ინვესტიცია ვაშინგტონის ძალისხმევით განადგურებულ ლიბიაში.**

მთელი საჭირო ნავთობის დაახლოებით 12-15%-ს ირანისაგან ყიდულობს ინდოეთი. ეს მოცულობით დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც ჩინეთში ექსპორტირებული ნავთობი და ირანის მთელი ექსპორტის 20%-ს შეადგენს. ინდოეთის წარმომადგენლები ერთხელ კიდევ დეკემბერში ალაპარაკდნენ ირანული ნავთობისათვის რუსული ბანკების საშუალებით ანგარიშსწორების შესახებ.

ირანის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა საკმაოდ რთული საქმე იქნება. გეოპოლიტიკური პარტნიორები ვერ ხედავენ რაიმე აზრს იმაში, რომ აშშ-სა და ისრაელს მათი ინტერესების დაცვაში დახმარება გაუწიონ, აშშ-ის ზოგიერთ მოკავშირეს კი თეირანზე მეტად ეშინია ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა.

win.ru

საქართველო და მსოფლიო
არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი სიცოცხლის მანძილზე სტალინს არ ჰქონდა თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ვინმე „გაერიცხათ ხელმძღვანელი კოლექტივიდან“ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეთანხმებოდა სტალინის აზრს. ნიშანდობლივია, რომ ხრუშჩოვის მოხსენებაში არ არის დასახელებული არც ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითი.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

**55 წლის წინათ, 1956 წლის 25 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომპარტიის XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვი წარსდგა ე.წ. დახურული მოხსენებით, რომელიც ლონდონის „ტელეგრაფმა“ შეაფასა როგორც „XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი სიტყვა“, ხოლო იმავე დღეს „ნიუ იორკ ტაიმსში“ უილიამ ტაუბმანმა (პულიტცერის პრემია მიენიჭა ხრუშჩოვის ბიოგრაფიისათვის) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის გამოსვლა მოვლენათა კალენდარში შესატან გმირობად მიიჩნია.**

**მოსალოდნელი იყო ასეთი რეაქცია.**

**მაგრამ გროვერ ფერმა, ამერიკელმა მეცნიერმა, ვისი წიგნის ადაპტირებული თარგმანის ბეჭდვას დღეს იწყებს „საქართველო და მსოფლიო“, აღმოაჩინა, რომ „დახურული მოხსენების“ არც ერთი „მხილება“ სინამდვილეს არ შეეფერება.**

**გაირკვა, რომ XX საუკუნის „ყველაზე გავლენიანი სიტყვა“ ყალთაბანდობის ნაყოფია.**

**გროვერ ფერი კატეგორიულად აცხადებს, რომ ხსენებული მოხსენების „მხილებანი“ „ყველა, როგორც ერთი, ცრუა... ხრუშჩოვს სიმართლის ნატამალიც არ უთქვამს...“**

**ე.წ. დახურული მოხსენების მთავარ თემად სტალინის დანაშაულობათა „მხილებას“ მიიჩნევენ. სინამდვილეში კი, — აღნიშნავს ავტორი, — ხრუშჩოვი ლაპარაკობს სტალინის პიროვნების კულტზე, რაც სულაც არ არის მისი „გაბედულების“ და „გმირობის“ შედეგი. ეს საკითხი განიხილეს უფრო ადრე — ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც სტალინის გარდაცვალებისთანავე, 1953 წლის მარტში გაიმართა.**

**ხრუშჩოვის მოხსენების კონცეფცია ყალბია: „პიროვნების კულტი“, რომელსაც თითქოს ამკვიდრებდა სტალინი, ქმნიდა „დანაშაულის ჩადენის პირობებს“, რაც „სრული დაუსჯელობის ატმოსფეროში“ რეალიზდებოდა კიდეც. „სინამდვილეში, — წერს ავტორი, — სტალინს არათუ არ ჩაუდენია დანაშაულობანი, რომელთაც მას მიაწერენ, არამედ საერთო არაფერი ჰქონია მისი პიროვნების კულტის დანერგვასთან. პირიქით, დღეს არსებული უამრავი ფაქტით აშკარავდება, რომ სტალინი მძაფრად გამოდიოდა საკუთარი პიროვნების საზიზღარი განდიდების წინააღმდეგ“.**

## თავი 2. „ფეხქვეშ გათელილი“ კოლეგიალობის შედეგები

თავისი მოხსენების რამდენიმე ფრაგმენტში ხრუშჩოვი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სტალინი უარყოფდა კოლექტიურ ხელმძღვანელობას. იგი „უხეშად ზემოქმედებდა ყველაფერზე, რაც არა მარტო ეწინააღმდეგებოდა მას, არამედ, მისი ჭირვეული ხასიათიდან და დესპოტურობიდან გამომდინარე, ეჩვენებოდა, რომ ეწინააღმდეგებოდა მის დებულებებს“.

ნიკიტას ბრალდებები ფრიად ზოგადი ხასიათისაა, მათი გაბათილება სტალინთან მომუშავეთა ასეთივე ზოგადი ხასიათის მოსაზრებებით შეიძლება, შეხედულებებით იმ ადამიანებისა, რომლებიც სტალინთან გაცილებით უფრო ახლო თანამშრომლობდნენ, ვიდრე ოდესმე მოუხერხებია ხრუშჩოვს.

მარშალმა გიორგი ჟუკოვმა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში სტალინის გვერდით იყო, კარგად შეისწავლა ხელმძღვანელობის მისეული მეთოდები და ზუსტად გადმოგვცა თავის მოგონებებში. „დახურული მოხსენების“ შეფასებისას იგი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ხრუშჩოვის განცხადებები სხვების მოსაზრებათა და კოლეგიალობის მეთოდის მიუღებლობის შესახებ სრული სიცრუეა. თითქმის იმავეს ამოვიკითხავთ გენერალ სერგეი შტემენკოს მემუარებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ივან ბენედიქტოვის თქმით, რომელსაც (მცირე წყვეტილობით) ეს თანამდებობა ორი ათეული წლის განმავლობაში ეკავა, პოლიტბიუროს ყველა გადაწყვეტილებას მხოლოდ კოლეგიურად იღებდნენ. იმავეს ადასტურებს თავის მონათხრობში დიმიტრი შეპილოვი. **ხრუშჩოვიც კი, საკუთარი განცხადებების საპირისპიროდ, თავის მოგონებებში წერდა სტალინის ერთ დამახასიათებელ თვისებაზე, კერძოდ, მას შეეძლო შეეცვალა აზრი იმ შემთხვევაში, თუ მავანი არ დაეთანხმებოდა, მაგრამ თავის პოზიციას არგუმენტირებულად დაასაბუთებდა.**

ანასტას მიქოიანი გულწრფელად მხარს უჭერდა ხრუშჩოვს და სტალინისადმი მტრულად იყო განწყობილი. ამასთან, ანასტას ივანოვიჩი უკმაყოფილო იყო იმით, რომ დე-

გროვერ ფერი



მოკრატიზმისა და კოლექტიურობის პრინციპები ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროს მიუღწეველ იდეალად რჩებოდა: ამ პრინციპებს ნიკიტა ხრუშჩოვმა ძალიან მალე უღალტა, რაც 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე თანამდებობიდან მისი გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

## სტალინი „მორალურად და ფიზიკურად ანადგურებდა“ მათ, ვინც არ ეთანხმებოდა

ხრუშჩოვი: „იგი (სტალინი) არ მოქმედებდა დარწმუნების, განმარტების, ადამიანებთან რუდუნებითი მუშაობის გზით, არამედ თავს ახვევდა თავის დებულებებს... ის, ვინც ეწინააღმდეგებოდა ან ცდილობდა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, განწირული იყო ხელმძღვანელი კოლექტივიდან გასარიცხად, შემდგომ — მორალური და ფიზიკური განადგურებისთვის“.

**მთელი სიცოცხლის მანძილზე სტალინს არ ჰქონდა თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ვინმე „გაერიცხათ ხელმძღვანელი კოლექტივიდან“ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეთანხმებოდა სტალინის აზრს. ნიშანდობლივია, რომ ხრუშჩოვის მოხსენებაში არ არის დასახელებული არც ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითი.**

ღირს იმის გახსენება, რომ სტალინი იყო საკ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროში ჰქონდა მხოლოდ ერთი ხმა. ცენტრალურ კომიტეტს შეეძლო მისი გათავისუფლება. სტალინი თვითონაც ოთხჯერ შეეცადა წასულიყო გენერალური მდივნობიდან, მაგრამ მისი თხოვნა ოთხჯერვე არ დააკმაყოფილეს. ამ ხასიათის უკანასკნელი თხოვნით სტალინმა პარტიის XIX ყრილობას 1952 წლის ოქტომბერში მიმართა. ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

ხრუშჩოვსა და სხვებს არა მხოლოდ შეეძლოთ შეწინააღმდეგებოდნენ სტალინს, არამედ არცთუ იშვიათად წასულან მისი მოსაზრების წინააღმდეგ. მაგალითად, ასე იყო, ხრუშჩოვმა და მიქოიანმა 1953 წლის თებერვალში მხარი რომ არ დაუჭირეს სტალინის მცდელობას, შემოეღოთ ახალი გადასახადი გლეხებისთვის. ამის გამო არავინ დაუსჯიათ არც მორალურად, არც ფიზიკურად და ხელმძღვანელობიდან არავინ დაუთხოვიათ.

სტალინს არ გაუკეთებია, სამაგიეროდ ნიკიტამ 1953 წლის 26 ივნისს ცრუ ბრალდებების მოშველიებით მოულოდნელად დააპატიმრებინა ლავრენტი ბერია და ექვსი მისი თანამებრძოლი: ვსევოლოდ მერკულოვი, ვლადიმირ დეკანოზოვი, ბაღჩო (ბოგდან) ქობულოვი, სერგო გოგლიძე, პაველ მეშიკი, ლევ ვლოძიმარსკი. ყველანი დახვრიტეს. სტალინს არასოდეს ჩაუდენია მსგავსი რამ.

**ბერია არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ხრუშჩოვმა პარტიული ხელმძღვანელობიდან მოიცილა აზრთა სხვადასხვაობის გამო. 1957 წლის ივლისში მან მოიწვია ცეკას პლენუმი და მიაღწია, რომ მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და შეპილოვი გააძევებინათ იმიტომ, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას.** ხრუშჩოვს და მის ყველა მხარდამჭერს სჭირდებოდა გამართლება ან ახსნა, თუ რატომ წინ არ აღუდგნენ სტალინს და ყველა მის „დანაშაულობას“ და რატომ დარჩნენ მასთან ერთად პარტიის ხელმძღვანელობაში. რჩება შთაბეჭდილება, რომ „განადგურების“ შიში მათ ალიბად გადაიქცა. ხრუშჩოვს არაერთგზის გაუმეორებია, რომ, თუ „ისინი“ შეეცდებოდნენ „პარტიაში ლენინის ნორმების აღდგენას“ ან შეთავაზებდნენ სტალინს გადამდგარიყო, „ჩვენგან სველი ადგილიც არ დარჩებოდა“.

კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთმა ლიდერმა ზუსტად შენიშნა, რამდენად უღირსია ამგვარი თავისმართლება: **„როცა საბჭოთა ლიდერი ანასტას მიქოიანი საბჭოთა დელეგაციის მეთაურად ესწრებოდა ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობას 1956 წელს, პენ (დეჰუეი) პირისპირ შეეკითხა მას, რატომ მხოლოდ ახლა დაგმო საბჭოთა პარტიამ სტალინი, მიქოიანმა, ვარაუდობენ, ასე უპასუხა: „იმ დროს ჩვენ ვერ ვბედავდით ჩვენი აზრის გამოთქმას. ასეთნაირად მოქცევა ნიშნავდა სიკვდილს“. პენ (დეჰუეი) არ დაეთანხმა და უთხრა: „ის რანაირი კომუნისტია, ვისაც სიკვდილის ეშინია?!“**

## მასობრივი რეპრესიების პრაქტიკა მთლიანობაში

ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ მძაფრი იდეური ბრძოლის დროსაც კი ტროცკისტები ზინოვიელების, ბუხარინელების და სხვათა წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ უკიდურეს რეპრესიულ ზომებს. ბრძოლა იდეურ საფუძველზე მიმდინარეობდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ქვეყანაში სოციალიზმი უკვე აშენებული იყო, როცა პარტიის იდეური მოწინააღმდეგენი დიდი ხნის განადგურებულები იყვნენ, მათ წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. ამასთან, „იმ პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ ტროცკისტებს და მემარჯვენეებს, პარტიის ლენინური კურსის დასაცავად“.

*(ამ ციკლის მომდევნო პუბლიკაციებში მკითხველებს მივაწვდით დოკუმენტურ, მათ შორის, სტატისტიკურ მასალებს 30-იანი წლების რეპრესიების შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულია წიგნში „რისთვის აპატიმრებენ სტალინის დროს“ და სხვა ნაშრომებში).*

ხრუშჩოვის მოხსენებაში არაფერი ისე საზიზღრად არ ჩანს, როგორც სტალინისთვის მასობრივი და უსაფუძვლო რეპრესიებისადმი წაქეზების დაბრალება.

ამ დროს სწორედ ხრუშჩოვს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა მასობრივი რეპრესიების გამო. შესაძლოა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე სხვა ვინმეს ნიკოლაი ეჟოვის გამოკლებით, რომელიც შინსახკომს ხელმძღვანელობდა შუა 1936 წლიდან 1938 წლის ბოლომდე და რომელიც ამ წრის ადამიანებს შორის ყველაზე უფრო პირსისხლიანი იყო. **სტალინისა და ცენტრალური პარტიული ხელმძღვანელობისგან განსხვავებით (ვის წინაშეც ყველა პირველი მდივანი ანგარიშვალდებული იყო), ხრუშჩოვმა, ისევე, სხვათა შორის, როგორც ეჟოვმა, პირადად იცოდა, რომ მისი მონაწილეობით რეპრესირებულთა უდიდესი რაოდენობა, შეიძლება, უმრავლესობაც კი, უდანაშაულო იყო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი ბედი გულმოდგინე შესწავლის გარეშე წყდებოდა.**

**კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1956 წლის 1 თებერვლის სდომაზე, ანუ „დახურულ მოხსენებამდე“ 24 დღით ადრე ხრუშჩოვი ეჟოვის, ასევე, მისი წინამორბედის, გენრიხ გრიგოლის ძე (ენოხ გერშენის ძე) იაგოდას დასაცავად გამოვიდა.** ასეთი თავგამოდება ძნელად ასახსნელი რჩება მხოლოდ მანამდე, სანამ არ გავითვალისწინებთ ხრუშჩოვის პირად აზრს, რომ არავითარი შეთქმულება საერთოდ არ არსებობდა და, მაშასადამე, ყველა, ვინც რეპრესირებული იყო, უდანაშაულო მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს. ამ პოზიციაზე ხრუშჩოვი XX ყრილობის შემდეგ კარგახანს რჩებოდა. „დახურულ მოხსენებაში“ იგი აცხადებდა, რომ ეჟოვის რეპრესიების გა- ▶

ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი



**1917 წლის ყველა რევოლუციონერი რუსეთის მოვლენებს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის პრიზმით უყურებდა, ამიტომაც ტერმინი „ხალხის მტერი“ მათ შორის გავრცელებული და დამკვიდრებული იყო.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მო პასუხისმგებლობა სტალინს უნდა დაეკისროს. მაგრამ, ჯერ ერთი, ხრუშჩოვს თავად აქვს ხელები სისხლით გასვრილი, მეორე, ყველა წყაროთი, რომლებიც დღეს ხელმისაწვდომია, **აშკარად მტკიცდება, რომ ფართომასშტაბიანი უკანონო რეპრესიების გამო პასუხისმგებლობა სტალინის კი არა, მთლიანად ეჟოვის სინდისზეა.**

დღეებისა და თვეების განმავლობაში, როცა მიმდინარეობდა გამოძიება, რომელმაც დაადასტურა ეჟოვის უეჭველი ბრალეულობა, ხრუშჩოვი ჯერ საკ კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და შემდეგ პოლიტბიუროს წევრი იყო. პოლიტბიუროს შემადგენლობაში მაშინ შედიოდნენ ანასტას მიქოიანიც, ვიაჩესლავ მოლოტოვიც, ლაზარ კაგანოვიჩიც და კლიმენტ ვოროშილოვიც, მაგრამ მხოლოდ ამით ვერ აიხსნება „დახურული მოხსენების“ ძირითადი დებულებების მათ მიერ თუნდაც დროებითი მხარდაჭერა.

**ამა თუ იმ რეპრესირებული პარტიული ხელმძღვანელების საქმეების ოფიციალური პროცედურების შესწავლის დასრულებამდე (არცთუ იშვიათად დაწყებამდეც კი), ხრუშჩოვმა ისინი აპრიორი უსაფუძვლო რეპრესიების მსხვერპლად გამოაცხადა. ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება დღეს არსებულ მტკიცებულებებს, თუმცა იმ დოკუმენტების მხოლოდ უმცირესი ნაწილია საჯაროდ გამოტანილი, რომლებიც ამ პირთა საქმიანობას ეხება.** ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პეტრე პოსპელოვის ხელმძღვანელობით მომზადებული მოხსენება, რომელსაც ხელს აწერდნენ, აგრეთვე, ავერკი არისტოვი, ცკ-ის მდივანი და ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი ნიკოლაი შვერნიკი, ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი და სხვები, გათვალისწინებული იყო საგანგებოდ საიმისოდ, რომ შეეიარაღებინათ ხრუშჩოვი მისთვის აუცილებელი მასალებით და წინასწარ დადგენილი დასკვნის გასამართლებლად, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები უკანონოდ იყვნენ რეპრესირებულები. მაგრამ მოხსენების ყურადღების მიღმა დარჩა ჩვენებათა დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი მასივი, რომელიც არქივში ინახება და არავითარ დაეჭვებას არ იწვევს. ამასთან ერთად, მოხსენება იმგვარადაა შედგენილი, რომ მასში არ არის წარმოდგენილი იმ პირთა უდანაშაულობის მტკიცებულებანი, ვის წინააღმდეგაც განხორციელებული რეპრესიები თითქოს ყოველმხრივაა გაანალიზებული.

**ყველა არსებული მტკიცებულება მიგვანიშნებს, რომ ნამდვილად არსებობდა მემარჯვენე-ტროცკისტული ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებათა განტოტვილი ქსელი, რომელშიც ჩათრეული იყო მრავალი წამყვანი პარტიული ლიდერი, შინსახკომის ხელმძღვანელები იაგოდა და ეჟოვი, უმაღლესი სამხედრო ოფიცრობა და მრავალი სხვა. შექმნილი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია სტალინური მთავრობა არასოდეს მალავდა.**

არაპირდაპირი სამხილების დიდი რაოდენობა მიგვანიშნებს მემარჯვენე ტროცკისტულ შეთქმულებაში თავად ხრუშჩოვის თანამონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ჰიპოთეზა ეფუძნება უამრავ მტკიცებულებას, იგი უფრო ფაქტის გააზრებისკენ გვიბიძგებს, ვიდრე საბოლოო დასკვნად შეიძლება გამოგვადგეს. მაგრამ ასეა თუ ისე, მისი გათვალისწინებით შეგვიძლია გავარკვიოთ ხრუშჩოვის სტალინის წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზები და ავხსნათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ზოგიერთი თავისებურებანი.

## ტერმინი „ხალხის მტერი“

ხრუშჩოვმა „დახურულ მოხსენებაში“ სტალინს დააბრალა, რომ მან შემოიღო მცნება „ხალხის მტერი“, რაც თავისთავად საჭიროს არ ხდიდა რაიმეს დამტკიცებას, გამორიცხავდა პოლემიკას, იდეურ ბრძოლას და ა. შ.

ხრუშჩოვი, რა თქმა უნდა, აქაც ტყუის: 1930-იანი წლების ლექსიკაში ეს მცნება სტალინს არ შემოუღია.

**ტერმინი — L'enemi du peuple — ხალხის მტერი — ფართოდ იყო გამოყენებული ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში. ეს ტერმინი, ეტყობა, პირველად პუბლიცისტმა ჟან-პოლ მარატმა გამოიყენა რევოლუციური ბიულეტენის L'Ami du Peuple („ხალხის მეგობარი“) 1793 წლის პირველსავე ნომერში. „ხალხის მტერი“ — ასე ჰქვია იბსენის ფართოდ ცნობილ პიესას (1908 წელი). მაქსიმ გორკიმ ეს შესიტყვება გამოიყენა ხერსონელების ფიცში ნარკვევში „ხერსონეს ტავრიჩელი“, რომელიც 1897 წელს გამოიცა.**

1917 წლის ყველა რევოლუციონერი რუსეთის მოვლენებს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის პრიზმით უყურებდა, ამიტომაც ტერმინი „ხალხის მტერი“ მათ შორის გავრცელებული და დამკვიდრებული იყო. ლენინი ამ ტერმინს აქტიურად იყენებდა 1905 წლის რევოლუციის წინ. სახკომსაბჭოს 1917 წლის 28 ნოემბრის დეკრეტით აიკრძალა კადეტების პარტია, როგორც „ხალხის მტრების“ პარტია.

საბჭოთა კავშირის სახელისუფლო დოკუმენტში ეს ტერმინი დაფიქსირებულია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილებაში, რომელიც „სამი თავთავის კანონის“ სახელით გავრცელდა ხალხში. მაგრამ აქ ეს ტერმინი ეხება არა პარტიულ ოპოზიციონერებს, არამედ ქურდებს, რომლებსაც კანონი დევნის, მძარცველებს და ყველა ჯურის ყალთაბანდებს. კანონს ხელს აწერენ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ კალინინი, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვიაჩესლავ მოლოტოვი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი აბელ ენუქიძე. სტალინის ხელრთვა ამ დოკუმენტზე არ არის, რადგან იმ პერიოდში მას არ ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობა საბჭოთა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებში.



1963 წელი. ნიკიტა ხრუშჩოვი უკანასკნელად უყურებს ნოემბრის აღლუმს წითელ მოედანზე მავზოლეუმის ტრიბუნიდან. მალე მისი თანამებრძოლები მას „გააპანღურებენ“ და „პენსიაზე გაუშვებენ“. სურათზე მარჯვნივ დგას სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ბრეჟნევი და (სურათზე მარცხნივ) თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი.

**1917 წლის დასაწყისიდან მცნება „ხალხის მტერი“ სტალინის ნაშრომებში გამოყენებულია ათამდე შემთხვევაში. ეს ტერმინი ბევრჯერ და ხშირად იხმარა ხრუშჩოვმა „დახურულ მოხსენებამდე“ 11 დღით ადრე სკკპ XX ყრილობისთვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში.**

## ზინოვიევი, კამენევი, ტროცკისტები და სხვანი

ხრუშჩოვი: „თავის „ანდერძში“ ლენინი გვაფრთხილებდა, რომ „ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის ეპიზოდი, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის“, მაგრამ ლენინი არ მოითხოვდა მათ დაპატიმრებას, მით უფრო — დახვრეტას“.

ხრუშჩოვი გულისხმობდა, რომ სწორედ სტალინმა უნდა აგოს პასუხი გრიგორი ზინოვიევისა (ოვსეი-გერშ არონის ძე როდომილსკი) და ლევ ბორისის ძე კამენევის (ნამდვილი გვარი — როზენფელდი) დაუსაბუთებელი დახვრეტის გამო.

**რაგინდ პარადოქსულად შეიძლება გეჩვენოთ, მაგრამ დღემდე არსად და არავის არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომ ზინოვიევისა და კამენევის აღიარებითი ჩვენებები არ იყო გულწრფელი. რუსეთის ხელისუფალნი ჯერჯერობით თავს იკავებენ გამოძიების მასალების გამოქვეყნებისგან, მაგრამ არსებობს რიგი დოკუმენტებისა — ზინოვიევის, კამენევისა და ბუხარინის დაკითხვების ოქმების სახით, სადაც ისინი, ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების მსვლელობისას, ერთმანეთს მოღალატეობრივ საქმიანობაში ამხელენ, მათი ყველა აღიარება ერთმანეთს ადასტურებს და სრულად ეთანხმება პროცესებზე გაჟღერებულ ჩვენებებს.**

ძნელი მისახვედრი არ არის: ხრუშჩოვს არ ჰქონდა მათი უცოდველობის არანაირი დადასტურება, თორემ აუცილებლად გამოაქვეყნებდა. მაშასადამე, ხრუშჩოვი მხოლოდ პირფერობდა, როცა ზინოვიევისა და კამენევის ხვედრის გამო ჭმუნავდა.

ცრუობდა ხრუშჩოვი, როცა ყალბი მწუხარებით აცხადებდა, რომ არავითარი საჭიროება არ იყო ტროცკისტების ფიზიკური განადგურების, რადგან ბევრმა მათგანმა გაწყვიტა კავშირი ტროცკიზმთან და ლენინურ პოზიციებზე გადმოვიდაო.

**1937 წლის 3 მარტს პარტიის ცკ-ის თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ტროცკისტები. მაგრამ არ მოუთხოვია მათ წინააღმდეგ დევნის გაძლიერება, თუმცა სიფხიზლის გაძლიერებისკენ კი მოუწოდა პარტიის ცკ-ის წევრებს. მან წამოაყენა წინადადება, დაეფუძნებინათ სპეციალური იდეოლოგიური კურსები ხელმძღვანელი პარტმუშაკებისთვის. ამრიგად, სტალინი მოუწოდებდა, რათა ტროცკიზმის პრობლემა განეხილათ, როგორც ბოლშევიკების პოლიტიკური შეგნების დაბალი დონის ერთ-ერთი შედეგი.**

იმავე პლენუმზე თავის დასკვნით სიტყვაში 5 მარტს სტალინმა მკაცრად გაილაშქრა იმათი ხელაღებით დასჯის წინააღმდეგ, ვინც ოდესმე იხრებოდა ტროცკიზმისკენ და ამასთან ერთად დაბეჯითებით მოითხოვდა მკაცრად „ინდივიდუალურ, დიფერენცირებულ მიდგომას“ აღნიშნულ საკითხში, ანუ სწორედ იმას, რასაც, „დახურულ მოხსენებას“ თუ დავუჯერებთ, სტალინი არ აკეთებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა იგივე თვალსაზრისი გამოთქვა, რომელსაც თებერვალ-მარტის პლენუმზე (1937 წ.) მტკიცედ იცავდა სტალინი, მაგრამ ნიკიტამ მას სრულიად საწინააღმდეგო სიტყვები და განზრახვა მიაწერა. ხრუშჩოვისა და სტალინის სიტყვების მსგავსება იმდენად დიდია, რომ, ეტყობა, ხრუშჩოვმა, უბრალოდ, გადაწერა სტალინის სიტყვის შესაბამისი ნაწყვეტი.

კაცმა რომ თქვას, საუბარი განიარაღებულ ტროცკისტებზე, რომლებიც ალტერნატიული „სტალინური“ თეორიის უწყინარი მომხრენი გახდნენ, სინამდვილეს არ შეეფერება.

ამჟამად გამოვლენილია მრავალი ფაქტი, რომლებითაც 1930-იანი წლების საბჭოთა პროპაგანდის მტკიცების სიმართლე დასტურდება, კერძოდ ის, რომ **ტროცკი დაკავშირებული იყო ოპოზიციონერებთან საბჭოთა კავშირის შიგნით, მონაწილეობდა შეთქმულებაში, დაკავშირებული იყო გერმანიისა და იაპონიის სამხედრო წრეებთან, რომლებსაც სტალინური მთავრობის დამხობა ჰქონდათ განზრახული.** დოკუმენტურად მტკიცდება ისიც, რომ ტროცკისტების საიდუმლო ჯგუფები პარტიის გარეთაც და მის რიგებშიც დაკავებულები იყვნენ საბოტაჟით და ჯაშუშობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ავრცელებდნენ ცრუ ბრალდებებს მათთვის არასასურველი პირების შესახებ.

ამ საკითხების გამოწვლილვითი ანალიზი, რომელიც დაეფუძნება ახლახან განსაიდუმლოებულ წყაროთა ბაზას, ელოდება მიუკერძოებელ მკვლევარებს.

## სტალინის მიერ პარტიული ცხოვრების ნორმების ფეხქვეშ გათელვა

ხრუშჩოვი ცდილობდა, საქმე ისე წარმოედგინა, რომ პარტიის XVIII და XIX ყრილობებს შორის დიდი შესვენება დაკავშირებული იყო სტალინის მიერ პარტიული ცხოვრების ნორმების საგანგებოდ იგნორირებასთან და, რა თქმა უნდა, მთელი პასუხისმგებლობა მას დააკისრა.

უკვე ხელმისაწვდომი საბჭოთა საარქივო მასალებიდან აშკარავდება, რომ სტალინური ხელმძღვანელობა ყრილობის მოწვევას 1947 ან 1948 წელს გეგმავდა, მაგრამ პოლიტბიურომ უარყო ეს წინადადება დღემდე გასაიდუმლოებულ მოსაზრებათა საფუძველზე, მაგრამ პოლიტბიუროს წევრ ნიკიტა ხრუშჩოვს უეჭველად უნდა სცოდნოდა, რატომ „ვერ შეძლო“ ან რატომ თქვა უარი ყრილობის დადგენილ ვადებში მოწვევაზე. აშკარაა ისიც, რომ ხრუშჩოვის მოხსენების ბევრმა მსმენელმა იცოდა ეს მიზეზი.

არანორმალურად გაგრძელებულ წყვეტილობაზე საუბრისას, ხრუშჩოვმა საგანგებოდ არ გაითვალისწინა დიდი სამამულო ომის წლები (1941-1945 წ.წ.) და ომი ფინეთთან (1939-1940 წ.წ.). მხოლოდ მშვიდობიან წლებს თუ ვიგულისხმებთ, პარტიის ყრილობის მოწვევა დროული იქნებოდა 1947, 1948 ან 1949 წელსაც კი, ანუ XVIII ყრილობიდან, რომელიც 1939 წელს გაიმართა, მესამე მშვიდობიანი წლის თავზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხრუშჩოვმა კვლავ დაადასტურა თავისი უსინდისობა: ყრილობის ჩატარება დაგეგმილი იყო 1947 ან 1948 წელს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო არ ჩატარებულა. ხრუშჩოვმა, სავარაუდოდ, იცოდა ამ გადაწყვეტილების გამო პოლიტბიუროს სხდომაზე გამართული განხილვის დეტალები, ასევე — გადადების მიზეზები, მაგრამ არ გაამხილა. ამ და ყველა მომდევნო პლენუმების სტენოგრამები არ გამოქვეყნებულა არც ხრუშჩოვის, არც მის შემდეგ პერიოდში.

ნათქვამთან პირდაპირი კავშირი აქვს ხრუშჩოვის სხვა განცხადებას: „თითქმის არ ტარდებოდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმები. საკმარისია ითქვას, რომ **დიდი სამამულო ომის წლებში არც ერთხელ არ მოწვეულა ცკ-ის პლენუმი.** იყო მცდელობა, რომ 1941 წლის ოქტომბერში მოწვეულიყო პლენუმი, როცა მთელი ქვეყნიდან სპეციალურად გამოიძახეს ცეკას წევრები. ორ დღეს ისინი ელოდნენ პლენუმის გახსნას, მაგრამ არ ეღირსათ. სტალინმა არც კი მოისურვა შეხვედროდა ცენტრალური კომიტეტის წევრებს და ესაუბრა მათთან. ეს ფაქტი მეტყველებს, რამდენად იყო დემორალიზებული სტალინი ომის პირველი თვეების განმავლობაში და რამდენად ქედმაღლური და უპატივცემულო დამოკიდებულება ჰქონდა ცეკას წევრებისადმი“.

შესაბამის მეცნიერულ გამოცემაში მოხსენების პუბლიკაციაზე დართულ შენიშვნებში ლაპარაკია, რომ **ომის წლებში განზრახული იყო ორი პლენუმის მოწვევა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაიმართა მხოლოდ ერთი.** აშკარა და პრიმიტიული სიცრუის მიუხედავად, კრებულის მეცნიერმა რედაქტორებმა თავი აარიდეს სიმართლის დაფიქსირებას: ხრუშჩოვმა ტყუილი თქვა.

1941 წლის ოქტომბერში — ომის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, როცა მტერი მოსკოვს იყო მომდგარი, ბევრი პარტიული ხელმძღვანელი ფრონტზე იმყოფებოდა, პლენუმი ვერ შედგებოდა. პლენუმი მოიწვიეს შედარებით მშვიდ ვითარებაში — 1944 წლის 27 იანვარს. დაამტკიცეს ახალი საბჭოთა სახელმწიფო ჰიმნი, განიხილეს რიგი მეორეხარისხოვანი საკითხებისა. ამ პლენუმის გადაწყვეტილებები ცნობილი იყო პარტიის XX ყრილობის თითქმის ყველა დელეგატისათვის, მაგრამ ხრუშჩოვმა თავი ვერ შეიკავა, კიდევ ერთი ტყუილით რომ არ გაემდიდრებინა თავისი „მოხსენება“: ომის წლებში ცკ-ის არც ერთი პლენუმი არ გამართულაო (?!). ყრილობის ტრიბუნიდან გაჟღერებული ამ განცხადების სიცრუე აშკარა იყო ყველა დელეგატისათვის, ვინც დახურულ სხდომას ესწრებოდა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომინტერნის მეორე კონგრესის მოწოდების საპასუხოდ, დასავლეთ ევროპის მუშები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მხარდასაჭერად დაირაზმნენ — საბოტირებდნენ პოლონეთისადმი თავიანთი მთავრობების სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკას.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (139)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

დღეს უკვე მეორედ ვიწვევთ ჩვენს ერთგულ მკითხველებს დიდი საუბრისთვის იოსებ სტალინის შესახებ. ეს შეხვედრები, ისეთი პირი უჩანს, წლის ბოლომდე გასტანს და მინდა დაგარწმუნოთ, რომ უმთავრესი პრინციპი, რომელსაც ვუერთგულებთ, იქნება სიმართლე!

სიმართლე, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ისე მალავს, როგორც კეისარი ცნობილი ფორმულით საკუთარი ცოლის ღალატს.

მაგრამ:

იალტის კონფერენციის დროს ევროპის ომისშემდგომი ბედის ერთ პასაჟზე საუბრისას აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი სტალინს ეტყვის:

„ვისურვებდი, რომ პოლონეთის არჩევნები, როგორც კეისრის ცოლი, ეჭვებზე მაღლა იდგეს.

— კეისრის ცოლზე, — უპასუხებს სტალინი, — ასე მხოლოდ ამბობდნენ. სინამდვილეში მას რაღაც ცოდვები ჰქონდა“.

ხომ მიხვდით, რაზეც მიგანიშნებთ...

სურთ, სიცრუესა და ტყუილში გვაცხოვრონ.

ხალხის მოტყუება?!

მოდით, კიდევ ერთ პარალელს შემოგთავაზებთ, ბატონებო, და დასკვნის გაკეთება თქვენზე იყოს.

სტალინის პირადი თარჯიმანი ბერეჟკოვი, რომელიც ხრუშჩოვის პერიოდში ანტისტალინისტურ კამპანიაში აქტიურად იყო ჩაბმული, მაგრამ ისტორიული ფაქტების ობიექტურად გადმოცემის უნარი შერჩენილი ჰქონდა (ინტერპრეტაციაზე რა მოგახსენოთ!), ზუსტად აღადგენს სტალინის სიტყვებს, რომლებიც მან იმავე იალტაში ინგლისის პრემიერის — ჩერჩილის სადღეგრძელოს საპასუხოდ წარმოთქვა:

„კავშირში მყოფმა მოკავშირეებმა არ უნდა მოატყუონ ერთმანეთი. ეგებ ეს გულუბრყვილობაა? გამოცდილმა დიპლომატებმა შეიძლება თქვან: „ვითომ რატომ არ უნდა მოვატყუო ჩემი მოკავშირე?!“ მაგრამ მე, როგორც გულუბრყვილო ადამიანს, მიმაჩნია, რომ უმჯობესია, არ მოვატყუო ჩემი მოკავშირე, თუნდაც სულელი იყოს. შეიძლება ჩვენი კავშირი ასე მტკიცეა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ ვატყუებთ ერთმანეთს, ან, იქნებ, იმიტომ, რომ არც ისე ადვილია ერთმანეთის მოტყუება?..“

მოკავშირეთა შორის ურთიერთობის მართალ პრინციპზე ლაპარაკობდა სტალინი.

ესენი საკუთარი ხალხის მოტყუებას ცდილობენ(?!).

სიგიჟეა!

ცნობისთვის: „პერესტროიკის“ პერიოდში ბერეჟკოვი, რომელსაც ამ დროს საკმაოდ დამცხრალი ჰქონდა ანტისტალინური პათოსი, თბილისში ჩამოვიდა. ნუგზარ ფოფხაძის რჩევით, საქართველოს ტელევიზიაში მოვიწვიეთ. თენგიზ სულხანიშვილმა ჩაწერა მასთან ინტერვიუ, რომელშიც სტუმარმა სტალინის ზემოთ ციტირებული პასაჟი უცვლელად გაიმეორა.

სიმართლეს ურთგულებს-მეთქი „საქართველო და მსოფლიო“ დაწყებულ ციკლში, ამიტომ მოგახსენეთ დღევანდელი პუბლიკაციის ამ შესავალში.



### ბობოქარი პან იუზეფი

**მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტალინს მოუწია აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებების ჩატარება გერმანიის, პოლონეთის, ფინეთის, იტალიის ხელმძღვანელებთან. ამ კონტაქტებში მონაწილეობდნენ არა იმდენად მთავრობათა მეთაურები, რამდენადაც ამ ქვეყნების ლიდერები, ხელმძღვანელები, რომლებსაც სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხებში ჭიპი ჰქონდათ მოჭრილი.**

ამ თვალსაზრისით, იუზეფ პილსუდსკი განსაკუთრებით გამორჩეული ფიგურა იყო. 1918 წელს მასთან პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები მივიდნენ და მიმართეს:

— ამხანაგო პილსუდსკი!

— ბატონებო, მე თქვენი „ამხანაგი“ არ ვარ. ჩვენ ოდესღაც ერთად ჩავსხედით წითელ ტრამვაიში, მაგრამ იქიდან ჩამოვედი გაჩერებაზე „პოლონეთის დამოუკიდებლობა“. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, მაგრამ მომმართეთ, თუ შეიძლება, „პან“ („ბატონო“).

იოზეფ პილსუდსკი 1867 წელს დაიბადა ქალაქ ჟულევში, იყო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი და ზიზღით აივსო ამ იმპერიისადმი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. ეს გრძნობა მას პოლონეთის სიყვარულთან ერთად მთელი ცხოვრება თან გაჰყვა, რუსოფობია მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო — გამოკვეთილი, გამონაკლისის გარეშე. შამაგიეროდ, მისი სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაცია ფრიად ბუნდოვანი იყო და უპრინციპობით გამოირჩეოდა. ამასთან, არც გაბედულება აკლდა, არც თავისთავადობა.

ერთი დეტალი მისი ბიოგრაფიიდან ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ერთხელ, როცა იგი სტამბაში აწყობდა სტატიას „თავისუფალი სიტყვის ზეიმი“, თავს პოლიცია დაადგა. დააპატიმრეს და ვარშავაში, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა ციხეში მოათავსეს, სადაც მას ზედამხედველობდა კაპიტანი დენიკინი: პოლონეთის მომავალ მარშალს თვალყურს ადევნებდა მომავალი თეთრგვარდიელი გენერალი.

პირველი მსოფლიო ომის დროს პილსუდსკი ავსტრიელებს ასი ათასი პოლონელი მოხალისის გამოყვანას დაჰპირდა, მაგრამ ამის მეათასედის შეგროვებაც ვერ მოახერხა.

1916 წლის ნოემბერში პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება მისი აქტიურობის შედეგადაც მოხდა. მომდევნო წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ ცნო ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა. გერმანიის სარდლობა მას, როგორც რუსეთის ჯაშუშს(!), აპატიმრებს და მაგდებურგის ციხეში გამოკეტავს. პილსუდსკი თავისდაუნებურად პოლიტპატიმრის სტატუსს იღებს და გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლისა და სოციალ-რევოლუციონერის შარავანდედით იმოსება. და თუ (მიაქციეთ ყურადღება!) სრული საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ სტალინი ჩავთვალოთ „ადამიანად, რომელმაც თავისი თავი შექმნა“, პილსუდსკი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ომებისა და რევოლუციების თავნება ეპოქამ გამოძერწა.

1918 წელს გერმანიის რევოლუციის ფონზე იგი საზეიმოდ გაათავისუფლეს ციხიდან, პოლონეთში კი მიიღეს როგორც ეროვნული გმირი და სახელმწიფოს დროებით ხელმძღვანელად, სახალხო ბელადად გამოაცხადეს.

**თავდაჯერებულმა პილსუდსკიმ, რომელსაც აკვიატებული ჰქონდა დიადი რეჩპოსპოლიტას იდეა, კიევის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი რწმენით, პოლონეთის სახელმწიფო ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე უნდა გადაშლილიყო და მოეცვა ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორიები. „ბელორუსია, ლიტვა, უკრაინა ჩვენი ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველია,“ — აცხადებდა იგი.**

ალბათ, ძნელი არ არის პილსუდსკის ამ პოზიციისა და ჰიტლერის დამპყრობლური პოლიტიკის მსგავსების დაფიქსირება — „სასიცოცხლო სივრცის“ მიტაცება საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ.

როგორც ვთქვით, პილსუდსკი შეიჭრა უკრაინაში. ხელთ იგდო კიევი. ზუსტად ამ დროს ყირიმიდან ბარონმა ვრანგელმა დაძრა თავისი შეიარაღებული ძალები პოლონეთის არმიასთან შესაერთებლად.

კომინტერნის მეორე კონგრესის მოწოდების საპასუხოდ, დასავლეთ ევროპის მუშები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მხარდასაჭერად დაირაზმნენ — საბოტირებდნენ პოლონეთისადმი თავიანთი მთავრობების სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკას. პილსუდსკი თავისდაუნებურად მსოფლიო რევოლუციური ხანძრის გამჩაღებლის როლში მოგვევლინა!

ივლისში დაიწყო წითელი არმიის დასავლეთის ▶

უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი ყოველთვის თოკავდა საკუთარ ემოციებს, ეფუძნებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, გონიერებასა და პრინციპებს, რომელთა ერთგულიც რჩებოდა ყოველთვის. იგი არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე იყო, არამედ — მოაზროვნე.**

◀ ფრონტის ჯარების, რომელთაც ტუხაჩევსკი სარდლობდა, შეტევა ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, როცა წითელი არმია შეტევის ტალღაზე პოლონეთში შეიჭრა და ვარშავას აღებით დაემუქრა. მაშინ იფეთქა პოლონელთა ნაციონალიზმმა და პატრიოტიზმმა, ისინი აღსდგნენ სამშობლოს დასაცავად და ტუხაჩევსკის შეტევა სრული კრახით დასრულდა: 25 ათასი წითელარმიელი ტყვედ ჩავარდა და თითქმის ყველა ან დახვრიტეს, ან ავადმყოფობის და გაუსაძლისი პირობების გამო გარდაიცვალა (*შეგიძლიათ პარალელი გაავლოთ კატინის ტრაგედიასთან, რომელსაც ანტისტალინელები შინსახკომს აბრალებენ. — ა.ს.*).

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დასკვნითი ფაზის ეს ეპიზოდი უაღრესად ყურადსაღები გახდა. სტალინმა, როგორც ეროვნული საკითხის სპეციალისტმა, **სრულად გაითვითცნობიერა, თუ რაოდენ საშიშია ქვეყანაში ძალადობრივი გზით სასურველი ხელისუფლების დამყარება საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული თვითშეგნების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ კლასობრივი სოლიდარობის საფუძველზე და მის იმედად. ეროვნული კონსოლიდაცია ზოგიერთ შემთხვევაში ყველაფერზე უფრო მტკიცე შეიძლება აღმოჩნდეს** (*მკითხველი უთუოდ გაიხსენებს, რომ 1941-1945 წლების ომის დროს, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში სტალინმა მასობრივი პროპაგანდის აქცენტი სწორედ ეროვნულ თვითშეგნებაზე გადაიტანა და, ამასთან, მოკავშირედ მოიხმო ერის კონსოლიდაციის ისეთი ყოვლისმომცველი ფენომენი, როგორიც მართლმადიდებლობაა. — ა.ს.*).

პილსუდსკი, როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, ცხოვრობდა „პოლონეთისთვის, ომისთვის, დიდებისთვის", მის პოლიტიკაში გრძნობები პრინციპებს სჭარბობდა.

სტალინი ყოველთვის თოკავდა საკუთარ ემოციებს, ეფუძნებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, გონიერებასა და პრინციპებს, რომელთა ერთგულიც რჩებოდა ყოველთვის. იგი არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე იყო, არამედ — მოაზროვნე. პილსუდსკისგან განსხვავებით, იგი არ განახორციელებდა ცრუ მანევრებს, არ ღალატობდა თავის პოლიტიკურ მრწამსს მიმდინარე სიტუაციის სასარგებლოდ და ტაქტიკური წარმატების მისაღწევად.

მოკლედ, 1920 წელს პოლონეთის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე, ისევე, როგორც წითელი არმიის შეჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე კრახით დამთავრდა. ისტორიის ეს მონაკვეთი კარგი მასწავლებელი გამოდგა მათთვის, ვინც მომდევნო წლებში იმდროინდელი გაკვეთილები გაითვალისწინეს.

პილსუდსკი მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. იგი აიტაცა ევროპის ოციანი-ორმოციანი წლების დიქტატორული რეჟიმების ტალღამ: 1925 წელს ალბანეთის პრეზიდენტი აღჭურვეს საგანგებო უფლებებით; 1926 წელს სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ: პოლონეთში — იუზეფ პილსუდსკი, პორტუგალიაში — გენერალი ანტონიუ ოსკარ დი ფრაგოზუ კარმონა. იმავე წლის ბოლოს ლიტვაში დამყარდა ნაციონალისტების დიქტატურა ანასტას სმეტონას მეთაურობით; 1933 წლის მაისში ავსტრიაში გაიმარჯვეს ფაშისტებმა ენგელბერტ დოლფუსის ხელმძღვანელობით. ერთი წლის თავზე ესტონეთში ფაქტობრივი დიქტატორი გახდა კონსტანტინ პიასტი, ლატვიაში — კარლის ულმანისი. შემდეგ დადგა ჯერი იოანის მეტაკსასისა საბერძნეთში, კაროლ მეორისა — რუმინეთში. 1930 წლის მეორე ნახევარში, ფაქტობრივად, სტალინის ერთმმართველობა ჩამოყალიბდა.

დიქტატორები ხდებიან: ფრანკო — ესპანეთში, მუსოლინი — იტალიაში, ჰიტლერი — გერმანიაში.

ამ მოვლენის ანალიზი შორს წაგვიყვანს, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ **სსრ კავშირში ჩამოყალიბებული დიქტატურა, ბურჟუაზიული დიქტატურისგან განსხვავებით, იყო მოსახლეობის დიდი ნაწილის დიქტატურა, ანუ პროლეტარიატის დიქტატურა.**

ომამდელ პერიოდში საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობა მკვეთრად უარყოფითი იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სტალინის დაჟინებული მოთხოვნით, პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რათა პოლონეთთან თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერისთვის მიეღწიათ.

ეს პაქტი 1932 წელს გაფორმდა.

## პოლონეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკა

**1930-იანი წლების დასაწყისიდან სტალინი უშუალოდ ჩაუდგა სათავეში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ანალიტიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სტალინის თვალსაზრისით, პოლონეთის პოზიცია გადამწყვეტი იყო საბჭოთა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობისთვის — პოლონეთის მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა დასავლეთის ანტისაბჭოთა საომარი აქცია.**

პოლონეთთან თავდაუსხმელობის პაქტის დადებამ სერიოზულად შეაშფოთა გერმანელები. სტალინი იძულებული გახდა, დაემშვიდებინა ისინი: **„ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ პოლონეთის გარანტები და არასოდეს გავხდებით ასეთები, ისევე, როგორც პოლონეთი არ იყო და არასოდეს იქნება ჩვენი საზღვრების გარანტი. ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გერმანიასთან რჩება ისეთივე, როგორიც აქამდე იყო. ასეთია ჩემი მტკიცე რწმენა".**

პან პილსუდსკის თავისებური წარმოდგენა ჰქონდა დიპლომატიაზე საბჭოთა კავშირის მიმართ. იგი მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებას ვარშავის ბერლინთან დაახლოების სტიმულატორად მიიჩნევდა. საბჭოთა კავშირი მისთვის მტრული სახელმწიფო რჩებოდა. სტალინი კი გერმანიის აგრესიული მისწრაფებებისთვის წინააღმდეგობის გაწევით იყო დაინტერესებული, ილვწოდა საიმისოდ, რომ იძულებული გაეხადა, ეძება მშვიდობიანი გზები პირველი მსოფლიო ომის შედეგად გაჩენილი პრობლემების გადასაწყვეტად. **პილსუდსკი კი იმ პოზიციაზე იდგა, რომელიც ადოლფ ჰიტლერის ნაციონალისტური მუშათა პარტიის მისწრაფებებთან უნისონირებდა.** ეს დაადასტურა პან უიზეფმა, როცა 1934 წელს ხელი მოაწერა პოლონეთ-გერმანიის ანტისაბჭოთა შეთანხმებას. პოლონეთი იმდენად დაუახლოვდა ჰიტლერს, რომ ერთა ლიგაში გერმანიის ინტერესების დაცვა თავს იდო მას შემდეგ, რაც 1933 წელს გერმანია ამ საერთაშორისო გაერთიანებიდან დემონსტრაციულად გამოვიდა.

ამასობაში სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ლიტვინოვმა წამოაყენა წინადადება მესამე რაიხის წინააღმდეგ დასავლეთთან დასაახლოებლად აღმოსავლეთის პაქტის შექმნის შესახებ, რომელიც გააერთიანებდა საბჭოთა კავშირს, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და ფინეთს, ანუ აღმოსავლეთ ევროპის მთელ რეგიონს. ამ პაქტისთვის მხარი უნდა დაეჭირა საფრანგეთსა და ინგლისს.

მაგრამ პოლონეთი ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა აღნიშნულ პაქტში თავისი მეგობარი გერმანიის უცილობელი ჩართვა. პილსუდსკიმ ამ გაერთიანებაში რუმინეთის მიღებაც მოითხოვა, მაგრამ ამ პრეტენზიების გათვალისწინება დაარღვევდა აღნიშნული გაერთიანების ანტიჰიტლერულ მიმართულებას, ძალა გამოეცლებოდა მის იდეას და მკვეთრად გააუარესებდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას იტალიასთან.

სტალინმა ამოიცნო პილსუდსკის ჩანაფიქრი და გააუვნებლა მისი მოქმედება. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტულესკუს საბჭოთა ბელადმა შესთავაზა, ხელი მოეწერა რუმინეთ-პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ოქმისთვის აღმოსავლეთის პაქტში რუმინეთის შეუსვლელად. ამით სტალინმა მიაღწია იმას, რომ კარგა ხანს არსებულმა რუმინეთ-პოლონეთის სამხედრო კავშირმა საგრძნობლად დაკარგა ანტისაბჭოთა მიმართულება, ხოლო რუმინეთმა თავი ანება პაქტში გაერთიანების მცდელობას.

პილსუდსკი შეეცადა, აღმოსავლეთის პაქტის საპირწონედ შეექმნა პოლონეთის კავშირი ლატვიასთან და ესტონეთთან, მაგრამ ესტონეთის პრესაც კი აღნიშნავდა, რომ, აღმოსავლეთის პაქტისგან განსხვავებით, ამ სამი სახელმწიფოს კავშირი უკიდურესად უძალო იქნებოდა და ვერ უზრუნველყოფდა მათი საზღვრების ხელუხლებლობას. სტალინმა, რომელიც დაეყრდნო კაუნასის, ლიტვის მაშინდელი დედაქალაქის, მხარდაჭერას (ლიტვა პოლონეთის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი), მოსკოვში მიიწვია ლატვიისა და ესტონეთის მინისტრები და დაარწმუნა ისინი, არ მიეღოთ პოლონეთის შეთავაზება.

პილსუდსკი, რომელიც საბჭოთა კავშირის იზოლაციის კურსის ერთგული რჩებოდა, ცდილობდა, ერთა ლიგაში სსრკ შესვლა დაებრკოლებინა. მაგრამ სტალინმა შეძლო საფრანგეთის მეშვეობით დაეძლია ეს წინაღობა და იმ დროის უპირველეს საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების უმრავლესობის მხარდაჭერა მოეპოვებინა.

პან პილსუდსკი არ ცხრებოდა და ანტისაბჭოთა გამოხდომებს ერთმანეთის მიყოლებით აწყობდა, რითაც ბერლინზე თავის ორიენტაციას უფრო და უფრო თვალსაჩინოს ხდიდა. 1935 წელს პოლონელმა დიქტატორმა სანადიროდ მიიწვია ნაცი №2 გერმან გერინგი. მაგრამ როცა გერინგმა შესთავაზა მასპინძელს უკრაინაზე გალაშქრება, ხანდაზმული მარშლისგან ასეთი პასუხი მიიღო: **პოლონეთი დაინტერესებულია მშვიდობიანი ურთიერთობით საბჭოთა კავშირთან, რომელთანაც ათასი კილომეტრის სიგრძის საერთო საზღვარი აქვს.**

რით იყო ნაკარნახევი ეს პასუხი? შესაძლოა, საფრანგეთთან, რომელიც მოსკოვის მოკავშირე იყო, ურთიერთობის გართულების თავიდან აცილების ან გერმანიასთან მოლაპარაკების მაქსიმალურად მომგებიანი პირობების მოსაპოვებლად. ასე იყო თუ ისე, გამორიცხული არ არის, ამ მანევრით სურდა, მოედუნებინა სტალინის სიფხიზლე. საბჭოთა ლიდერმა კი გადაწყვიტა, რომ პილსუდსკის სიტყვები თავისი ქვეყნის დასავლეთის საზღვრების გასაძლიერებლად გამოეყენებინა. **მარტში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრად იდენთან მოლაპარაკების დროს სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც აღიარებს პოლონეთის ტერიტორიის ხელუხლებლობას, ურყევია. იდენმა ეს ინფორმაცია მიაწოდა პილსუდსკის, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა, შეერბილებინა თავისი ანტისაბჭოთა პოზიცია.**

„წონასწორობის დაცვის" პოლიტიკა გრძელდებოდა. როგორი იქნებოდა მისი შემდგომი პერიპეტიები, არავინ იცის, რადგან 1935 წლის მაისში პილსუდსკი გარდაიცვალა. გერმანიის ვერმახტის გაძლიერების კვალზე მისი ლაციცი დასავლეთის პარტნიორთან სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული განწყობილება კი სულ უფრო მყარდებოდა. ეს კი პოლონეთის ლიდერს ბეც პოლიტიკოსად წარმოაჩენდა. იგი ცდებოდა, როცა ევროპულ „დასავლურ ცივილიზაციას" უპირისპირებდა აღმოსავლურს, რომელსაც ბურჟუაზიული პროპაგანდა ბარბაროსულად მიიჩნევდა. არადა, **სწორედ მრისხანე და დაუნდობელი ბარბაროსები დაესხნენ პოლონეთს დასავლეთიდან, დაიპყრეს იგი და აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. ეს ქვეყანა კი გაათავისუფლა საბჭოთა კავშირმა, რომელსაც სტალინი ედგა სათავეში. მაგრამ ამ შედეგს პილსუდსკი ვერ მოესწრო.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

იუზეფ პილსუდსკის და იოზეფ გებელსის შეხვედრა



**პოლონეთი იმდენად დაუახლოვდა ჰიტლერს, რომ ერთა ლიგაში გერმანიის ინტერესების დაცვა თავს იდო მას შემდეგ, რაც 1933 წელს გერმანია ამ საერთაშორისო გაერთიანებიდან დემონსტრაციულად გამოვიდა**

მანერგეიმი და ჰიტლერი რასტენბურგის მახლობლად



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერებების გამო კავკასიისთვის ნატო შეუთავსებელია. თუ ეს კანონზომიერებანი სომხებმა და აზერბაიჯანელებმა შეიმეცნეს, ჩვენ რა უბედურება დაგვემართა? ნატო კარგი ხილი რომ იყოს, მისი დაგემოვნება სომხეთს, რომელსაც აშშ-ში და ნატოს სხვა ქვეყნებში ძლიერი დიასპორა ჰყავს, განა გაუჭირდებოდა?!**

# ოჰ, ეს საოცნებო ნატო!..

**ნატოს გენერალური მდივნის, ბატონ რასმუსენის თავისი კამარილიით საქართველოში სტუმრობამ ქართველი ნატოელების არნახული აღტკინება და კუნტრუში გამოიწვია, აქაოდა, ნატოს ვუახლოვდებითო. ამას ისეთი რიხითა და შემართებით აცხადებდნენ, რომ თითქოს ნატო ქართველი მზეთუნახავი იყოს. კი მაგრამ, ბატონებო, მრავალი წელია, გაიძახით — ნატოს ვუახლოვდებითო, კიდევ რამდენი ათასი კილომეტრი გაშორებთ, რომ ბოლოსდაბოლოს ამ თქვენს სატრფოს ჩაეხუტოთ?**




მოგმართავთ თქვენ, თავგადაკლულ ნატოელებს — გიორგი ბარამიძეს, დავით ბაქრაძეს, ნუგზარ წიკლაურს, სხვებს და სხვებს: თქვენ, ბატონებო, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ, ჩაიცვამთ სამხედრო მუნდირებს და სათავეში ჩაუდგებით ნატოს ომში ავღანეთში გაგზავნილ ქართველ მეომრებს, ბატონი რასმუსენი ამ ფაქტს აღფრთოვანებით მიესალმება; მითუმეტეს გაცხადებული აქვს: ქართველ მეომრებს არა მარტო ავღანეთში, სხვაგანაც გამოვიყენებთო. თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ, თქვენ სულ მალე ეამბორებით საოცნებო ნატოს. **არც ის იქნება ურიგო, თუ მიხეილ სააკაშვილსაც თან იახლებთ — 2008 წლის აგვისტოში ჩანერგილ შიშს დაძლევს და წრთობასაც მიიღებს...**

**ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერებების გამო კავკასიისთვის ნატო შეუთავსებელია. თუ ეს კანონზომიერებანი სომხებმა და აზერბაიჯანელებმა შეიმეცნეს, ჩვენ რა უბედურება დაგვემართა? ნატო კარგი ხილი რომ იყოს, მისი დაგემოვნება სომხეთს, რომელსაც აშშ-ში და ნატოს სხვა ქვეყნებში ძლიერი დიასპორა ჰყავს, განა გაუჭირდებოდა?**

რატომ არ გინდათ დაუჯეროთ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ჯერ კიდევ 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეთი რომ დაგვმოძღვრა: **„ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ალბათ, ყველაზე სასურველი ნეიტრალიტეტია“.**

სამხრეთ კავკასიაში სარკოზის ვოიაჟის ძირითადი მიზანი იყო სომხების გულის მოგება, რათა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში საფრანგეთში მცხოვრებმა მრავალრიცხოვანმა სომეხმა ამომრჩეველმა ხმა მას მისცეს. ამით იყო ნაკარნახევი, რომ მან ყველასთვის ცნობილი, წარმოშობით სომეხი, შარლ აზნავური, დღეს ხანდაზმული, თან რომ იახლა. სომხეთში მან ღამეც გაათია, მაგრამ ნატოს ხსენებაც არ ყოფილა. **საქართველოში კი სულ რაღაც სამსაათიანი შოუ მოეწყო. იმას კი უნდა ვუმადლოდეთ, რომ გეოპოლიტიკური კანონზომიერებით ნაკარნახევი რჩევა მოგცათ: რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარეთო. თქვენ კი როგორ იქცევით? ანტირუსულ ისტერიკას და ცივ ომს ისეთი გაშმაგებით ეწევით, რომ ხვალ თუ ზეგ შეიძლება ცხელ ომამდე მიიყვანოთ.**

რატომ ვერ ხვდებით, ბატონებო, რუსეთ-ირანის სამეზობლო პირობებში „ნატო-ნატოს“ რიტორიკამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები რომ დაგვაკარგვინა? აშშ-მა სერბეთს კოსოვო წაჰგლიჯა, დამოუკიდებლად გამოაცხადა, იქ ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა მოაწყო 7200 სამხედრო მოსამსახურით. კოსოვოს საპირწონედ რუსეთმა ორი რეგიონი წაგვგლიჯა. ჩვენი გეოპოლიტიკური სიბეცისა და მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოწყებული ომის შედეგად დამატებით 130 სოფელი დავკარგეთ. აშშ-ის მიბაძვით, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთმა დამოუკიდებლად გამოაცხადა და იქ სამხედრო ბაზების აგება წამოიწყო. აი, რა მოგვიტანა აშშ-დასავლეთთან ტრფიალმა. ეს უბედურება ბუშების, მაკკეინების, გეიტსების მსგავსმა ქორებმა მოგვახვიეს თავს, მოგებულები კი თვითონ დარჩნენ. თქვენ კი, ქართველმა ნატოელებმა სააკაშვილთან ერთად ქართველი ხალხის მოღალატეთა მანტიები მოირგეთ.

**იუგოსლავიის 7 სახელმწიფოდ დამშლელი აშშ საქართველოს გაამთლიანებს? ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ აშშ და მისი ნატო ამ მიზნით რუსეთს შეერკინება. ჩვენ კი აშშ-რუსეთის ინტერესთა გარიგებებში კოზაკივით გავიჭყლიტებით.**

**საქართველოს გამთლიანების გზის შესახებ ამ 15 წლის წინ ხაზგასმით ამერიკელმა გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა მიგვითითა: „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთთან კარგი ურთიერთობით დაიბრუნებთო“. ეს ჭეშმარიტება მას წარმოშობის ქართულმა გენმა ათქმევინა. ამას ბუშები თუ მაკკეინები არასოდეს გვეტყვიან.**

დღეს აშშ თავისი ნატოთი მსოფლიო ჟანდარმად იქცა, რაც ნათლად გამოვლინდა იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში. კადაფი დიქტატორი იყო თუ ავაზაკი, მას თავისი ხალხი გაუსწორდებოდა. ნავთობის ეშხით დატყვევებულმა ნატოელებმა კი საჰაერო ინტერვენცია მოაწყვეს, ლიბიელ ხალხს ბომბები უშურველად დააყარეს; ესეც თქვენი მშვიდობისმყოფელი ნატო.

**ნატოს ბობოქრობის გამო ცივი ომი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. სწორედ ნატო ბადებს საერთაშორისო ტერორიზმს, საომარ კონფლიქტებს, ქვეყნებს შიგნით სამოქალაქო ომებს და ა. შ.**

გაეროს გვერდით, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოიცავს, ნატო ზედმეტი ბარგია. იგი აშშ-ის ვერაგული დოქტრინის — მსოფლიოში „ახალი წესრიგის“ დამყარების, ანუ მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზების იარაღია. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ხუთეული ახალი ხუთეულით უნდა გაიზარდოს; სასურველია, დაემატოს: ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია, გერმანია და იტალია.

ნატო კი უნდა დაიშალოს და მსოფლიოც შვებით ამოისუნთქავს!

# ხელისუფალნო, მიბაძეთ ფინეთს!

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ფინეთის ახალმა ხელისუფლებამ დიდი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. იგი დაეყრდნო ობიექტურად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებას და გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა, კარგი ურთიერთობა დაემყარებია დიდ მეზობელ საბჭოთა კავშირთან, რომელთანაც ათას სამას კილომეტრიანი უშუალო საზღვარი აქვს. არადა, სულ ახლო წარსულში ფინეთი საბჭოთა კავშირთან საომარ მდგომარეობაში ორგზის იმყოფებოდა: პირველად 1939 წლის ნოემბრიდან 1940 წლის მარტამდე და შემდეგ 1941-1945 წლებში, როცა ფაშისტური გერმანიის მხარეზე ომობდა.**

ფინეთის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ იუხო კუსტი პაასიკივიმ (1870-1956), რომელიც 1946-1956 წლებში ფინეთის პრეზიდენტი იყო, ქვეყნის პარლამენტში საჯაროდ განაცხადა: **„მთავარსა და განმსაზღვრელს ფინეთის საგარეო პოლიტიკაში უნდა წარმოადგენდეს კარგი ურთიერთობა ჩვენს დიდ აღმოსავლელ მეზობელთან — სსრ კავშირთან. ჩვენ ისეთი საგარეოპოლიტიკური კურსი უნდა გავატაროთ, რომელიც არ იქნება მიმართული საბჭოთა კავშირის საზიანოდ“** (სტატიებისა და სიტყვების კრებული, რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1958, გვ. 118).

პაასიკივის ინიციატივით, 1948 წელს ფინეთსა და სსრ კავშირს შორის გაფორმდა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების“ ჩარჩო ხელშეკრულება. პაასიკივის შემდეგ ეს კურსი ახალმა პრეზიდენტმა ურხო კალევა კეკკონენმა გააგრძელა და გააღრმავა. მის დროს ფინეთმა სათანამშრომლო ურთიერთობა გააფორმა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდახმარების ეკონომიკურ საბჭოსთან. ფინეთის ხელისუფალთა აღნიშნული კურსი ისტორიაში „პაასიკივი-კეკკონენის ხაზის“ სახელით შევიდა. ამ ხაზის საფუძველზე **ფინეთმა საბოლოოდ უთხრა უარი ნატოს და სხვა სამხედრო ბლოკებს, სამხედრო ბლოკებს მიუმხრობლობის ახალი ნიმუში გვიჩვენა. მოიხვეჭა რა საიმედო და კეთილი მეზობლის სახელი ჯერ საბჭოთა კავშირის, ამჯერად კი რუსეთის ფედერაციის თვალში, ფინეთმა მრავალმხრივი სარგებლობა მიიღო: მისთვის რუსეთში ღიაა არა მარტო გასაღების ბაზარი ცნობილი ფინური ნაწარმისთვის, არამედ დასაქმების ბაზარიც მურმანსკის ოლქში;** ყოველივე ეს საკუთარი თვალით ვიხილე 1976 წელს, როცა მურმანსკის ოლქში მესამე საზაფხულო შრომით სემესტრს, სხვა ქუთაისელ სტუდენტებთან ერთად, პედაგოგიური ინსტიტუტის 50 სტუდენტიც ეწეოდა. იმხანად აღნიშნული ინსტიტუტის პრორექტორად ვმუშაობდი და სტუდენტებს ადგილზე ჩავაკითხე. ვნახე ფინელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი როგორ ნაყოფიერად შრომობდნენ ერთ დიდ სამშენებლო ობიექტზე, ქ. მურმანსკში კი ფინური ნაწარმით მოვაჭრე მაღაზიებიც ვიხილე.

**ჩვენს ხელისუფლებას კი ისეთი ანტირუსული ეპიდემია შეეყარა, რომ, აგერ 20 წელზე მეტია, მისგან ვერ განკურნებულა და „ნატო მინდას“ რიტორიკის ქვეშ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტიც დაკარგა; ბაზარი ხომ პირწმინდად ხელიდან გამოეცალა. არადა, რუსეთში გატანილი მწვანილით, ციტრუსებით, ღვინით, დაფნის ფოთლითაც კი ქართველებმა თავის დროზე სასახლეები აიშენეს; დღეს კი იმდენად გაღატაკდნენ, რომ იმ სასახლეში ქარის მიერ ჩამტვრეული მინის ჩასმაც უჭირთ. რუსული ბაზრის დაკარგვის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი დაფნის ფოთოლს ბუხარში ცეცხლის დასანთებად იყენებს.**

**ფინეთი თავის გეოპოლიტიკურ კონცეფციას დაეყრდნო, დიდ მეზობელთან ადრე არსებული მტრული ურთიერთობა სულ მალე მეგობრობასა და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ თანამშრომლობაში გადაზარდა, ჩვენ კი რა უბედურება დაგვემართა?!**

საქართველოს დღეს წინ უდევს არა მარტო ფინეთ-რუსეთის, არამედ საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობათა გამოცდილებაც, რომლებიც ადრე ბევრჯერ ყოფილან ურთიერთსაომარ მდგომარეობაში, დღეს კი კეთილმეზობლურად თანამშრომლობენ; ამაზე სააკაშვილის ხელისუფლებას ხაზგასმით ამასწინათ საქართველოში ჩამოსულმა საფრანგეთის პრეზიდენტმაც მიანიშნა.

**უბედურება ისაა, რომ საქართველოს ხელისუფალთ დღემდე არ გააჩნიათ ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი ქართული გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც ჩამოაყალიბებდა ჭეშმარიტად სასარგებლო საგარეოპოლიტიკური მოქმედების ხაზს — პაასიკივი-კეკკონენის ხაზის შესატყვისს.**

სააკაშვილის ხელისუფლებისგან, რომელიც დღეს გაშმაგებული ანტირუსული ისტერიკითაა გართული და რომელმაც საქართველო ცივი ომის მდგომარეობაში ჩააყენა, რუსეთთან კეთილმეზობლობის აღდგენაზე, ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანობაზე ფიქრიც კი გამორიცხულია.

სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ეროვნული ინტერესების მოღალატის როლს თამაშობს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ეს შესაძლებელი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილის მომხრე ძალები ფართო კოალიციას შექმნიან დაწყებული რადიკალი მემარცხენეებიდან ცენტრისტების ჩათვლით. **ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან დამოკიდებულებაში უნდა იმოქმედოს ფინეთის მაგალითით, იზრუნოს რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებისთვის, საგარეო პოლიტიკიდან საერთოდ ამოძირკვოს ნატოზე ფიქრიც კი.**

ფინეთის მსგავსად, რუსეთთან მეგობრობისა და ურთიერთეკონომიკური თანამშრომლობის გაფორმების საფუძველზე ახალმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს თბილისი-მოსკოვის, ერევანი-თბილისი-მოსკოვის, წყალტუბო-მოსკოვის ადრინდელ სარკინიგზო მიმოსვლათა აღდგენაზე, რასაც უაღრესად დიდი პოლიტიკური დატვირთვა მიეცემა; თანდათანობით შევალთ საქმიან კონტაქტებში აფხაზებთან, ბოლოს მოვუღებთ ურთიერთგაუცხოებასა და უნდობლობას. უნდა ჩავებათ სოჭის ოლიმპიადის მომზადებაში, იქ სამუშაოებზე უნდა გავგზავნოთ ასობით ჩვენი უმუშევარი; რაც მთავარია, ჩვენი ტრადიციული საქონლით გავალთ რუსეთის ბაზრებზე. მხოლოდ ასე მოვამზადებთ პირობებს ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებისთვის.

თუ ფინეთმა ომის დამთავრებიდან მესამე წლისთავზე რუსეთთან მეგობრობისა და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარება შეძლო, ჩვენ რატომ ვერ უნდა გადავდგათ მსგავსი ნაბიჯი?

**მაშ, ასე: მივბაძოთ ფინეთს. ახალ ხელისუფლებაში სასიცოცხლოდ აუცილებელია ქართველი პაასიკივის გამოჩენა.**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ენის არცოდნა არ აბრკოლებდა ბალმონტს, გაეგო, თუ რა აღელვებდა და ახარებდა ხალხს, რომელსაც პირველად ხედავდა ასე ახლოს. გრძნობდა, შეულახავი სინდისი და უკიდეგანო სიკეთე გულისა ამაყებდა ამ მცირერიცხოვანი ერის შვილებს; მიხვდა, იცოდნენ მათ თავისი ფასი, მაგრამ მოკრძალებით უცხოთაგან მოელოდნენ მის აღიარებას.**

# ბალმონტი რუსთაველის სამშობლოში

**„რიცხვით ქართველები ცოტაა... მაგრამ დიდებული ერია. მათი გულები არ არის ცარიელი და პატარა, რადგან მათ შეუძლიათ ავსება უდიდესი სიყვარულით.“**
**კონსტანტინე ბალმონტი**


ბალმონტი
1920-იან წლებში

ქართული კულტურის მეგობართა შორის ყოველთვის გულთბილად იხსენიებენ გერმანელ არტურ ლაისტს, ფრანგ მარი ბროსეს, ინგლისელ ქალს — მარჯორი უორდროპს, უნგრელ მიხაი ზიჩს და რუს კონსტანტინე ბალმონტს. ხუთივეს სახელი ჩვენს ქვეყანას რუსთაველის პოემამ დაუკავშირა. „ვეფხისტყაოსანმა“, მასში მოცემულმა საკაცობრიო იდეალებმა მრავალი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ყურადღებისა და პატივის ღირსად აქცია რუსთაველის სამშობლო, ადიდა იგი. „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ერის სულიერ სარკეში, ამ ადამიანებმა ქართველთა დიდება დაინახეს და გულწრფელად შეიყვარეს ჩვენი ხალხი. გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი სამუდამო საცხოვრებლადაც კი გადმოვიდა საქართველოში. მან თითქმის ნახევარი საუკუნე იცხოვრა აქ და ბოლოს დიდუბის პანთეონი გახდა მისი სავანე.

წინამდებარე წერილი პოეტისა და მთარგმნელის, კონსტანტინე ბალმონტის საქართველოსთან, ქართულ კულტურასთან და ხალხთან კავშირს ეხება. არქივებში შემონახული მის პირად წერილებში შემონახულია ის გულწრფელი ფიქრი და გრძნობა, რომელსაც ამჟღავნებდა ბალმონტი რუსთაველის, მისი სამშობლოს, ხალხის, კულტურისა და პოემის მიმართ. ეს წერილები იკითხება როგორც პოეტური სტრიქონები. ისინი დაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში და აღსავსეა შემოქმედის განცდით. მათი მეტად მცირე ნაწილი გამოქვეყნებულია ვ. კოტეტიშვილისა და ნინო ბალმონტ-ბრუნის მიერ.

20-იანი წლების რუსულ მწერლობაში ბალმონტის სახელი ყველაზე პოპულარული იყო. ახალგაზრდა თაყვანისმცემლები მას ჯგუფად ელოდებოდნენ გზაზე, სადაც უნდა გაევლო, ყვავილებს აყრიდნენ; სამეცნიერო საზოგადოებები საზეიმო შეხვედრებს უმართავდნენ; ინტელიგენცია ამაყობდა მასთან ნაცნობობით; ახალგაზრდები, განსაკუთრებით სტუდენტები, მის ლექსებს იზეპირებდნენ. ეს დიდება ხელოვნურად არ იყო შექმნილი.

საქართველოსათვის ბალმონტი, უწინარეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელია. ბალმონტი პირველია, რომლის სახელსაც უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე. იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო, როცა შეუდგა ამ საქმეს. „ვეფხისტყაოსანს“ გაეცნო ოკეანეზე მოგზაურობის დროს. მარჯორი უორდროპის თარგმანი იყო მისი მაცნე.

რუსთაველის შემოქმედების გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება ბალმონტმა გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ საშუალებით გაუზიარა რუს მკითხველს, წერილი ქართულ გაზეთ „თემში“ გადმობეჭდეს. ეს იყო პირველი ცნობა, რომლითაც ქართველმა საზოგადოებამ რუსთაველზე მისი პოემის მომავალი მთარგმნელის აზრი მოისმინა. **„ბედმა მარგუნა გზაში სიხარული,** — წერდა ბალმონტი, — **პირველსავე საღამოს გემზე რუსულად დამელაპარაკა ინგლისელი, რომელიც სადილად ჩემს პირდაპირ იჯდა. ამის შემდეგ ტენერიფამდე, სადაც იგი მიდიოდა, მე და ის სულ რუსულად და ინგლისურად ვლაპარაკობდით. ეს იყო ოლივერ უორდროპი. მან შეისწავლა რუსული ამას წინათ გარდაცვლილი ჩემი უფროსი მეგობრის, ოქსფორდის მეცნიერ უილიამ მორფილისაგან. მისტერ უორდროპის დას კარგად იცნობენ საქართველოს მცხოვრებნი. მან მშვენივრად თარგმნა ინგლისურად რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.**

რედაქციისაგან გამოთქმული იყო იმედი, რომ აღმოსავლური პოეზიის მოყვარული და მცოდნე პოეტი უეჭველად ღირსეულად დააფასებდა შოთას უკვდავ ნაწარმოებს და შეიძლება ლექსადაც ეთარგმნა იგი.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ის ცალი, რომელიც ხელთ ჰქონდა ბალმონტს მუშაობის დროს. წიგნი გამოცემულია 1912 წელს, სატიტულო ფურცელზე ბალმონტის ხელით იგივე წელია მითითებული ნაბეჭდ ტექსტში, ფანქრით ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია შენიშვნები ინგლისურ ენაზე. რამდენიმე მომცრო ფურცელი, რომლებიც ჩატოვებულია წიგნის გვერდებს შორის, შევსებულია „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის პირველი ჩანაწერებით. სულ ოთხი ფურცელი, სამ ათეულამდე თარგმნილი სტროფით, მეტყველებს, რა მონდომებით დაეწაფა ბალმონტი ახლადგაცნობილ პოეტურ ქმნილებას, რომელსაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. **„ვეფხისტყაოსანს“ ბალმონტი აყენებდა ყველა იმ ნაწარმოებზე მაღლა, რომლებიც სიყვარულისთვის მიუძღვნიათ მთელ ევროპაში. იგი პოემას უწოდებდა „სიყვარულის ცისარტყელას. ზეცისა და მიწის შემაერთებელ ცეცხლოვან ხიდს“.**

ქართველ მეგობართა იმ ფართო წრიდან, რომელიც შემდეგში ბალმონტმა თავის გარშემო შემოიკრიბა, პაოლო იაშვილი იყო მისთვის პირველი ნაცნობი რუსთაველის ქვეყნიდან და ქართულ ენაზე მისი ლექსების პირველი მთარგმნელიც. **როცა ბალმონტს გაუგია, რომ საქართველოშიც იცნობენ და თარგმნიან მის ლექსებს, კიდევ ერთხელ გამოუთქვამს ამ ქვეყნის ნახვის სურვილი: „ვერ წარმოიდგენთ,** — **უთქვამს მას პაოლოსათვის,** — **როგორი ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“. პ. იაშვილისათვის ნაჩუქარ წიგნზე წაუწერია: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მარგალიტი კავკასიისა — აყვავებული საქართველო“.**

ასე ჩაისახა გეგმა ბალმონტის საქართველოში გამოგზავრების. შეხვედრებში გამოაჩინა მან ჩვენი ქვეყნის გაცნობის ის წყურვილი, რომელიც, გოეთეს თქმით, უცხო ნაწარმოების თარგმნისთვის მუდამ უნდა ებადებოდეს პოეტს.

კონსტანტინე ბალმონტისადმი ქართველების სიყვარულსა და პატივისცემას დასაბამი მიეცა მაშინვე, როცა მათ ყურამდე მოაღწია განთქმული რუსი პოეტის სახელმა და ცნობილი გახდა, რომ იგი ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, შოთას პოემას, გაეცნო. მას შემდეგ შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ბალმონტს და, რა თქმა უნდა, არც ის გამოჰპარვიათ, რომ ემიგრაციაში მყოფ პოეტს სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო. ქართველებმა დეპეშით მიმართეს „რუსსკოე სლოვოს“, სწორედ იმ გაზეთს, რომელშიც დროგამოშვებით აქვეყნებდა უცხოეთში მყოფი ბალმონტი თავის შთაბეჭდილებებს.

* * *

ბალმონტი საქართველოში სულ სამჯერ იყო. პირველი მისი ვიზიტი 1914 წლის აპრილში განხორციელდა. გაზაფხულის თბილ და ალერსიან დღეს შემოდგა ფეხი საქართველოს მიწაზე ჩვენი ერისა და კულტურის დიდმა მეგობარმა კონსტანტინე ბალმონტმა. **„ეჭვი არ არის, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივის სტუმართმოყვარეობით დახვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს და არ გაუქარწყლებს იმ მშვენიერ წარმოდგენას, რომლითაც იგი ჩვენში მოდის“,** — იწერებოდა ჯერ კიდევ პარიზიდან პაოლო იაშვილი. პირველი სტუმრობა მოკლე დროით იყო განზრახული. საზოგადოების წინაშე ბალმონტი, როგორც მთარგმნელი, ამჯერად ვერ წარსდგებოდა. ეს მომავლის საქმე იყო. ახლა იგი ჩაატარებდა მხოლოდ საინტერესო ლექციებს. აფიშები იუწყებოდნენ, რომ 13 და 14 აპრილს თბილისის არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ბალმონტი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „პოეზია, როგორც ჯადოსნობა“ და „ოკეანეთი“. გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდა ბალმონტის ლექსების თარგმანები, პოეტის სურათები. ერთ-ერთი მათგანის ქვეშ მიწერილი იყო: „კონსტანტინე ბალმონტი, უკანასკნელი სურათი, საკუთრივ ჩვენი გაზეთისათვის გამოგზავნილი პარიზიდან“. მეორე სურათს ახლდა ბალმონტისადმი მიძღვნილი კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსი „ტბის ასული“. გაზეთ „კავკაზსკაია რეჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პეტერბურგიდან მიღებული ალექსანდრე აბაშელის ლექსი „ბალმონტს“.

მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ემზადებოდა პოეტის შესახვედრად.

10 აპრილის საღამოს, საქართველოს სამხედრო გზით ბალმონტი ესტუმრა თბილისს. შემოუდგამს თუ არა ფეხი საქართველოში, პოეტს უთქვამს: აქ ყველაფერი სხვანაირიაო. ქართველებს წინასწარ არ სცოდნიათ მისი ჩამოსვლის დრო. სასტუმრო „გრანდ ოტელთან“ ეტლიდან ჩამოსული სტუმარი სურათით უცვნია გზად მიმავალ ერთ-ერთი გაზეთის ექსპედიტორს, გ. პეტრიაშვილს. ცნობა ბალმონტის ჩამოსვლის შესახებ სწრაფად გავრცელდა თბილისის საზოგადოებაში. სასტუმროში ეახლნენ მასპინძლები. შეგებებისას თამარ ამირეჯიბს სტუმრის ფერხთით დაუყრია ყვავილები.

ბალმონტი დაითანხმეს 12 აპრილს მისი ჩამოსვლის საპატივცემულოდ საზეიმო საღამო ჩაეტარებინათ. ამ შეხვედრის მოწყობას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თაობდა. მას თეატრალური და ფილარმონიული საზოგადოებებიც შეუერთდნენ. ხშირად ერთი დღე როდი კმარა საზოგადოების ყურადღების შემოსაკრებად. აფიშების დამზადება და გაკვრაც კი ვერ მოესწრო, მაგრამ 12 აპრილს ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობისკენ ზღვა ხალხი მიედინებოდა. თბილისში ბალმონტის ჩამოსვლას პრესა აღფრთოვანებით გამოეხმაურა. გაზეთი „კავკაზსკაია რეჩი“ წერდა: **„...რა კარგია, რომ ადრეულ გაზაფხულზე გვეწვია გამარჯვებული ცეცხლის მზიური თაყვანისმცემელი, ზაფხულის უსასრულო სიხარულთა მაცნე — ბალმონტი“.**

12 აპრილს ქართული თეატრის შენობა სავსე იყო ხალხით. გამოჩნდა თუ არა ბალმონტი, გაისმა მუსიკის ხმა. მანდილოსნებმა ყვავილებით მოფინეს პოეტის სავალი გზა. ხალხმა ტაშის გრიალითა და შეძახილებით მიაცილა იგი სადირექტორო ლოჟამდე. ორკესტრმა შეასრულა სიმღერა „სამშობლო“. ყველა შესცქეროდა ბალმონტს და ყველას შეჰხაროდა ბალმონეტი **„რიცხვით ქართველები ცოტაა... მაგრამ დიდებული ერია. მათი გულები არ არის ცარიელი და პატარა, რადგან მათ შეუძლიათ ავსება უდიდესი სიყვარულით“,** — ასე ფიქრობდა სტუმარი.

პირველი სიტყვით ბალმონტს მიესალმა აკაკი წერეთელი.

**„როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ, რუსები, — აღნიშნა აკაკიმ, — მაშინ ჩვენ, შთამომავლობას, ანდერძად დაგვიბარეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყოფლად ვიაროთ ერთი გზით.**

**მას შემდეგ მთელმა საუკუნემ განვლო და ეს წმინდა ანდერძი, ჩვენი ცდისა და მზადყოფნის მიუხედავად, ჩვენ მიმართ სისრულეში ჯერაც არ არის მოყვანილი.**

**არ სრულდება იმიტომ, რომ განსხვავებულად ესმით მისი აზრი. ერთი მხარე ფიქრობს, რომ სიყვარულის, ძმობისა და ერთობისათვის საჭიროა გული, მეორე კი ფიქრობს — მხოლოდ ძალა.**

**ღირსების დაუფასებლობა იმ ხალხისათვის, რომლებსაც მრავალი ათეული საუკუნე თავისუფლად, კულტურულად და დამოუკიდებლად უცხოვრია, მეტად გულსატკენია.**

**მაგრამ ნუ მოვიგონებთ წარსულს.**

**მადლობა ღმერთს, ახლა მომრავლდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც გვპირდებიან გაზაფხულს, რომელიც, ეკლებს კი არა, ყვავილებს მოგვიტანს.**

**ერთ მათგანს ვხედავთ დღეს ჩვენ შორის — უაღრესად სიმპათიურ ინტელიგენტსა და გამოჩენილ პოეტს — კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტს. მივესალმოთ, ბატონებო, მას, როგორც გაზაფხულის პირველ მერცხალს, ჩვენი გულითადი მრავალჟამიერით“.**

დასრულდა აკაკის მისალმება და თეატრის შენობა დიდებულმა ჰანგმა აავსო, ჰაერიც კი გაიჟღინთა დღეგრძელობისა და სიცოცხლის ჰიმნით. ამ საზეიმო ხმაზე ჭერმა თითქოს მაღლა აიწია. ურთიერთგაგებისა და სიყვარულის თბილი გრძნობა დაეუფლა დამსწრეთა გულებს. ტკბილი იყო ეს განცდა და სტუმარიც, რომელსაც აკაკიმ ერის გულისტკივილი გაანდო, თავისი კეთილი ზრახვებით ორ ერს შორის მომავალი კულტურული ურთიერთობის საწინდარივით იდგა.

აკაკის შემდეგ მოკლე სიტყვით ალექსანდრე ყანჩელი გამოვიდა. კონსტანტინე დოდაშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქართული პოეზიის შესახებ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბალმონტი. გრძნობამორეული მადლობას იხდიდა ასეთი შეხვედრისათვის, იმ ყვავილებისთვის, გზადაგზა რომ უფენდნენ, სიყვარულისათვის, რომლითაც გარემოცული იყო.

საღამოს დასასრულს ბალმონტი დარბაზში გაწყობილ ვახშამზე მიიპატიჟეს, ქართული სუფრის მადლს აზიარეს. ალექსანდრე ყანჩელი ყოფილა ამ მრავალსტუმრიანი სუფრის თამადა. აღტაცებაში მოუყვანიათ მგრძნობიარე სტუმარი.

**ჩვენი ენის არცოდნა არ აბრკოლებდა ბალმონტს, გაეგო, თუ რა აღელვებდა და ახარებდა ხალხს, რომელსაც პირველად ხედავდა ასე ახლოს. გრძნობდა, შეულახავი სინდისი და უკიდეგანო სიკეთე გულისა ამაყებდა ამ მცირერიცხოვანი ერის შვილებს; მიხვდა, იცოდნენ მათ თავისი ფასი, მაგრამ მოკრძალებით უცხოთაგან მოელოდნენ მის აღიარებას.**

**იმ დღეს კიდევ უფრო გასაგები გახდა ბალმონტისათვის ის აღტაცება, რომელსაც ამ ქვეყნის მიმართ საქართველოში ნამყოფი რუსი პოეტები გამოხატავდნენ. საქართველოს მზემ ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეჰმატა ამ პოეტებს და მათ პოეზიას. შემთხვევით არ უთქვამს, ალბათ, ნიკოლოზ ტიხონოვს სერგეი ესენინის შესახებ: საქართველოში რომ ჩასულიყო, შესაძლოა, სიკვდილსაც ასცდენოდაო.**

ქართული მიწის მადლსნაზიარები რუსი პოეტები ახლოს განიცდიდნენ ქართველი ხალხის ჭირსა და ვარამს.

მრავალი გასაჭირის მიუხედავად, სევდას ვერ დაუმონებია ქართველი ხალხი. გასაჭირმა სიყვარული გააძლიერა და სიყვარულმა კი — სიმღერა. „მთელი საქართველო სიმღერააო“, — წერდა ანდრეი ბელი. ეს სიმღერა გუგუნებდა ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე და მისი საზეიმო, მხნე და დაუძლეველი სული პოეტში განამტკიცებდა აზრს, რომ საქართველო დაუმონებელი ქვეყანაა.

ამ ბანკეტზე ბალმონტი დაასაჩუქრეს მშვენიერ ყდაში ჩასმული შოთა რუსთაველის პოემით, რომელიც მას „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ მიართვა; პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ბალმონტს თავისი ლექსების კრებული უძღვნა; ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა პოეტს გადასცა ჟურნალის ის ნომერი, რომელშიც მისი სურათი და ლექსები იყო გამოქვეყნებული.

ამ შეხვედრაზე ბალმონტმა ქართველი საზოგადოების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაიცნო. ისინი მთელი ერისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს გამოხატავდნენ. პოეტმა იგრძნო ამ ახლადგაცნობილ ხალხთან სიახლოვის დიდი სურვილი, ამ ერის სანუკვარ ოცნებებს ეზიარა და მათ განხორციელებაში საგრძნობი წვლილის შეტანა განიზრახა. ქართველები ახლა უკვე იმედიანად წერდნენ: „კ. ბალმონტს, როგორც შევიტყვეთ, განუზრახავს ქართული ენის შესწავლა, რათა დედანში წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ და ისე შეუდგეს თარგმნასო“.

მართლაც, ამ შეხვედრით უსაზღვროდ ნასიამოვნებ ბალმონტს, რომელსაც საზოგადოება სასტუმრომდე მიჰყვა, ბანკეტიდან თან მიჰქონდა ქართული ენის სახელმძღვანელო და ამ ენაზე დაწერილი ლიტერატურისადმი ღრმა სიყვარული; მიჰქონდა შოთას უკვდავი პოემა, რომელმაც მისი სახელიც დაუვიწყარი გახადა რუსთაველის სამშობლოში.

**მოამზადა**
**დარეჯან ანდრიაძემ**
**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქამელეონი

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ქამელეონს სულაც არ შეუძლია ფერის ცვლილება სურვილისამებრ. მისი ფერის ცვლილებას მხოლოდ და მხოლოდ ემოციური ზემოქმედება, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება ან გაჯანსაღების პროცესი განაპირობებს.



## ქარი

დედამიწაზე ყველაზე ქარიან ადგილად ანტარქტიდა სახელდება. აქ ინახება დედამიწის წყლის მარაგის 70%, ქარი კი რეკორდულად დიდი სისწრაფით ქრის. ანტარქტიდაში ნიავის სიჩქარე 320 კმ/სთ-ია!

# ათი უცნაური ომი

**ომი უამრავი მიზეზით შეიძლება მოხდეს — პატივისთვის, დიდების მოსაპოვებლად, მიწის გასათავისუფლებად თუ დასაპყრობად და ასე შემდეგ, მაგრამ მსოფლიო ისტორიას ასევე ახსოვს მთელი რიგი უჩვეულო ომები. აქვე გთავაზობთ ათ მათგანს.**



## X — ლიჟარის ომი

**1883 წელს პატარა ქალაქ ლიჟარის მოსახლეობა აღშფოთდა, როცა გაიგო, რომ ესპანეთის მეფეს — ალფონსო XII-ს შეურაცხყოფა მიაყენეს პარიზში ჩასვლის დროს. საპასუხოდ ლიჟარის მერმა დონ მიგელ გარსია საეზმა და ლიჟარის ციხის 300-მა მეციხოვნემ 1883 წლის 14 ოქტომბერს საფრანგეთს ომი გამოუცხადეს. რა თქმა უნდა, ამ ომში ერთი ტყვიაც არ გასროლილა და არც არავინ დაშავებულა.**

93 წლის შემდეგ, 1976 წელს, ესპანეთის მეფე ხუან-კარლოსი ესტუმრა პარიზს. ვიზიტის დროს საფრანგეთის დედაქალაქის მოსახლეობა მას დიდი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. 1981 წელს ლეჟარის საბჭომ გამოსცა ბრძანება: „იმ თვალსაზრისით, რომ საფრანგეთმა შესანიშნავი დამოკიდებულება გამოიჩინა, დასრულებულად გამოცხადდეს საბრძოლო მოქმედებები და ვეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებასო“.

**ომის ხანგრძლოვობა:** 98 წელი, (1883-1981).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 0.



## IX — მუხის კასრის ომი

**ეს ომი დაიწყო 1325 წელს, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იტალიის ორი ქალაქ-სახელმწიფო — მოდენა და ბოლონია.** ამ ორ ქალაქს შორის პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც მოდენის პატარა რაზმი შეიპარა ბოლონიაში და მოიპარა ხის კასრი. დარბევა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ბოლონიამ ომი გამოუცხადა მოდენას, რადგან მან შეურაცხყო ბოლონიელთა სიამაყე — ხის კასრი. ომი 12 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ ბოლონიამ ვეღარ შეძლო თავისი „სიამაყის“ დაბრუნება. აქედან მოყოლებული ბოლონიის ხის კასრი მოდენას ზარის კოშკში ინახება.

**ომის ხანგრძლივობა:** 12 წელი (1325-1337).
**დაღუპულთა რაოდენობა** უცნობია.



## VIII — პარაგვაის ომი

**პარაგვაის პრეზიდენტი ფრანცისკო სოლანო ლოპესი ნაპოლეონ ბონაპარტეს დიდი თაყვანისმცემელი იყო და თვლიდა, რომ თავადაც დიდი ტაქტიკოსი იყო. სრული იდილიისთვის ერთადერთი რამ — ომი აკლდა.** ამ პრობლემის გადასაწყვეტად 1864 წელს მან ომი გამოუცხადა სამ მეზობელ სახელმწიფოს: არგენტინას, ბრაზილიასა და ურუგვაის. შედეგად პარაგვაი თითქმის განადგურდა. ქვეყნის მამაკაცების დაახლოებით 90% დაიღუპა როგორც მტრებთან ბრძოლაში, ისე შიმშილით და სხვადასხვა დაავადებით.

**ომის ხანგრძლივობა:** 3 წელი (1864-1870).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 400 000.



## V — ღორის ომი

**ამერიკა-დიდი ბრიტანეთის კიდევ ერთი ომი — ღორის ომი, დაიწყო, როცა ბრიტანელმა ქვეითმა ჯარისკაცმა დაინახა მოხეტიალე ღორი ამერიკის ტერიტორიაზე და ესროლა მას.** ამის შემდეგ ადგილობრივმა პოლიციამ გამოაცხადა მობილიზაცია და ბრიტანეთის საპასუხო ნაბიჯს დაელოდა. საბოლოოდ ბრიტანეთის მხარემ ბოდიში მოიხადა და ეს ხანმოკლე ომიც შეწყდა.

**ომის ხანგრძლივობა:** 4 თვე (1859 წლის ივნისი-ოქტომბერი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 1 ღორი.



## VII — მანაწნალა ძაღლების ომი

**1925 წელს საბერძნეთსა და ბულგარეთს არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა. პირველი მსოფლიო ომის დროს მათ ჰქონდათ სამხედრო კონფლიქტი და იარები ჯერ კიდევ არ მოშუშებოდათ. დიდი დაძაბულობა იყო განსაკუთრებით მთიანი საზღვარის გასწვრივ, რომელსაც პეტრიჩს ეძახდნენ.** ამ დაძაბულობამ პიკს 1925 წლის 22 ოქტომბერს მიაღწია, როცა ბერძენი ჯარისკაცი გამოეკიდა თავის ძაღლს, რომელმაც გადაკვეთა ბულგარელების საზღვარი, ბულგარელმა გუშაგმა კი მოკლა იგი.

საბერძნეთმა დაიფიცა, რომ ამის გამო შურს იძიებდა და მეორე დღეს მოაწყობდა თავდასხმას ბულგარელებზე სწორედ პეტრიჩთან. მათ სწრაფად გაწმინდეს ბულგარელებისგან ეს ტერიტორია, მაგრამ ერთა ლიგამ საბერძნეთს სანქციები დააკისრა, რომლის მიხედვითაც საბერძნეთს უნდა დაეტოვებინა ბულგარეთის ტერიტორია და აენაზღაურებინა ზარალი. ბერძნებმა თავიანთი ძალები 10 დღის შემდეგ გაიყვანეს და ბულგარელებს 45 000 ფუნტი გადაუხადეს.

**ომის ხანგრძლივობა:** 10 დღე (1925 წლის 23 ოქტომბერი-2 ნოემბერი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 52.



## VI — არუსთუქის ომი

**არუსთუქის ომი იყო სამხედრო დაპირისპირება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის მენის საზღვართან. 1812 წლის ომის შემდეგ, ბრიტანულმა ძალებმა მოახდინეს მენის შტატის დიდი ნაწილის ოკუპაცია.** 1838 წელს ამერიკელმა შეშის მჭრელებმა სადავო ტერიტორიაზე მოჭრეს შეშა და ამით წააქეზეს დიდი ბრიტანეთის არმია, რომელიც კვლავ გადმოვიდა ამ ტერიტორიაზე. მენის საზღვართან ამერიკელებიც მივიდნენ, ომი გარდაუვალი იყო. ამ დროს ორივე მხარემ გაიგონა რაღაც ხმაური — ამერიკის არმიამ მომარაგების დეპარტამენტიდან შეცდომით მიიღო დიდი რაოდენობით ლობიო და ღორის ხორცი. ამის გამო ომს დაერქვა ყველაზე პოპულარული მეტსახელი „ღორის ხორცის და ლობიოს ომი“. თითქმის ერთი წელი ბრიტანელებისა და ამერიკელების არმიები ელოდებოდნენ იმას, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მთავრობები. საბოლოოდ ბრიტანეთმა გადაწყვიტა, რომ უკან დაებრუნებინა აღმოსავლეთი მენი ამერიკისთვის. არუსთუქის ომი სამხედრო მოქმედებებს მოკლებული იყო, მაგრამ მაინც ასობით ადამიანი დაიღუპა, ოღონდ სხვადასხვა დაავადებისგან და შემთხვევითი დაზიანებისგან.

**ომის ხანგრძლივობა:** 12 თვე (1838 წლის დეკემბერი- 1839 წლის ნოემბერი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 550.



## IV — 335-წლიანი ომი

**ეს ომი ნიდერლანდებსა და სილის კუნძულებს შორის გაჩაღდა. ომი დაიწყო 1651 წელს, მაგრამ მსგავსად ამ პერიოდის ომების უმრავლესობისა, ეს ომიც არასერიოზული იყო და მალე მიივიწყეს.** საბოლოოდ, 1986 წელს ორივე მხარემ დადო სამშვიდობო ხელშეკრულება, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლას იმდენი დრო მოანდომეს, რომ ეს ომი მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა.

**ომის ხანგრძლივობა:** 335 წელი (1651-1986).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 0.

▶



## სოკო



რომელია დედამიწაზე ყველაზე დიდი ცოცხალი ორგანიზმი? ბევრი ჩვენგანი ამ კითხვის დასმისას ვეშაპს ან თუნდაც სპილოს წარმოიდგენს, თუმცა, როგორც ჩანს, დედამიწაზე არსებულ ცოცხალ ორგანიზმთაგან ყველაზე დიდი სოკოს ერთ-ერთი სახეობაა. ის ამერიკის შტატ ორიგონში აღმოაჩინეს. მისი გაშენების ფართობი 890 ჰექტარი, ანუ დაახლოებით 1220 საფეხბურთო მოედანი, ხოლო წლოვანება 8000 წელია.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## III — ფეხბურთის ომი

**ზოგიერთი ომი იწყება თავდასხმით, ზოგი — ხოცვა-ჟლეტით, მაგრამ ეს ომი დაიწყო საფეხბურთო მატჩით სალვადორსა და ჰონდურასს შორის 1969 წელს.** სალვადორმა წააგო. ნელ-ნელა მხარეებს შორის დაძაბულობამ იმატა და საბოლოოდ, 14 ივნისს სალვადორი თავს დაესხა ჰონდურასს. ასეთი ძალადობით გაკვირვებულმა ამერიკამ მოამზადა ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტი, რომელიც 20 ივნისს ამოქმედდა. ასი საათის შემდეგ ომი შეწყდა.

**ომის ხანგრძლივობა:** 4 დღე (1969 წლის 14-20 ივნისი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 3000.



## II — მოლდავეთ-დნესტრისპირეთის ომი

**ეს ომი დაიწყო საბჭოდა კავშირის დაშლის შემდეგ მოლდავეთის კრიზისის პერიოდში. ქვეყნის ნაწილს რუმინეთთან დაახლოება სურდა, ნაწილს კი — რუსეთთან. შედეგად ომი დაიწყო.** მაგრამ ფაქტი, რომელიც ამ ომს უცნაურს ხდის, სხვაა. დღისით ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლნი ღამით ერთად მიუსხდებოდნენ ხოლმე სუფრას და თანხმდებოდნენ, რომ ამგვარ სუფრებზე დამეგობრებულნი ომში ერთმანეთს აღარ ესროდნენ. ვინაიდან ამგვარმა შეთანხმებებმა ლამის ტრადიციის სახე მიიღო, ომში ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლნი თითქმის აღარ დარჩნენ.

**ომის ხანგრძლივობა:** 4 თვე (1992 წლის 2 მარტი-21 ივლისი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 1300.



## I — სირაქლემას ომი

**ეს არის ერთადერთი ომი, სადაც ფორმალურად ომის ერთ-ერთი მხარე ფრინველებისგან შედგებოდა. 1932 წლისთვის ავსტრალიაში ემუების რაოდენობა უკონტროლოდ იზრდებოდა. დაახლოებით 20 000 ემუ დარბოდა ავსტრალიის უდაბნოში და ანადგურებდა ნათესებს.** საპასუხოდ ავსტრალიის შეიარაღებული არმია გაემართა მათ გასანადგურებლად. ნოემბრის შუა რიცხვებში ისინი მივიდნენ უდაბნოში და დაიწყეს ნადირობა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ემუებს რამდენიმეჯერ ესროდნენ ტყვიებს, ისინი მაინც არ კვდებოდნენ და სირბილს განაგრძობდნენ. ომი ერთი კვირა მიმდინარეობდა. გაიმარჯვეს ადამიანებმა.

**ომის ხანგრძლივობა:** 7 დღე (1932 წლის 11-18 ნოემბერი).
**დაღუპულთა რაოდენობა:** 2500 ემუ.

# ფოსტალიონის სასახლე

**ფრანგმა ფოსტალიონმა ფერნანდ შევალიემ ძალზე უცნაური ფორმისა და შინაარსის სასახლე აიშენა.
30 წლის განმავლობაში იგი დაუღალავად, სრულიად მარტო მუშაობდა, დღისით გაზეთებს დაატარებდა, ხოლო საღამოობით ქვებს ეზიდებოდა. სახლის მშენებლობა მან 1897 წელს დაასრულა, 43 წლის ასაკში.**





სასახლის აშენება მას შთააგონა ერთმა უცნაური ფორმის ქვამ, რომელიც შევალიემ იპოვა და სახლში წამოიღო. ასე დაიწყო ქვების კოლექციონირების გრძელი ეტაპი. ჯერ მას ქვები ჯიბით მოჰქონდა, შემდეგ — კალათით, ხოლო უფრო მოგვიანებით — თვითნაკეთი ურიკით.

ქვებს სახლის უკან, ეზოში აწყობდა. მეზობლები გიჟად თვლიდნენ, მაგრამ თავად მშვენივრად იცოდა, თუ რისთვის გამოიყენებდა ამ ქვებს.

სასახლე ნელ-ნელა შენდებოდა და ის არაფრით ჰგავდა ჩვეულ ევროპულ არქიტექტურას.

**შევალიე უბრალო ფრანგულ ოჯახში დაიბადა. როცა 13 წლის გახდა, სწავლას თავი დაანება და საცხობში დაიწყო მუშაობა, თუმცა საბოლოოდ ფოსტალიონი გახდა. რაიმე არიტექქტურული განათლება მას არ ჰქონია. სამაგიეროდ, პოეტი იყო. საკუთარი სასახლის კედლებზე მან თავისივე ლექსები და ფრაზები ამოტვიფრა. ერთ კედელზე (აქლემის გვერდით) წერია: „ამ კელდის შექმნისას, მე მინდოდა გამემყარებინა ნებისყოფა“.**




გარედან სასახლე გარშემორტყმულია კიბეებით, უცნაურად გაწყობილი კოშკებით, შადრევნებით. მნახველებს გადმოჰყურებს ეგვიპტური ღმერთების, კათოლიკური წმინდანებისა და სხვადასხვა ცხოველის ქანდაკებები. შიგნით კედლები გაწყობილია ნიჟარებით, შიგვეა მეჩეთიც და წმინდა მარიამის ტაძარიც.

**სასახლე არც ისე დიდია: სიგრძე 26 მეტრია, სიგანე — 14 მეტრი და სიმაღლე — 10 მეტრი. ერთ-ერთ კუთხეში კედელზე გაკეთებულია წარწერა „10 000 დღე, 9300 საათი, 33 წელი“.**

შევალიეს სურდა, რომ ამ სასახლეში დაემარხათ, ამიტომ კიდევ 7 წელი დაახარჯა თავისი მავზოლეუმის მშენებლობას. მავზოლეუმის დასრულებიდან 1 წელიწადში ის გარდაიცვალა და დაკრძალეს კიდეც თავის სასახლეში.









## ყველაზე უშნო ნაძვის ხეები

**2012 წლის ყველაზე უშნო ნაძვის ხეები უკვე გამოვლენილია. მათ შორის პირველი ადგილი ვიეტნამურმა ნაძვმა დაიკავა. იქ, არც მეტი, არც ნაკლები, ნაძვის ხე მობილური ტელეფონებისგან შექმნეს. 5-მეტრიანი ახალი წლის სიმბოლოს ასაწყობად 2500 ტელეფონი გახდა საჭირო.**

ნოლი ლივენმა, ფილიპინელმა ეკოლოგმა, ნაძვის ხე გაფუჭებული ძრავიანი მექანიკური ხერხებისგან შექმნა. ის პუერტო-პრინცესას ერთ-ერთ ქუჩაზე დგას. ხერხებიანი ნაძვის ხე ხეების უკანონო ჩეხვის წინააღმდეგ „იბრძვის“.

ჩინელებს ყველაფრისგან რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. 12-მეტრიანი ნაძვის ხე, რომელიც 230 ველოსიპედისგან შეიქმნა, ჩინეთის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრშია განთავსებული. სინამდვილეში ის ველოსიპედის ნაგავსაყრელს უფრო ჰგავს, ვიდრე ნაძვის ხეს.

ნევადის უნივერსიტეტში ნაძვის ხე წიგნებისგან შექმნეს. ის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძველი წიგნებისგან არის აწყობილი. წიგნის ნაძვის ხის სიმაღლე სამ მეტრს აღწევს. ის 1950 წელს გამოცემული ნაციონალური გაერთიანების კატალოგის, მწვანე ფერის წიგნებისგან აწყვეს.

**2012 წლის ყველაზე მახინჯ ნაძვის ხედ ჯართისგან აწყობილი საახალწლო სიმბოლო ჩაითვალა.**

**12-მეტრიანი ხე ბერლინში მეტალის ნარჩენებისგან, უვარგისი საყოფაცხოვრებო ტექნიკისგანააწყვეს და ძველი, გატეხილი საბავშვო სათამაშოებით მორთეს. ნაძვის ხის ყველაზე საინტერესო მხარე მის „ტოტებზე“ დამაგრებული მაშხალები იყო, რომლებიც ყოველ 30 წუთში ერთხელ ცეცხლსა და კვამლს უშვებდა.**



# «ღიმილიანი საქართველოს» რეალური პროგრამა ჯერჯერობით არ არსებობს

**ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სერვისს, სტომატოლოგიურ მომსახურებას სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, სახელმწიფო უფასოდ უზრუნველყოფს. ჯერჯერობით, „ღიმილიანი საქართველოს“ კონკრეტული პროგრამა არ არსებობს.**



**„ის ადამიანები, რომლებიც სათნოების სახლის მომსახურებით სარგებლობენ და ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა აღვრიცხოთ. მათთვის გამოვყოფთ თანხას, რათა სტომატოლოგიური პრობლემები მოვუგვაროთ. მინდა ყველა ასაკოვანი ადამიანი იღიმებოდეს... ახალმა პროგრამამ „ღიმილიანი საქართველო“ ყველა ქალაქი და სოფელი უნდა მოიცვას. თავის მხრივ, ეს პროგრამა დარგის განვითარებასაც შეუწყობს ხელს“,** – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმის სათნოების სახლში სტუმრობისას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და იმ სადაზღვევო კომპანიებში, რომლებიც მილიონზე მეტ სოციალურად დაუცველ ადამიანს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში უფასო სამედიცინო სადაზღვევო პოლისებით უზრუნველყოფენ, პრეზიდენტის ინიციატივაზე კონკრეტული ინფორმაცია არ აქვთ და რაიმე პასუხის გაცემისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ. სადაზღვევო კომპანიებში ჯერ ისევ ძალაში რჩება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილება, რომლის მიხედვით, სოციალურად დაუცველთა სამედიცინო სადაზღვევო პაკეტში სტომატოლოგიური მომსახურება არ შედის.

**სადაზღვევო კომპანიებში აცხადებენ, რომ სტომატოლოგიური სერვისების მაღალი ფასის გამო, სახელმწიფოს მიერ გაცემულ სამედიცინო პოლისებში ეს მომსახურება არ შედის.**

მედიცინის დარგებს შორის სტომატოლოგია ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია. მოქალაქეთა ასაკიდან გამომდინარე, ახალი საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი მომსახურება პროთეზირება იქნება, რაც იაფ მომსუხურებათა ნუსხაში არ შედის.

**„ორივე ყბის პროთეზი მინიმუმ 200-300 ლარი დაჯდება. ეს არის ყველაზე იაფი პროთეზის ღირებულება. რიგ შემთხვევებში კი პაციენტი ამისთვის 600-700 ლარსაც ხარჯავს. რაც შეეხება ბჟენების ფასს, ის ხარისხსა და დაავადების სირთულეზეა დამოკიდებული. ეს დაახლოებით, 35-დან 80 ლარამდე ღირს. კბილის რესტავრაცია 120-130 ლარი, ხოლო გაპრიალება, ანუ პირის ღრუს ჰიგიენური გაწმენდა – 50 ლარი ჯდება,“** — ამბობს სტომატოლოგი თათია ანდღულაძე.

მისი თქმით, მათ კლინიკაში სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის მოქალაქეები მომსახურების მისაღებად არ დადიან. **„სახელმწიფო, ალბათ, ტენდერს გამოაცხადებს და ამის მიხედვით შეარჩევს კლინიკებს“,** — ვარაუდობენ სტომატოლოგიური კლინიკების წარმომადგენლები.

# «მაკდონალდსის» საწინააღმდეგო კამპანია ძლიერდება

**მსოფლიო პრესაში „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ მიმართული კამპანია არ ცხრება. გავლენიანი გერმანული გამოცემის Spiegel -ის ინფორმაციით, გერმანელი მედიკოსები მომხმარებელს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, „მაკდონალდსის“ საკვების მიღებისგან თავის შეკავებას ურჩევენ. ექიმების განცხადებით, საკვების უმეტესობა „მშრალია“ და მისი ხშირად მოხმარება ადამიანის ორგანიზმის, კერძოდ კი კუჭ-ნაწლავის დაზიანებას იწვევს.**

Spiegel -ის მიერ გავრცელებულ პუბლიკაციაში უარყოფითად ხასიათდება აგრეთვე „მაკდონალდსის” ზეთში შემწვარი კარტოფილი „ფრი“, რომელიც, სავარაუდოდ, ერთსა და იმავე ზეთში მრავალჯერ იწვება.

„მაკდონალდსის“ წინააღმდეგ დავა მიმდინარეობს რუსეთშიც, სადაც „მაკდონალდსს“ კერძების შემადგენლობის დამალვის გამო უჩივიან. რუსეთში მოქმედი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება მოსკოვის სასამართლოსაგან მოითხოვს, „მაკდონალდსის“ რესტორნებს დაევალოს კერძების შეფუთვაზე მათი სრული შემადგენლობის აღნიშვნა.

**იმას, რომ კერძების შეფუთვაზე მათი შემადგენლობა არც საქართველოში მოქმედი „მაკდონალდსის“ კერძებზეა აღნიშნული, „მაკდონალდსი საქართველოს“ დამფუძნებელი თემურ ჭყონიაც ადასტურებს. თუმცა, მისი განცხადებით, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია კერძის შემადგენლობის გაგება.**




„საქართველოში მაკდონალდსს ამ მხრივ პრობლემა არ აქვს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია კერძის შემადგენლობის გაგება. ვიცი, რომ ექიმები ებრძვიან „მაკდონალდსს“, მაგრამ ურჩევნიათ, პაციენტებს მიხედონ და მაკდონალდსს თავის დაანებონ“, — აცხადებს ჭყონია commersant-თან საუბარში.

შეგახსენებთ: „მაკდონალდსის“ საწინააღმდეგო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია მიმდინარეობს. რამდენიმე თვის წინ აშშ-ში მედიცინის 550-ზე მეტმა მუშაკმა ხელი მოაწერა კომპანიის ხელმძღვანელობისადმი მიმართულ ღია წერილს, რომელშიც ისინი საბავშვო მენიუდან მავნე საკვების ამოღებას მოითხოვდნენ.

# ხორვატებს ევროკავშირში შესვლა არ სურთ

**ხორვატები ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდიან. ზაგრებში ამასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციები იმართება.** ადგილობრივი მედიის ცნობით, რამდენიმე ათასი ადამიანი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით 22 დეკემბერს დაგეგმილი რეფერენდუმის ჩაშლას ითხოვს. მომიტინგეებს ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერით: **„მე მიყვარს ხორვატია“, „უთხარი „არა“ ევროკავშირს“.** ანტიევროპული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დიანა გოლუბიჩის განცხადებით, შიშობენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანას ვერც ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანს და ნაციონალურ იდენტობას და თვითმყოფადობასაც დააკარგვინებს. ხორვატიის ხელისუფლება კი მიიჩნევს, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ევროკავშირში გაწევრიანებაა, რადგან ქვეყანაში უმუშევრობა 17%-ს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი 6,2%-ს შეადგენს.





# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ელდარ კუპატაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და თანამებრძოლებს.

# მოსკოვის გვერდის ავლით არაფერი გადაწყდება

**რუსეთი შესაბამის შეფასებებს მისცემს და უპასუხებს კიდეც იმ უცხოელი პარტნიორების ნაბიჯებს, რომლებიც მოსკოვის აზრს არ ითვალისწინებენ, ნათქვამია ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო პროგრამის პროექტში.** „საერთაშორისო თანამშრომლობა ორმხრივი მოძრაობის გზაა. ჩვენ ურთიერთქმედებასა და დიალოგს ვემხრობით საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, შეიარაღების კონტროლისა და კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში. ჩვენი პარტნიორების ცალმხრივი ნაბიჯები კი, რომლებიც რუსეთის აზრსა და ინტერესებს არ ითვალისწინებენ ჩვენი მხრიდან შესაბამის შეფასებასა და საპასუხო რეაქციას მიიღებენ“, — ნათქვამია პროგრამის პროექტში. იქ ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში თამაშის წესები შეუძლებელია განისაზღვროს მოსკოვის ზურგსუკან ან რუსეთის ინტერესების გვერდის ავლით“.

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net